

1939



საქართველოს  
ხელმოწერის

# მნათობი

7

---

თბილისი

1939




# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოფილთვიური სალიცურაფურთ,  
სასელთვნთ და საბოტაჟოებრივ-საკბოლიციკო  
ქერნალი

წყლიწყალი მეთემქსმებე



# 7



რედაქცია:  
ტფილისი, შაბაძის 13,  
მწერალთა სასახლე  
ტ. 3-71-84

კანტორა:  
ტფილისი, კამოს ქ. № 40  
სახელგამი  
პერიოდსექტორი

პ/მმ. რედაქტორი — ალიო მავაშვილი

გადაცემა წარმოებას 26/VIII — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
19/X—39 წ. მთავლიტის № ხ—3850. შეკვ. № 2073. ტირაჟი 6.000

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპონატი, ეორესის ქ. № 5.

## ბორჯომში

ქალაქიდან მეც ბორჯომში  
ჩამოვედი საზაფხულოდ;  
წარა-მარა ვეხეტები  
უსულოთა და უგულოდ!

ჩემი გასართობი მხოლოდ  
არის შავი — ბორჯომელი,  
მის ჩუხჩუხზე ნაპირ-ნაპირ  
რომ ავყვები ნელა-ნელა.

მივალ, სადაც მას შეერთვის  
ჩაქუხა და ჩაბრიალა,  
თითქოს ციდან გადმონაქანს  
თან მოჰქონდესთ შნო და ძალა.

საგულისხმო შეცნება  
და დიადი აქ ბუნება!...  
მაგრამ ჩემს გულს დაწულულებულს  
სულ სხვა რამეს ეუბნება:

ძირს რომ შავი ქვა აგდია  
და მაღლიდან სცემს ჩანჩქერი,  
სწორედ ისე თავს ესხმოდა  
საქართველოს გარე-მტერი.

მაგრამ იდგა შეუცვლელად,  
შეურყველად ვითა სალი,  
მრავალტანჯულს ეხატვოდა  
თვალწინ წმინდა მომავალი.

და ამბობდა: სჯობს გავუძლოთ  
ამ უსხლეტელ გასაჭირსა!...  
„ჭირსა შინა გამაგრება  
ისე უნდა, ვით ქვითყირსა“.

ათასის წლის თავზე დასხმამ  
 ბევრი რამე ვერ დააკლო,  
 სანამ შინვე მოყვარემან  
 მწარე მუსრი არ გაავლო!



უალერსა, ანუგეშა,  
 საოცნებო სთქვა „ნანინა“  
 და ტკბილ ხმაზე, მატყუარზე,  
 საუკუნოდ დააძინა!..

აი ამ ქვას, განიდან რომ  
 მოდგომია ბორჯომელა...  
 ვითომ ჰკოცნის, ფერს ულოკავს!..  
 ძირს კი უთხრის ნელა-ნელა.

როგორც იმ ქვას საფეხურად  
 სალი ყლდე აქვს დადებული,  
 ისე ჩვენს ერს დედა-ბოძად  
 რჯული ჰქონდა აგებული...

მაშინ ჰქუბდა ქართველის თოფი  
 ჰფეთქდა კვესი და ფალია  
 და კურთხევით ბანს აძლევდა  
 წმინდა აეტო-კეფალია...

დღეს კი ყველას მოკლებული  
 საცოდავად ჰკენესის, გმინავს,  
 და მით უფრო საბრალოა,  
 რომ ჩვეულებრ აღარ სძინავს!..

გაიღვიძა და ვერ ხედავს,  
 ახალ გამოღვიძებული,  
 თუ რა უნდა გზას დაადგეს  
 თვისიანზე მისდის გული!..

ახლა უნდა მიშველება,  
 ეჭივრება ხსნა და შველა!..  
 აი რას მღერს მოჩუხჩუხე  
 შავი წყალი, ბორჯომელა!..



# საპედუოეოეი

## 1. დავუიფუარეი თვალეი

1920 წელს, შიმშილისა და უსუფთაობის გამო, ქალაქში ისევ მუცლის ტიფი მძვინვარებდა.

არამიანცის საავადმყოფოს ერთ პატარა ოთახში სტუდენტი — კორნელი მზეიძე და გურული ვილაც ჭაბუკი წევს.

თენდება. შემოდგომის მკრთალი მზის სხივი იჭრება ფანჯარაში.

ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ფელდშერი ქალი შემოდის. ავადმყოფები შურით უცქერენ მუდამ კმაყოფილს, ლოყებზეფაკლულს, მოლიმარსა და ჯანსაღ ქალს. მომვლელი ქალი, მოხუცი გაიანე საბანს ჰხდის მომაკვდავ ჭაბუკს, ზურგს უშიშვლებს და ფელდშერი ფიზიოლოგიურ ხსნარს უშაპუნებს ავადმყოფს.

საბრალო ჭაბუკი: ტიფზე ფილტვების ანთებაც დართვია.

ორმოც გრადუსს მიბჯენილი სიცხე აღარ ეშვება. ცნობაწართმეულის დიდრონი და უმოძრაო თვალეი კედელზე აჩემებულ წერტილს მიშტერებია. ავადმყოფს თვალში ჩინი დაჰკარგვია და თითიც რომ სწრა, ალბათ არც კი დაახამხამებს.

კოტოშებს აყრიან ფილტვების გარშემო.

მუცელზე ცხელი წყლით სავსე რეზინის ბუშტს ადებენ, მაგრამ შარდი არ გამოდის, არც კი მოკონავს.

ფელდშერი ავადმყოფს ჩასძახის:

— გადმობრუნდი, პირი გააღე, ენა მაჩვენე.

ავადმყოფი ცდილობს შეასრულოს ფელდშერის განკარგულება, მაგრამ ანგარიშ-მიუცემლად, მეჭანიკურად. ტვინის ცენტრები, ჩანს ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით მოშლილი-დაზიანებული: როდესაც ქალმა დიდი ნემსი გაუკეთა, ჭაბუკი შეკრთა, აცახცახდა და წაილულულა:

— აა... გამიშვი. ნუ მაწვალებ.

რამდენჯერმე ცდილობს კორნელი ჭაბუკთან გასაუბრებას, მაგრამ ის წევს ისევ გაშტერებული დიდრონი თვალეებით და პასუხის გაცემას ვერ ახერხებს.

მედიკური ფაკულტეტის მსმენელი ქალეი შემოცვივდნენ. ისინი ამ საავადმყოფოში იღებენ პრაქტიკას. ერთი მათგანი ჭაბუკს უახლოვდება. ჩხირზე ბამბას ახვევს, ბორის უანგში ასველებს და ავადმყოფის ენის ვაწმუნდას აპირებს. უყვირის:

— ხახა გააღე!

ავადმყოფი ხახას ოდნავ ალებს, უიმედოდ დაეკიდა ქვედა ყბა და მბლა-  
დაცემულივით აკანტურებს.

— გამოჰყავ ენა!

ქაბუკი ოდნავ გამოჰყოფს დასიცხულს, თეთრი ყლარტყი ქვედა ყბის  
წვერს და ისევ შესწევს.

— გამოჰყავ ენა! გამოჰყავ ენა! — აცივდება მსმენელი ქალი და ქაბუკი  
განუწყვეტლივ იმეორებს ერთსა და იმავეს: ოდნავ გამოჰყოფს ენის წვერს  
და წამსვე შეაგდებს ისევ ხახაში. კორნელი ვერ უძლებს ავადმყოფის ასეთ  
წვალებას, დამცირებას და იძახის:

— დაანებეთ თავი, ნუ აწვალებთ, რა დროს ენის წმენდაა, ხომ ხედავთ  
კვდება...

დარცხვენილი ქალი კორნელისთან მიდის. ჯერ ენას უწმენდს, მერმე გუ-  
ლისგასამაგრებელ წვეთებს უსხამს. ენაზე სადღეინფექციო ფხვნილს აყრის.  
თანაც რეცეპტს კითხულობს: „Strofahti“. — „Salol“... თითქო შემზუდეთ, რა  
ნასწავლი ქალი ვარო. ამაყად, ჩქარი ნაბიჯით ისე გადის, თითქო ეჭიმობის  
რთულ ხელოვნებას არის დაუფლებულიო.

ჩერჩეთიო, ფიქრობს კორნელი.

ქაბუკის სასთუმალთან გაიანე ჯდება.

ყინულით გატენილ რეზინის ბუშტს უსწორებს თავზე.

მზის ჩასვლის შემდეგ ქაბუკი უფრო ცუდად ხდება. კენესას უმატებს.  
აბოდებს.

კორნელი კარგად არჩევს შემდეგ სიტყვებს:

— არ მინდა. გამიშვი... ნენა... ნენა...

ანთება ეკიდება...

ერთბაშად წამოიჭრება საწოლზე. ფეხზე დგება. ბარბაცებს და კარებისა-  
კენ მთავარეულივით მიდის. საით? ვინ იცის: იქნებ „ნენასთან“. იქნებ: სიკე-  
დილს გაურბის.

ამაოდ.

მომვლელი ქალი გაიანე და სანიტრები წამოეწვიან დერეფანში და ისევ  
აწყენენ საწოლზე. ეს აღარ აკმარებს: ფიცარი მოაქვთ და საწოლზე გარდი-  
გარდმო ამაგრებენ. იქით კედელია. ავადმყოფი წევს ეხლა, როგორც არტა-  
ხებით გაკრული ბავშვი აცვანში. ვერსად გაიქცევა.

„ნენა“-ო, ისევ კენესის. იქნებ დედის იავანა შემოესმა. მეზობელ ოთახი-  
დან ვილაც ქალის კენესა და კვილი მოისმის. ისევ მოაქვთ სანიტრებს ავად-  
მყოფები საკაციო. ერთს იატაკზე ავდებენ. დერეფანში ორჭოლი ქარი უბე-  
რავს, მერმე რა? ფელდშრები და სანიტრები ყბედობენ. ასეთივე ყბედობით,  
როხროხით და სიცილით მიათრევენ პალატიდან მიცვალებულს...

მიცვალებული ქალია. იგი გარიყრათამდე ჰკიოდა მშობიარესავით. თით-  
ქო ვერ იქნა და ვერ შობა ნაყოფიო. ბოლოს როგორც იქნა ამოძვრა სული  
და სხეულს განშორდა. ისიც დაწყნარდა.

ლამდება. კორნელის სიტყვც ორმოცამდე აღწევს. თავზე მასაც ყინულით  
სავსე რეზინის ბუშტი ადევს. მაგრამ თვალს მაინც ვერ აშორებს ქაბუკს. იგი

საეჭვოდ ხროტილობს და კორნელი შიშობს: სული არ ვაეპაროსო. მოხუც ვაიანეს ეუბნება:

— წადი, უთხარი ფელდშერს: ნემსი გაუკეთოს.

ვაიანე მიდის. ეხლა მარტო კორნელი და ქაბუკი რჩებიან. უთხმურე ქაბუკის უმოძრაო, დიდრონი და ანთებული თვალები ისევ მისწვრივნი კედელზე აჩემებულ წერტილს.

კორნელი კარგა ხანს აცქერდება შევეგრემანი და ლამაზი ქაბუკის გაშტერებულ თვალებს, ვადალესილ წარბებს, გრძელ წამწამებს. პატარა ცხვირის დაბერილ ნესტოებს, რომლებიც მალმალე ირხვეიან ჩქარი სუნთქვის გამო.

„საცოდავი. ახალგაზრდაა. ოდნავ აჩნია უღვაში. თექვსმეტი წლისა თუ იქნება“. — ფიქრობს კორნელი.

სანიტრებმა შემოიტანეს იგი ოთახში. მასავით ქაბუკი ამხანავი ახლდა, აკრემლებული. სანამ ავადმყოფს საცვლები არ გამოუცვალეს და საწოლზე არ დააწვინეს. თვალთავან ჩამოდენილი ცრემლი არ მოუწმენდია.

— ვინ არის? შენი ძმაა? — შეეკითხა კორნელი.

— ჩემი ამხანავია, მეზობელი: კვესია ცინცაძე... ღარიბი და გაჭირვებული კაცისშვილი. — მიუგო მან. — ქალაქში ჩამოვიდა: რამე სამუშაოს ვიშოვნო. ორთაქალის ბაღში მუშაობდა. ჯერე თვეც არ გასულა მას აქეთ, რაც სამუშაოზე მოეწყო. ჯამაგირი არ აუღია. არაფერი არ ვააჩნდა და მე ვინახავდი...

— საწყალი. ანთება თუ აქვს! სად ვაცივდა ნეტავი?

— რა ვიცი. ორმოცი ვრადუსი სიცხე ჰქონია და იატაკზე ვწვიბოდით. ქვეშაგები არ გვქონდა და ვაზეთს ვიფენდით. საბნის მაგიერ დაგლეჯილ მაზარაში ვებვოდით. ასე რა ვადაარჩენდა? პურს და ყველს ვაძლევდი... ყორიფელს, რაც მქონდა. მაგრამ ნეტავი არ მეჭმია.

— რატომ?

— ექიმმა მითხრა: შენ დაგიღუპიაო.

— აი, ყოველივე ის, რაც ვაგიო კორნელიმ გურული ბიჭისაგან ავადმყოფის შესახებ.

წევს ქაბუკი მებაღე. მიწის მუშა. გულმკერდზე უსვენია დახეთქილი, მიწაშეგლესილი ბელები. წევს და თვალს არ ახამხამებს. ლუკმა პურის საძებნელად ჩამოსულა იგი ქალაქში. მას კი ეხლა თავზე ყინულით სავსე ბუშტი აძევს წამების გვირგვინივით.

— ნენა! — კვენისის ისევ და კორნელის თავისი საკუთარი დედა ავონდება, რომელიც შორს არის ეხლა მისგან. თვალზე ცრემლი ადგება.

მყისვე მუსიკის ხმა შემოესმა. ეკლესიის ზარებს შემოჰკრეს.

სავედმყოფოს აღმოსავლეთით რკინიგზა უვლის. რკინიგზის ვადალმა ეკლესია და სასაფლაოა.

რეკენ ზარს და ეხლა მძაფრად ისმის დოლისა და დუდუკის ხმა.

მეზურნეები გულსაკლავ შიქსტებითა და ბაიათებით მოქარგულ პანგს უკრავენ და ასე მიასვენებენ მიცვალებულს.

„იქნებ, ავლაბრელ ვინმე მოქალაქეს“, — ფიქრობს კორნელი.

პალატებში ორასამდე ავადმყოფია, ზოგი მათგანი უკვე ფეხზე დგას, ხალათი აცვია, დაიარება და ფანჯარას ეტანება ქვეყანას დანატრებული. ზოგს



კიდევ გურულ ჭაბუკსავეით და კორნელსავეით უგრილებს ყინული ანთებიან თავს.

სამგლოვიარო მუსიკა ახლოვდება და კორნელის ასე ჰგონია, *რითქო საწოლი ერწყვა და თითონ მას მიასვენებენ სასაფლაოსკენ.* *ეკონსენსი*

— გააჩერეთ... — ღრიალებს კორნელი.

*ნიგელინი*

იდაყვებზე ებჯინება, იწევს. ხელს ბალიშის ქვეშ მიაცურებს. იარაღი ეგულვება იქ.

აჰა, კორნელი ხელთ იღებს ნაგანს.

ბარბაცით მიდის ფანჯარასთან. მიწას ტეხავს. ჩარჩოზე აბჯენს ნაგანს. გულდაგულ უმიზნებს ლოყავაბერილ მეზურნეს. ისერის. მეზურნეს ყელში ხედება ტყვია. დუღუკი უვარდება ხელიდან. ქვაზე ეცემა და ტყდება.

„ეს როდის იყო“, — ფიქრობს კორნელი. — „ჰო, ამ ხუთი დღის წინად. ეხლა იმ მეზურნეს თუ მიასვენებენ!“ — აბოდებს კორნელის.

ხელს ისევ მიაცურებს ბალიშის ქვეშ. ამაოდ. ნაგანი იქ არ არის.

ფანჯარა მინა-ჩასმულია და ქალაქის მმართველთაც არ აუკრძალავთ სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობა საავადმყოფოს ფანჯრების წინ, მაშინ როდესაც მომაკვდავებს სიციხის გამო თავის ქალა უსკდებათ.

დუღუკი ისევ შემაზრზენად ყვივის, ჭყვიტინებს.

საშველი არაა, რადგან კორნელის აღარ ძალუქმს წამოდგეს და ხელმოყო რედ მოკლას მეზურნე, ის კი უღმობელია და ბარბაროსი.

დილით გურულ ჭაბუკს ყვედრება, ხროტიანი აუვარდა. შზის ამოსვლამდე გათავდა.

ის წევს ისევ წყნარად, უმოძრაოდ და კორნელს სიკვდილის დღემდე აღარ დაავიწყდება აჩემებულ წერტილზე მიშტერებული, სიკვდილის სუნთქვით დაორთქლილი თვალები ჭაბუკისა.

## 2. გაიანე

კორნელის ოთახის კარების წინ დღეს ისევ გაატარეს ცხედრები საკაცით. მკვდრებს დერეფანში მიაბრუნებინებდნენ სანიტრები. გაიანეს უურადლებაც კი არ მიუქცევია.

წყნარად ზის კორნელის სასთუმალთან ეშხიანი მოხუცი ქალი, თავშალი პტურავს და შალის წინდას ჭსოვს. წინდის ჩხირით ამოყვანილ თვლებსა სთვლის და ლამაზი ღაბაბი ერხევა. „აღბათ მრავალი ჭირი და ვარამი გადახდომია. ასეთი გულცივი რომ გამხდარა“. — ფიქრობს კორნელი და წყენით ეუბნება:

— ნეტავი შენ, გაიანე: ნახევარი ქალაქი ამოწყდა, შენ კი ფეხებზედაც არ გკიდია: რუსი, ქართველი, სომეხი, — სულერთია შენთვის.

გაიანე ძაფის მორგეში უყრის წინდის ჩხირს, ხელსაქმეს კალთაში იღებს. კარგი პატივით ჩასუქებულ და ფაფუკ ხელით ისწორებს თავშალს. ცბიერად იღიშება და ასე უპასუხებს:

— კარგა ხანია, შეილო, რაც ამ ქვეყნისა არაფერი მეკითხება, მაგრამ მაინც ქართველებს გაუმარჯოს... განა მე ქართველი არა ვარ?!

— რა ვგარი ხარ?

— ეამჰარაშვილი.



— ეამპარაშვილი განა ქართველია?

— მამა ჩემი მარტიროზ ჯალალოლიდან ჩამოსულა.

— მამა ვახსოვს?

— როგორ არა, შვილო. მარტიროზ ყმაწვილი გამომწერლან ჯალალ-ოლიდან მეურმეს. პურის ფულიც არა ჰქონია, საცოდავს <sup>არაქის</sup> იცხრბდა ქალაქში და მათხოვრობა დაუწყია. დუქანთან დადგა თურმე და ხელში ყულაბი დაიკავა. მერმე მეზობელს უნახავს, შვილო, და თან წაუყვანია მოჯამაგირედ. დიდი გაჭიკრება გამოუვლია. ეხ, რათ გინდა, შვილო, მამაჩემის თავდადასავალი?..

— რატომ? მოწყენილი ვარ. მიამბე. მოგისმენ.

— მეზობელმა ტაჩქა გაუმართა. გაჯსა სწომდნენ.

— გაჯი რა არის?

— არ იცი, შვილო? — უკვირს გაიანეს. იღიმება, თითქო გაუხარდა: კორნელიმ რომ არ იცის, გაჯი რა არისო. — კედლის საღესავი მიწაა. ქურაში სწომენ. ზედვე გეტყობა, რომ ნასწავლი ხარ: ყველაფერი გინდა გაიგო. — ასე იმიტომ აქებს გაიანე კორნელის, რომ დაუსრულებელი ლაპარაკისათვის საშუალება მიეცეს. თანაც დასძენს: — მამა მარტიროზ გაჯბაზობით გამდირებულია.

— გაჯბაზობით როგორ გამდიდრდა?

— აი, გითხრა, შვილო, — უპასუხებს გაიანე, კორნელისკენ ისრება და ჩემად იწყებს, თითქო საიდუმლოს უმზღვსო, — ერთ დღეს, ცხენს რომ არ გარეკამს, — ნახამს: მიწა ხმას ამაიღებს, გუგუნებს. დააყენებს ცხენსა. მოთხრის მიწასა და ხედამს: ფულია, ოქრო! — ოქრო და ფულის ხსენებაზე მოხუც გაიანეს თვალები ნეტარებისაგან ენთებიან, თითქო ოქრო ხელისგულზე უყრია და მისი ზილვა სიამეს ჰგვირისო. — ადგა მარტიროზ და ამ ფულით ხუთასი საცენი ადგილი იყიდა. ცოლიც შაირთო ლამაზი. სახლიც გაიშენა და ეხლა თითონ გამართა რვა ტაჩქა და გაჯბაზობა დაიწყო. ხომ არ გეძინება, შვილო, მაგ ლამაზ თვალებს რომ ლულავ? იქნებ გაუხებ ამდენი ლაპარაკითა? — ელაჭუცება გაიანე კორნელის და სიყვარულით სავსე თვალებით შესცქერის. გაიანეს უხარია ამ ოთახში მორიგეობა, რადგან კორნელი ხშირად აჩუქებს ხოლმე მის ფულს.

კორნელი ერთბაშად ახელს თვალებს და უპასუხებს:

— პირიქით, მე მიყვარს ძველი ამბების მოსმენა. მხოლოდ არა მჯერა. გაიანე, მიწაში როგორ იპოვა მამაშენმა ოქრო!?

— მიწაში იპოვა, შვილო, ნამდვილად! — დარწმუნებით უპასუხებს გაიანე და ხელს ისე იქნევს ჰაერში, თითქო უკვირს: აბა, მაგას რას ამბობ, როგორ არა გჯერა, ტყუილს ხომ არ გეტყვიო. — ისე გამდიდრებულია მამაჩემი მარტიროზ, რომ ეს მინდორი არამიანცის ბალნიციდან ვაზიანამდე სულ მის ხელში ყოფილა. ბალახს სთიბავდა და ეხლა მაგის მიწაზე სწომდნენ სხვები გაჯსა.

— ოქრო: მიწაში კი არ უპოვნია იმ კაცს, არამედ შრომითა და გარჯით შეუძენია.

— ჰო, შვილო, გარჯით შაიძინა. მერმე რა? მოკვდა ხორველით ის ცოდვით სავსე, და დარჩა ხუთმეტე ათასი მანეთი ნაღდი და თანაც თამასუქი ორმოცდაათათასი მანეთისა.

— მდიდარი მამა გყოლია. გეტყობა, კარგად ნაცხოვრები ქალი ხარ.

— ეხლა რაღა ვარ, შვილო. ეხ, უნდა გენახე, რა ვიყავი ბრძანებულით ლოყები მქონდა. — იცინის გაიანე და კობტაობას იწყებს. თავშალს ისწორებს. წერილ თითებს ენის წვერით ისველებს და ხშირ წარბებს ფეხქვეშაბლზე მაგრა ივლესავს. მერმე თითქო მიხვდა: მოხუცს ასეთი კობტაობა არ უნდა ექნისო და ოხერით ამბობს:

— ადამიანი, შვილო, რაც უფრო ხანში არ შედის, — ჯანიცა ტყდება.

— აქ რაღა გინდოდა მომვლელ ქალად? ამ დღეში როგორ ჩავარდი ისეთი მდიდარი მამის შვილი?

— ეხ, გეტყვი ყველაფერს, შვილო. მამაჩემმა მე რომ გამათხოვა, — ორასი თუმანი ჩემს ქმარს მისცა ნაღდი და ორასის კიდევ შხითევი. ადგა მამა და ფალავანდოვის ქუჩაზე სახლი აგვიგო და ასე ჯვარი დაგვწერა. — „ჯვარისწერის“ ხსენებაზე გაიანე ისევ კობტაობას იწყებს. ისევ ისწორებს თავშალს. დიდრონი, შავი თვალები უციმციმებენ. გაიანე სამოცი წლის ქალი იქნება, მაგრამ კარგად შენახული ტანი, უნაოჭო, თეთრი და ლამაზი სახე აქვს. კორნელი აღერსიანად ეუბნება:

— მამაც ასეთი უნდა...

— კარგი კაცი იყო, ლაშათიანი. — ეთანხმება გაიანე და თავის თავგადასავალს განაგრძობს: ჩემი ქმარი, დარჩო, მირზოევის ფაბრიკაში ამერიკას ქსოვდა. მე კი ადილხანოვის ქარხანაში ვმუშაობდი...

— აი, ვიდი, გაიანე! — აღარ აცლის კორნელი ლაპარაკს, — ადილხანოვების, მირზოეების, მანთაშევების ხელში ყოფილა ქალაქი!

გაიანეს არ აშფოთებს ეგ შენიშვნა. ისევ მშვიდად ეთანხმება კორნელის:

— ჰო, შვილო. ქართველები რომ ქეიფობდნენ, ისინი მუშაობდნენ, ფულს აკეთებდნენ. მერმე რა? ოხრად წავიდა მათი ქონებაც. ხომ ხედავ, მეც რა დღეში ვარ? უნდა გენახა, რა ცხოვრება გვქონდა. ჩვენ რეელაციამდე დავიღუპეთ.

— როგორ?

— როგორ, შვილო, და როდესაც ჩემი ქმარი დარჩო ბაქოს წავიდა სავაჭრო საქმეზე, ჩემი ქმრის ძმამ — არტემამ ჩვენი სახლკარი დაავიროვა ოთხი ათას მანეთში. ადგა და ახალი სახლების კეთება დაიწყო. მაშინ არამიანცი აშენებდა ამ ბაღნიცას და არტემამ იფიქრა: მე და დარჩო ექიმებს და მოსამსახურეთ მივაჭირავეთ ბინებსო. ჩემი ქმარი დარჩო სწორედ ამ უბედურებამ გადაიყოლა.

— რა დაემართა?

— მოკვდა ჯავრისგან, შვილო.

— რა ჰქონდა საჯავრებელი?

გაიანე ოხრავს და ასე იწყებს:

— დარჩო რომ ბაქოდან ჩამოვიდა, ნახა ღურგლები და კალატოზები სახლს აკეთებენ. გაუკვირდა. არტემამ უთხრა: სახლი დავაჭირავეთ. დარჩო-ჯან, იმ ფულით ამ სახლების შენება დავიწყეთ, ბინებს გავაჭირავეთ და დიდძალი ფული შემოგვივავო. მაგრამ, როდესაც სახლის აგება დამთავრდა, არამიანცის ბაღნიცის ექიმები და მოსამსახურენი იმ სახლში არ დასახლდნენ. არტემამ ანგარიშში შრტყუვდა. სახლი და მამული ბანკმა წაიღო და დარჩოც ძმას გა-

ეყარა. ბოღმისაგან გული ერთთავად გაუსივდა. ერთ წელზე მეტს აკად იყო და მერმე მოკვდა...

გაიანე თავშალის ტოტით ცრემლს იწმენდს. კორნელის ძალზე აინტერესებს ვაჭართა ცხოვრება, გაიანეს ნაამბობი, რომელშიაც წარსული უბედის სახე და ცოცხალი ადამიანები სჩანან. ნუგეშინისცემას იწყებს: —  
 — შენ ხარ გაიანე?

— დარჩოს სიკვდილის შემდეგ ცარიელი დავრჩით და არტემაც, ჩემი ქმრის ცოდვით, უსინათლოდ ზის ეხლა სახლში. ორთავ თვალი დაეცო. ნათქვამია: დედამიწის ვალი ცას არ დარჩება და ცის ვალი კი დედამიწასო.

— შეილი არ დავრჩათ?

— მყავდა, შეილო. ცამეტი წლის ქალი ისე მამბატყეს, ბატკანი რომ გაგიტაცნია. მზითვევამართული გავისტუმრე. შკაფი, საწოლი ფრატისა... თეთრული, ქვეშაგები და საბანი, ყველაფერი გავატანე. კაბა ფარჩისა — რომ დაგეკუშნა, მუშკივით ხელში დაიჭერდი. ტაშტი, ქვებები... ფილი რა არის, ისიც კი გავატანე რომ შეზობლისგან სათხოვარი არაფერი ჰქონოდა. და არ შემრჩა, შეილო. მოკვდა და ამდენი ამოგი დაიწვა. მოკვდა და ქვეც კი არ დაადო საფლავზე მისმა ქმარმა, მას კი დავადევი გულზე ის ქვა. — სწყევლის გაიანე სიძეს და ისევ იწმენდს ცრემლს თავშალის ტოტით. — ეხლა სარდაფში ეცხოვრობ, ისეთ ბინაში ძალლიც კი არ დადგება. ჩემ სახლში სხვებია, მე კი გულხელდაკრეფილი სხვის კარზედა ვარ. აქ რომ მსახურებენ — აზღვია, ქაღინკა და სირანა, იმათმა იციან ჩემი ამბავი. ჰკითხე: რა ვიყავ, შეილო, სანამ რეველაცია მოხდებოდა.

— უბედურება მოგსვლია: ქმარშეილი არ შეგვრჩენია. რა გაეწყობა გაიანე!

— იცოცხლე, შეილო. ზედვე გეტყობა, რაც ოჯახის შეილი ხარ. ტკბილი სიტყვა გაქვს, ჯგავარიანი. ყველას ღმერთმა დღე მისცეს. ერთი შენა და ერთიც აი, იმ ოთახში რომა წევს — თაიროვი, ნამდვილი ადამიანები ხართ, სუფსარქისის მადლმა!

მერმე გაიანე ხელსაქმეს გვერდზე სდებს. კორნელისაკენ იხრება. ერთთავად ტოკავს. დაყვავებით იწყებს:

— კორნელი-ჯან, როდესაც ბალნიციდან გაწერას არ დააპირებ, წინა დღით უნდა ვიფუსფუსო. ერთი ჩემი ხელით უნდა ტანი დაგბანო, დაგასუფთაქო.

„საბრალო დედაკაცი ფინიასავით მეგება ფეხქვეშ, მელაქუცება, რათა ლუკმა პური მივუგდო. მკირედი რამ საჩუქარი მივსცე“. — ფიჭრობს კორნელი და ეღბნება:

— შენც იცოცხლე, გაიანე. კარგად მივლიდი და ამიტომ ერთ კარგ თავშალს გიყიდი...

— კორნელი-ჯან! — შესძახებს გახარებული მოხუცი და კორნელის ლოცავს: — შენ გაძები წითელ მშითა და მწვანე ბალახითა!

— გმადლობ, გაიანე, რა მოქარგული ენა გქონია!



იასეზედვე ფიქრობდა მამიდა მართაც, მხოლოდ ვაჟზედ კი არა, ოჯახზედაც. თავის თავსაც არ იფიწყებდა, დაფარულ აზრებს! სხვისა შვილი აკნინებდა იმის მახლობელთ და თანაც ისე, რომ მათ ღონე ართმეოდა მის შესაბრძოლად. ვერა ჰბედავდნენ ეთქვათ მისთვის გადაკვეთილად:

— უშენოდაც კარგად ვიცხოვრებთ! შენს იქითაც ვიპოვით საეალს. შეესძლებთ, გადავკრით ჯადოსნურად შემოხაზულ გზას.

ველარ დაჰვიწყებოდა მანდილოსანს, რომ დაიმსხვრა თვით მისი ცდა სამქოვარის გულგრილობაზედ. არც დაიფიწყებს! ხელსაყრელია იმისათვის ამ ამბის ხსოვნა.

— როგორი, ქალო?! თითონ გეახელ, მართა მამიდა, მოვიხარე შენს წინ შე თავი და... ცალიერ გამომისტუმრე!..

უდუღდა გული, შელახული თვითყვარება არ აწყნარებდა.

— რახან ეგრეა, მაშ არ ვყოფილვარ მამიდა მართა, თუ ახალი გზა არ ვუპოვნო შენგნით მონებულს, არ აყვარო გული შენზედა. ისე დაგვიფიყოს, როგორც...

მაინც იცოდა გამოცდილმა, რომ ეს საქმე არც ისე ადვილი იყო, და ფიქრობდა, როგორ მოეწყო ყოველივე, რომ ვაჟაკი თვის შეუმჩნეველად მოჰზორებოდა უარისმყოფელს სამუდამოდა; ველარ ჰხლებოდა იმ თავის სატრფოს, ფიქრიც ველარ შესძლებოდა ახლოებაზედ. იცოდა მართამ, ეს დიდი წყენა, ქალისაგან უარყოფა და დამდაბლება, მაინც ვერ იყო იასესთვის ისე მძლავრი, ისე მღელვარე, რომ წაეღება გონება მისი და აემღვრია მისი გული ბნელად, ბოროტად. სწყინდა ვაჟაკს ცუდი განცდა, წყლულად სტკიოდა, მაგრამ...

— ამასაც დაეთომენდი ეზლაც, შემდეგაც; განპატივებას შემადლებინებდა შენი ზატება ჩემთვის გებული: შენ მეუფე ხარ ჩემის არსების, უწყალო მეფე ჩემის სულისა. მაგრამ აწ რა ექნა, რომ მომესპო შენგან იმედი?! იტყოდა ვაჟი სასომიხილი.

მამიდას აზრი თავისუფლად მოქმედობდა მიზანალებით და მისთვის იყო ისე მკვეთრი და მოზიდული. განა მარტო შელახული თავმოყვარება ჰქვართაედა მის ნებისყოფას სამოქმედოდა, მას ექნებოდა საიდუმლო თვისი სურვილი, აწ ოცნებად მისთვის ქცეული.

— ყველას თავისი უზომ-უფერი ჰაზრი თუ ქტევა წინვე დაჰხვდება, ან მოეწყვა აღრე თუ გვიან და დაანახებს, რომ ბოროტის ქმნა არც ავის მოქმედს მოუტანს კარგსა, იმ ქალის ქტევა როდი არის ნათლად ზომილი და...

<sup>1</sup> დასასრული. იხ. „მნათობი“, № 6.

— მეც კარგად ვხედავ და მისთვის მინდა შევეშველო იმ საწყალ ვაჟ-  
კაცს. სწორედ დალუპავს! კარგად მიტყევა იმის საქმისა, მისი წილი შეტრია-  
ლება ველარ ხერხდება; ვერც მოხერხდება! უნდა ვითავო მისი დახსნა აღ-  
ქის ხელიდან! და მოვახერხო! ავასრულებ უსათუოდ!

ამ სამოქმედო პაზრს განამტკიცებდა დიდი ბურჯი, უფროსი წინამძღო-  
ნაშენი: უმემკვიდრო ადამიანს, ქონების პატრონს, აღრევე ჰქონდა ნასურვე-  
ბი, რომ იასეს დარჩენოდა მისი ქონება. უყვარდა თვისი შვილობილი  
ობოლი ქალი. ანდრძივ ჰქონდა ცხონებულს დატოვებული, რომ თეონასთვის  
გადაეცა მთელი მამული, მართას კი თვალი იასესკენ უფრო ეკირა: ის იყო  
მისი მახლობელი, გვარის განმგრძობი. ეს მოსაზრება ჰქონდა ფუძედ მანდი-  
ლოსანსა, როცა შეუდგა იასესთვის ზრუნვა-ქმედობას.

— თუ შეიძლება შეერთება ამ ქალ-ვაჟისა?! ოცნებობდა ეს შორსმჭვრე-  
ტელი.

ეს განზრახვა დაფარული მას ყველასაგან. თავის თავსაც კი განცხადებით  
არ ეტყოდა ამ გულისნადებს. როცა იასე იმდენად ემონებოდა თავის სამ-  
ძივარს. არც შეიძლებოდა ამაზედ ფიქრი. სარისტიანი დედაკაცი მხოლოდ  
გულდასმით ათვალეირებდა იმის ქცევასა, სატრფოსთან კავშირს. ნახა, დრო  
მიდიოდა უაზროდ და უმნიშვნელოდ; ქალ-ვაჟი საბოლოოდ ვერ ახლოვდე-  
ბოდა: ამან აამოქმედა დედაკაცი, ათქმევინა გადაწყვეტილი.

— ბევრი ცდა თუ აზომ-დაზომა ამაო-ლა იქმნება ეხლა და ნაკარბები.  
წავალ, გავიგებ დანამდვილებით, რა აზრი აქვს ქალს; ჩემის თვალით ვნახავ  
ყველაფერს და... — გაიფიქრა.

და გადადგა ის ნაბიჯი, რომელმაც იასესათვის ახალი არა გამოარკვია რა,  
თითონ მისთვის კი, მართასათვისა, ცხადყო პაზრი შემდგვისთვისის მოქმე-  
დებისა. ამის მერმე იყო, რომ უფრო დაუახლოვდა თავის ძმა-რძალსა, ხში-  
რად იწყო მათთან სტუმრობა; მათაც იწვევდა თვისთან მალმალ. მარტოდ-  
მარტო არ დადიოდა იმათთან მართა, თეონა დაპყვანდა თან კოხტად ჩაცმუ-  
ლი. კარგად მსჯელობდა: შროიანი ქალი, ჯანსალი, სუფთა ქცევისა, კდემამო-  
სილი; ნამდვილი სასძლო იმედიანი.

— დალოცვილი ისეთი ფრთხილია და მოკრთალებული, თითქო რჩეულთა  
შვილიაო, კარგის ჩამომავლობისა.

— იქნება ეგრეც არის: დაქვემდებარებით ვერ გაიგეს, ვინ მიუგდო მა-  
გათ ეგ ბაღლი.

— შენ ისა სთქვი, დედაკაცო, რომ ერთგული მშრომელიც არის პაზრი-  
ანი, თანაც მარჯვეა: ყველაფერი ეხერხება, ხელსაქმე თუ სახლში ტრიალი.

— ბედნიერი იქმნება სახლი, სადაც ეგ შევა; ხუთი თითი სანთელი შე-  
ანათებს იქ ანთებულს.

— არც ზვიადობს ზოგიერთივით. თუმცა კი იცის, მართას დოვლათი მა-  
გაზედ არის დამტკიცებული. სხვა უმაგისო დაიწყებდა უფლისწულის ძებნას  
ან განთქმულს რაინდს დიდდიდებულსა, — უზნობდნენ ესე ვაჟის მშობლები.  
და ძლიერ სწყინდათ, რომ მათ შვილისგან შეეყვარებული არ იყო შემკული  
იმისთანავე კარგ თვისებებით. თითონ იასე შინ არ ღებოდა: ან სამსახურში და-  
დიოდა, ან საქეფოდ. გული უჩქოდა გულგატეხილს, თავგზა აბნეულს, ვერ  
ასვენებდა. იშვიათად შეხვდებოდა სტუმრად მოსულებს. ეს სულაც არ აწუ-

ხებდა მამიდა მართას; კიდევ მოსწონდა, თავის ჭანზრახვისთვის ხელოსაყრელად მიიჩნდა ესა. კარგად იცოდა, სად მიდიოდა, აუჩქარებლივ მით ქეთიდა თავის საველზედ.

— გაიცნონ ახლო ჩემი ქალი, შეაფასონ მის სიკეთეს, აყრველად მხრიდან; იწვრილონ ჩემი მოსაზრებაც ამის შესახებ. ჯერ ამათ შეჩივრის ჩემს თეონა, ჩემმა ძმა-რძალმა და მერმე...

იმის იმედი ჰქონდა მამიდა მართას, რისაც ეშინოდათ იასეს მშობლებს, რაზედაც ისინი მეტად დარდობდნენ: ვაჟაკის გაქსუებაზედ ამყარებდა გამოცდილი თავის იმედებს. არა, თითონ ეს გარეგარე სიარული კი არ მოსწონდა, ეს საძრახისი სახლზედ გულაყრა. ის უამებდა, რომ ქაბუცმა შესძლო შემართვა იმ თილისმისა, ჯადოს გამოხსნა, რომელსაც მიება იგი სამძივარის კარს და სულ მას თვალ-წარბში ამზერიებდა, რომ მის ვარეშე არსის სიცოცხლე აღარ ენახა, არც შეენიშნა.

— რახან პირი ქმნა იმ ჯადო-ხლართმა, მთლადაც თანისთან გამოიხსნება და მოისპობა საწყვიფრები იგი ტყვეობა, მიჯნურისგან საოცნებო მონობა ტკბილი. თუ ამ მხრივ ერთხელ ეფონება ვაჟს, მაშინ შესაძლო შეიქმნება ეს ჩემი ნატკრა: შევეერთო უფრო საფერი ეს ორი სული ახალ კერისთვის, ნორჩის სიცოცხლის გარდასაფურჩქნად.

შეიქმნებთან ძმა-რძალიც მაშინ იმის მომზრენი: თვალს მოსჭრის იმათ ქალიც, მზითვეიც. მამიდა ხომ ხელს შეუწყობს ახალ სულთ კეთილს: რადლა დაზოგავს თვის ქონებას, გამოცდილებას?!

— ჩემთან ვაცხოვრებ ჩემს მემკვიდრეებს, ჩემსავე სახლში. მშვიდად მოეკვლები: მეცოდინება, ჩემი კერა არ გაცივდება, არ დარჩებთან უპატრონოდ ჩუნი მამული, ეს სახლ-კარი ჩემი ნაშითვი, სად ლანდებად მიმოვლიან წარსულთ აჩრდილნი, სევდით სავსე მოჩვენება იმ ცხოვნებულის... გამებარდება შევეთოდან აჩრდილად მოსულს, რომ დაეინახავ ამ ჩემების ბედნიერებას... იმ საცოდავის სურვილია ეს, მისი ნატკრა ჩვენის ბიჭუნის დაღუბვის შემდეგ...

## 24.

სინამ შორიდან დაწყებული საჭმე იქამდინ მოგვარდებოდა, რომ შესაძლო შეიქმნებოდა მისთვის ხელის ჩაკიდება, მამიდა მართას ნააზრევი თანისთანობით გზას იკვლევდა იასეანთკენ; შინაური თუ ხდებოდა ქალი თეონა მათ ოჯახისთვის; თავს აწონებდა კერის პატრონებს. ძლიერ მოსწონდათ მის წყნარი ქცევა თავაზიანი, კითხვა-პასუხი ჩაფიქრებული, მშვიდად მსვლელი გარჯილობა იმედიანი.

— ვვონებ, ამ ქალმა არც კი იცის ლელვა, ჯავრობა: წყნარის ბუნების ახალგაზრდაა თავდაპირილი.

— ოსტატმა იცის და მისმა ხელმა! მამიდაც ხომ წყნარი არის, დინჯად მფიქვრელი; ისე მოზომავს, უსათუოდ აისრულებს გულის წადილსა. თეონასაც იმის ზნე დასჩემებია.

— ალბათ თითონაც კარგი ბუნებისაა, ჯილაგიანი. ზოგი ისეთი დაიბადება, სწავლა-წერთა არ ეკარება, ვით კედელს ცერცვი.

— თითონ ქალსაც აბა რა უჭირს?! ეშხიცა აქვს, მიმზიდველობა. ძლიერ უხდება ღიმი კეთილი.

— ჯანსალი ქალი მარჯვედ მომქმედი. შინაური პურის არის გამწვე-  
ამტანი.

შესწყვიტა საუბარი ცოლ-ქმარმა. ხმაძალა აღარას ამბობდნენ, თუმცა  
თავთავისთვის ორნივენი განაგრძობდნენ ამ საგანზედ ფიქრს. მიმ-  
ხვდარიყვნენ მამიდა მართას მისწრაფებასა, მოსწონებოდნენ მის წესი-  
ლოს, თუმცა ჯერ არ გაეზილათ ერთმანეთისთვის, გულახდით არ ელაპარაკათ ამა-  
ზედ. მაინც იცოდა მამიდა მართამ ეს ყველაფერი, გულთმისწურად კითხუ-  
ლობდა უთქმელ სიტყვებსა, თვის მომხრეებად სთვლიდა იმათ, დამხმარე-  
ლებად.

თონაც გრძნობდა უფროსების მოწონებასა, მაინც ის იმდენ ყურადღებას  
არ აქცევდა იასეს დედ-მამას და იმათ სურვილსა თუ სიყვარულს; ნატრობდა,  
თითონ ვაჟკაცს მიეჭტია ნდომის თვალი იმისაკენა: თვალში ძლიერ მოსდიოდა  
ქაბუკი ქალწულს. ბაღლობიდანვე იცნობდა იგი იასეს; ჯერ ძმასავით უყუ-  
რებდა თავის ბიძაშვილს; ეგონა მართლა შვილი იყო ამზრდელებისა, მაინც მა-  
შინაც მოსწონდა ვაჟი, გული ეღებოდა მის დანახვაზე სასიხარულოდ, მის  
ლბილ ხმაზედა. ამ ნოყიერი ხმის გამომღების გულიც სახიერადა ჰქონდა წარ-  
მოდგენილი, კეთილით სავსედ. კარგი შეხედულებისა იყო იასე, მეტადრე მის  
თვალში.

— ნეტავი იმას, ვინც დაგეყრდნობა ვაჟკაცურ მეერღზედ, გადაგიკოცნის  
თეთრ-ყირმიზ ყელ-ყურს! გაიფიქრებდა.

ქალს შეეძლო მაშინვე აესრულებინა ეს თავისი ნატერა, შემოჰხვეოდა თა-  
ვის ბიძაშვილს. ვერა ჰბედავდა: ნათესაური ვერ იყო ის გრძნობა, რომელიც  
იწყევდა მას ამისთანა მოძრაობისთვის; შემღვრეული ჯანცდა იყო ის და ამის-  
თანა არაწმიდა გულით ვერ შეეხებოდა თვის ნათესავს. როგორ შეიძლება-  
და?! აღარც ისე პატარა იყო, ვერ გაერჩია უბრყვილო სიამე თვისტომური და  
ზორცთა სწრაფვა შეუღლებისკენ გაქანებული. ჰაზრით დარწმუნებული იყო,  
რომ მახლობელს უაღერსებდა, თავისიანსა; ბუნება კი საიდუმლოდ ჩასჩურ-  
ჩულებდა ნივთიერ გრძნობას, ზორცთა სიამეს. მისთვის უფროთხოდა კოცნას თუ  
ხვეწას შეღერებულს. დედობილი შორიდან ადევნებდა დამკვირვებელ თვალს  
და შენიშნული ჰქონდა გამოწრობილს ის მძიმე შეხედვა, რომელიც გამო-  
კრთოდა თონას დაშტერებულ მხედველობიდან, ვაჟის სახეზედ შეუგნებლად  
შემდგარ მის მზერაში.

სინამ თონა არ იყო სრულ ქალობაში ჩავარდნილი, მამიდა მართა შეუშ-  
ნეველად ცდილობდა დაერიდებინა სულ ახალნორჩი ქალვავი ერთმანეთისათვის:  
ამწინედა ქალის გრძნობას ბუნდოვანს და ეშინოდა რაიმე ხენეში ნაყოფი არ  
გამოეღო ამ შეუგნებელ მის მისწრაფებას. როცა ქალი მოიწიფა, მართამ შკ-  
ლობილის ამ მისწრაფებაზედ დაამყარა თავის სურვილი. თავისუფლება აგრძ-  
ნობინა ქალს. შეძლება მისცა აპყოლოდა თავის გულისთქმას. ქალმა ეხლა უკვე  
იცოდა თვის ვინაობა; ისიც ვაგვო, რომ მართასათვის სანდომი იყო იგი კავში-  
რი, რომლისათვის უთქმიდა გული თითონ თონას.

ამ გრძნობის ცხადად ასახვას ქალის მხრივ ჯერ ისევე დიდი სიფრთხილე  
უნდოდა: ვაჟკაცი სხვა ხატით იყო მიტაცებული, სხვა სახეს მიეზივნა იგი თვის-  
კენ ძლიერის ძალითა. ფრთხილობდა ქალი, თუმცა ძნელი იყო იგი თმენა ეშ-  
ხის სიმღერით აღსავსესათვის. ამაო იყო ესეთი ცდა: შეუძლებელია ძალაო-





— შინ დავრჩები, დედი: გული არ მომწევს, წარსტევა იასემ.

— რათა, შეილა? შენც ხომ დავპატივეს, უსათუოდ მოვიდნენ. შინ რას გააკეთებ. სხევან თუ გინდა წასვლა...

— წამოდი, ყმაწვილო! ეწყინებათ, რომ არ ეწვიო, ჩაქრათ მართამ.

დაჰყვა იასე. გული მაინც არ უდგებოდა შინ. წინააღმდეგობა რომ საძივარის ტრფილბებას მიება იგი სახლისა თუ კარმიდამოსთვის, ეხლა ეს ძალა მოჰყო- ნებოდა: ქალის უარშიობას ჩაედუნებინა ის. თავის ტოლ-სწორშიც ველარა ჰპოვებდა თავდავიწყებას: მისმა ბუნებამ ვერ ითვისა იმგვარი ყოფა. დიდ მოწყენილობასა გრძნობდა; არ იცოდა, რა ექმნა თავის თავისთვის. ეს შემთხვევა მკირედ მაინც ვაართობდა მას, დროს ვაატარებინებდა.

გაემართნენ. უფროსები უკან ვიდოდნენ; უნცროსები წინ უძლოდნენ დაწყვილებულნი.

— მშვენიერი საღამოა, ყმაწვილო, ვრილი.

— გუნებაზედ დააყენებს კაცს დარი ამგვარი.

— ძალიანა ცხელოდა ზაფხულში, მეტადრე ჩვენსას: მთელ დღეობით მზე დაჰყურებს მისკენ მიქცეულ ფანჯრებიდან.

— არც ჩვენსასა ცხელოდა ნაკლებ: ზაფხულობით სული ეხუთება ადამიანს ქალაქში; ტყუილად კი არა ჰქვიან თბილისი.

— იცი, ყმაწვილო, ამოვიკითხე, ტბილისიაო ან ტობელისი ძველი ტობელის საუფლის წულო...

— არა, თბილი წყალი სდის, იმისთვის ჰქვიან თურმე თბილისი: თბილის მაგივრად თბილი ითქმოდა უწინდელს დროში.

— ნეტავი იმას, ვისაც შეუძლიან, სოფლად გაატაროს მთელი ზაფხული! ვენახი, ტყე, მინდორ-ველი ყვავილით სავსე...

— თუ ვერე გიყვარს, ზაფხულობით რად არ მიჰყვებარ მამიდა მართას? სახლი, კარი ნარგიზებში, კარგი მამულით... თითონ ხომ დადის.

— საქმისთვის დადის, მოსავლის შემოსაკრებად: ზვარი მამას შემდეგ იჯარით მიუცია, უკაცოდ რომ დაიფულეს, არაფერს მასარგებლებდნო; სხვა მამულის მისახედად ცოტახნობით მიდის; აქაც სახლი ვერ გაუშვია უპატრონოდ. ამდღეებში წავა და მეც წამიყვანს.

— ჰქვიანი ადამიანია მამიდა. უვაგაკოდ მართლა ძნელია მამულის მოვლა, მერმე ზვარისა. გამასინჯა ქალაღლები; ხელსაყრელ პირობებში აქვს გაცემული, — მიუგო იასემ და გადახედა ქალს.

თეონას ნატვრა თუ იხრებოდა ასრულების კვალისაკენა: მუშტრის თვალით უყურებდა ბოლოს ხანს ვაეი.

— უხდება კარგი მიხერა-მოხერა; ტანი ლატანი კი არ ტყდება მოძრაობაში, არც იკუთხება; რკალდება იგი წრეშემოვლებით. ადვილად ჰყვება თვალი მის რხევას, თითქო ამდება. დინჯი მსჯელობა. ზრუნვა აწმყოზედ აუ მომავალზედ.

ნალარს მიაღწენ სხვა ქუჩისკენ გადასავალში: ზოგი ქუჩა ჯერ არ იყო ქვით მოფენილი და ნიაღვარს დაებრამა ადგილადგილა. ფრთხილად უნდოდა გადასვლა არხივით თბრილზედ. წაღვა ნაბიჯი და გაჩერდა ოდნავ წახრილი, ფრთებგაშლილი გადასაფრენად. გადაბტა ვაეი, გაუწოდა სტატუს ომარტენა (7) ს. 2. ანალიზი № 7

1925/1

სტატუს ომარტენა (7) ს. 2. ანალიზი № 7

თბილისს გადაავლო, ნაზი ღიმილი სამადლობელი, რა თბილი ხელი! მკერდით მკერდს შეხვდა გადაფრენილს და იგრძნო სიღბო ჩვილის ბირთვებში.

— უბრალოდ შექცევა, როგორ მენდობა! მოვწონვარ; ვანა ესაა, დიდი ხანია. კიდევ ვუყვარვარ, მეტრფის იღუმალ. მიმიდაშე... *მეცხე*

— რას ამბობ, კაცო?! რის ნათესაი?! სულ უცხო შევქცევი! *მამუღესკან* თვისებული, მისგან აზრდილი. არა გაქვს რა დასაწუნი, მისთვის მოსწონხარ. მოწიფულა, სატრფიალოდ შემზადებული და... შეპყვარებიხარ.

— ისიც კია მოწიფული, ჩემი მტანჯველი. რაზედ მყოფს უარს?!

— მოწიფული? მეტიც მოსვლია: ბევრით დიდია ის თეონაზედ. დაბმული პყევხარ გრძნობის ჯინჯილით. ეძებს უკეთესს. იპოვის, კარგი; თუ არა და...

— იმედ მიხდილი მომცემს ნებას მიუთახლოვდე, მოიღებს ჩემზედ მოწყალებასა.

— მთელს სიცოცხლეში შებრალებულ საბრალოდ ჩავთვლის, როგორც კნინს ვისმე, არა ტოლსა, არა მეუღლეს.

— განკითხულ გლახაკს, გრძნობათ ნაფშხენით კმაყოფილებულს?!

— უნდოდ განკითხულს, უნებლიეთ შეწყალებულსა.

ამგვარმა ფიქრმა თუ გრძნობებმა ვაჟს გაუღვიძეს თვითყვარება, თავისი თავი შეღახულად მიაჩნეინეს. გული აემღვრა თვის სამძივარზედ. პირი იბრუნა იმ ზვიადი მშვენებისაგან და... შემობრუნებულს დაპხვდა თეონა თბილ გრძნობით სავსე, მისკენ მიხრილი ობოლი ქალი, სიმცროდანვე იღბლიანი, მშობელთ მპოვნელი.

— ჰე, ბედნიერი! იპოვის დღეს, ხვალ თავის შესაფერს. მართა უბოვის. გაატარებენ წყვილად, ტკბილად წუთის ცხოვრებას; ღვთის საამოდ, მოყვასთათვისც ვასახარებლად.

რატომ არ უნდა ყოფილიყო თითონ ისე განგებისაგან არჩეული თეონას ცალად?! გზას მისცემდა, აკურთხებდა ზეცა მათს კავშირს, თუ არ შეპყროდა ცხოვრებაში მას ის სასტიკი, არ წარეტაცნა იმის გული, მის მისწრაფება. თურმე შეპხვდება ვაჟაკს ალქი, ლამაზ ღიმილით ამოსწოვს სისხლსა, გაუშრობს მურაზს და განუტევებს მკვეთრ გრძნობათაგან უკვე გაძრკვილს, ეშხიან სწრაფვა ჩანელებულსა და.. დადის ქვეყნად ხისგან ქმნილი ადამიანი.

— კიდევ იტყვიან: ეპატრონება იგი ალქი ადამიანსა და ტვინს ამოსწოვს, ამოუშრობს ჰაზრს მამიებელს, ჩაუშავებნელებს ფრთაპრეღ ფიქრებსა და... დადის კაცი, სახე ღვთისა, ვით მანქანა, შემოქმედების ნასახიდანც უარყოფილი.

— წარსტაცებს ზოგჯერ ორივე ნიჭს: გრძნობას მღულარეს, ზე ამყვანებ ჰაზრსაც ნათელსა.

შეაკრთო ვაჟი ამისთანა თვისმა ფიქრებმა. თითქო ენიშნა: გრძელმა ლოდინმა, გრძნობათ დუღილმა ამოაშრო კარგს კაბუჯში მძღავრი სწრაფვა, მურაზ-უნარი. მისი ნათელი სიყვარული ყოვლადკეთილი შიგშივ აწ წყდებოდა ბნელი სურვილებით: სისხლის აღებას თუ ფიქრობდა ბეზარმოსული. ესეც კი ჩაქრა. უგრძნობლობამ მოიკცა კაცი: მკვეთრ სურვილთა უარყოფა, ხალისთ ჩაქრობა...

— როგორ უხდებათ დაწყვილება ჩვენს ახალგაზრდებს!

— საბედნიერო დრო სიცოცხლისა! მაგათი ყოფის მაისია, თვე ვარდობისა.

— თითონაც ყვავილნი, ჯერ უშლელი ვარდის ბუტკო ახლავს პობილი.

— თუ დრო დაუდგათ დარიანი და მოწყალებით გარდამოჰხრება ღამბაღე-ბელმა, გარდიშლებიან თვალწარმტაცად სურნელოვანნი.

— კეთილმა სულმა უწინამძღვროს საყვარელ შვილებს, ~~საქსმულისა~~ უწყალობოს თვით სახიერმა!

— ღირსნი არიან ვარჯის ბედისა იასე, ჩემი თეონა, ნამდვილი შვილი და მეშვეილრე ჩემის ქონების. თურმე, გენაცვლეთ, შესაძლო არის სხვის ნაშენიც შეიყვარო, როგორც რომ შვილი.

— თუ ზორციელად სხვის ნაშენია, სულიერად შენ გიშობნია: შენი აღზრდილი, შენგნივ გაწვრთნილი, ვალადებული.

— ზორციელად შენი ნაშობი: უშენოდ დაიღუბებოდა კარგი სიცოცხლე. წყნარად ვიღოდნენ თანამგრძნობი ნათესაებნი. იმათს სიყვარულს მეტის ზრდის დრო მოჰვლინებოდა. მიდიოდნენ და მიუზნობდნენ. იმედთა კოშკებს თუ აგებდნენ ოცნებათა სამფლობელოში. არც უსაფუძვლოდ თუ უბურჯოდა? მოხდება ზოგჯერ: ეთეროვან სამყაროს და ხმელთა შუა ანაგები ბროლის კოშკები რომელიმე მანქანებით ძირს ეშვებიან, მყარ ნიადაგს დაეყრდნობიან, მარმარილოს დარბაზებად გარდიქმნიებიან ბედნიერთათვის. ცხოვრების სული ჰკერავდა სავალს ახალ სიცოცხლის სამრავლებელად, თუმც მის ქმედება ჯერეც ისევ იღუმალ იყო, ნისლით მოცული. უწყინარი ახალგაზრდები არსებობის განსაგრძობად მოწოდებულნი. თეონას გული ითხოვდა კეთილს მის მწყალობელი სიცოცხლისაგან; დაკვართულიყო, რომ თვისი ღვაწლითც ხელი შეეწყო კეთილთ მფენისთვის; არ დაესახნა თავის თვისთვის ნაჭარბი რაიმ ბედნიერება, ბრწყინვალ-მცბინვარე შუქთა მკართომელი, ფრთების დამწველი ხან ელვარება. იასე... თვის მნათობისგან ფრთებ ამწვარი კარგი ვაჟაკი. აწ შეესამზღვრა თვის ნატვრათ არე: უკვე მზა იყო ჭედ დაბრალი ყოფის უღელში შესაბმელად. თუმცა... ეჰ, ვერ დაევიწყნა თვისი მნათობი, ვერც წინადგრძნობა ნეტარებისა, რომელს შესძღვნიდა იგი ჩვენება თუნდ წამიერად. სამძივარი — იასეს ხატი ყოვლად ძლიერი. ვინც ღირს იქმნების თვის ხატის ზილვას თუნდ ზურგით კერძო, მთელ სიცოცხლეში თანა ჰყვება მას თვალთშეუდგამ ბრწყინვალეების რამ ანარეკლი...

იგი ხატება კი ნათელი, იასეს სატრფო, მზის ნიშანით აღბეჭდილი სამძივარ ქალი ცუდად ღელავდა, დუხჭირ აზრებს დასდგომოდა ბნელის ნაშობებს, უეშობას განაგრძობდა ეშხით აღსავსე, მძიმე სწრაფვას აპყოლოდა ეთეროვანი: პირბნელი მავნე შესჩენოდა მშექალას სპეტაკს, კვამლის სვეტად ჩაჰშვებოდა მას ბროლის მკერდში. ბოროტი გრძნობა, ცუდი ფიქრი იასესაქენ... ბობოქრობდა, უწყრებოდა, ემუქრებოდა. ყურმოჭრილ მონამ ააღელვა იგი პირიშზე, მთლად განარისხა, ჯავრის გრივალს აატანინა, რომ არ მიიღო მახვეწარმა მისგან დასტური და განზედ ვადგა სასომიხდილი, ისა სწყენოდა.

— როგორ! ჩემ მოშორებით მაინც შესძლო მან არსებობა?! თუნდ უარყოფილს დაჰყვა განა ამდენი ძალა?! მაშ...

თუნდ აი ეხლაც: გზას რომ დაადგნენ წასასვლელად, სამძივარი აივანზედ იმყოფებოდა: ლამაზ საღამოს გაეყვანა კარზედ ლამაზი, სხვა გრძნობასაც ეკარანაბა ეს მოძრაობა: უარყოფილის დანახვის სურვილს!

-- იასეს ნახვის?!

დიდი ხანი იყო ვაჟი აღარ ევლებოდა თავის მკაცრ მიჯნურს; რაც არ მიიღო მამიდა მართას შუამდგომლობა, მას აქეთ მოსპო იმ კარებთან ბრუნვა, ტრიალი; მახლობლად ყოფნა მხოლოდ იმისთვის, რომ დაენახა თუნდ ლეჩაქი ნაფრიადები: ეფონებოდა გულს შექირვებულს. ეხლა სხვა საქმეა: ყოველგვარად, ჩაისხნენ უხილავნი იგი საკერელნი, მას რომ ჰკონადენენ სამსახურს ქალის სახესთან; ამის სიბ გულმა თუ აისხლიტა ვაჟის სულიდან განაწრდი ნაზი ყლორტები, რომელთა სწილდათ გარს დაჰხვევოდნენ ტურფის გრძობათა შესაკრებელსა, სათავისოდ დაეხროთ იგი, თვის არსებობის განმამტკიცებლად. არ მიიკარა ქალის გულმა იგი ყლორტები, არ ჩაიხვია, არ მისცა ნება მას ჩასწმახნოდნენ და... დაიხარნენ საპოვნელად სხვა მიმზიდველის, არ სანატრელის; უცილებლის მათ ყოფისათვის.

სამძივარი კი ნაჩვევი იყო, სულ მის გარშემო ეტრიალნა ვაჟს, თავს მოჰვლებოდა, მისკენ ჰქონოდა გაბყრობილი სურვილთ მკლავები. და ძალიან ეუცხოვა, როცა ვერლ ნაბა მისკენ იგი კვლავ მოქცეული, მისად ვედრებად მიბყრობილი მისი თვალები.

— ნუ თუ-ლა შესძლებს ჩემით ნიბლული მიდრკეს სხვისაყენ, სხვას დაჰკრას თვალი სათავისოდ ცის კაბადონზედ, არა ვარსკვლავსა, შლიეს-ლა მტყუტავ ციციანთელას?!  
გამოვიდნენ წაასაგლეღლად იასენი. ქალ-ვაჟი უძღვის შეტოლებითა. მიაბყრო თვალი სამძივარმა, სცადა თვის ძალა. არ მოიხედა. წარსდგა წინ ქალი, გადაეყრდნო სვეტთან მოაჯირს, ვერ აგრძობინა. გატრიალდა გველნაკბენი, კარს შეეფარა. მეტად გაფიცხდა; შაიკრა შუბლი; მთლად აიტკრიცა.

— მაშ თუ ვერა და ჰხედავ ლალატს, ვნახოთ ვინ უფრო დაზიანდება, დაგწვავ უცეცხლოდ, დაგანავლებ, შეუგნებლო! — წარსტევა სასტიკმა.  
და იგრძნო ნდომა, ეჩვენებინა ვაეკაცისათვის, რომ ამორეცხა თავის გულიდან იმისი სახე; თუ აქამდისინ მცირედ მაინც თანაუგრძნობდა, — სრულეებითაც აღარ ამჩნევს მის არსებობას.

— შენი არსება აწ უკვე ჩემთვის შეუშინველ-შეუფერები. მალე ვიჩვენო, რა ბედი მელის, ვინ არის ჩემი დარი-სადარი. შენ იმის გვერდზედ!.. ვის ეკადრება?! უნდა მოსძებნო შენი საფერი. კიდევ გინახავს! ყოველ ჩლაში გამოვლილი მამიდაშენი მოგიხერხებს შესაფერ საჭმეს....

— კიდევ უხერხებს! ვიდაც უცხოა იგი ქალი, მთლად გამრიელი. უშვილოთაგან მიღებული სახელით შეილი, მხოლოდ სახელით. რად არ ისურვებს თვის ძმისწულსა თავის შემკვიდრე ქალის საჭმროდა?! ზედსიძედ შევა და...

აღარ შესწევდა ქალს ხასიათი, ისევ განეგრძო თვისი მსჯელობა. გული ეტყოდა:

— ეხლავ იპოვნე შენი საფერი და გაჰყვე იმას! მალე გათხოვდი ისე ბრწყინვალედ, რომ თვალი მოსპრა შენ ეტლის ელვით გამდგარ იასეს, ტოლამხანავს, ნაცნობ-უცნობსა!

ქალი ჩქარობდა, ეშურებოდა, ცხოვრება კი არ ისწრაფოდა; არხეინად მიდიოდა, ვითარდებოდა. სურვილთ მსახველი თუ მტვირთელი სამძივარისა ჯერ არვინ სჩანდა მის არსებობის არემარეში. მერმეც; შემდეგაც! მიდიოდა მდო-

რის ღელვით ეამი უყოვნე; თვე თვეს უხმობდა, ძველი წელი მტკობრობდა წელსა აბალსა: ქალის ყოფაში ცვალება რამ როდი ხდებოდა. იგი ჭაბუკი, რომლისათვის გული უთქვმიდა, ოცნებამ რომ თვის სანდომად მის დაუსახა, შემოყრილი მგზავრი იყო ცხოვრების გზაზედ; თავის კვალს საჭყვეა, ხოლო ცხლის-საგან მისთვის სერილს ბრჭყევილა სავალს. აღარ თუ ახსოვს მას სამშობლო, მისთვის მხოლოდ მთლად უცნობი ნაცნობთაგანი. ამოვლ ჩაუარა ქალს ყოველ-მა ცდამ, რომ გაება თვის ბადეში იგი კანჯარი, მარყუში რამ საგდებელი ვარ-დავგდო ქედმალლისათვის უდრეკ კისერზედ. ამ დამარცხებამ, ამგვარმა ჯავრ-მა დააზიანა მის შუქურობა: უფულსავსობის კვალი ასერა მის წარბთ საშუალ; არა ნაოჭი, სიმკაცრის ხაზი თვალთუჩინარი, სწრაფად საგრძნობი.

საგანი თუ ქმედობა თავის კვალს ამჩნევს არსებობის დენის სავალზედ. კეთილი ნათელს, ბოროტი ბნელსა. ვისაც მანძილი დიდი უვლია ცხოვრების ზღვაზედ, ბევრი მისთანა ნახაზ-ნაკვალი აპყოლებია, კვალი უჩინო, მგრძნობიარე თვალებისთვის ფრიად საჩენი და...

ეფინება ყოფის დაისში კაცის ხატებას თუნდაც ეშხიანს უარსაყოფელ კვალთა ნაქარგი, ბნელი სრეების ჩაბეჭდილი იგი ქსოვილი. სახე ბოროტი, ანარეკლი ბნელთა მეუფის.

უსახური მცხოვანება დალდასმული უკუნის მიერ.

ეფინება ყოფის დაისში კაცის ხატებას თუნდაც უეშხოს კვალთა ნაქარგი ბიმიდველი ნათელ სრეების ჩაბეჭდილი იგი ქსოვილი; სახე კეთილი, ანარეკლი ნათელთ მეუფის. სახიერი მცხოვანება აღბეჭდილი ნათელისაგან უბინდოსია.

გულზმიერად, ფრთხილად იყავი.

გულზმიერად როდი იყო ქალი ლამაზი: ცხოვრების სვლაში იმის სახეს ხშირად გადურბენდა ბნელის აჩრდილი და სტოვებდა კვალს ამოუშლელს, თუმცა კი მქარლსა, ცალკე უმჩნეველს. არც ეთანხმებოდა მისი აწინდელი ქცე-ვა უკმეხი იმ ნაზ მის გრძნობას, რომლის წყარო მაინც დიოდა იმის გულშია, ერთერთ კუნჭულში მის გრძნობათა შესაყრებელის. გონება რომ ზვიადობას უქარნახებდა, ქალი რომ იტყოდა:

— რჩეულ-შერჩეულს სანეტარო ბედიც მეკუთვნის, ყოვლის კეთილით მოფენილი ცხოვრების სუფრა!

და მალამალა შეჭყურებდა მნათობთა არეს, სადაც უნდა აღმოჩენილი-ყო მისი ცხოვრების თანამგზავრი; მის ნაზი გრძნობა, მშრალ გონებისგან და-ჩაგრული მისი შეგრძნობა, დაღონებით უყურებდა სასტიკ სამძივარს. ნატრობ-და იგი:

— მოიხედე, აბ, ჩემსკენაცა, მომამყარ ყური: მეც მინდა გამცნო, ვითხრა სათქმელი, ჩავძახო უხმოლ.

— რა გაქვს სათქმელი იდუმალი, შე სახიერო?

— მომწონს იასე, გულისწმიდით მოყვარული ჭაბუკი კარგი, თბილ-ლბილ გრძნობით შენთვის საესე, თაყვანისმცემი. ამ გრძნობაზედ დამყარდება ურყე-ვი ბურჯი კეთილდღეობის, შენის ოჯახის, შთამამავალი კარგის ყოფისა.

— ჰაი, ჰაი, შესაძლო არის!

— არ იქმნება იგი ეტლი მქუხარ-ელვარე, თვალთ მომპრელი, გარედგან ქრელი; ტყბილი იწნება, ნოყიერი ქადა გულსაესე; მხიარულიც იქმნება იგი, უჩემარი სიამით საესე. ის არ არის ჩირაღდან, რომელი სდგას მალალ მანა-

ლას, რომ გაანათოს შორიდან შორს, განფანტოს ბნელი; არც თუ მძინე უჩინარი მცხოვრებელია. შესწევს მას ძალა ჰატიოსნად გაიაროს ცხოვრების შარა, ლამაზ გრძნობათა ყვევილებით მოქარგოს იგი და სთქვას ბოლოს ვინა:

— არ ვამრავლე მე ბოროტი არც ერთის ქრთილით, <sup>მეცხრამეტე</sup> ყვევილს არ დავეუქმე ერთიც ფურცელი. კიდევ ვიმრავლე! აჲ შეტე <sup>ლ...ს...ს...ს...</sup> მყონ თანაზიარ ჩემთა წინაპართ კეთილ ხსენებას!

ეს შეუძლიან ჩვენს იასეს თავისთავადაც, ნიჭით თუ ძალით თავის ბუნების. და თუ ამას შეუერთდა სხვა კარგი ძალა, თანამგზავრის მისწრაფება კეთილ-ნათელით.

— რა ვინდა მითხრა?

— უარ ნუღარ ჰყოფ იმ საწყალ ვაქკაცს, ნუ განიშორებ, ნუცა განაძებ!

ესე ურჩევდა ქალს თვისი გული და შეჰყურებდა ნალელიანი მას მშრალ თვალბში; ევედრებოდა. იყო წამები, როცა ქალი უსმენდა გრძნობას და მზა იყო კეთილ კვალში ჩადგა ფეხი, მაგრამ...

ეჲ, რა იცოდა გულ დალაზერულ მისგან იასემ, რომ ქალის სულში კვესდებოდა თანაგრძნობა მისკენ მაშუქი, თორემ... მთას გაღვივლიდა ერთის ასმით ხშირ ჯანდ დახვეულს, გადაუსვლელსა და გაჩნდებოდა სატრფოს თვალთ წინა. როდი იცოდა უარყოფილმა და შორს უვლიდა, რომ არ ენახა უკმეხ ქალთა-მზეს, აღარც კი ეგრძნო მის არსებობა.

— თუ არ მოგშორდი, სიძულილად გარდიქმნება მის უარყოფა; მობეზრებულს თვალის ეკლად მოვიჩვენები. ძალად ხომ ვერ შეაყვარებ თავს!

ნამდვილად იცი, რომ მართალს ამბობ?

— თუ ვაქკაცი ხარ, დაიწვი უბზოდ მგზნებარ კოცონზედ; მხოლოდ შენ მშერდე საიდუმლო სახშილს საშინელს, შენ მხოლოდ გრძნობდე, განიცდიდე ტანჯვის სიმძაფრეს.

და გაუჩინარდა ყველასათვის ვაქკაცის ტანჯვა, მახლობელთათვისც საიდუმლო შეიქმნა იგი. პირზედ ჯავრი გადემწმინდა ვაქის დედ-მამას, კავშანი მამდაბლებელი. საჯავროც იყო: სასიყვარულოდ მიდიოდა მათ კარგი შეილი; ტრფობა მიჰქონდა ოქროს სინით, თვით მიჯნურობა, მათ კი...

— ღმერთსა მადლობა! ჩვენი იასე იკურნება იმ თვის სენიდგან, რომელმაც ასე დააღონა თითონაც, ჩვენცა; თავისუფლდება იმ უხილავ ბოროცილებიდან.

— სიყვარულის ხუნდებისგანა? ეხლა მეც ვატყობ, მოადნება მძიმე ჯაჭვი ცალმხრივ ტრფობისა. მამიდა მართამ ჩააყენა ჩვენი ვაჟი ისეთს ადგილას, სადაცა სწედება სხვა მნათობის მათობი სხივი. პირი იბრუნა თეონასკენ ჩვენმა იასემ. ეს შეასუსტებს წინანდელ სწრაფვას.

— თეონას სახე ებრძვის სამძივარს. ეს იმოქმედებს: ან ჩამოიყვანს ღრუბელთა მხრიდან იმ მზეთუნახავს; ან ძალას მისცემს ვაქს, ჩაიქროს გრძნობა უსასო. უფერო იყო იგი მონობა; როდი შეჰმევენის ვაქკაცს მონობა თუნდ ლამაზ ხელში.

— აღბათ არ მოგწონს ტარიელი ნესტანის ხელში ძონძ...

— როდის იყო შერად გარდაქმნილი?! როგორ რიხით უკუჰყვილა განრისხებულმა: ქალი ომსა როგორ მაწე...

— კარგი, გენაცვა! შოთასთან მიხვედ; ვინ მოგიჭრის ეხლა სიტყვასა?!

— თორემ ისე კი ჯიბებში ვეძებ პასუხსა.

— ოღონდაც! მარჯვედ აკვესებ, სულ ბუნჯგალბუნჯგალ ნაპერწ...

მართალს იტყოდნენ, მოარბილაო ამპარტავენი მისმა მეტოქემ, ჩააფიქრა სამძივარი ამგვარ ცვლილებამ. მიჰხვდა, იასეს დაშორებამ, თუ თუნიან; ჩიხლო-ვეზედაც იყო დამყარებული: სცხვენოდა ვაეკაცს და ჰმტყუტებდა სხვა ქალისაგან თავის მონობას უკვე უმიზნოს. მის შევედრებამ ფასი ვერ ჰპოვა, ეს დიდი მსხვერპლი როდი იყო მიღებული სამძივრისაგან. ესე მოსჩანდა, სხვაგვარი რამ მოძრაობა არ დააჩნდა ქალის ქცევასა. მთლად მართალი კი არ იყო ესეთი დასკვნა: ქალის გულზედ მოქმედება იქონია იასეს მისგან განზედ გადგომამ; სწყინდა ეს ნახსა, ემუქროდა თავის ნების მპოველ ვაეკაცსა. ეკვიც ეპარებოდა თავის მძლეობაზედ:

— ნუ თუ დაჰკარგა ჩემ ხატებამ ძალა უძლევი?! იქნება გადრკეს ჩემგან იასე, მიიხაროს და... დამივიწყოს.

ეს შიში და უფლის წულის მისდა მისელის შეგვიანება ისეთ გუნებაზედ აყენებდა ქალს, რომ ხანდისხან მზადაც იყო ეფონებინა, განეცხადა ტანჯულისათვის თვის თანაგრძნობა.

— ვიცი, რა მახეს უგებთ იასეს! თქვენებურად გინდათ იგი აბედნიეროთ, ახალ ოჯახის ბურჯად სახოთ თქვენსავე ახლო. ამას ოცნებობს მაშიდა მართა. არ დაივიწყებს ის მოქნილი თვის დამცირობას, მე რომ თხოვნა არ შეუსრულე და გაუცრუვე შუამდგომლობა. ყველამ ვაიგო, რომ გაუცოდდა იმას ნათქვამი და ჩაეშალა თვისი ნაფიქრი ჩემ შესახება. არც თუ უაზროდ აგებს იგი თვის იმედის კოშკს. მაგრამ... ერთი ღიმილი სანუგეშო, თუნდ თვალთა ღიმი და მყის ჩაწყდება იმ მეცანის ნახელანჯი ჯადო.

კარგს ეტყოდა კეთილთ მთესავი სული ნათელი. კიდევ მოსწონდა ქალს იმისი თქმა. ვერ ახერხებდა ამღძრულიყო სამოქმედოდა: შეძლებას აღარ აღლევდა კეთილის ქმნისას დაჩემებული ჰაზრი უვარგი; იმ ზვიად ფიქრს ჰმონებდა მის ნებისყოფა. ველარ უსმენდა სულს კარგის მოქმედსა, რომელი ეტყოდა მას კეთილ სიტყვას, უჩვენებდა სწორე სავალს ცხოვრების ტყეში.

აღამიანს მიჩემებული ჰყავს შემოქმედისაგან ნათელისა სული მცველი, ის უძღვის იმას კეთილ გზაზედ, იგი უნერგავს წრფელ სიყვარულს ქმნილებისადმი და გრძნობისგან წარმოშობილ მისწრაფებებსა. ბნელთა მეუფისაგანაც მიჩემებულ ჰყავს სული მძვინვარე, ის უძღვის იმას გზასა ბოროტსა, იგი უნერგავს მძულვარებას ქმნილებისადმი, ამ შავ გრძნობიდან წარმოშობილ მისწრაფებებსა.

ბევრჯელ დაჩაგრა სამძივარმა ანგელოზი თვისი კეთილი; როდი უსმინა! ბევრჯელ აცეკვა სიხარულით თავისი მანე; უსმენდა პირბნელს. მან ჩაუხერგა თავისსა მოსაეს გზა სასიკეთო; სხვა შარა მისცა.

სამძივარი შეეჩვია ყაბახზედ რონინს; მალაზიებში შესვლას, ვაქრობას. ჰაზრი ჰქონდა მას იღუმალი: გაეტანა თვისი მშვენიება, ეჩვენებინა; თვალი მოეპრა სანდომებისთვის. აქამდინ სწამდა, რომ მისი კეთილქმნილება თითონ მიიზიდავდა ღირსეულებს; იმის გალიაკს სურვილით შემოჰგრაგნიდნენ მხეჭაბუკები, ვით ზღაპრულ ქალის მარმარლოს კოშკს, მის გულისათვის ძნელ ბრძოლასაც ჩასთვლიდნენ მღერად. რწმენა ჩაშლილმა აწ თითონ იწყო ვაეკაცთა-კენ სელა, რომ მოეხიბლა ის გულქვეები, გამოება სარტყლის ფოჩებზედ, შე-



ბოჯკილი მიეყვანა თვის გალიაკში. ერთ ამისთანა სეირნობის დროს შეამჩნია მისკენ მიმავალი იასე. მარტო მიდიოდა. ნაეაქრი რამ ეჭირა, ხელი ვერ დაინახა ქალი შორიდან, ვერც იგრძნო მისი მიახლოება. დაუსწორდა მის. შენიშნა. შედგა. ერთს წამს დაიბნა, თითქო შეკრთაო. თავი დაუკრამძღაძღაძღა: ქალთა-მზეს.

— გამობრძანებულხართ სასეირნოდა.

— სასყიდი მაჭეს რამ. ჩვენები ვერ აარჩევდნენ.

— მეც საეაქრო დამაბარეს, — სთქვა ვაჟმა.

და გამოტრიალდა, რომ აპყოლოდა ქალს მცირე ხანს მაინც. ეპა, ქალთა-მზევ. შემთხვევა მარჯვე! გაუღიმიე განპატიყებულს: სიყვარულს გიძღვნის იგი გულწრფელსა. ის იყო აპირობდა სამძივარი სანუგეშოდ გაღიმებასა, რომ შემოესმა:

— იტანჯოს კვალად! იმასა ცდილობს, ვასძლოს უშენოდ, განთავისუფლდეს შენის ბადიდან. ეწამოს ჯერეთ!

უსმინა ქალმა ხმას ბოროტისას და გაუწოდა ვაჟეაცს ხელი გამოსათხოვრად. წანელო, გაპშორდა. იღვა იასე გაქვავებული. თვალს ადევნებდა მიმავალს ხივს ეშხით რხელსა. ჩაპკიდა თავი უიშედოდ, გამოტრიალდა. კვლავ ჩასწყდა სიმი, ქალის მის გულთან მაერთებელი სირათაგანი.

„ვარდმა შემრისხა თავემომწონები, ისარი მტყორცნა დასაღონები!“

გაუღვა თვის გზას დარდდარეული. თავდახრილი წამოვიდა დაფიქრებული.

— ვაპ, საყვარელო! ერთი უბრალო მოძრაობა, ერთი მოხედვა ქალის კვალისკენ და... შეგეცვლებოდათ ცხოვრების გზა შენც, სამძივარსაც, სასიკეთოდ გარდგეჭნებოდათ.

— ორთავესთვის სასიამოდა?!

— შენ გასახაროდ, ქალისათვისც საბედნიეროდ.

— როგორ?!

— გვიან-ლა არის!

ცივად მიიღო სამძივარმა თვის მოტრფიალე, პირი არიდა და გაერიდა. მაგრამ მალევე ხმა აიმაღლა იმისმა გულმა, უსაყვედურა:

— სასტიკი არის ეს შენი ქცევა, ვერ ეთანხმება შენს აზრებსაც კი, აწინდელ მიხერას შენის ფიქრისას.

და ამ განცდამ შეაბრუნა ქალი ვაჟისკენ; ფეხიც გადმოღვა. დარწმუნებული იყო, იასე იმავე ადგილს იღვებოდა გაშეშებული; თვალნიც მისკენ ექმნებოდა მას მიბჯრობილი. ის კი, დახე, მიდიოდა, გზას განაგრძობდა! ეწყინა ეს განაზებულს მოტრფიალისგან.

— უნდა კი გეგრძნო, რომ საშენოდ გაიღიმა წუთს ჩემმა გულმა. ვერა ყოფილხარ გულთმისანი, იასე ჩემო! აწ დაემდურე შენსავე თავსა, — წარსთქვა ქალმა.

და მოხდენილად გაგოგმანდა ყელღერებული. მარჯვე რამ ბრძოლა თუ გარდინადა, ან ეშხიანად შეასრულა კარგი განზრახვა. ეპ, როდი იყო აზრიანი იმისი სიტყვა, გამარჯვებული სახის მიღება. ნაწყენი იყო ვაჟეაცისგან, მისთვის აეობდა.

— მაშ ამიწონე მოქმედება, მე როცა ვაგცდი, შენც გზას დაგვიდე? სიტყვას მიბრუნებ შენს საქციელში, უხმო თქმას მაღლა ახმაურებულს.

— რახან არ გსურვარ, არ გიყვარვარ იმდენად მაინც, რომ შიილო შესაწირად ჩემი წამება, მაშინ...

— მერმე რა მაშინ? თუ შეგიძლიან ყოფნა უქემოდ ამ ქვეყანაზედ?! ვერ ყოფილა შეუცვლელი ეგ შენი ტრფობა. არ ყოფილა მიჯნურობა ისე მზიური, რომ უიმისოდ დაგფაროს ბნელმა. კიდე გყოლია ჩემს გარეშე ვინმე მაშუქი. წადი, იარე შენნი დღენი მბუტბავ ციავში!

## 29.

ვერ შეეგნო ქალს, რომ ვაეის ტრფობა აენთებოდა სვეტად აღისა, თუ ყოფილა შეუცვლელი ეგ შენი ტრფობა. არ ყოფილა მიჯნურობა ისე მზიური, იყო ესე! ქალის გრძნობა თუ მისი თქმა გათვლილი სჩანდა, ანგარიშებ გასწორებული. ხანიერმა დაკვირვებამ და გრძელმა ტანჯვამ ამცნეს იასეს, რომ თვის ქცევაში ქალი გრძნობას არა ჰკითხავდა, გონება კი, მხოლოდ თვისკენ მიმთვლელი აზრი, ეუბნებოდა:

— ეს დაბმულია უწყვეტელი ჯაჭვ-ჯინჯილითა. ჯერ სხვა ეძიე უკეთესი, უფრო საფერი და თუ ვერ ჰპოვო...

შედავდა ვაეი. ამ შეგნებამ მისცა შეძლება შეემართა თილისმისათვის და დაეწყო სიარული ახალ გზაზედა; თუნდაც რყევით სვლა ბედისაგან შეჯანჯღარებულს, მყარ მიწაზედ მუხლის თავით მძლავრად დაეცემულს.

გაიარა ქალმა მანძილი. შეიარა მალაზიაში; რალაც იყიდა. მოჰკრა თვალი დიდ სარკეში თავის აჩრდილსა; დააკვირდა. არ მოეწონა დღეს თავის თავი. სახე ლამაზი, მიმზიდველი, როგორ გამშრალა, გახევებულა?! ნორჩ სიჩვილისგან თითქო გაძრკვილა. თვალეზი... რად უმზერიან ნეტავი მკაცრად, რად მოჰკლებიათ აღერსის სხივი? უნარი თუ დაჰკარგვიათ მიხმატკიბილების. იგი საყურე, მარგალიტის რამ კუფხალი ოქროს ფოთლის ქვეშ, ისევ ცელქად დასციმიციმებს მწყაზარ ყვრიმალსა, მაგრამ... თითქო შექმუჭუნულა ყირმიზი კანი. ნუ თუ ნაოქი?! წვრილწვრილი ზაზი თვალთ კილოებთან... ცუდ გუნებაზედ დამაყენა იმ შეხვედრამა, მით ვადმებურა სხვა რამ სახე ჩემთვის უფერი, სთქვა ქალმა.

და აღარ განაგრძო სეირნობა, გაბრუნდა უკან, შინისაკენ გაემართა უკმაყოფილო. თუ ეს ვადაზრა თვისის შევენების ეხლა პირველად შეენიშნა ქალს, შემთხვევითი ეგონებოდა, უსიამო შეხვედრისაგან გამოწვეული; წინადაც ჰქონდა შენიშნული მუქი ცვლილება: თავისი სარკეც უმტლავებდა დაშვების ზღაპარს აუცილებს, ძლიერ საჯავრელს. განზრახ დაბრუნდა ქვენა ქუჩითა, რომ აეარნა იასეანთკენ.

— ისე ავიელი, არ მივიხედავ. აივანზედ თუ იქნება ან ფანჯარაში. თუნდაც ამძრახდეს, მოიბრინოს, მაინც არ...

— არა, ქალოჯან, უზრდელობას ეგვანება ეგეთი ქცევა. ემჯობინება, ხმა ვასცე საწყალოს, თუ აგჩამდება ან მოახერხებს ჩამოიბრინოს, რომ ისიამოს ახლოდან მზერიო. შენი სიყრმის ამხანავია ის მოტრფიალე; სიბერემდის შენი მონა, თაყვანისმცემი, — შეემულარა ძუძუ მარცხენა.

ლამაზად გრძნობს ის კოკობი, მსწრაფლ შემგნები ნათელ საცელოს: ზედ  
 ეულთან ცხოვრობს და ეს იმისთვის.

— არ შემინიშნავს!..

— რას მეტყვი მაგას?! სინჯე, იწვრილე და დარწმუნდები, <sup>დააღდე,</sup>  
 თითონ მოვითხოვს!

დაუახლოვდა იასეს კარსა. ფეხი დააწყო: ნელის ნაბიჯით ჰსურდა გაეცლო  
 მათ სახლის არე. აავლო თვალი იდუმალი იმათ აივანს: არ სჩანდა ვაჟი, დაინა-  
 ხა ქალი თეონა. თეთრი კაბა შეფოთლილი; განიერი სახელოები. უბალდადოდა.  
 ნაწნაეები გადაშოლტილი. თეთრად ფუოდა ფაფუკ-მაფუკი. უღიმოდა მზი-  
 არულს სახე. სკამებს აწყობდა აივანზედ, — თუ ელოდდა, უფროსები გამოვი-  
 დოდნენ. ვარდობისავე თვე. ვარდი ჰქონდა გულისპირში გამაგრებული. შესდგა  
 თეონა, თვალს ადევნებდა. თუ აეხედნა სამძივარსა, თავს დაუტყრავდა, მოიკით-  
 ხავდა. არ აიხედა შუკ გუნებისამ, არ მისცა ნება თავის ნაცნობს მისალმებისა.

— იასეს ბედი, მისი საფერი. თოქმად ნაქსოვი. თეთრ-წითელი. ითვალე  
 გუდალი. მაგრამ უშავს?! ბალღობიდან სახლის მოვლას, კერის პატივს შეთვი-  
 სებული. ვინ რა იცის, ვისი შელია. იქნებ გლეხისაც, ქოთანი გაგორდა, სარტყ-  
 მე კი.. უნდოდა ეთქვა ბევრჯელ თქმული, მე კი ღირსი ვარ უფლისწულისა,  
 მოვა რაინდი ჩემს წასაყვანადო. აღარა სთქვა. ბაგეს შეაშრა მომდგარი სიტყვა.  
 ეს უკარნახა სასტიკმა ალღომ:

— დაიგვიანა! იქნება არც კი მოაგელვებს შენსკენ ის რაშსა.

შეიკრა შუბლი, მყის მიიღო სახე სასტიკი. ბეჩავს იასეს უწყობოდა, რომ  
 ვერ შეიგრძნო მან მარეხის მიახლოვება, მისკენ გადაბრა უცეცხლოდ დამწველ  
 ცდომილისა თუნდ წამიერი.

იასე კი... შემთხვევის ხვედრი შექმნილიყო სასომიხილი. დაჰმსგავსებოდა  
 ღვარისგან ნატაც ნაფოტსა, ქაფმორეულ ზვირთთა ზურგზედ მოთამაშესა. და-  
 იკარა უმთავრეს თვის მისწრაფებაში და მოესპო მას უნარი ეშხის გზაზედ მი-  
 მოფრენისა. სავალდებულო საკეთებნი დაუდგნენ თვალთ წინ: ცხოვრების თხოვ-  
 ნა უჩვენებდა სამოქმედოსა, ჰმორჩილებდა უფიქრელად უცილებლობას, ბალ-  
 ღობიდან ჩვეულ იყო საწალმართო მოქმედებასა, ეხლაც ასდევდა იმავე ბილიკს.  
 საკლთარის თაოსნობით ვერ ირჯებოდა; მურაზი თუ დაკარგოდა თავის ნდო-  
 მით მოქმედებისა. თუ მეტი ძალა შერჩენოდა მის ნებისყოფას, იქნებ განეგრ-  
 ძო კიდევ ბრძოლა და შემართება. კარგსაც იზამდა: ბურთს ვაიტანდა! ვეღარ  
 განავრძო თვის ბრძოლა ძნელი. ცხოვრების ჩარხიც ისე მობრუნდა, დაშალა  
 ფიქრიც ამგვარ ბრძოლაზედ. მამიდა მართამ აღარ მისცა დრო უიმედო იმე-  
 დებზედ დაფიქრებისა.

ეცადა მართა, იქ წაგებული იასეს ბრძოლა შეეცვალნა აქ გამაზღვრებით;  
 აენაზლაურებინა ძმისწულისათვის მამცირებელი ზნეობრივი იგი ზარალი, იმის-  
 თვის კი არ მოქმედებდა მართა ამ სახით, რომ ავი იყო, ან ჰსურდა ცბიერს კარ-  
 ვი ვაჟის ხელში დაჭერა, მხოლოდ თავის სასურველი საქმის კეთება. ესეც ზომ  
 იყო, რასაკვირველია: ლუკმა გავარდეს... ისიცა სწამდა, რომ იასე თეონასთან  
 ბედნიერი შეიქმნებოდა; ქალიც მის ხელში. მისთვის ცდილობდა. თითქო დარ-  
 წმუნდა, სამძივარი არ გააყვებოდა იმათ იასეს. მხოლოდ უკვირდა, რაღად იხვევ-  
 და ხელზედ ევაკაცსა. არ ესმოდა მისი ხანგრძლივი ეინიანობა. იქნებ ესმოდა..

— მცირე ხანით განაზება, თითქო უარი, წესია ქალთა, მერმე/ლაშაშთა; უსრულებელი ცივი ქცევა უარის მსგავსი თვით უარია; უფროც ცივი: საქანს არ აძლევს, დროზედ შეუდგეს თვის ცხოვრების გზას უცილებელს, ბოროტსა სთესავს! არ კი ჰგავს ბოროტს... მიქროლავს ხანი, რბიან ნივთებში მათი-დაკარგვა განძეულის გაბნევას უდრის, სამუდამოდ იმის გადაყრას. რით შეიძლება წარსულის ეამის, იმ ცოტა წამის, რომელიც რომ განუსაზღვრავს ჩვენთვის განგებას კეთილ სწრაფათა განსასახებლად?!

სდუმდა იასე ამ სიტყვების წინ; ეთანხმებოდა სწორედ მთქმელის აზრს. მოვალეობად-ღა სთვლიდა ის ქორწინებას, აუცილებელ სავალ კვალად ცხოვრების გზაზედ. თანამგზავრის ამორჩევა... მხოლოდ ჰაზრთა თვალთსაზრისით შეიძლებოდა ეხლა მისთვის ქალის არჩევა. გონება არაფერ საწინააღმდეგოს არ ამბობდა თონას შესახებ. რა შეეძლო საუარო ფიქრს დამკვირვებელს, თუნდაც გამჭრიახს?! ავარდნილი წითელ ვაშლად ლოყა მსუქანი, კეთილი თვალი ოდნავ უბრყვილო. რა მკლავებია ბარაქიანი! გულმკერდი სავსე. სანიმუშო ჯანსაღობა, ხორცთა სისრულე. გვირის საგრძობად მოწყობილი, ზედგამოჭრილი. შეუღლებაა მიზანწონილი.

— თონა კერის საშენებლად შეუქმნია კეთილ ბუნებას, ახალ ოჯახის მოსაწყობლად, წალმა სასვლელად, როდი იცის უბრალოდ დრტვინვა. შავი დარდი სულაც არ ესმის. დრო სულ არა აქვს მოწყენისთვის მუდამ საქმიანს.

— ვუყვარვარ კიდევ. ბევრჯელ მინახავს, ჩემზედ რჩენია სურვილის თვალი. სიხარულსა ჰყენს ჩემი შესვლა, ღიმილს უმატებს. არ იქნება ძლიერ მწუავი ეს ჩვენი გრძნობა, არც ხანძარივით ბღღერიალ-ბჭყვიალა; მდორე იქმნება; დიდხანს ვამწევი. გრძნობაც ორმაგი, ვით ორმაგად თვითც ნაქსოვია.

ვაეის მსჯელობა თონასკენ მიხრასა ჰგვანდა: განცდილი ჰქონდა მძაფრი ტანჯვა სიყვარულისა; ფასიც იცოდა, ძვირფასი ფასი, იმ იშვიათის მოვლინებისა: ვერ შეზღვედებოდა გულმძინარედ მოყვარულს ქალსა.

ეხლაც მოუსკვე უიმედო იგი იმედი! ვადუტყვეთე მილტოლების გზები. მოჭრით უთხარი მწუავე სიტყვა ვადაწყვეტილი. არ სტანჯო ქალი!

— სრული უარი? ნეტავ რადაო?! ხომ გაწამდება ქალი საწყალი; ვანეწონება გულსა მახვილი.

და შეარხია ქალის სახემ ვაეკაცის გრძნობა; აამეტყველა თანაგრძნობით, თბილ-თბილი სიტყვით. ნუ თუ გაიხსნა თონასთვის ტანჯული გული, სამძივარისგან დაკეტილი, ჩაეანგებული?! კეთილი იყო ქალი თონა, ნათელთა კრთომა ბნელს სკარბობდა მის არსებაში; იმისთვის თუ მოახდინა ეს სასწაული. ელარ ჰპოვებდა იასე მიზეზს, რომ ვაეგარნა თვის გულიდან ქალის ალაღმა. დღითი დღე უფრო სიახლოვე: ერთი საფიქრი თუ საზოუნავი, ერთი და ისევ სიხარული თუნდ შემძიმება თანაზიარ ცხოვრებაშია. შეუმჩნევლად ეჩვეოდნენ ერთსაე უღელსა, კალოს საღეწად, მის ბარაქის სახვევებლად ერთად შრომასა.

ახალგაზრდების ახლოვება ახარებდა იმათ უფროსებს. თონა ისეც სახლი-სა იყო და უმადლოდნენ, რომ შესძლო და გაანელა ვაეის ის გრძნობა უშედეგო, მაკნინებელი.

— საწყენი იყო მთელის ჩვენის ოჯახისთვის ხვეწნა უწყვეტი. არაეის ჰშვენის ნაჭარბები თავის მცირება. დიდ გასაჭირშიც უნდა შეგვრჩეს თავი ამაყი.

მამიდა მართა ალერსობდა მეტად დამტკბარი.

— ვენაცვალე ჩემს წილს ღმერთსა! შეისმინა ლოცვა ჩემი და გზა მიკურთხა, სვლა წარმომართა, მისწრაფება კეთილისაკენ.

გვემებს აღგენდა ახალგაზრდათ საბედნიეროდ.

ქართული  
ლიტერატურის  
საქართველოს  
საქართველოს

## 30.

დადგა ზაფხული. დაცხა თბილურად. კორიანტელი აღ-ავარდნილ ქუჩა-უბანში. მამიდა მართა ჯერ ქალაქს იყო.

— მართასაგან აქამდისინ ქალაქში დგომა! მაისშივე მამულისკენ ემგზავრებოდა.

— ვკითხე. მითხრა, — სასყიდმა რამ შემებრკოლაო.

— ხელსაწყობებს თუ შეიძენს მამულისათვის, რამე იარაღს.

— შესაძლო არის.

სავაქრო არ აბრკოლებდა მამიდა მართას. უმიზეზოდ კი არ იჯდა იგი ქალაქში. უმიზნოდ რად დაჰკარგავდა იმ ძვირფას დროსა, როდესაც სარჩოს სჭიროდა სოფლად გამოცდილი თვალი მზრუნველი?! უთვალთვალეზა ლელ-ვარიანთა: ელოდდა, როდის წავიდოდნენ საავარაკოდ. ძლიერ უნდოდა, რომ იასე თან წაეყვანა. ამ განზრახვისთვის ის დრო უფრო ემარჯვებოდა, სამძივარი ქალაქიდან რომ წავიდოდა: მაინც ჰხედავდა შორს-მჭვრეტელი იმ ქალთან კავშირს, ცრიატი იყოს ის კავშირი, ფერნამკრთალები, მაინც კი იყო ჯვარედნ გზაზედ იდგა იასე: ერთს მხეტალსაკენვე მიჰყვანდა იგი, გზას უიმედოს; მეორე კი მიდიოდა უკვე სხვისაკენ, შესაძლოა თეონასაკენ. ეს ჯერ გამორკვეული არა ჰქონდა ვაეს. მამიდა მართა ამ რყეულ ყოფას დაჰკვირვებოდა, ჰსურდა ეს მისი სულის რხევა სათავისოდ გამოეყენა. ფიქრობდა იგი:

— ვთხოვ, ცოტახნობით დაეთხოვოს სამსახურიდან, წამოვიდეს ჩვენთან სოფლადა. იმასაც ვეტყვი, რომ კაცის ხელი იქ ძლიერ მიჭირს და დამთანხმდება.

რახან ერთი გაიმართოვებდა ვაქკაცს, სოფლად გაიყვანდა, იქ მალე გაირკვეოდა ქალ-ვაეთის საქმე; განსაზღვრილ სახეს მიიღებდა იმედის მომცემს, ან უარყოფელს.

— გული რომ მეტყვის, ეთანხმება ჰაზრიც ჩემს ვრძნობას: ხელსაყრელი შეიქმნება ჩვენი კავშირი მათთვის, ჩვენთვისაც.

ვაეთის დედ-მამამ იცოდა ეს, ცხადად ჰხედავდა ამ კავშირის სარგებლობას, მაგრამ ჯერ სდუმდა: მარჯვე დრო ვერ მოეხელნა მოხერხებულს. თითონ იასეც ნათლად ხედავდა, რომ ეს სავალი სასარგებლო იქმნებოდა ნივთიერის მზოივ; თითონ ქალიც შნოს მეჭონი ახალი ბუდის მოსაწყობადა. არავითარი ხინჯი არ ჰქონდა მართასაგან არჩეულ სასძლოს. ის იყო ძნელი, რომ გული კრული ისეც ისწრაფდა სამძივარისკენ; უარის სადარ დაყოვნებამაც ვერ ათქმუნა მასზედ აუგი. ჰხედავდა ამას მამიდა მართა ჯადო სარკეში. მაინც იტყოდა:

— არა უშავს რა! დრო, თუ ბუნების მოთხოვნილება გზას გაჰკავთავენ. მაშინ მოსძებნის ნაკლული გულის ასავსებად ვაქკაცი სხვასა. ვგონებ, მიჰმართოს ჩემს თეონასა.

ძლიერ შეხურდა, ავარვიარდა ქუჩა, უბანი. ოწივირობდა ნასუნთქ-ნაოფლი. იწამლებოდა ნოტიო მწვირით მთელი ჰაერი. ხალხთა დენა სოფლებსაკენ. გაისტუმრეს ლელვარიანთც, ბარგის ურემი. ჩასხდნენ ეტლში, გაეძგზავრნენ საგრილობელად. იასე... აღარ შეჰნატრის ლელვარიანთ ეტლს, გარეშად უფლის თავის სამძივარს, აღარ უგზავნის შორიდან შორს კოცნას ფარულსა რომ დი ჩანდა აივანზედ, ან ეზოში, აღარც ქუჩაში: მიჰრიდებდა გულფიცველ ხატს მიზეზთასა. იქვე კი იყო. სად წავიდოდა?!

— დახე იასეს! ფიცულობდა, ხატი ხარო ჩემდ სალოცავი; სად წაუფალო მე შენსა ძალას სიკვდილამდისინ?! და... ცრუობდა კაცი! გაუცუდდა სიტყვები, ფიცი. მამაციისა სიცრუევსა ნეტა სხვამცა ჰგვანდეს რამცა.

— ლამაზად ამბობ! როგორ მივანდოთ ჩვენი თავი მთელს ცხოვრებაში, თუ ვეღარ შესძლო ჩვენთვის ტანჯვა, განაპატიება?! ეს უნდა ეთქვა: სიკვდილამდინ შემოგეტრფი, ჩემო სასტიკო! ის კი წარიტყვის: უარს ატარებს შენი სიტყვა, შენი გრძნობაცა; ვუშველო თავსა.

— განდგეს, გამშორდეს! არ კი ვიდარდო...

— რა სასტიკნი ხართ! ლამაზები, მავრამ მკაცრები. მოიკლას თავი? გადაეგოს უშვილ-უძეოდ? თუ უარსა ჰყოფთ, ნულარ ჰყოფნით, ნურც ფიქრობთ მასზედ. ვისურვიათ მისთვის ბოროტი. მოგიბრყოთ თასით ტკბილი გრძნობა, ხელი აჰქართ.

— შენ სულ მისკენ ხარ მისი ქომავი. წაჰყევ, თუ მოგწონს!

— ავ სიტყვას იტყვი, უფერ რასმე, შეუწყობელსა. შორს ხარ გულიდან, ვერა ხედავ მისსა სალაროს, მისთვის თუ უბნობ ვერე მკაცრად, შეუბრალებო, — სთქვა.

ცრემლი წასქდა ბორცვ ბროლისას ლამაზ თვალსიდან. თეთრი ცრემლები. შესდგა ეტლი მართას ბინასთან. თითონ იასემ მოართვა ქალებს. საგზაოდ იყო გამოწყობილი. თოფიც ეჭირა სანადირო ორლულიანი. ჩამოვიდნენ; ჩასხდნენ ყველანი; ახსენეს ღმერთი. ბედნიერები!

მთისკენა ჰქონდა მართას მამული. იგვიანებდა მცირედ ზაფხულით. თბათეშიც მოჰკრებდი მარწყვსა იქ ტყის ველებში. გაზაფხულის ყვავილებიც ჯერ ისევ იდგა, უფრო შროშანა. სოფლის ქვეით გაშლილ მინდვრებზედ უკვე ზაფხული საკმაოდ ცხელი. მამიდა მართა ქალბატონი აღარ იყო განაზებული. ესლა მთელი დღე ტრიალებდა ფეხჩაუდრეკლად. მაშ რა ექმნა? თავის სახლში გაეკაციც იყო. ხალისს სძენდა იგი შრომა, მეტ სიყვარულსა. მეტ სიხარულსა. მუშაობა ხევეიანი, დაფასებული. მთელს წელიწადს გასწვდებოდა მისი ნაყოფი. ჯანსაცა სძენდა იგი შრომა; უდიერი როდი იყო, ღონის დამლევი. ამ მუშაკს შრომის შესაფერი პატივიც ჰქონდა, ზედმეტი კვებაც. რომ შეგეხედნა ხანში შესული დედაკაცისთვის, როდესაც ის მიზღ-მოზღედა ოჯახის სარგოს, გაიმებოდა ეს უნარი მიმომავალი.

— მართაჯან ჩემო! მე უკვე ვკვდები. ჩემი დასხნა არ შეიძლება. არ შეგეშინდეს ცხოვრებისა: ისეთ მამულებს გიტოვებ, სულ გეყოფა მთელ სიცოცხლეში. ნუ კი დაამჩნევ უპატრონობას. შენ ვიანდერძე სიკვდილამდის მთელი დოვლათი. მერმე უნდა გადაეცეს ჩვენს თონასა.

მას აქათ იყო, ადევნებდა მზირ თვალს, მოქმედ ხელს მთელ თავის ქონებას. როდი დაატყო უვაკაცობა. შორსაც ფიქრობდა: სიცოცხლეში ჰსურდა

ენახა თვის შვილობილის ბედნიერება, რომ მისი ქმარი ვაეიშვილად მოჰვლენოდა იმის დოვლათსა.

— მივალწვევ, ღმერთო, ჩემს საწადელსა: საფერ ვაეკაცს ვაპოვნებ ჩემს თეონასა. ცოტაც და... აზრიანი ვაეკაცია ჩვენი იასე, გულკეთილუნა მუყარული, კარგი მოსაქმე. მის ხელში ქალიც იბედნიერებს, ჩვენი მამულიც სახეამოდ გარდიფურჩქნება, იტყოდა მართა.

ღარწმუნებული იყო, მალე შესარულდება თავის ფიქრს, განაქარებდა აწმყოს კმუნვას, მომავლის დარდს. ეს ფარული პაზრი იყო იმის მიზეზი, რომ თეონა წლებულ გვერდში აღარ მოიყენა სახლის მოვლაში, მოზღვავებულ მოსავლის ყურის გდებაში. ქალი თავისუფალი იყო შრომისაგან, როგორც იასეც, მათი სტუმარი. ძილი ტკბილი, უშფოთელი; შემრგო საზრდო სხედასხეაფერი; სეირნ-გოგმანი ღბილ მდელაზედ, სუფთა პაერში; ღიღინ-ღულღუნი ხის ჩეროში სიციხიან დღესა. ტკბილი ცხოვრება ხორცთა სამღერი. მოღზვა, მოეშვა ნებისყოფა იმ უზრუნველ არსებობაში. ყოველივე მზად. მოწყობილი ტურფა სიცოცხლე. ოცნება იყო ხორცშესხმული, სიზმარი ცხადი. რისთვის-ღა გინდა, ბედნიერო, გამოფხიზლება?!

ჩამომჯდარიყო ვაეკაცი წაქცეულ ხეზედ. უმიზნო მზერით გაჰყურებდა ქოჩორა ხეებს. შემოეზღუდათ ბუმბერაზებს პაწაწა ველი. მწვანე ხავერდად ხასხასი მდელი. პირადპირადი ყვაილები გაღიმებული. ვადაბრილი მზის სხივები ხშირ ტვერებშია; სიხარულის ისრებია, პსერავენ პაერს. თეონას კაბა პირისფერი ხან იქით, ხან აქ ყვაილთა შორის. მიეფარა აგერ ხეებსა. ისევე გამოჩნდა. ყვაილებს პკრეფავს სიცოცხლით საესე; თაიგულსა სთხზავს ზამბახი თეთრი. დაათრო კაცი დღეს ზეიმმა დედა-ბუნების, მთლად მიადინა იმის სულში ძალა მშფოთელი. სიამეთ ღრმაში შეაცურვა შეუმჩნეველად, ხორცთ ფუფუნების უფსკრულ მორევიში. ხედვა არეს უხედავი გარემო არსის. საგანთ აღაღმა ბუნდოვანი, საზღვრებ ჩაშლილი. ძალა მიხდილი ყურადღება ძლივს-ღა არჩევს სიცოცხლის დენას. ხსოვნის ძალები მიხელებულნი: საგანთ ნამსხვრევი ასახული, ნაწვეტები მოქმედებათა; ურკვეველი არდილები გარდავლილიდან.

— პეპელა კრელი... ტურფა ყვაილი რხევით მფრინავი... კრელი ყვაილი... მჯდარი პეპელა, იმის ფურცლები, ამისი ფრთები... ხმაური ტყისა უცნაური... თბილი სიგრილე... ძილო, რასა მემინები ამ შუღლის გულ... მზე... მზე-ქალა... მწვავა იგი უკარებელი... მიდის, მშორდება... იბრძოლე კვალად: გაპე მთანა განელე მდინ... ეპ!... თეონა კაი... თვით მოდის თეო... მო, მოდი ჩემთან!

— აი, ყმაწვილო, რა მშვენიერი თაიგული შეიკონა ველის ყვაილთა! სახე ღამაში, სუნი ნაში. აბა უსუნე!

და კობტა კონა სუნნადსუნნელი მიუბყრო ვაეკაცს საყნოსებელად. მიუახლოვა მის ბაგეს მაჯა გამთქვინებული. იგრძნო იასემ ნორჩი ხორცის სუნის სუნნელი, შეახო ბაგე, დაუკონა ქალს ბროლის ხელი. მურაზაშლილ ქალწულისთვის იგი კონა ელვა იყო, ცეცხლი მგზნებარე და...

დაკვსდა გრძნობა, დამწველ აღად ავარდა იგი: დახარა თავი ვაეისაკენ, ყელს გადაეჭლო. თვისკენ მიხარა ტანი მოქნილი ვაეის მარჯვენამ; ჩაეკონნენ,

ჩაესვენენ ერთურთს. ქალს აღტაცებულს ტკბილად სწევდა ეს შეყარება, არ კი ჰნავლავდა. ბინდული ვაჟი ხორც მანაზებელ სითბოს სახით განიქვლიდა იმ სიახლოვეს... დაწყვილებით მიდიოდნენ შინ სიამის სიმიტ ერთად განიქვლინი.

31.

ეკრძინება

განსჯის მისი

რა გაეხარდა მამრად მართას თვის შვილების ბედნიერება! მიულოცა, გადაჰკოცნა კმაყოფილებით. ატყობდა, საქმე ისე უნდა ვათავებულყო: არა სჩანდა რამ მიზეზი, საკეთილოდ არ დასკვნილიყო მისი განზრახვა, არ კი ელოდა, ესე სწრაფად შესრულდებოდა; ამან უფრო აძლიერა მის სიხარული. წმინდა დაუნთო ოჯახის ხატს, შეჰღაღადა სამადლობელი, რომ ღმობიერად ებყრობოდა ობოლ კერასა. მცირედ კიდევ იზუზუნა: სიხარული მიუტერა იმ ცხონებულსა.

უხაროდა იასესაც თავისი ბედი, კმაყოფის ღიმი გადაჰშლოდა მასაც სახეზედ. და რატომო? ვინ სთქვა ადვილი სტეისი ხევეწა, უგრძობელისა! ლანგრით მიართვა სიყვარული. არ შეიწირა! ძნელი იყო იგი ტრფობა სასტიკად მწველი. რა ადვილია ეს სიყვარული! თითონ მოილტვის, უტანჯველად, უშრომლად მოდის.

— გამდლობ, უფალო, არ დამამცრე ტოლ-სწორთა თვალში. ვინ არ დაჰნატრებს იმათგანი ჩემს ბედს ბედნიერს?! აღარ ინებე ტანჯვა ჩემი უსრულებელი. აქ შეება ღებნა; იქ... განპატიებება იმედმოსთვლილი, — იტყოდა ვაჟი.

აწ უკვე სხნილი საკვრელთაგან მიჯნურობისა. მაგრამ...

— ტანჯვა მიჯნურის ცეცხლია მწველი, მაინც მნათობი. დიდ სიყვარულის უკუმგდები ამაყი თვალი. თვით მზის თვალია ტკბილად მწველი, მოსანატრები...

— ფრევანას ჰგეხარ აღში მოშუშპრეს, სანთელის აღზედ ფრთებ-შეტყრუებულ საწყალ ჰეპელას.

— გვეანდი ფრევანას. აწ განვერე აღს მანავლებელს. ყვაველს ვახლავარ ჩემთვის გაფურჩქენილს. ჩავეკონები ღაღანა მკერდში, ნეტარს ამოვსწოვ დამთრობელსა.

— აწ აღარ ჰგეხარ? ყვაველს ახლავებარ?

— ყვაველსა ტურფას, ჩემთვის აღზრ...

— ქსოვილის ყვაველს შენტვის უსულოს ცი ფერადებით ღამაზებულსა; ნახატსა ცეცხლსა; არსი აღის შუქთა კრთომას შენტვის ნასესებებს.

— აქ დაწყნარება მთელ სიცოცხლეში. იქ...

— იქ ერთი წამიც დამწველი შეყრის თვით საუკუნე უწყვეტთ ეამთ დარი. წინაშე მისსა თუნდ ერთი წუთი — მთელი სიცოცხლე დამწვენებული.

— იყუჩე, კმარა! რადროს-ღა არის საუბარი მაგისტანებზედ? დინჯად. იანე! კერის მშენებელს — მოფიჭრება ყოველსა ეამსა; ჰაზრი მშობელი, ნაბიჯი ფრთხილი, გამოთვლილი, ნაანგარიში.

წყნარად იქცეოდა ვაჟაკი დინჯი. სიტყვა ბრძნობილი, მოძრაობა მორკალებული. არც აღტყინება, არც აღტაცება. ამ სიღინჯეს ბუნდად გრძნობდა ქალი თეონა. როდი ავსებდა კაცის ქცევა თავდაპირილი, უფრო გაეხარდებოდა, იასეც აზვირთებული ყოფილიყო; გრძნობათა ტალღად შეტყორცნილი, ზღტაცებული, რომ შესძლებოდათ ერთად ნავარდი ეთეროვან უმზღერო სიერ-



ცეში ლაქვარდის ცისა; მაგრამ... შემუქებული ეს შეგრძნობა მხოლოდ აჩრდილი შისის ცხოვრების ნათელ არეზედ, წარმავალი, უკვალოდ მსრული. გაკრითა გრძობდა ქალი ამას, არ ჩაკვირებთ. სადღა ეცალა საეჭივებლად ბედის რჩელსა?! ზემში იყო, ყოველ სიკეთით სავეს სუფთაჩვედნი. ქეიფის დროს ჩაფიქრება, აწონ-დაწონა?! ჰხამს აღტაცება ფრთავიწოდნი მზის სხივებში მიმოფრენა, ყვავილთ ტრფიალი. ქალს მურაზი ჩაჰხვეოდა სავეს გულმკერდში, რადროს-ღა იყო ფიქრი, ზრუნვა, რაღაც გამოთვლა?!

მაშიდა მართა... როდი იყო აღტაცებული, არ ქანაობდნენ აღქაფებულ ტალღებსავით მისი გრძნობები; დინჯად სთვლიდა კმაყოფილი ყოველსა წელილსა; გონების ძალით შორსა სჭვრეტდა; გულში იტყარდა:

— კარგად შჯველი, კაცი მექონი სალი აზრისა; ზრდილობიანი. სთქვა! აასრულებს თავის სიტყვას საკეთილდღეოდ ჩვენთვის, თვისთვის. მაინც სჯობია, დასრულდეს დროზედ ქალ-ვაჟიანი. ქორწილი მალე! იქნებ შურმა აიტანოს იგი ლამაზი, მიჰხვედეს შეცდომას და შემობრუნდეს ვაჟკაცისაკენ. ვერ გაუძღვებს მის თვალთ ისარს ისე ჩენი და...

— შეილო იასე! რაც ადრე დაიწერთ ჯვარს, ისა სჯობია: დანიშნულები-სათვის უკვალოდ არის დაკარგული ყოველი წუთი, რომელიც კი ჩამოივლის ქორწინებამდინ. დაგწერდით ჯვარს, მაგრამ არ შეიძლება ქორწილი უშენ დედამამოდ, ნათესავთა თუ მეგობართ დაუსწრობედად. ემგობინება ენკენის-თეში.

მართლა და აღარ ევარგებოდა გადადება ესე მარჯვედ მოსული საქმისა. რაღა იყო მოსასაზრი, ხანდასაზმელი?! მაშინვე დანიშნეს ქორწილის დღე, ქალაქს ჩახვლისას. მხოლოდ მაზლობლებმა იცოდნენ მათი დანიშვნა. ბევრმა მარტო საწვევ ბარათიდან გაიგო ეს ამბავი. ლელვარიანთაც მაშინ გაიგეს, როცა წერილი მიუვიდათ, გვეწვიენითო. მაინც ვერ გაიგებდნენ ამაზედ ადრე. იმ დღეებში ჩამობარგდნენ აგარაკიდან. წერილში სამძივარი არ იყო სახელდობრ ნახსენები: ალღომ ნება როდი მისცა პირად მოწვევის, თუმც შეჰშენოდა ქალს დასწრება მეგობარის ქორწინებაში. წაიკითხა სამძივარმა, გადასცა დედას ისე ცივად, თითქო სულაც არ შეეხო იგი ამბავი: ხასიათის ძალა დაჰყვა შემმართებელი, შესალო დაფარვა გულის ტკივილის. იქნება იგი მკვეთრი განცდა დროსაც ითხოვდა, რომ ჰმელავენებოდა მთელის თვისის სიღრმით, სიგანით. თვალთა ფსკერზედ კი ააჩნდა ცეცხლი ბოროტი. იგი ალი ვერ შენიშნა მისმა დედამა: მსწრაფლ დაბურა ცეცხლთა კრთომა გიშრის ტევრებით. გაპრიდა შემდეგ, შევლო ოთახი; დახშო, დაჩაზა; მიწვა პირქვე თვის სარეცელზედ და... აქვითინდა, ატირდა უხმოდ. ცხარე ცრემლს ღვრიდა შელახულის აპაყობისა. მის მწარე კენესა აისახა ნაქვითთა თრთოლაში, ლამაზ სხეულის უხმო მოთქმაში, მოწილი ტანის ცხოვრებაში, გაშლა-გრაგვნაში.

— იასემაც კი გამწირა, თავი მანება! უჰ, დამცირებაე...

— ბეზარს მოვიდა შეტის დაცდით და...

— თუ ცდა მოსწყინდა ჩემგან ხიბლულს, ხელი გაისხნა, მაშ ტყულია ჩემი ქება, მთელს ქალაქში მოდებული სახელი ჩემი, — წარმოსთქვა ქალმა.

და გაჰკრა გულისპირს, ვადიხია, იჩინა მკერდი.

— რაღად მინდიხართ ბორცვებრ ზრდილნო გრძნობის აუზნო?! ვერღა ეღირსოთ მიჯნურის ხელს, ჩემსა დედობას, პაწაწებისთვის სიცოცხლის წყა-

როდ აღმოჩენასა. რად კორდღებოდით თქვე საწყლებო, თქვე ლამაზებო?! — იტყოდა ქალი კრინტ დაუძვრელად.

და გამეტებით მოჰზიდავდა ბროლის ბირთვებსა, ნექტარის სადღეს სპეტაკ სარაჯებს.

— მილალატა! იასემაც კი გამწირა, თავი მანება, — <sup>ქრქინული</sup> ~~წამბაღლუღმდა~~ უხმო კივილით.

დარწმუნებული იყო, მათ კავშირის გადასხნაში ვაჟი იყო დამნაშავე, მხოლოდ იასე. გონება მას ვერ აწვდიდა ვერც ერთს საბუთს დამამტკიცებელს. მაინც ამ სიტყვებს იტყოდა უხმოდ ხმა გამყვივარი, დაჟინებით იმეორებდა: შეუგნებელ თვის შეგნებას ეთანხმებოდა: ქეშმარიტებად თუ მიაჩნდა, შეურყვევლად. ფიქრი ეტყოდა:

— ქალო ლამაზო, თვით უარპყავ იგი საბრალო, შენის ხანგრძლივი დაყოვნებით მოუშრიტე ნასახი სასოებისა, რაღასა ჰყვედრი, რას ემდური უარყოფილსა?!

სჯეროდა ქალს ცხადი სიტყვა საღად მსჯელის თვისის გონების, ჰაზრით მთლად მას ეთანხმებოდა; მთელის თვისის არსებით კი უარს ჰყოფდა ესეთს დასკვნას, ეურჩებოდა.

— სასტიკად შესცდა! აჩქარდა ძლიერ! ყალბი თუ იყო მისი გრძნობა ტრფობის ვარეშე დაფუძნებული. დაილუბა! მეც დამო...

— ჰა, ჰა, ჰა! შენ დაგლუბა, თუ შენ დაძლუბე, შე გაუსჯელო! — ხითხითებდა ხმა საზარელი.

ეშმა იტყოდა პირყვითელი, თვალ ცეცხლიანი, გესლიანის გაღიმებით სისხლიან ლაშზედ. შეაკრთო ქალი; შეეშინდა, ზე წამოიქრა; გადაიყარა თმათ ჯამბარები; გადაისვა ხელი შუბლზედ, ცრემლულ თვალებზედ. ანდა სარკეში მისი აჩრდილი. როგორ დაეწვა, ღმერთო ჩემო, ის განცდის წუთებს! ცეცხლს გადაეგლო მის სურათზედ ბოროტად მკვალელს. გამოვიდა. არ ვარგოდა დიდის ხნობით განცალკევება: იგრძნობდა ყველა მის შავ განცდას, განცვიფრებოდა. მოლად კერძო იყო გულისტკივილი, ყველა სხვისათვის უცნაური, შეუღრანობელი. დედამამამაც ვერ შეიგნო იგი მკაფიოდ. თითონ უარპყო, რად ინანებს ესე სასტიკად?! იტყოდა უცხო. თითონ ქალსაც არ ესმოდა უღმობელი ტანჯვის მიზეზი, იმის გონებას. ქალის გული კი, მის გრძნობების საკრებელი ჰაზრთა სხივით მიუწუთომელი, მკაფიოდ გრძნობდა, სცნობდა, ჰხედავდა დარდის მიზეზებს.

მისანი არის გული კაცისა. ღრმად თუ განსჭვრეტს აწმყოს, მომავალს. გრძნობდა სამძივარ: ბოროტის შშობლად შეიქმნებოდა სამხიარულო ის ქორწილი, ავი მომავლის მისთვის მომტანად; ვაეკაცისთვისაც შავად შამხების. ვერ ჩასწლომოდა მუქ წინადგრძნობის მიზეზს, საფუძველს; მაინც კი გრძნობდა, განიცდიდა იმ საშიშ მომავალს. და განპატივდა სამძივარი ორმაგი ქენჯვით: იმ წუთის ტანჯვა — წყენის ნაფური, შეღახულის, დაბზარულის თვითმოყვარების; ბუნდოვანი მოლოდინი უბედობისა, შეუცნობელი ავის წევა უცილებელი.

— იქნება ტანჯვა წინასწარი ამო იყო?

— შესაძლო არის, ხან ეგრეც ხდება.



ამოცურდა შანვი პირსავეს. წაწითანო ფერი ედვა დღეს, სისხლნაცხები. მანც ტურფად ვაანათა ვიწრო კუჩა, კუჩაბანდები, დიდძალე კუჩუნი-მჭილი-ყო იასეანთკენ: ქორწილი ჰქონდად დიდებული. ქალიც, ვაჭარ-ვაჭარად კეცნენ, იასეანთას. ერთად დაიძროდნენ ეკლესიისკენ; ერთადვე დაბრუნდებოდნენ. ზეი-მი მოწყობილი იყო იასეანთას. თავის სახლში იცხოვრებდა იგი ცოლით რამ-დენსამე ხანს. გაყრა ჯერ უდროვო იყო, არც თუ საჭირო. შემდეგში გადავი-დოდნენ საკუთარ სახლში. არც ვეარგებოდა მაშინვე ცოლეურთას დაბინაება: იტყოდნენ, ზესიძედ შევიდაო იასე. სათაკილო იქნებოდა ესეთი თქმა ხელგა-მომავალ ვაჭაკისათვის.

მთლადაც მიაწყდა მიღეთის ხალხი იასეანთ კარს, როდესაც ზე აღმართა ზურნამ პირი და მიუთხრა ეზო-ყურეს, კუჩა-უბანს: სიამოვნების წუთი დადგა ამ კერიასთვის! რამდენსამე ხანს ის პირველი მარტო იტყოდა, თითონ ცეკვა-და მთვარის სხივით გაშუქებულ ჰაერთ ტალღებზედ. გაიტანა თვისი ჰანგი ნა-წეს სამზღერამდინ; შეათამაშა ზე ფარდებში ბგერათა ჯგუფი: ცალს თუ იწვეე-და ხმათა ზუშპრის ასპარეზზედა. გვერდს ამოუდგა ეშხიანად ის ხმა მეორე და... ხმათა დავლური რიხიანი, თან მოკასკასე, ველარ გაუძლო დოლსაც გულ-მა, გაჰყვა მეგობრებს, შეეხმატებილა. მთელ უბანში გადასატყორცნეს სიხარუ-ლის ხმა გამყივარი. წელში გასწორდა მეფის მეეტლე, მოზიდა ღვედებს: დად-გა წუთი მის ქმედობისა. ხელადა ღვინოს, საკრავთა ხმას იმისათვისც ეშხი აღეძრათ; ჰსურდა დიდებულად გაეტარებინა ქალ-ვაგი მოზღვაებულ ხალხში, ნამდვილ მეფე-დედოფალურად. მორთულს ეტლს აჰყვენენ სხვა ეტლები სტუმ-რებით სავსე. ფეხითაც ბევრი მიდიოდა. ნელა იძროდნენ: მანძილი დიდი არა ჰქონდათ გადასავალი. ეკლესია ლაპლაპებდა ქალით. სანთლებით, დეკანოზი შემოსილი ელოდდა მომსვლელთ. დიაკვანი იოანე უპრტყეს სარტყლით შეარ-დაგილი. ქალს მოჰხდენოდა სადედოფლო საბურ-საცმელი. მორთეაზედ მეტად ამშვენებდა მის სახეზედ ახატული კმაყოფილება; სიხარულის ღიმი თვალებში. კმაყოფილი მოსჩანდა მეფეს; ზომიერი ღიმი კრთოდა მის დინჯ სახეზედ; მიხერა-მოხერა მორკალული, ჰაზრით ნანათი. ქალს გრძნობათ ტალღა ატივტი-ვებს ჯვარისწერის დროს და წამისწამს აცვლევიანებს მოძრაობას, ფერს თუ იერსა; ვაგი ასდევს ჰაზრის არეს, გრილად გამსჯელ ფიქრის სავალსა. ქალისა-თვის ჯვარისწერა ვარდისფრად ღებაეს მის ცხოვრებას; ვაჭაკისთვის კარის ბჭეა უღიადესის მოვალეობის.

— რა მხიარული პატარძალი გეყავს! სულ უღიმის ბედნიერს სახე; ძლიეს-ლა იკავებს გულახდილ სიცილს.

— სიყვარულით შეირთო ვაგი. თურმე გაანდო დედობილს გრძნობა, ისიც ეცადა და გაიმარჯვა.

— ვისი შვილია, ეს კი რა იცის.

— ბედნიერია! ჰაზრიანი ვაჭაკი ხელში, სიმდიდრეც დიდი: მართას მა-გათთვის მიუტია მთელი ჰონება...

— ზომ შეჰნიშნე, გენაცვალე, პირველად ვინ შემოჰხვდა მეფე-დედოფალს?

— ეფემია მკერვალიანთი!

— უდი ნიშანი: ქვრივი დედაკაცის შეხვედრა ქალის დაქვრივებას მოასწავებს...

— ბიჭო ფილიპე! ჩხირის თლა ხომ არ დაგავიწყდა გზადაგზა?

— ხელი არ დამიყენებია! დახე, როგორ დაეაწვრილა ჩემს ხელს! ჯობი; ლამის გადატყდეს.

— გადატყე! დაუსუსტდებათ ამათ მტერი, გადაემტვრევათ ბოროტის მქმნელი...

— დინჯად სდგას მეფე. ნეტა შესძლებდა ესეთსვე ქცევას, სამძივარი რომ ედგეს გვერდზედ?

— ალტაცებაში იქმნებოდა, თავსაც ვეღარ შეიმაგრებდა: ძლიერ უყვარდა ის გულმკვდრის შვილი.

— ააცეკვებდა ძლიერი გრძნობა, ვით როკვის მუსუსს დასტის მწყობრი ხმა: სიყვარული ჩამოჰკრავს ორძალს, — ბრძენიც იშუშპრებს...

— რა „ისაიას“ დასძახიან მღვდელ-დაიკვანი!

კელატრები ჩამოართვა იოანემ მეფე-დედოფალს. წარსდგა ფეხი ამბიონისკენ. მძლავრად დაჰბერა შეტყუებულებს, ერთად გააქრო. ერთად მოისპოს ეამთ დასასრულში ერთ სულ და ერთ ხორც ქმნილი ორება.

კარგი ნიშნები აატევენა მათ ჯვარისწერას. ქორწილშიაც რიგზედ იყო ვველაფერი, სარისტიანად. გაიენებამდინ გასტანა ალტაცებულ სიმზიარულემ. დალბნენ ვაჟკაცი, მთლად გაიელინთნენ. ამღერდა თუ აცეკვდა მთელი კრებული. ძლიერ მოსწონდათ სამძივრის მამა. შეუღლებულთ სადღეგრძელო როცა დალია, წარფელად დალოცა; რწმენით წარმოსთქვა: ამისთანა მოწალმართე ვაჟკაცის ხელში ბედნიერს კვალს დაადგება ახალი კერა. წარმოსთქვა ენამ გულის ნადები. მიუბედა ყველა: ქალთამზის მამას უამებოდა იასე სიძედ. მეფემაც აწ დაინახა ეს ძლიერ ცხადად და... თავის გულში ამოიოხრა. მთლად უბზო კენესა, უბგერო გმინვა.

## 33.

ზურნა-დაფის ხმიანობამ ისარი დაჰკრა გესლიანი სამძივარის გულს. დასტის ზახილი გუგუნ-კასკასად მოესმოდა ქალს დამცინივად.

— მილალატა! არ ყოფილა სიყვარულში გაუტყებელი.

იი... დიდი დარდი, ბოროტება უზღვენ შენს თავსა...

აა... დარდი დიდი, ბოროტ...

ჩასძახოდა გამყივარი დასტა ქალს ყურში.

— მილალატა! მთლადაც გამწირა. უნდა შეეგნო ჯერ არ იყო საბოლოოდ უარყოფილი.

იი... ბოროტება, რა დიდი დარდი... იი...

ყურს უგმირავდა საკრავის ხმა წვერმახვ შანთივით. აბ, შესძლებოდა, მსწრაფლ მოესპო ის ხმიანობა, დაეზმო პირი თავაშეებულ საკრავებისთვის... ხელს იფარებდა სასმენლებზედ, ბალიშებში თავს ჰმაღავდა, რომ არ ესმინა მტანჯველი ხმები, მაგრამ...

აა... რა დარდი... დიდი დარდი...

განმახულიყო იმისი სმენა. ოდნივ ბგერებსაც ითვისებდა, შეუმჩნეველ ხმაურობებსა. და იგი ზურნა... აივსო ქალი ბოროტ გრძნობებით. თუ იმ მზია-

რულ მეზობლის ოჯახს აწ რამ სიავე წაჰკიდებოდა, იქნებ კიდევ გაცილია ამა-  
ზედ მის გულს: ბნელი აზრები მიმოსცურავდნენ ცნობიერებით განათებულ  
არემარეში მისის გონების... უკუპრიდებდა შავ სურვილებს, ეძალმობდა მათ  
ჩაქრობასა: როდი იყო ჭუნებით ავი. ის ამწვავებდა, შეჭლავებდა, აფეთქო-  
ყვარება.

— თავდადებული თაყვანისმცემიც განზედ გამიღვა. ნიშნს მიუგებენ  
აღბათ მცნობნი, ტოლ-ამხანაგი. ნამდვილ ეგრეს! ჰკითხავენ ჩვენებს, სამძივარი  
რად არ არიო; განზრახ ჰკითხავენ: კარგად იციან, შეუძლები რისთვის იყო  
ჩემი დასწრება.

— მითომ რისთვისა?

— აეშლებოდა ჩემს ნახვაზედ ძველი გრძობები, დაულეწდა თვით აჩრ-  
დილსაც სიხარულისა.

— ჩაეშალნენ ის გრძობები! დაეინებულმა უარმა მოსპო ივინი. ვერ წარ-  
სდგამდა ის ამ ნაბიჯს, თუ ჩარჩენოდა იმ სიყვარულის თუნდაც აჩრდილი.

— გაუცხოვლდება ჩემს დანახვაზედ იგი ტრფიალი. თვის სახლში მნახოს,  
არ შეიგრძნოს თვისი შეცდომა. შედარება მას აუხელს დამწუხებულ თვალებს,  
თვით ჯოჯობეთს განაცდევინებს!

იქნება მომხდარიყო ამგვარი რამა, თუ დაენახა თავის გვერდზედ თვის  
სამძივარი. მაგრამ არა! ხელს დაჰრევედა სასტიკ განცდას დინჯი ვაყვაცი, უჩი-  
ნარის ნებისყოფის მქონე ძლიერის. თეონას მოსვლოდა ეს ფიჭრი, ფიცხი შუ-  
რით ნაკარნახი ეს წინადგრძნობა; მშობლებსაც სახიფათოდ სჩვენებოდათ ეს;  
ამისთვის იყო, რომ სახელდობრ არ იწვიეს სამძივარ ქალი.

სურდა სამძივარს დარწმუნებულიყო, თუ დიდ გავლენას მოაზრებდა,  
რომ სწვევიყო იგი ქორწილში; ეკლესიაშიც, ზეიმზედაც მთლად დაჰფარავდა  
მის მშვენება სხვის სილამაზეს, პატარძლისა თუ სხვა ქალების, ვით მზემ დაჰ-  
ფაროს თვის სინათლით ვარსკვლავთ პრიალი. მიუჯდა სარკეს, ილამაზა კეყ-  
ლუცმა თავი, მაცთური ღიმი აისახა მარჯნის ტუტებზედ.

— მაგრამ, ქალოჯან, გარდაგსვლია ნორჩობის ხანი. ეხლა უფრო მეტად  
გეტყობა: დაგლევი სინაზე ქორფა; ტუტბაგეზედ რძე შეგშრობია, დაქარ-  
გვიათ ბაღლის იერი. რამდენიმე კვლავ წელიწადი და...

— მაინც ისევ მშვენიერი, ისევ რჩეული ტურფათა შორის! მთვარემან  
მცბრალმან ვარსკვლ...

— პირმანგი მცბრალი, მშვენებიდან დამცბრალ-დამშრალი...

— რად მომანიჭე, შემოქმედო, ეს სიკეკლუცე, თუ უხმარად ჩაქენებოდა,  
ჩაიშლებოდა?! არავინ მოსთელას ლალიანი მოსამკელი ესეთი ტურფა... არ  
შეიძლება! მალე მოვა ჩემს კარს სწორედ ის, ვისთვისაც არის აღნიშნული ქა-  
ლომა ჩემი; შემევედრება და... დაესცემ დასტურს! სიხარულით ავაყვავებ, მეც  
აყვავდები... უფრო მშვენიერად გარდავიფურჩქნო გულის სიხარულით. ოღონდ  
კი ჩქარა...

მართლაც რასა ჰგავს, გაიშალოს ტურფად ყვავილი, ვერავენ კი ისიამოს-  
მის ლამაზობით, არავინ დატბეს მის სურნელებით, არც ვინ იგემოს დამათრო-  
ბი იგი ნექტარი, ყვავილის გულში უკვდავების წვეთად ჩამდგარი?! ხან აღ-  
ფრთოვანდებოდა ქალი და თავის მარცხს არარად სთვლიდა; სხვა წამს ჰქრე-  
ბოდნენ მის იმედები; ვერ ისვენებდა: კოცნით როდი უხუქავდა ლამაზ თვა-

ლებს ანგელოზი ძილად მიმწვევი. ვატყდა ღამე. ძლივს ჩაეძინა. საარის ხმები. ბანზედ არიან, ლაბიერიტ შემოზღუდულ ვაკე სართულზედ. ამაროთ ზეცი-საკენ ხმა გამყვიარი: მადლობის ჰიმნით დაჰხვედროდნენ ამომავალ მზეს, სიკეთის მთესველ მნათობს ღვთაებურს.

იასეს ბედნიერება სიმძიმლიად შექმნილიყო სამძივარიც კვლავ ნებაც არაოდეს არ სწადდა იმას. დაღონდებოდა, თუ სცოდნოდა ქალის წუხილი. რას იფიქრებდა?! ქალიც ვაჰკვირდა, რომ ეწყინა მისი დაკარგვა; კიდევ გაუწყრა თავის თავს ამ განცდის გამო: როდი იცოდა, რომ გულის ფსკერზედ ულიოდა მის თანაგრძობა. მზის ბრწყინვალეობამ კვლავ განფანტა ქალის ფიქრები. ეამთა დენას ასდევს არსი, წამთა სრბოლასა, ხან ვაქანებას, ხან კი უძრავ მოძრაობასა. სამძივარიც ვაჰყვა წუთებს: გზას განაგრძობდა.

## 34.

იასეს აწ საკუთარი სავალი ჰქონდა მკაცრად სამზღვრილი, ნათლად ნასახი მიზანი თავის არსებობის:

და მეუღლენი წესიერად განსაგებად თვისის სახლისა, სასიკეთოდ დასაცავად ნაკურთხ კავშირის. ნათელთ მრავლებად. იასესათვის ეხლა ზრუნვა იფარგლებოდა პირველ ყოვლის მისის ოჯახით. აზრიანად უნდა წარემართა იგი. ეს უმცირესი, რასაც სთხოვდა კაცურ კაცობა. თუ კარგად ვერ განაგებს ოჯახს, მაშ როგორ შესძლებს სასიკეთოდ წარმართოს თემი, მისწუდეს ქვეყანას?! შესცვალა გეზი თვისის ყოფის ცხოვრების ზღვაზედ. სამძივარი კი... უნდა განეგრძო წინანდელი თვისი სავალი: დღესაც ისევ დამკვლევია თვის მომავლისა, მისი მძებნელი. ძნელი იყო ეს: ბუნდოვანად სჩანდა მისთვის ის საძებარი; ვერ მიმხვდარიყო, სად ჰკარგავდა, სად იპოვნიდა, მოსაწყენიც გახდა ძებნა, გზების ვაკვლევა. ბევრის ბევრი დრო დალია ამ ბნელ გზაზედა, ყოფნის ეამი საუკეთესო, დიდი ნაწილი ვარდობის თვისა, ასურ-მაისის. ველარცა სწამდა, ნაყოფიერნი შეიქნებოდნენ შემდეგნი ეამნი ამ ძიებისა, ხეავიანნი, შედეგიანნი, წინამდებარე დაისის ეამნი.

— იარე კვლავ ურყევლად, ჩემო ღამაზო! არ შედრკე არც წამს. არ მოგიშხამოს შავმა ეჭვმა ეგ ნებისყოფა, იმედმიზილი არა ვნახოს მყობადმა თუნდ წამს. ბოროტისა წამი აწყო მერყევისათვის, დროც მომავალი, გესლიანად დამკინავეი, დაუნდობელი. მედგრად წინ, კარგო! სძებნე! იპოვნი!

გაორკეცებული სურვილითა ცდილობდნენ ქალიც, მისი მშობლებიც მიებრუნებინათ თავიანთენ ყისმათის პირი განათებული და თანაც მალე, ძლიერ სწრაფადა.

— რა არის, კაცო, რომ გესწრაფება საწყალი ქალის გათხოვება და მოშორება?!

— მოვა დრო და გათხოვდება. ქალი იჯდეს, ბედს ელოდესო.

— საქმაოდ იჯდა და ხვედრს ელოდდა. ეწვია ბედიც და არა ერთი, მაგრამ...

— რა ვაქვს სათქმელი?


— მაგრამ ხელი ჰკრა ყისმათისგან მოგზავნილებსა, პირი იბრუნა მედიდურად; სიცილიც კი დააყარა ზოგიერთ საწყალს. და ეხლა, ჰხედავ, აღარ ზის ქალი; დადის, დაეძებს თავის საძებარს: ყაბახი, ქუჩა, მალაზიები, თეატრი, რაღაც სალამოები. არც ერთს დღეობას აღარ გაუშვებს. სად არის ეხლა?

— რამ ვიგაია? ბაზაზ ყასუმას ღუქანშია ფანცის სასყიდლად.

— ამევსო უკვე საწყაული მოთმინებისა! გზათაუკან სიარულით ვერას გახდება: თვალს შეაჩვევენ და დაფოლდება. ოდეს ტურფა გაიად...

— მაინც მოთხარი, რა გამწარებს, დღეს რა გაღელვებზეა მოქცეული ტურფა ამბობ იმ საწყალ ქალზედ.

— ჩვენს ლიზასა გვთხოვს ქარშიკაული.

— ლიზასა გვთხოვს ჩვენ ალექსანდრე?!  


— არ არის ჩვენგან დასაწუნი. ლიზაც დაჰყვება. მაგრამ მომდევნოს გათხოვება უპირველესად... დაუვარდება დარჩენილი ქალის სახელი სამძივარს, რომდამდისინ უნდა იყოს ჩვენს ინაბარას? დღეს თავს ვადგევართ, ხვალ ღმერთ...

მართალს ამბობდა სამძივარის მამა: დრომ გაირბინა, დაქანებით ჩაიარეს წელიწადებმა; გათხოვდა უნცროსი ქალი; დაქორწინდა ვაჟი მომდევნო; უფროსი ქალი ისევ შინ იჯდა. შესაფერი ვერაინ შეჰხვდა. დადარდიანდა, ავიწყდებოდა: ყოველი სიკეთით სავსე კაცი იშვიათია ქაბუკობაში; უნდა სქედოს ყველამ ბედი თვის სიკვდილამდინ და ვერ მოასწროს დასრულებით მის გამოკვერვა. ვერ შთაენერგათ ეს ქალისათვის; სინამდვილე ვერ შეეგნო ბევრის მდომელსა. ვარდავლილ გზაზედ შეჰხვდნენ იმას კარგი ქაბუკნი; ქალის ძალა თუ ჰმეველებოდა მათ ნათელ სულსა, შემოქმედ ნიქად ვარდაქმნიდა მათი მურაზა. ვერ შეითვისა ეს აზრი ქალმა და კვლავ ეძებდა თავის სამძივარს, დაეინებით ესწრაფებოდა. გრძობდა შემკრთალი, კიდევ ჰხედავდა: წარმავალს წუთს ყოველსავე მიჰქონდა მისგან სიცოცხლის ეშვი, განეელო მისთვის იმ ნეტარს ეამსა, რის წუთი ყველა სძენს სულდგმულს ძალას. რაიმ სიკეთეს, სილამაზეს, ახალ სიცოცხლეს; უხვი ბუნება ნიქით სავსე კალთას აბერტყავს თვისგან შექმნილსა; აწ უკვე თავქვეს დასდგომოდა ქალის სავალი, მოლიქვეულ დაღმართს დაქანებულს თვით ფსკერამდინ არარაობის. ძაბუნდებოდა ლამაზ არსის ნივთიერი შემადგენლობა. სულიც მისი იფიტებოდა. ჯავრის აღმური თუ აშორებდა მის გულის სიღბოს. ტანს რომ სიხვილე ეკარგებოდა და ნაოკთ ბაღთ იქარგებოდა, სულიც კარგავდა სახიერებას, კარგ გრძნობათაგან ვანიძრცვებოდა. სწრაფვის მიზანი შორებული, მიუწვთომელი. დედობის ნდობა გამძაფრებელი. უშედეგო სულდგმულობა ერთფეროვანი. მაინც იბრძოდა: ენანებოდა ტურფად ქმნილი თვისი არსება.

მენანებოდა. თვალნი მტკიოდნენ მის მომწერალსა. აღარ ჰფეროდა ტანთ სამოსი, სამკაული ახალქალური: აღრე თითონ ამშვენებდა მათ თვის სინორჩით. ეხლა... ის მზიური ქსოვილები პირდაპირადი უფრო ცხადყოფდნენ მის სიძველეს, მის მიყანდებას; ახალნორჩისთვის ნაქარგ-ნაკერი კოპ-სარალუჯი უკვე მიჰქცეულს... თუნდაც საყურე ბრჭყვიალ-პრილა ჰმუქვნილ ყვრიმაღზედ...

— ნუ, გენაცვალე! ცოდვა არის ეგ საყურე, ვოპარისგან აკინძული ყურძნის მტეეანი, ოქროს ფოთლის ქვეშ. ახალ სიცოცხლის სამკაულად შექმნილია ხელოვნისაგან, შთაუბერავს მის შემოქმედს მაგისტვის სული და... სტკივა გული საწყალ საყურეს; ჰე, დააეადა სამკაული, რა დაკარგა ნორჩი სითბო შენმა სხეულმა. ფერი იცვალა. გადაეცი ახალ...

— ვერ შეველევი!

— სხვა გაიკეთე, თვისი ნაღრით საღამოს აზრდილს ზიარებული...

— ხმას აღარა მცემ! ხომ არ გეწყინა, გეთაყვანე, ეს სიტყვა მძიმე? ისევ მიყვარხარ. რა შენანები! ვცვედრი მეც შენთან ქვეყნის შემოქმედს რად იღვარ ჰყოფს თვის გაჩენილ სიტურფის ნიმუშს...

იმრავლა ხმაში ლითონის ბგერამ სიღბო გაძრცივლდა, ~~საფუძვარზე~~ გაუმრავლდა სიტყვა მწუნავი; ველარ ჰსახავდნენ მიტკობას, ~~აღტყრსს~~ მისი თვლები; აღარ იტყოდა თავლიან სიტყვას იმისი ენა.

— ყოვლი ნაყოფი რომ მწიფდება, თანდათან ტკებბა; სამძივარი ხანში შედის, უფრო მწარდ...

— რა ქნას საწყალმა? გული გაუტყდა: ველარ ეღირსა დედად ყოფნასა. რა კარგი დედა იქნებოდა ბუნებისაგან შემკობილი ყოვლის კეთილით! ესეთი მარცხი ძნელი არის, აუტანელი. თუ სხვა ჰქონოდა რამ მიზანი ცხოვრებისათვის, სხვა საძებნელი თუ მისახწევი, შესაძლო იყო გულის სევედა გაჰქარებოდა.

— ჰო მკირეოდნად: ბუნების თხოვნა უსრულივე დაურჩებოდა და პირადი უკვდავება თავის ნაშენში უარყოფილი. არ ჰქონდა ქალწულს სხვა მიზანი არსებობისა. ეს ერთად ერთი საძებარი აგერ ჰქრებოდა.

— რამ ჰქმენი, ქალო, რამ გაგაკლდევა?! იგი საწყალი წლიდან წლამდინ შენ შემოგრტვოდა, შენით სუნთქავდა გულლაზვრილი და უარი ჰყავ... ან როგორ მოგცა ამის ნება გრძნობამ, ძუძუმმა?! სულ არ ყოფილა დასაწყუნი იგი იასე: კარგადა ცხოვრობს, აზრიანად, დაწყნარებულად. მზრუნველი მამა თვისის მოდგმის, ახალ ოჯახის. შენთან იგი უკეთესიც იქნებოდა, უფრო გულსავსე.

## 35.

კარგი კერის მკეთებლი. სასიქადულო. გაიხარა მამულმა იასეს ხელში. წინადაც არ უჩიოდა მართა მიწა-წყალს, — იასეს ხელში საქებარი შეიქმნა იგი, უხვად მომცემი. ყველაფერმა განიცადა მკლავი მშრომელი და ამოხეტა მრავალ ყლორტებად, გადიშალა ტურფა ყვავილად, დაიტვირთა საქრულ ნაყოფით; ერთი ორად იქცა ყოველი: ვაგაკის ხელი ძლიერია, ბარაკიანი.

— ნუ იტყვი მავას! რამდენია, ანადგურებს თავის ქონებას, ნიადაგს აცლის თავის კერას, თავის ცოლშვილსა.

ბევრი არის მფანტავი კაცი ბედოვლათი. იასე მათში არ ერია, არც ჰქონდა რამე მათთან საერთო. მუშა იყო დაბადებით, საქმის ტრფიალი. უნდოდა თავის პიროვნება ნათელ-კვალად აესახნა თავის ნაღვარში. არ უნდოდა, ეთქვა ვისმე:

— ცოლის მამული აცხოვრებს კაცსა.

სჯობდა ეს ეთქვათ:

— ამთავნიერა დალოცვილმა მამულ-დედული, აყვავილა, ჩაუდგა სული; თითონ აცხოვრებს თვისსა მამულს, მისი მარჯვენა ამრავალკეცებს ღირებულობას, იმის ღალასა.

ქალაქშიც იყო მრჩო ვაგაკი, სოფელშიაცა. სამსახური არ დასტოვა; მეტი უნარიც დაიჩინა დადინჯებულმა; წარსდგა ბიჯი ხელთუფლობაში. იმის მამულზედ მომუშავენი გრძნობდნენ ვაგაკის ძალას, მეტს მორჩილებას თუ ხათრს იჩენდნენ. მემკვიდრე ჰყვანდა. სხვასაც ელოდდა გვირის მამრავლსა.



ტკბილად დიოდა ცოლ-ქმრის ცხოვრება. ქალი სიყვარულით გაჰყვა იასეს და ის სურვილი არა სცხრებოდა; იზრდებოდა, ძლიერდებოდა, ნორკა თვისება ზრდიდა ტრფობასა. ცდილობდა კაცი, მის მეუღლე სწავნედ ნაკლებად არ გასულიყო ყოფის არეზედ. მადლობას გრძნობდა ამ ზრუნველსა ქალი თეონა.

შეზღუდული

ერთ დღესაც კი ნუ მაცოცხლოს იასეს შემდეგ! იტყოდა იგი.

გადაშლილი ჰქონდათ გული ერთმანეთისთვის. რა აზრი დაეზადებოდა ქალს, გრძნობა ან ნდობა, არ გაეზიარებინა თავის კაცისთვის?! ქმარიც ესე გეყრობოდა თავის მეუღლეს: ერთად სჯიდნენ ყოველს წვრიმანსაც; სახლის მამა არც ერთს საქმეს არ იჭერდა დაუკითხავად. მაგრამ, ეპ, არა! მათშიც იყო ორივეში ჩაბინდული ერთერთისთვის პატარა არე. ვერ იქმნებოდა იმისი თქმა. მასზედ პასუხი. ქალის სული გარდაშლილი ქმრის წინაშე. მაინც იყო იმის სულში ხშული ადგილი. იქ ეს ეწერა:

— უყვარდა წრფელად ჩემს იასეს ის სამძივარი, ტრფობის ისარი ჰქონდა მისგან გულს განაწონი... თუ ამოსწეადა ჩემ აღერსმა იგი ბოძალი, მოსპო იარა, მოსწმიდა პირი?

განგრძობა იყო ქმრის არსების მისი მეუღლე, მის პიროვნების სხვა ნაწილი უფრო სათუთი; კაცს მაინც ჰქონდა გულის ფსკერზედ ერთი კუთხე კერძობული, ქალისათვის მთლად საიდუმლო. სათაყვანო გრძნობა ჰქონდა იქ დაკრძალული... გაგწირა შენ სილამაზემ ცხოველსმყოფელმა. გასწირე შენ სიყვარული სულისა მდგმელი. არ გადაჰყვე ბოლომდისინა; როდი იარე სიყვდილამდინ იმის გზაზედა... რა ძნელია ის სამარე გულს უტევიარი!.. წამება დარი სიძლიერით სიყვარულისა; თვით სიყვარული უჭრობ ტანჯვად გარდაქცეული...

ნელნელა აღმოჩნდა ის აკლდამა იასეს გულში, უღრმეს ჯურღმულში მისის სულისა. როს მიიცივალა ის სიყვარული სინამდვილეში, ან როდის გაჩნდა მისი კუბო საწყალს მის გულში, რა მანქანებით, — ეს ვერ იცოდა, ველარ გაეგო.

— თითონ გასთხარე იგი სამარე; შიგ ჩაასვენე ცოცხალ-მკვდარი მიჯნურობა, ლამაზი სატრფო... თავს დააბრალე ყოველივე, შეუფნებელი!

— თვით გავუთხარე ჩემს სიყვარულს იგი სამარე, გულს დავიმარხე ჩემდა ტანჯვად ისევ სულდგმული?! უაზროს იტყვი, ბოროტს რამ სიტყვას...

— ჭეშმარიტებას! შენთვის მეტად სავალალოს, დამალონებელს. ჰკითხე გონებას, დაუკვირდი მოგონებასა: მართალს გეტყვიან. ამისათვის დრო შეგრაჩა ბევრი: შენის ცხოვრების ეამნი მთლიანად.

იასესათვის საკვირველი ხმა იდუმალი. თქმა უჯერები, მაინც სარწმუნო... სადღა ეცალა საფიქრებლად გარდავლილზედა?! სხვა ზრუნვით იყო აწ მოცული მისი გონება: ოჯახის მამა, მის მომავლის გამომკვედელი; ხელისუფალი საბატო ადგილის მჭერი. დიდი შრომა სჭირდებოდა ორმეგ საზრუნველს, მოაზრება, წინასწარ ზომეა და... მთელი ცხოვრება საიდუმლო იმ განცდაზედ საფიქრებელად?!

მაინც იგი თქმა საკვირველი მართალი იყო! ოჯახის მოვლა, ხელთუფლობის მოვალეობა; მაგრამ... ქალი თეონა, კარგი ცოლი, უფასები დიასახლისა, მაგრამ... აღქური ტრფობა, მიჯნურობა ალავერდნილი... არტახს შეგარტყავს

უხსნელ-უწყვეტს, შეგკრავს, შეგბორკავს იმ არდავითა და წაგასწრაფებს ხნარცვეთისკენ თავხედობისა, ქადავარდნილ ჩანჩქერებისკენ საზარელია.

— ნუ მიხვალ მაინთ! ქვეათამყოფელი როგორ წავა მაგ დამღუპველ საბრკომებისკენ?!

— რა ლამაზია!

— ბევრი წასულა, ველარ მოსულა და თუ მოსულა, დიდად ვნებული!

— რა ბრიალაა! მიმზიდველი, დამატკობელი...

— ნუ მიხვ... ვის ეტყვი, ვისა! მიდის ღიმილით, მიარღვევს არც ქანცულ-ბასრული, სისხლმომდინარე; ურყევლად მიისწრაფება, შეხეთ მის თვალებს, გატაცებულს მისსა მზერასა! ერთისადმი მიქცეული, მხოლოდ მისადმი. რა ნეტარება წამების ეამს უდიერისა! მეშვიდე ცამდის ალტაცება ძირს ქვესკნელში ჩათხულისა. ტანჯვასა შიგან ნეტარებას თუ...

კაცის ცხოვრებას, აზრიანად მოწყობილ ყოფას, აკლდა იგი ალტაცება ცეცხლებრივ მწველი. ხან ჟამიერი იგი ღელვა თუ წამიერი დამღორდება შემდეგ, დაუშვებს ფრთებსა. მაგრამ უშლელად იბეჭდება განმცდელის სულში: გონების სარკე უკლებლივ ჰქარგავს თვის კაბადონზე სხიოსან სურათს ზეგარდამო განცხადებისა და იგი ხატი უცვალეუბი არსებობს მარად. ხანდაზმული უფროც ბრწყინვალე. ის აციაგებს შემდეგ ყოფას, ზრუნვით აღსავსე სიცოცხლის დენას ბევრჯერ უფერსა. ფერმიხდილია მისი ყოფა, ვინც ვერ განსცადა ეს ალტაცება! იმას ღეთაება არ სცხადებია თუნდ ზურგით კერძო, მწველად მანათი უფლის არსება. არაარობა სახელია იმგვარი ყოფის!

ვერ განიცდის ამას ერთი, ვერც თუ შეიგარძნობს: არ ჰნიჭებია ზეგარდამო ამისი ძალა; ქვექვე უძვეს მას ბუნება, ცხოველთა სისწვრივ. სხვა მისწვდება მისაწთომელს, კიდევ განიცდის, გარნა დაჰქარგავს ძვირფასსა ლალსა; სდის ცხარი ცრემლი, უსველებს თვალსა: უბედური რამ შემთხვევა, ან საკუთარი მოქმედება ნათელგადრკვილი დაუხშობს იმას ედემის კარსა. ბედნიერი იგი უბედო! კიდევ სხვა განსჭვრეტს თავის ღმერთსა, პირისპირს ჰნახავს; განიცდის თვისში მისსა არსებას; შეუერთდება, ჩაინთქმის მასში. თვითცა ღეთაება ყოვლად ნეტარი თუნდ ერთის წამით!

— თავისსა ღმერთსა?!

— თავისს, საკუთარს! თვითელს ჰყავს თვისი ღმერთი სათაყვანები, თავის ხატი უძლიერესი. ვაჰ, რომ ზოგი თვალს ვერ უსწორებს მის ნათელსა, თვალსა მიწიერს. ვერც იმას შესძლებს, ასახოს სულში მისი აღალმა და... მოაკლდება ნათელს უბინდოს, კეთილთ მნიჭებელს მღელვარე ზღვაშიც ბოროტებისა.

იასე... ღირს იქმნა იგი პირისპირ ხილვად თვისის ღეთაების, მაგრამ ვერ შესძლო მსახურება მხოლოდ მას ერთის; ვერ შესწვდა, მსხვერპლად მიეტანა თვისი არსება და... დაკარგა ზეარსებული ბედი მცხინვარე.

— კარგადა ცხოვრობს. სანიმუშოდ მოაწყო კერა.

— ჰკვიანად სცხოვრობს! აზრი უძღვის ცხოვრების გზაზედ.

— გულიც სასეე აქვს, კმაყოფილი....

— წერიმან გრძნობებში კმაყოფილი გული ტანჯული, გაბზარულია იგი გული, განაწამები.

— იასეს გული გაბზარული?!

— ნამზნევი გული გაბზარული, ღრმა იარის საიდუმლოებასა მტკიცებელი.



## 36.

საკუთარ სახით განვითარდა ეს მძიმე განცდა: მთლად აბალნორჩი ეტრფიალა იასე ქალსა; მზე იმაზედ ამოსდიოდა; შემძიმდა შემდეგ მის მიჯნურობა თანაგრძნობას აშორებულნი, ძნელ საზიდ ტვირთად გარდაიქმნა ვაჟაკისათვის; ქალის პასუხმა ურკვეულმა ბოლოს მთლად მოსპო მისი იმედი და... დაპშორჩილდა ნებისყოფა გატეხილი ცხოვრების კარნახს მისნი საქმეელნი: გეართა მრავლება, ზრუნვა, შრომა, წაღმა მავალ კაცის სახელი. შეჰხვდა იმ ეამში მას მისი კოლი, ამგვარ ყოფისთვის შეზომილი, გამოწყობილი. სიყვარულზედ დაყრდნობილი მათი კავშირი, თუნდაც ერთმხრივზედ. მაინც რა უშავს მათ ერთობას მიჯნურობის ანარეკლით ციაგებულსა?! ცხოვრების ტვირთის ერთად ზიდვა გაამტკიცებს იმათ კავშირსა; შეილთა ყოლა, მათი აღზრდა გადააქლობს ორთა ცხოვრებას და უწყინარად გაივლიან გზას სიკოცხლისა. მიჰყვება მათ სამარემდინ მადლიერი მეგობართ თვალი, მათ არსებობით კმაყოფილი მოყვასთა ხსოვნა. ცხოვრების შეილნი, მავსებელნი, დავიწყების უფსკრულ ხნარცვისა. ვერ მიიტანდნენ მზისა სამყოფში მცხინვარე განცდის ბეჭედს უშლელსა.

შეურიგდა იასე დასკვნას, დაიკვართა ჩვეულებრივ ცხოვრებისათვის. ალბათ ეგონა, რომ მორჩა ტანჯვას, იმ მიუწითომელ ხატისადმი მისწრაფებასა, მიჯნურობის სახმილს განერა უცეცხლოდ მწველსა. შავრამ... უფერებლობა აედევნა პირველ ხნიდგანვე ბედნიერების. აჩრდილი რამ მიჰყვებოდა საზეიმო იმისსა წუთებს, მის სიხარულის უმაღლეს წამებს, ლანდი ლამაზი, მისთვის შევზნელი, სიბოროტის მასწავებელი. მეფედ რომ დასჯდა და დედოფალმა დაუმშვენა ბედნიერს გვერდი, მისმა გონებამ იმ ქალის ადგილს გააშუქა სულ სხვა სურათი: სამძიერის სახე, თვით იგი ცხადად!

— გონებამ, თუ უწყალო გრძნობამ?

— აზრს დაჰყვა გრძნობა და სურვილიც მათ მიეტოლა.

ძლივს შეიმავრა თავისი თავი განცვიფრებულმა. მძლავრად შეჰმართა მაცოთრ ოცნებას, დასძლია იგი და განაქარეა. დაეჭრებოდა გული თეონას, თუ მიმზედაიყო თავის ქმრის განცდას, ჩაუბნელებდა ის ჩვენება ბედნიერებას. ჰმადლობდა ალღოს, ნების ძალას შემდეგ იასე, რომ არ ატკინა მეუღლეს გული, არ ამჩნევინა საიდუმლო განსაკრთომელი. გადაიარა განცდამ საკვირმა, სიზმარმა მძიმემ, ცხადლივ ზმანებამ. გავიდა ხანი, განქრა ის ლანდი, სულისკვეთებაც დაავიწყდა კაცს იგი ბნელი. მზე თუ ერვენა ჩასვენებული უკვე სხვის კერძი, მისთვის არ ქმნილი, მისთვის შექმნილი, — იტყვიან მკვდრის მზე.

— გამოიცვალა იასე ჩვენი, მალე დაეტყო დაცოლშვილება: დინჯი, მოსაქმე, მოსიყვარული.

— არც წინად იყო გარდარეული, იალქნებ სხმული ან საშიში მომავლისთვის.

— აღარ თუ გახსოვს ერთს ხან მისი საუკუღმართო გზაზედ დადგომა? ღვინო, სიმღერა, საკრავთა ხმები, ვატაკება მთელ ღამეებში. შრში ამყოფა თვის მახლობელნი.

— გახსოვს ეგეცა! გადაიარა მაგისათვის დრომ განსაკუთრებულად სიყვარულმა გონი აჰხადა, ჩაულეწა ხასიათი, გადაავლო კარგ კარგობადან. საბოლოოდ ვერ დაერია ტრფოზის სიშმაგე.

— ბედი ჰქონია: უკეთესს შეჰხვდა, პირადაც ვარგსა, დოვლათიანსა. თითონ იასეც ესე ფიქრობდა. დაწყნარებით მუშაობდა დამშვიდებული. იქნებ უფრო ჰარბად დინჯი, სანამ ჰფერობდა: ახალს განთიადს ცხოვრებისას უფრო ჰშვენიის სხივთა ცეკვა ცისკროვნებული. გავლილ გრძნობიდან ისლა სჩანდა, ერიდებოდა წინანდელ სატრფოს: არ დადიოდა იმათი ქუჩით. აღარც გზა ჰქონდა: ცოლეურთას სცხოვრობდა უკვე. რად უკრთოდა ქალს, რად ეშინოდა მის შეხვედრისა, ეს ვერ ესმოდა: ბუნდოვან გრძნობას აჰყოლოდა, გაურკვეველსა.

მაინც არ ასცდა! ვიწრო ქუჩით მიდიოდა ჩაფიქრებული. სამძივარი გამოჩნდა შორით. იასემ იგრძნო მის მიახლება და შეუყოყმანდა. სამძივარიმაც გაბრუნება თითქო სცადაო. ველარ მოხერხდა. მდაბლად დაუკრა კაცმა თავი და წარსდგა მის წინ.

— ოქრომქედლებში საქმე გამიჩნდა და.. შუაბაზრიდან წამოვედი ამ ვიწრო ქუჩით.

— კარგად ბრძანდებით, გენაცვალე?

მაშინვე შეკრთა: უადგილო ადგილს იყო თქმა: „გენაცვალე“! წამოსცდა სიტყვა: ხშირად ხმარობდა არშიყოზის დროს. ეხლა... დაუკრა თავი, მისცა ხელი, წავიდა ქალი. გაჰყურებდა კეკლუც რხევით მიმავალ ღამაზს. ვადისო შუბლზედ ხელი; ბურუსი თუ გადიწმინდა გონებიდანა. ირყეოდა, რომ მიდიოდა. თვის ფიქრს ასდევდა ღრმა მორევად ირგვლივ მბრუნავსა.

— ჰე სამძივარი, სამძიმრად ჩემთვის ქმნილი ჩემი ღამაზი...

— შენივ მიზეზით!

— რას იტყვი მაგას?! ქალმა უარმყო! მე მხოლოდ...

— მხოლოდ შენ იყავ იქ დამნაშავე! აგერა ქალი ჯერეც ისევ თავისუფალი. თუ კი ეტრფოდი, თუ სავსე იყავ მის არსებობთა, რად არ ითმენდი?

— და როდამდისინ?!

— თვით სიკვდილამდინ!

— ნუ თუ შესაძლო იქმნებოდა სამძივარის ჩემად წოდება?!

— გასწი, განავარძე სავალი შენი!

დაჰკარგა თითონ თავისი ბედი, თვით გადასტყორცნა უფსკრულ მორევში. და მერმე როგორ?! ველარ შეეძლო ამისი თქმა, თუნდაც ხსენება. თავისთვისაც საიდუმლო თვისი მარცხი ეს საშინელი. ისე ცხადად აეხატა ეს ძნელი განცდა, რომ ვერ გაბედა შინ დაბრუნება: ეგონა, რომ შეუტყობდნენ მას ამ გრძნობასა. გაუხვია. იარა ბევრი გზადაბნეულმა. სად წავიდოდა?! მის სულში იყო ამომწვარი იგი შეგრძნობა. დრო წინანდელი. რჩევა მეგობრის:

— ძმაო იასე! ესეთ ტრფობით, შორით კდომით ვერას გაჰხდები მკვეთრი ნაბიჯი ხმალივით მჭრელი! ბოლო მოელოს მძიმე ამბავს დაუსრულებელს.

— თუ მოგეწყინა? ბარემ მეც მინდა, გათავდეს მალე; მაგრამ შეშინის: ღმერთმა კი ნუ ქმნას, ჩაგვეშალოს დაწყებულობა!

— სასიხარულოდ დაგიტავებთ შენს მტანჯველ ამბავს.

— მაშ?

— მოვიტაცოთ!

— არა! არა! ეწყინებუ და...

— მოგიწონებს! არ განრისხდება: შენი მკვეთრი მოქმედება გამოიყენას რყეულ ყოფიდან.

თენგიზი ცხენზედ. ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა წელში. სახიფათო საქმეს აღდა, იარაღი საჭირო არის. გივიც, ზურაბიც. რა წერწეტი ახალგაზრდობა! ლომს შეიბყრობენ. გამოჩნდა ეტლი, რა ცხენებია! შუადღე არის. გამოჩნდა სამძივარი ეხლა ქუჩაზედ: გუშინ უთხრა თავის მეგობარს, აქ შეგხვდებიო. აგერა ქალი! მარტო მოდის. რა უხდება ნაკერი ქოლვა!

— შეაყენე შენი ტურფა ჩვენს ახლომახლო და...

— სალამი ჩემი, ქალო სამძივარ!

ვერ მოასწრო მშვენიერმა პასუხის გება, რომ გაჩნდა ეტლი. არ გაიბრძოლა: გონს ვერ მოვიდა. უბრალო რამ მოძრაობა თუ ეგონა ტრფობით ნაწვევი: თავხედური ძალადობა მეტად საწყენი. რაინდები ეტლის ახლო მფრინავ რაშებზედ. მკლავზედ მიეშო გულშემოყრილი. კრწანისის ბაღში ტურფა თალარი. სამძივარი შიგ ფერნაცვალი. გვერდზედ იასე მუხლმოდრეკილი.

— ჩემო სამძივარ, არ შეშინდე, გენაცვალები! ჰე, ჩემთანა ხარ, შენ იასესთან. ძმად შეფიცულნი რაინდები...

— აგვისრულე სახვეწარი, დაზედ უტკებესო! ჯვარს დაგწერს მღვდელი შენს იასეზედ.

— მოგვეცი ნება, გაგვიცოცხლე შენგან გულმკედარი, — ყველაფერი უკვე მზად არის.

ქალი...

— კაცო იასე! საით მიდიხარ ჩაფიქრებული? ხმაც აღარ გამეც.

გამოფხიზლდა; გამოერყვა ბურან-ბურუსსა. არ გაეხარდა. მოჰბეზრდა ყოფა. შესძავდა თავი.

— რომ გამებედნა... სიყვარული მოხიბლავდა ქალის ლამაზ გულს; შეათვისებდა ჩემს პიროვ... ეხლა...

— არ თუ გახსოვდა, ქალ-ღმერთის პოვნა შესაძლო არის დიდის ბრძოლითა...

მოშვებული მოდიოდა თვის ოჯახისკენ: გული წრფელი ვერ მოჰქონდა თავის კერისკენ.

სამძივარი თავის სახლისკენ მიქვექეობდა. განშორდა მალე ნაცნობსა ხლობელს, აწ უკვე უცნობს. მაინცა გრძნობდა მისკენ მიმართულ ვაჟკაცის თვალებს, კიდევ ჰხედავდა. ურისხდებოდა:

— გეფასებოდი. ცოლშვილში მყოფსაც არ დაგავიწყდი. რად უღალატე მაგ საწყალს შენს გულს, დააკავშირე სულ სხვასთან იგი?! ჰა, ჰა, ჰა! არ აღმოუფხვრის შენ სულიდან ჩემი ალაღმა; განგაპატიეებს!

წყებოდა ქალი თავის თავზედაც:

— რაღას იცინი, ბედშეკრულო, ვის აყრი ხარხარს? შენს თავს თუ იმას, აწ უტახოს შენთვის? ის თუ გეგონა, ეშხით ბმული ველარ შესძლებდა მოსკედნოდა შენსა მზერასა. მოსტყუვდი, ტურფავ: დაწყენენ სარჩანაშესმხტკველნი იმ ვაჟაკისა...

ჯავრობდა ქალი სხვაზედ, თავისზედ და... ეძიებდა გაშმაგებით თავისსა ბედსა. ველარ ჰპოვებდა! სხვა ფარგალში გაეტანა თვის საძებარი, იმ წყობის ხალხში, რომ შესწევოდა შემოსულთ ყოფას, მათ ცხოვრებას თვალმახარას შიგნიდან ფუქსა. ბოროტ ეტლს თუ აეტანა ტურფა ქმნილება.

— იცოდე, ქალო! დიდდიდის თხოვნას ჩვენი ოჯახი ველარ აიტანს. მამა შენი არსად მსახურობს, მარტო თავის მამულს დაჰმყარებია; ეს კი იმოდენა შემოსავალს ველარ იძლევა, რომ...

— კარგი ცხოვრება ხელთუფლებსა აქვსთ, მეტადრე დიდებს, ეხლა ისინი გვეჯობნიან ჩვენ, მემამულეებს.

— მართალი არის! შეხეთ იასეს: წარმატება მიუციათ. გამგებელია. მინდა ვსთხოვო, მომიხერხოს რამე ადგილი.

— რატომა, შვილო! ხათრიანი კაცი არის, ჩვენთვის მარად კარგის მნდომელი.

მეტის მეტად აფასებდნენ ეხლა იასეს: მომკედარი თუ დანაკარგი უფრო ტკბილია.

და მიდიოდა მათი ცხოვრება ბუნებისაგან დაკვლეულ გზაზედ: ის წინ ვიდიოდა, თვის ნაშრომში იფურჩქნებოდა, იმის ნაშენში მრავლდებოდა მის პიროვნება; მომავლისაკენ გულსავესებით იმზირებოდა. ეს მოდიოდა უკან და უკან; გზაგზა ჰფანტავდა ლამაზ სახეებს, რომელი ეზღვნა გამჩენისაგან სალორძინებლად. მომავლისაკენ შიშის ზარით იყურებოდა: იმის ხომალდი წინ წინ ვლინდა, ახალახალ განძეულით იტვირთებოდა; ამის კატარღა დასაველეთისკენ მიისწრაფოდა და ხუნდებოდა, გზაზედ ცვდებოდა, მასზედ ტვირთული ტურფა ნიჭი იფანტებოდა. ესეთია უნდობელი წუთისოფელი! იგი მარად მოძრავია, დაუდგრომელი და თუ წინ ვერ ხვალ, წაღმა არ მსვლელობ, უკუღმა ბრუნავს შენი ბედის ბორბალი მძლავრი.

და გამოჰბმოდა არსი ლამაზი, ნიჭთა სიმრავლით სავსებით სავსე, უკუღმა მბრუნავ ბორბლის ეშვსა; მოსპობისაკენ მიისწრაფოდა.

— ნუ თუ უკვალოდ ჩაქრობისაკენ?!

ახ, ილეოდა ტურფა ნაკადი ლამაზ სიცოცხლის, მთლადაც შრებოდა. რისთვის, რადიო? ცოდვა ხარ, ქალო, სამძივარო, სამძიშო განცდად ჩემთვის ქმნილო, ჩემო ლამაზო! როგორ დამტანჯე შენი ტრფიალი! მადინე ცრემლი...

— ვინც დაფლა ნიჭი, კერძია ჩემი! სთქვა ბნელის შვილმა.

— ნათელთ მეუფის ქმნილებაც კი ბოროტის ხვედრი?!

— თვით მან აწესა!

ახ, შედგა ჩლიქი სამძივარის არსებაშია. კმაყოფილებით ილიმოდა სული ბოროტი. სიკვდილია მისი კვალი, სრული მოსპობა. ქალის მფარველი ანგელოზი, ნათელთა შვილი, გულნატკენი განვიდოდა იმისაგანა. როგორი სევდაა აქსახოდა კეთილ თვალებში!

— გვედრები, ნუ გასწირავ ჩვენს სამძივარსა, ნუ აუფლებ ღამაზ არს-ზედ მსაობ ბოროტებას!

— ვერ შემძლებელ ვარ! უნდა მიეზღოს: მოვლინებულ იქმნა ქვეყნად მშვენიების ფესვად, ყოვლად მნათი შემოქმედის სახის მუკელეუფლებას კი დაფლა იგი ნიჭი, არ განამრავლა. ვერლა მიუწყოს კეთილმუკელეუფლებას დღე-ნებით. მოწვევულ არს ამისათვის ეამი უქამო!

## 38.

— აღარ სადა სჩანს სამძივარი. მთელი კვირაა, არ დამინახავს.

— სხვაგან სადმე გაიწვევდნენ ნათესავებში.

— სოფლად ხომ არ წაიყვანეს?

— რად წავიდოდა, ჯერ ახალი გაზაფხულია?! თავისებიც სულ აქა-ჰყვანან.

— ავად არისო სამძივარი. ექიმბაში მიუყვანიათ.

— ავად რად არის ქალი ჯანსალი?

— აბა რა ვიცი! ამოდენა დედაკაცი მოვიყარე ამ უბანშია და მაგისი ავა-დობა არა მსმენია.

ავად იყო სამძივარი უცნაურის ავადმყოფობით. დაწვრდ აჩნდა ხუწუწი ჩა-ლურჯებული. რა უშავდა! ბევრი ჩნდება ტანზედ კორძი და იკარგება. ქალ-მა დიდი ყურადღება არ მიაქცია ნამზნევ ადგილსა, თუმცა სწყინდა მის აღ-ნოჩენა ლოყაზედ. გაშლილ ვარდის შუაზედ. შესჩივლა დედას. გასინჯა იმან გულდასმით წყლული, ვერაფერი ვერა ნახა საფიქრობელი.

— არა უშავს რა, გენაცვალე! წასვლას ნუ იშლი მაგის გულისთვის. ქარ-ბად წაისვი ზედ უმარილი, რომ უტხო თვალმა ვერ შენიშნოს პაწაწა ხინჯი ეგ წამიერი. ქალმა აასრულა რჩევა დედისა. რომ ირთებოდა, უცაბედად ქინ-ძისთავი ჩამოჰკრა ნამზნევს და გაიფხაქნა. აღარ იქმნა, ვეღარ მოურჩა. ექიმის რჩევა, აფთიაქის, შინაური მალამოები. ამაოდ დარჩა ყველაფერი. ჩაჰკამა ხო-ცი. განზედ გაიდგა ლურჯი ფესვები. საშინელი სენი აჩნდა ორმაგ მტანჯვე-ლი: ხორცთა ჩაღობა, სულიერი განპატიყება, იკარგებოდა ქალის საუნჯე. სამძივარი სახე დაშლილი?! არ ეგების ეს! ესეთი დიდი სისასტიკე გამჩენე-ლისგან?!

სიკვდილამდინ მიწურა ქალი სენმა ბოროტმა. ნავლი-ლა იწვა სარეცელ-ზედ დიდებულის ქანდაკებისა. შუქმითოლოარე სიმშვენიერე იავარქმნილი. ტიროდა ქალი მიმტკნარებული.

იარის ზრდას დაერთო ზედ ძნელი ციება. ვერ შეება ამ ცხროვებას ვერა წამალი. დაიღალა ექიმბაში: დასძლია ის ავადმყოფობამა. ერთს ხანს კიდევ გაუმავრდა ქალის მძლავრი აგებულობა; გადატყდა იგი; დაიშრიტა სხეულის ძალა. მოედო უბანს, სამძივარი გარდაცვლილა. ენანებოდათ მოსაპობილი კარ-ვი სიცოცხლე.

— საწყალი ქალი! ჩვენის უბნის ჩირალდანი, მისი მშვენიება.

— გული ჰხარობდა მის დანახვაზედ.

— მაისის ვარდი ტურფად შლილი მოარხვედა ტანსა კენარსა.

— რამდენს უყვარდა! ბევრი ჰყვანდა თაყვანისმცემი.

— მაგრამ ყველაზედ თავდადებით ეტრფიალა იმას იასე.

— როდი შეგონა, სხვას აპყვებოდა ცხოვრების გზაზედ.

— სულ უგრაძნობელნი არიან კაცნი; ცოლ-შვილიანა ეტყვიან მინდობელნი.

— დაიფიქრებდა იასე საწყალს?

— აუცილებლად! რაღა დროსია?!

გაქცეული

გვირგვინი

მეტად სცდებოდნენ მოსაუბრენი. გულთმისნები თუ ვერ იყვნენ, ფიქრ-მახვილები: ქალის ტანჯვის ეამს უხილავი იარა ანდა იასეს გულში, ავი მუწუჯი, ფესვგანრთხმული, მაცხოვრებელი. ქალის სენი მოჩინარი; მის იარა შემწნეველი, მთლად უჩინარი.

— რა ამბავია, კაცო, შენს თავს; დაღვრემილი რომ დადიხარ, დამარებული? ბოროტი რამ მოგვევლინა, ან თუ მოგველის?

— არა, ქალო! ავი ჩვენს სახლს არ მოსვლია და არც მოგველის.

— მაშ რა...

— მაცა, გენაცვა! გადივლის ბნელი, გადმეწმიდება ცა შელრუბლული. მაცა, გეთაყვა!

\* \* \*

ანჩატის ეზო ხალხით სავსე, ქალით თუ კაცით. მღუმარედ იყვნენ. თუ იტყოდნენ, უხმოდ, ნიშნებით. ქუჩაში იდგა ბალდახინი, სამრეკლოს ახლო. ბალღები გარს დაჰხვეოდნენ შავად მოსილ მეეტრეებს, იმათ ცხენებსა; შიშით უმხერდნენ: ხშირი არ იყო ამ დიდებით დასაფლავება. თეთრი კუბო შავით მოსილ მაგიდაზედა. კუბოში ქალი უმურაზოდ განსვენებული. ყვავილი მრავლად, კუბო სავსე ახლად მოსთვლილ ყვავილებითა. აღარ მოსჩანდა საწყლის იარა: გაშლილი ვარდით დაფარნათ იგი ნამწნევი.

— ვარდი ლამაზად გაფურჩქენილი ყვავილებს შუა.

— იგიც მოსთვლილი, დასაშლელად განშადებული.

დათალბული მახლობელნი კუბოს გარშემო. სრულდება წირვა სასოებით. დეკანოზი, იოანე ცრემლით მეტყველნი. ეკლესია გაქედილი თანამგრძობლებით.

— არ სჩანს იასე, შენი ქმარი! ნეტა სად არის?

— არ ვიცი, დედი! მე შევსთხოვე მოსულიყო, პატივი ეცა. ხმა როდი გამცა.

— საჭირო იყო, დასწრებოდა მეზობელის უბედურებას, წარსტქვა წყენით მამიდა მართამ.

თავდება უკვე ღვთისმსახურება: ანდერძს უგებენ. მთლად გაიჭედა ეკლესია; შენივთდა ხალხი.

— გზა მიეცით, გადქვით განზე!

მოარღვევდა ხალხს იასე ყვავილების გვირგვინით ხელში. მიატანა კუბოს. მივიდა, დააკვირდა მიცვალებულსა. და... შეამკო ქალის ნაშთი თეთრი გვირგვინით. დაეკონა, დააკვდა შუბლზედ. უხმო ქვითინი. თრთოდა ძლიერად. ცრემლის ნაკადით ულტობდა სახეს.

გაქვავდა ხალხი. შესდგა ხმაური. შეჩერდა წამით ღვთის მსახურება.

ძლიერებით გამომკრთალი გრძნობა უკვდავი. შესაზარად მეტყველებდა სიყვარული სიკვდილზედ მწეავი.



## მ რ ი ლ ე ქ ს ი

რუსთაველის პროსპექტი

ის, შენობებში ჩამჯდარი თეთრად,  
დიდი რუსთაველის სახელს ატარებს,  
მოდთან, მაგრამ მასთან შეხვედრა  
ვერ გაუბედავთ ქუჩებს პატარებს.  
ყოველი ქუჩა კაცის თვალებით  
მოდის აქეთკენ და გზას უნდება,  
მოვა, შეხედავს მას მოკრძალებით  
და მერე ისევ უკან ბრუნდება.  
ზოგი წარსულის ამბებს მოყვება —  
როგორ იწოდნენ ცეცხლში, ლაღარში,  
ვახუშტის ქუჩა მტკვარს გამოჰყვება  
და მოშორებით ეტრატს გადაშლის.  
ბესიკის ქუჩა ამბობს შაირებს —  
მართო სიმღერა არ დაშვენიდება  
და ჭავჭავაძის ქუჩას ჩაირეცს,  
თვალს გააყოლებს და გაჩერდება.  
ზოგიც ბუტბუტებს — როგორ დაებერდით,  
(მარადი ყრმობა სურდათ მოხუცებს).  
და ჰხიბლავთ შოთას პროსპექტის ბედი  
ჩახრუხაძის და შავთელის ქუჩებს.  
ჰხიბლავთ და მისკენ მოდიან დინჯად,  
შნოსა და იერს მატებენ ჭალაქს  
და, როგორც ერთხელ დასახულ მიზანს,  
ირგვლივ უვლიან უწმინდეს ალაგს...



საქართველოში იბადებოდნენ  
და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე —  
ეს... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს  
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.  
თავს არ მოიკლავს ვაჟაკი, არა,  
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს

იმ იმედით რომ სიცოცხლე მარად  
 გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.  
 საქართველოში, როცა კვდებოდნენ  
 უფრო და უფრო სწუხდნენ ამაზე.  
 ეხ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს  
 ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.  
 ჩვენ ვაჯაკობა ძველთაგან მოგვდევს,  
 ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს.  
 ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოგვკვდეთ,  
 მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს.  
 რადგან სიცოცხლე ასე ნაფარდობს,  
 სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ  
 და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,  
 როცა ჩვენ ვაეჩნდით ამ ქვეყანაზე.

---



## გაზაფხულის უსნაურობა

— რა კარგი დღეა!... — ახალგაზრდა ქალმა ქისკართან კუნძუე ჩამომჯ-  
დარ ყმაწვილ კაცს გადახედა, — ახლა სატირალში წასვლა ცოცხალი პირდა-  
პირ, არა, ცოტნე?...  
ქისკარტი

ცოტნემ მათრახის ტარით ყაბალახი წარბებს ზევით აიწია და კროლა  
თვალეებით გაიღიმა.

— რას იზამ...

— რას იზამ!... — გამოაჯავრა ასინეთმა, — შენ კი ისე მუპატივები, გე-  
გონება ქორწილში მივეყვარო.

— კაი, ახლა, ასინეთ, გასვენებაზედაც თუ აღარ წავედით, აბა, რითა  
ეცეთ პატრვი მიცვალეზულს. მე რას მესაყვედურები, ჩემ სატირალში ხომ არ  
მიღიხარ.

— ჰოი, შენ სიკვდილს მოვესწრო და ტირილი კი არა, სულ ასკინკილას  
ვითამაშებ.

— ჰო, დაუჩქარე, დაუჩქარე. — ცოტნემ მოუთმენლად შეისწორა პაიჭუე  
ყვითელბალთიანი ლეკვერთხი, — ამდენ ხანს ერთი ბრმა ცხენი ველარ შევი-  
კაზმავს და კიდეე ბევრს ლაპარაკობ...

— მოდი, თუ ძმა ხარ, მოსართავეები მოუჭირე, მე ამ წუთში მოვალ.

ასინეთ ზმორებით წავიდა ოდა საბლისაკენ; დილიდანვე მოუსვენრად  
გრძნობდა თავს, კარგად გამოიძინა, მაგრამ როცა ლოგინიდან წამოდგა —  
სხეულს თითქმ არაღა რაღაც ფეხის კუნთები თავისთავად ეკუმშებოდა და  
მოალერსე კატასავით მოძრაობდა.

ქალი ოთახში შევიდა, კედლის სარკეს მიუახლოვდა და თმები შეისწორა.  
„ნამდვილ მოზარეს კი დავემსგავსე ამ დარაიის თაღს კაბაში... — გაიფიქ-  
რა ასინეთმა, — მაგრამ მაინც რომ კარგი ვარ, მაინც!...“

ახალპირდაბანილი კატის სიამაყით იცქირებოდა სარკიდან შავგვრემანი  
სახე შავი თვალეებითა და შოგრძო ნიკაპით; თაღში ფერები ვერ ჩრდილავდ-  
ნენ თვალეებში სინდიეის ბურთულეებით გაბნეულ გაზაფხულის მზის ანა-  
რეკლს და მთელი სახე უნებურად უღიმოდა. ასინეთმა თავისთავს შესცინა,  
თეთრი კბილეები გამოაჩინა, მერე ვილაცას, მგონი იმათ, ვინც მოზარეობა დაა-  
კისრა, მარჯნისფერი ენის წვერი გამოუყო, კიდეე უფრო მოეწონა თავისი  
თავი, დონჯშემოყვრილი ჭუსლებზე შემოტრიალდა და კარებში გავარდა.

— რას შერები ამდენ ხანს, ცოტნე-ჭირისუფალო...

ქალმა ხელიდან გამოსტაცა ბიქს ცხენის აღვირი, ყაბალახი ცხვირზე ჩა-  
მოუფხატა და წამსვე უნაგირზე გაჩნდა.

— ჰაი, გადაგრიოს ჩემმა გამჩენმა... — წაიბუტბუტა ცოტნემ და ყაბალა-  
ხის სწორებით წავიდა ქისკართან დაბმულ ულაყისკენ, — მართლაც და რა  
უნდა ამ ალქაჯს სატირალში.

წაბლამ, როცა ულაყის ფლოქვების ხმა გაიგონა, ყურები შეარხია, ცი-  
ლისფერი ბრმა თვალეები მიაბრუნა ულაყისკენ და გაუბედავად დაიჭიხენია.

„ამასაც დაეტყო გაზაფხული“... — გაიფიქრა ასინეთმა, შუბლი ხელით  
დაიჩრდილა და შორეულ, თითქო იასამანის მტევნებისგან ნაშენებ ეავკასიო-  
ნის მთებს გახედა.

გზაზე ცხენებით მზარდამზარ გავიდნენ. ასინეთმა დაბრილ წამწამქვეშ ისე შეათვალა იერა შავს, ტანმოორჩილ ულაყზე მჯდარი ცოტნე, თითქო აქამდე არ ენახა. ცოტნე ქერა იყო; ტანზე ცარიელ საჭილეებიანი შავი ჩოხა ეცვა და წვივებზე შავი პაჭიკები.

ვიწრო შარავზას, რომლითაც ცხენოსნები მიდიოდნენ, მხრიდან მისდევდნენ სიმინდის ყანები. ყანების სიმწვანე შეუმჩნეველად უერთდებოდა ტყის ზოლს და გამოძინებული ბავშვის თვალეზივით მოკრიალბულ ცაზე პორიზონტი მოულოდნელად მთვარდებოდა ისამანისფერ კავკასიონის მთებით, რომლებიც თითქო მოახლოვებულყვენ ამ გზაზე მდებარე დილით.

ნაწვიმარზე გავლილ ურემს ორი ღარი დაეტოვებია უკვე გამზმარ აყალო მიწაში. ცხენოსნების მოახლოვებისას თბრილიდან მტრედისფერი შავლაქებიანი ბოლოქანქალა წამოფრინდა, ყანისპირას დასკუპდა და გრძელი კულის რხევა განაგრძო.

— ამინდს კარგი პირი უჩანს, — თქვა ცოტნემ, მათრახი გაიქნა, ფრინველი დააფრთხო და ქალს გადახედა, — თოხენის დროც მოვიდა.

— თოხენის დრო კი მოვიდა, მაგრამ შენ კომკავშორელები სატირალში დაგყავს, ამხანაგო კომორგო, და სიმინდი თითონ არ გაითოხნება...

— კაი, ახლა, ასინეთ, ნუ ეწევი პროვოკაციას. ჯერ ერთი დღეს დასასვენებელი დღეა, მერე კიდევ — ის ქალი პატივისცემით უნდა დაეასაფლაოთ. საწყალი თებრონე დუდრუხანის დედა იყო, დუდრუხანი კი ჩვენი პირველი სტახანოველია...

— შენმა მზემ!...

— პო, ვიცით, შენც სტახანოველი ხარ, მერე და რაკი სტახანოველი წარ და პატეფონით დაგაჯილდოვით — გასვენებაზე აღარ უნდა წახვიდე?...

— რაო? მოვალე ვარ ყველა გასვენებებზე ვიარო?

— კარგი, ასინეთ, არავინ არაფერს გავალგებს, თებრონე ჩვენი ამხანაგის დედა იყო და პატივი უნდა ეცეთ.

— მეც ვიცი, მარა ხარი და მოთქმა სულ სხვაა... რომ არ მეტირება?...

— არც უწინ ეტირებოდათ ხოლმე, მაგრამ ზოგი მოზარეობით ცხოვრობდა.

— ის სხვა დრო იყო, ჩემო ძმაო, მაშინ კაცს თუ საკუთარი ცრემლები იმედი არ ჰქონდა, სხვებს დაუძახებდა და გაჭირვებული ხალხი ქეღეხის ნარჩენ ლავაშისთვის მზად იყო დილიდან საღამომდე მოთქმით გაეყრუებია სოფელი, ახლა, ბიჭო რაღა დროს მოზარეობაა!...

— მოზარე იყავიო, ვინ გაძალგებს, ქალიშვილო.

— ეჰ, თუ სატირალში წახვალ, კიდევ უნდა იტირო, მეზობელია და დაგზარახვენ.

— პოო, მეც მანდა ვარ! შენი ხასიათის პატრონს რა უნდა სატირალში, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ხნიერ ხალხს და შევასრულოთ ეს პატარა ცერემონია; უწინაც ხომ ყოფილხარ ვინმეს გასვენებაზე. მერე, როცა დავასაფლავებთ, თუ გინდა „თებრონე მიდის წყალზედა“ იმღერე...

ასინეთს ჩაეცინა... „თებრონე მიდის წყალზედა“... — ქალი შეეცადა მოეგონებია ამ იმღერის მოტივი. კარგა ხანს ეძებდა მესხიერებაში ნაცნობ ხმებს, მაგრამ ამაოდ.

ნებაზე მიშვებული ცხენები აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ; ნიაიე არხვე-  
და მზეზე მწვანედ მოლაპლაპე სიმინდის ნორჩ ფოთლებს და ცოტნეს თეთრი  
ყაბალახის ბოლოს.

ასინეთს დაჯინებით მოუნდა იმ სიმღერის ღლინი. მან, <sup>დაქუცხვირ</sup> <sup>მეცხერ</sup>  
კიდევ სკადა მოტივის მოგონება. ძებნაში სხვა სიმღერებს წიამდე —  
მინდი, „ბიჭებო, ვთოხნოთ სიმინდი“, „მაღლობზე გადმომდგარიყო“... „თებ-  
რონე“ კი სულ არ ეკარებოდა სახმო სიმებს, სიტყვები არ დავიწყებოდა:

‘თებრონე მიდის წყალზედა,

კოკა უღვია მხარზედა.

‘თებრონე კოკა ჩამოდგი,

გადამიგორდი მკლავზედა...

მაგრამ, მოტივი...

კოტნე სდუმდა და ფიქრს არ უშლიდა. ქალი ცდილობდა როგორმე დაე-  
ჭირა ნაცნობი ხმები. ყურს უდებდა ცხენის ფლოქების დარტყმას კოპიჭნარ-  
ზე, სიმინდის ყანების ჩუმ შრიალს, კოლოს ბზუილს, საკუთარ სუნთქვასაც,  
მაგრამ ათას გვარ ინტონაციებისაგან, რომლებიც მის სმენამდე აღწევდნენ, არც  
ერთი არ უდგებოდა „თებრონეს“. პირმოკუმული ასინეთი ბგერების კორიან-  
ტელში დაბორიალებდა, აკომპანიმენტს ეძებდა და თან უნაგირში მკუდროდ  
მჯდარი და თვალმინაბული სიამით იშმუშნიდა მზრებს ვაზაფხულის მზეზე.  
ნაცნობი სიმღერა ქალს ენაზე უთამაშებდა და სანატრელი სიზმარივით არ  
უნდოდა მისი გაშვება, მაგრამ ხმები საჭირო წესრიგით არ იკრიბებოდნენ.  
და თან ეს ხმები უცნაურად იზიდავდა ასინეთს; გრძნობდა, რომ მისი ახალ-  
გაზრდა სხეული ვამოძახილს აძლედა ვაზაფხულს.

გამჭვირვალე ჰაერი მიწის ოხშივარით ივსებოდა, იასამანისფერი კაგკა-  
სიონის მთები ოდნავ კრთოდნენ ამ ორთქლში, ცა თითქო ეღერდა დარბეულ  
სიმივით და გზისპირას დამდგარ გუბეებში წყლის ზედაპირიც ირხეოდა ცის  
ბუნდოვანი ანარეკლით. მთების მოჩვენებითი რბევა, სიმინდის ფოთლების ჩუმი  
შრიალი და ბაყაყის წამოძახილი ქმნიდა ბუნების ერთ სიმღერას, და ასინეთს  
გულთ სურდა თავისი ხმა მოესმინა ამ სიმღერაში. მაგრამ „თებრონე“ მეხსიე-  
რებას დავიწყებულ სიზმარივით გაურბოდა.

ასინეთს თვალწინ წარმოუდგა ლექსის გმირი, წვივშიშველი, მზენაკოც-  
ნი გოგონა, მხარზე კოკით, ტანის რბევით წყალზე რომ მიიჩქარს. ცალი ხე-  
ლით კოკა უჭირავს და მაღლა აწეულ მკლავის გამო მკერდის მოხაზულობა  
კიდევ უფრო თვალსაჩინოა ჩითის კაბის ქვეშ. შავი თმის კულული ნამგლად  
ჩამოშლია ლოყაზედ და მაცდური ღიმილით მონაოპებულ ტუჩის კუთხესა ფა-  
რავს.

როგორ დადევნებოდა მას ბიჭი მხურვალე ალერსის მოლოდინით ტყი-  
ლი და მაცდური სიმღერით!...

მაგრამ, მოტივი, „თებრონეს“ მოტივი...

ქალი უკვე ფიქრობდა, ვითომ დილინდელი მოუსვენარობა სწორედ ამის  
ბრალი იყო: სხეული რომ ლოგინიდან უკმაყოფილო აპყვა, სარკვეში იჭირე-  
ბოდა და მთებიც იზიდავდნენ, — ეს დაკარგულ „თებრონეს“ გამო ზდებოდა სულ.  
ასინეთი მოუთმენლად მიუბრუნდა ჩაფიქრებულ კოტნეს:

— ცოტნე, აბა თუ გახსოვს „თებრონე მიდის წყალზედა“.

ცოტნემ ქროლა თვალებით გაიღიმა და გაუბედავად გააოო მარჯვნივ — თებრო... თებრონე...

— აჰ! გაჩემდი, შენ მგონი „სულიკო“ დაიწყე...

ცოტნე უხერხულად შეირხა უნაგირზე.

-- რა ვიცი... მე რა მომღერალი მნახე...

ასინეთი ისევ თითონ შეუდგა ძებნას. მას ახლა აღარაფერი ახსოვდა, პეი-ზაფხის ფერები ბგერებად ეჩვენებოდა და როგორც მხატვარი ყალბით ისე ცდილობდა ხმებით მათ ასახვას. უამრავ სიმღერებიდან, რომლებიც მან იცოდა, ამ წუთში არც ერთი არ ეგონა „თებრონესა“ მომზიბლავ ტკბილზმიანი.

„რამ გამომამშტერა, კაცს მჭადის სახელი დაავიწყდაო... თებ-რო-ნე... აჰ, არ გამოდის! იქნებ ბოლო მახსოვს — თებრონემ კო-კა... მაინც არა. რა უბედურებაა, მინდოდეს და ვერ ვიმღერო, ჰა?... თებრონე... ფუ! ალილო!... საიდან მომავონდა ეს ალილო!... მაინც, რამდენი ხანია „თებრონე“ არ მიმღერია, სულ პატეფონს ვაქყვიტინებ და ჯაზებში ჩვენებური სიმღერები გადამავეიწყა. სჯობდეს მაინც, სად ჩენი გულგაშლილი სიმღერები და სად იმათი ჩხარაჩხური და ფშუტუნის, ქინკების ჭორწილი მეგონება“...

ფეჭრებში გართულ ქალს არც გაუგია, როგორ მიადგნენ სოფლის განაპირას მდგარ კრამიტით დახურულ ოდას, მით უმეტეს, რომ „ჩამყოლები“ არ დახვედრიათ.

როცა ცხენებიდან ჩამოხტნენ და ქისკარში შევიდნენ, ასინეთმა ყურადღება ოდის წინ ჩამწყრივებულ ატმის ხეებს მიაქცია მხოლოდ. ატმები ჰყვოდნენ და ქალწულის ტუჩის ფერი საოცრად ამშვენებდა წვიმისაგან გაშავებულ ფიცრულ სახლს.

ხეებთან ჭრელფარდავიანი ტახტი იდგა. ზედ ყავარჯინიანი მოხუცი კაცი და ორი წელში მოხრილი ბებერი ქალი ჩამომსხდარიყო.

სახლს მტრედების გუნდი დაფარფატებდა, მტრედების ჩრდილი მოძრავ ხალხებად დაცურავდა აყვავებულ ატმის შტოებიდან კრამიტთან სახურავზე და წამით აქრობდა სარკმლის მინაში ანარეკლ მზეს.

ცოტნემ ცხენები ეზოს ბოლოში კონინარზე გაუშვა და თვითონ ოდაში შევიდა. ასინეთი თავდაცვრით მიესალმა მზეზე გაყურებულ ბებრებს, რომლებმაც ჩამჭრალ თვალებით გულმოდგინედ შეათვალიერეს ახალგაზრდა ქალი და ატმის ხეს მიეყრდნო. სამიძიარი გარდაცვალების დღეს ქონდა ნათქვამი და ახლა თავისუფალი იყო. იგი ჩუმად, გუნებაში ისევ ეძებდა „თებრონეს“ მოტივს; თვალმილულული იდგა ხის ქვეშ და გრძნობდა, რომ ატმის ყვავილეების სუნისა და გაზაფხულის მზის მცბუნვარებისაგან სუნთქვა ეკვროდა და ნეკრდზე ვიწროდ ეჩვენებოდა დარაიის თალხი კაბა.

ოდიდან თმაგაშლილი ქალები გამოვიდნენ. მათ უკან მამაკაცებმა კიბეზე ფრთხილად ჩამოიტანეს თავახდილი წითელი კუბო.

ლუჩაქიან, საქორწინო თეთრ კაბაში გამოწყობილ მიცვალებულ ქალს წაწვეტილ ცხვირზე სანთლის სიყვითლე დაჰკრავდა.

კუბო იმ ტახტზე დაუშვეს, ცოტახნის წინ რომ ბებრები ისხდნენ.

ყველა გაჩუმებული იყო. მიცვალებულის გვერდით ან გაჰკივიან ხოლმე, ან სულ სდუმან, თანაც ეტყობოდათ — თრისა არვის აუტყდებოდა. ასინეთი

ისე უაზროდ ადევნებდა ყველაფერს თვალყურს, ვითომ იქ არც კი ყოფილიყოს.

კუბოში ჩასვენებული ლეჩაქიანი მოხუცი ატმის ყვავილებს მკერძს თავს თითქო უხერხულად გრძნობდა. ფიცრებშუა ძალით ჩატენილყო მკერძები, ოღონაც მოლრეცოდა და გულბეზლდაკრეფილი ისე მოჩანდა, თითქო უფროსი კუნდა, მაგრამ ხალხისა ცხვენინაო.

მტრედების გუნდი ისევ დაფარფატებდა ეზოს და მუშტისოდენა ჩრდილების გროვა ატმის შტოებიდან კრამიტთან სახურავზე და კონინდარზე დაცურავდა.

ოდიდან ნაძვის ტოტებით შეკრული გვირგვინი გამოიტანეს და კუბოს თავთან მიაყუდეს ისე, რომ ყველას წაეკითხა წარწერა შავარშიან მუყაოს ნაქერზე. შემდეგ დაბალი ჯორკოები მოიტანეს და მიცვალებულის გარშემო ნახევარწრედ ჩაამწყრივეს.

ასინეთმა შეჩვეული მოძრაობით სწრაფად დაშალა ნაწნავეები, თმა მკერდზე და მხრებზე დაიფინა, სახელაელაქა ივლიტეს მიუჯდა გვერდით, თავი უკან გადასწია, ხელები ილღიებში დაიმწყვდია და წამწამები დახარა. რამოდენიმე წლის წინ ხშირად მიუღია მონაწილეობა ასეთ ცერემონიებში და ახლა არაფერზე ფიქრობდა. მხოლოდ, თავისთვის, შეუგნებლად ისევ მღეროდა, დაეინებით ეძებდა მოტივს.

ქალარა ქალი, მიცვალებულის შვილი, კუბოს თავთან ჩამოჯდა ჯორკოებსხვა ქალებმაც ნახევარი წრე გააკეთეს კუბოს ირგვლივ და...

— ვა-ვაა-აიჰ!

გაისმა სასოწარკვეთილი შეძახილი.

ატმის ყვავილებიდან ორიოდ ფურცელი ჩამოვარდა.

ეზოს ბოლოში გაშვებულმა ბრმა წაბლამ ბალახის ძოვნა მიატოვა, ასწია თავი და რძეჩადვრილი თვალებით გაიხედა ოდისკენ.

— დია ჩემო-ო!...

ქალების გუნდმა ამოიოხრა, ხოლო მტრედების გუნდი ცაში კიდევ უფრო მაღლა აიწია.

— რაზე დაგეტოვებე...

— უკვე გაზაფხულდა და ბეოლამ ფოთლები გამოისხა... — მოთქვამდა ერთი.

— ეო-ოჰ, ვინდა დასვამს აბრეშუმის ქიას? — აგრძელებდა მეორე და ლოყებს თითქმის იხოკდა.

— უ-იჰ, ჩვენო თებრონე...

— რა გამრჯე იყავ და რა ხელმადლიანი... — ყველას ხმას ფარავდა უმარილშეცხებული ზორბა დედაკაცი.

— ხნიერი იყავ, მარა ბევრ ყმაწვილ ქალს ჯობდი... — იძახდა შეეთავსაფრიანი ბებერი და საათის ქანქარასავით არბევედა თავს.

ასინეთი გულმოდგინედ აძლევდა მოძახილს საერთო მოთქმას და თან ტირილის ტაქტის მიხედვით მთელი ტანით ირხეოდა ჯორკოზე. მან შეამჩნია, რომ მეზობლად მჯდარი სახელაელაქა ივლიტე განუწყვეტლივ იმეორებდა ნახევარტონით:

— თებრონე, თებრონე, თებრონე-ო...

ივლიტეს ალბათ ეზარებოდა საერთო მოთქმას აპყლოლდა და ჩაფიქრებულ  
მშვიდად ღიღინებდა:

— თებრონე, თებრონე, თებრონე-ე-ე...

— ვაჰ, ყველა წუხს შენს წასვლას... — მოთქვამდა ქვეყნის მკვიდრი  
კოტნეს ყაბალახი მოხადა და ატმის ხეებთან დამდგმარს მკვიდრს აგადა-  
ვარცხნილი ქერა თმა ზღარბივით ჭონდა აბურძგნილი.

— ვა-აიჰ!... — სხვებთან ერთად მოსთქვამდა ასინეთი და ივლიტეს აკვირ-  
დებოდა. ჩაშტერებოდა ივლიტე ერთ წერტილს და ლაქაღა სახეზე კუნთშე-  
ურხვევლად ღიღინებდა ხმადაბლა:

— თებრონე, თებრონე, თებრონე...

ასინეთმა ისევ კოტნეს შეხედა.

— ვა-აიჰ, რატომ დაგვტოვე-ე... — აგრძელებდნენ ქალები და უთუოდ  
კიდევ დიდხანს არ აპირებდნენ გათავებას.

— თებრონე, თებრონე, თებრონე...

გარკვევით ესმოდა ასინეთს ივლიტეს მოთქმა თუ ღიღინი და კოტნეს  
უყურებდა.

და უეცრად კოტნემ შეამჩნია, რომ ასინეთს ისე შეეცვალა სახე, თითქო  
ნაცნობი ვინმე დაინახაო, დახრილ წამწამქვეშ თვალებმა უცნაურად გაუღლ-  
ვეს, ტუჩები შეუღუნებულ ღიმილით შეუთამაშდა, ასე სიზმარში იღიმებიან  
ხოლმე, და... საერთო მოთქმაში მოულოდნელად გაისმა უცნაური ტირილ-სიმ-  
ღერა, ერთი წუთით გადახლართული და ერთმანეთისაგან განურჩეველი:

— თებრო-ნე მიღის წყალ-ზედა...

შემპარავი, უძალადო ხმა ბადაგივით ჩაიღვარა გაზაფხულის მზის გამთ-  
ბარ ჰაერში და მიჩუმდა.

მოთქმა წამით შეწყდა და ყველამ მოიხედა ასინეთისაკენ.

ასინეთმა სკამზე წამოიწია, ხელები მიიფარა სახეზე და იმავე ხმით, სიმ-  
ღერითა და მოთქმით, სულმოუთქმელად შესძახა:

— ო-ოჰ! რაზე დაგვტოვე, თებრონე-ე...

— ვა-ვა-აიჰ! ჩვენს უბედურ ფავს! — უყოყმანოდ გამოეხმაურნენ ქა-  
ლები.

— ვუ-უიჰ, რას გვერჩოდნი... — მიეშველა ჭაღარა ქირისუფალი.

— უი! უი! უი! — ისევ აპყენენ ქალები.

და... განაგრძეს.

მტრედების გუნდი ივევ დაჰფარფატებდა სოფელს, მუშტის ოდენა ჩრდი-  
ლები, ოდის კრამიტიან სახურავიდან მწვანე კოინდარზე დაცურავდნენ და  
სარკმელში ანარეკლ მზეს წამით აჭრობდნენ.

კოტნე იდგა პირდაღებული და ვერ გადაეწყვიტა — მართლა წამოიმღერა  
ასინეთმა და ასე მოხერხებულად მიაფუჩინა, თუ ესეც მოთქმა იყო და გაზაფ-  
ხულის მზემ სიმღერად მოაჩვენა კოტნეს.

ლენაქიანი, თეთრკაბიანი მიცვალებული მოხუცი ქალი კი, აცვალებულ  
ატმის ხეებქვეშ უხერხულად იწვა კუბოში.





## დავით სასუნცი

ბეჭდვა და ქოჩინება სანასაჩისა და ბაღდასაჩისა

კეთილი ხსოვნა, კეთილი წოვინარ ხანუმს.  
 კეთილი ხსოვნა, კეთილი სანასაჩს, ბაღდასაჩს, კეთილი ხსოვნა, კეთილი დებცუნ წამს.  
 კეთილი ხსოვნა, კეთილი მსმენელთ წინაპრებს.

ჩვენ მოვიარეთ ბევრი ალაგი, ახლა ბრინჯაოს ენახოთ ქალაქი. ქვეყნებს მოედო გმირთა ამბავი: სანასაჩის და ბაღდასაჩისა, დაგრიალეზდა კიდიო-კიდამდე: ორი ვაჟკაცი სასუნს არისო. მალე ბრინჯაოს ქალაქს მოესმა ქება-დიდება სანასაჩისა და კაჯანტო მეფის ტურფა ასულის გული დაჰკოდა დებცუნ წამისა.

ორი ასულის იყო მშობელი მეფე, არვისგან ჯერ არ ძლეული, მზეთუნახავი იყო დებცუნი, მაგრამ დებცუნი იყო გრძნეულიც. იგი ეჩვენა სიზმრად სანასაჩს, გულში ჩაუჯდა ვაჟს სიყვარულად. — რა ვაჟკაცია, რა უშიშარია, ამბობს ლამაზი გულში ფარულად. მე გავუგზავნი წერილს, შორეულს, და თუმც არ იცის გულმა მონება, ენახოთ, მოვიდეს, ცოლად გავყვები, თუ კი ვაჟკაცი მომეწონება.

მეფის ასულმა ერთი ხელადა წყლით აავსო და ვაშლით დახურა, ერთი ხელადაც მეფის ასულმა, სულ ცარიელი, ვაშლით დახურა. ადგა, მისწერა წიგნი სანასაჩს: — „წიგნი შეერთვას სასუნს ნაზარდსო: მეფის ქალისგან, დებცუნ წამისგან, დიდი სალაში გმირ სანასაჩსო, დიდი სალაში ვაჟკაცს ბაღდასაჩს და კვლავ სანასაჩს უცხო გმირსაო. ვაჟო სანასაჩ, მეფის ქალი ვარ შორის ბრინჯაოს ქალაქისაო. ვით ცალიერი ესე ხელადა ეს ჩემი გულიც წმინდათ-წმინდაა, ეს ჩემი თავი ისე საესეა. ვით ეს ხელადა საესე წყლითაა. ბევრი მოსულა ჩემად მიჯნურად, მოშორებულან როგორც ფურტარი, ორმოც ქვეყნიდან ვაჟი ორმოცი გამეცხადა და „პო“ არ ვუთხარი. სიზმრად გიხილე, მოდი, გავყვები, შენ მომეწონე ქვეყნად პირველი; ვაჟო სანასაჩ, შენს გმირობაზე ბევრი მსმენია რამ საკვირველი. წერილს გიგზავნი, არ დააყოვნო, სწრაფად მიხილე. ნუ დაიხანებ, შენმა ლოდინმა არ გამაწამოს გამოეჩქარე და წამიყვანე“.

წიგნი დასწერა. წერილს დაურთო თვისი სურათიც, გულის დამწველი. ფრთებში შეება ორ შავს მარტიას: — „სასუნს წაიღეთ ჩემი ნაწერი. სახლის საკმლიდან ესე წერილი

ტანტზე ჩაუვდეთ გმირ სანასარსო,  
 ეს ხელადებიც თავთან დაუდგით  
 დილით ადგება, იქვე ნახავსო.  
 ადგეს, მოვიდეს, მე წამიყვანოს,  
 თუ გამბედავი მართლაც ის არის,  
 არ შეგეშალოსო, იქ არ ჩაუშვათ,  
 სადაც იძინებს ბაღდასარიო“.

ფრენით წაიღეს სასუნს ბარათი,  
 სარკმელს მისწვდნენ და მარჯვნივ

უარეს,

ნახეს საწოლი, ვაეიც მძინარე  
 უცხოდ ლამაზი, ჰა, ის თუ არის!  
 ისე ელვარებს, თითქოს მზე არის,  
 მნათობს ქვემოდან ნათელს უმატებს,  
 თავთან უნთია ორი სანთელი,  
 ორი სანთელიც ფერხთან შეორეს:  
 — „დაო, ეს ვაეი ენახეთ რაც არი,  
 მოდი, შეორეც ენახოთ სარკმელი,  
 იქნებ არ არის ეგ სანასარი“.  
 და მოაშურეს სარკმელს შეორეს,  
 ნახეს საწოლში გამოსახული  
 ვაეი მძინარე, ათჯერ ლამაზი,  
 ვიდრე ვაეკაცი წინად ნახული.  
 დამ დას შესტენია — „ჩემო დობილო,  
 ჰა, სანასარიც, ვატყობ, ეს არის,  
 მოდი, ჩაუვდეთო ეხლაც სარკმლიდან  
 წიგნი ძვირფასი და უეცარი“.  
 შეორე დამ სთქვა — „ღმერთს

გეფიცები,

აქ გამოცნობა ერთობ ძნელია,  
 სანასარია ეს მზე-ჭაბუკი,  
 თუ სანასარი ის პირთელია!“  
 ვერ გაარჩიეს დღემა ვაეები  
 ისევე გაფრინდნენ მარჯვნივ მხარესა,  
 რა გზავნილება მეფის ასულის  
 შმაგ ბაღდასარის საწოლს დაეცა.

### 3.

გამოეღვიძა დილით ბაღდასარს  
 ტანზე ვადიკვა მყის ტანთსაცმელი,  
 ნახა საწოლზე ვაემა ბარათი,  
 ვადიკითხა უცხოდ ნაწერი.  
 ხელავეს, კაჯანცთა ქალის წიგნია:

„დიდი სალამი გმირ სანასარსო,  
 დიდი სალამი ვაეკაცს ბაღდასარს  
 და კვლავ სანასარს სასუნს ნახარდსო“.  
 იფიქრა: — რატომე, ღირვერე — სანასარს  
 და მე-კი სალამს, ვუთხველე მყოფლისო?!  
 შერე დაწყნარდა — „ძმა უფროსია,  
 მისი პატივიც ორჯერ ითქმისო“.  
 ნახა: კაჯანცთა ქალი უგზავნის  
 წერილს, სიყვარულს მხოლოდ

სანასარს:

„მოდი, გავეყები, სიზმრად ვიხილე,  
 სხვას ვერ ვიშოვი შენისთანასო“.  
 ბაღდასარმა სთქვა: — „ოჰო, დახედეთ,  
 შეურჩევია ჩემს ძმას ქალიო,  
 ირთავს უჩემოდ, არც კი მაცნობებს,  
 ჰა, ესეც ძმობის სამართალიო.  
 ჩვენ ხომ ძმები ვართ, რად არ გამანდო,  
 როს გაუგზავნა სატრფოს დასტური!  
 ხედავთ? შიმაღავს“.  
 ვაეც აუღულდა  
 გული, გონება ახალგაზრდული.  
 კაცი ვახელდა, დაჯდა საწოლზე,  
 არ გამოსულა დიდხანს ბინიდან,  
 ნახა სურათიც, სულ ვადირია,  
 ცხვირი შეღება სისხლმა ინითა.  
 „ან მე მოვეკვდები, ან ძმას მოვეკლავო“,  
 სთქვა და წერილი მყისვე დაკეცა,  
 გულში ჩაიღო შურისძიება,  
 აღარ უჩვენებს მკვიდრ ძმას სახესა.

დილით წამოდგნენ, სუფრას

მიუსხდნენ,

ერთ მაგიდაზე დასდეს რაც არი,  
 უცდიან, მაგრამ ბრახმორეული  
 თავის ოთახში ზის ბაღდასარი:  
 ჰგოდებს, მწუხარებს: „ძმამ არ  
 დამინდო,  
 საქმეს უჩემოდ, ჩუმად არიგებს.  
 აგრე თუ არის, მათ მაგიდასთან  
 მეც არ მივალ და პურს არ ავიღებ.  
 წავალ, შევეჯდები ჩემს ბედატურზე  
 არ ვეჩვენები ქვეყნად აღარვის,  
 ვადიკარგები, დაკელოდები,  
 რასაც მიზოდებს ღმერთი მალალო“.  
 დედამ იფიქრა: „ეგ ბაღდასარი

რად დაეკარგა დღეს ჩემს თვალებსო!?"

აღმა, მივიდა ვაჟის ოთახთან,  
კარი შეხსნა და მოუღალერსა.

უთხრა: „ბაღდასარ, რად იგვიანებ?

შენც მაგიდაზე გიციდის უღუფა,  
რა მოგივიდა, რამ გაგაფითრა,

ხომ არ გაწუნებებს რამ სწულდება?"

ბაღდასარმა სთქვა: — დედა არ იყო,

ან და სხვა ვისმე სახით ჰგავდნო,

მაშინ გაგეღო ჩემი კარები —

ნაკუწ-ნაკუწად აგჩხვავდნო.

და ამოიღო ვაჟმა წერილი,

მიუბრუნდა და დედას აჩვენა:

— „ჰა, გადიკითხე, მაშინ მიხედები,

რად არ მოვდივარ პურის საქმელად.

ძმასთან რა გულით უნდა მივიდე,

ვხედავ, საჭირო მისთვის არა ვარ.

მეც ხომ კაცი ვარ, ცოლს თუ

ირთავდა

ჩემთვის ეკითხა დაუფარავად

მერე შეერთო, მოესწრებოდა,

ღმერთი მაღალი არის მოწყალე;

დედი, გასწი და უთხარ სანასარს:

ან ის იქნება, ან მე ცოცხალი“.

გადაიკითხა დედამ წერილი

უთხრა: იმშვიდე, შვილო, გულიო,

რა მოგახსენო, არა ვიცი რა,

ვფიცავ, მწარედ ვარ გულმოსულიო.

აღმა, კარები გამოიხურა

და მიაშურა დედამ სანასარს:

„აჰა, მიიღე შენი ბარათი“,

მიაწოდა და ვაჟკაცს გადასცა.

გადაიკითხა ვაჟმა წერილი

გაოცებულმა დედას უფიცა:

— „მარე, მე არა ვამეგება რა,

დამფიცველი ვარ შენის უფლისა“.

დედამ უამბო — ძმა ნაწყენია...

ერთობ გაოცდა აქ სანასარი:

„რა შუაში ვარ, ქალის ნებაა,

თქვენც ხომ წერილი ნახეთ რაც არი;

რა შუაში ვარ, ასე თუ მოხდა?!

ჩემი ძმა ცოტა ჭკუა-თხელია,

შენც მიეფერე, გულზე გაღუფლის,

თორემ წყენა რა გასამზელია?

თუ არ გაღუფლის, იბრუნე შემომკრას,  
ნახოს, გაღუფარს ბრძანი თუ არა“.

დედაც წავიდა, შეეღოს უღუფა.

ბრაშმა მაინც არ გაღუფარა.

მწუხრზე მოვიდა შინ სანასარი

და ძმამ საღამოზე არ უპასუხა.

უთხრა: — „ჰე, ძმაო, ვინ გაწყენინა.

ეგრე ძლიერად რამ შეგაწუხა“?

ბაღდასარმა სთქვა: — „ან მე მომკალი,

ან შენ გაგაქრობ, როგორც წესია“.

გაოცებული ჰკითხავს სანასარ;

— „რატომ ძვირფასო, რა მიზეზია? —

რატომ ვითვლისო ქალი კაჯანცთა

შენ ორ საღამს და მეკი ერთსაო?

სანასარმა სთქვა: — მე რა ვიღონო

თვითონ დასწერა, ჰკითხე ღმერთსაო.

— არა, მე და შენ უნდა შევებათ

რადგან ფარულად აწყობ საქმესო,

წიგნს თუ გზავნიდი რად არ მითხარი?

ჯერ ცოცხალი ვარ, ჰხედავ, აქ მეცო.

სანასარმა სთქვა: „ღმერთის გეფიცები

მისთვის წიგნი არ გამიგზავნია“.

ბაღდასარმა სთქვა: „უნდა შევებათ,

თავის მართლება უკვე მავნეა“.

„მაშინ მე მომკალ“.

სანასარმა,

რა ძმა ჭკუისკენ ვერ გადასძალა;

ჯიუტი იყო ის ბაღდასარი,

იწოდებოდა გიჟ ბაღდასარად.

#### 4.

და გადასწყვიტა აქ სანასარმა:

— რომ ძმა შესდგეს და არ იფიცოსო,

ველად წავეყვან, დოღში გავიწვევ,

იქნებ სიშმავე გადივიწყოსო.

შესხდნენ ცხენებზე, გააგრიალეს

და როს მინდორი ნახეს გაშლილი,

მყის დაეჯახა მკერდით ერთმანეთს

ორი ვაჟკაცი ველად გაჭრილი.

შეეჯახენ და გმირთა თვალები

კვესდა, ელაედა, როგორც კაეები,

შინ კი დედა ზის და ელოდება:

„იგვიანებენ ჩემი ვაჟები“.

გარეთ ვაეიდა; მიწა ზრიალებს

და ხმა მოისმის შორით მგლებური.  
 დედა წავიდა, ნახა ბრძოლა და  
 შვილებს მიუჯდა გამწარებული.  
 პა. გამარჯვება რომელს ერგება?  
 მიწა იფშენება, როგორც ნაცარი,  
 სცემს ბაღდასარი დაუზოგავად,  
 მაგრამ არ სწირავს ძმას სანასარი.  
 დედამ რა ნახა, რომ ბაღდასარი  
 ღონით, მოქნევით ძმას ვერ ედრება,  
 შორით გოდება ცრემლით, ზახილით  
 და მღვლარებით იწყო ვედრება:  
 „ო, მთებო, ო, ქვებო, აცნობეთ ბიძას  
 მოვიდეს, უშველოს დისწულებს  
 თვისას“.

კიდევ უცქერდა დედა მცირეხანს,  
 ნახა, ბაღდასარს ღონე ეცლება,  
 კვლავ ცრემლი ღვარა და ზღვებს  
 გასძახა  
 ისე, როგორც ჰქონდა შეძლება:  
 „ო, ზღვებო, ტალღებო, აცნობეთ  
 ბიძას,  
 მოვიდეს, უშველოს დისწულებს  
 თვისას“.

სცემდნენ ღამემდღე; ღამით შესწყვიტეს,  
 როცა აინთო ცაში ჭალები;  
 ბაღდასარმა სთქვა: „დღეს ეგრე იყოს,  
 ხვალ განთიადზე დავეჯახებით“.  
 დილით წამოდგენ, წაისაუზმეს  
 ერთ-ერთს დაასწრეს ლახტის აღება,  
 ფარიც მონახეს, შესხდნენ მერნებზე,  
 ველად გასწიეს შესაჯახებლად.  
 დედა მიჰყვება, სტირის, ქეითინებს,  
 თაფალუნული, თვალ-დაკეტილი,  
 სწყველის მეფის ქალს, ასულს  
 შორეულს:

„არ აღირსოსი ღმერთმა კეთილი.  
 ვინაც მიზეზი ვახდა ბრძოლისა,  
 შუღლი ჩაუგდო გმირებს, მეომრებს,  
 აგერ ესენიც რარიგ იბრძვიან  
 სცემენ, ამტვრევენ ერთი მეორეს“.

ლახტის ტრიალით, ლახტის ძვერებით  
 ძმებმა მიუშვეს ერთ-ერთს ცხენები.  
 ლახტს ბაღდასარი ასწევს უეცრად,

გმირი შემოჰკრავს ძმას ცხელებით,  
 რომ სანასარი მძიმედ დასწევს.  
 მაგრამ სანასარ მყისვე დაიჭერს.  
 ძმამ გადაუგდო ტარს მხარისაარს,  
 კი არ შემოჰკრა მხარისაარსა;  
 ისიც კვლავ დაჰკრავს, იხმარს ძალასა,  
 კვლავ მოაწოდებს ლახტს ძმას  
 სანასარ.

ძმა სანასარი იყო კეთილი,  
 გულით, შეძლებით ძმას არ ებრძოდა,  
 ფართო იცავდა თავს ძმის დაკვირვან,  
 ძმის სიშმაგეზე გული ეწვოდა.  
 ბაღდასარი კი სრულის ძაღლინით  
 სცემდა, უნდოდა ძმას შის გაქრობა.  
 მხოლოდ სანასარ ძმას არ სწირავდა,  
 კეთილს არ ედო გულში მზაკერობა.

ფიქრობს სანასარ: იქნებ დასცხარესო,  
 იქნებ მოსწყინდეს ძმის შეჭიდება,  
 იქნებ მოსწყინდეს ჩემთან ომიო,  
 მაგრამ ბაღდასარ აღარ მშვიდდება.  
 აგრე იბრძოდნენ, ვიდრე საღამო  
 არ მოახლოვდა დადინჯებული;  
 სცემს განუწყვეტლად გაგიჟებული;  
 მოდი, გავსინჯო, ამ გიჟ ბაღდასარს  
 მკლავში ღონე თუ აქვს ჩემოდენა.  
 თუ აიშორებს ჩემს შემოქნევას,  
 თუ შეუძლია ჩემებრ მოთმენა?  
 ერთხელ შემოეკრავ, ვნახოთ

მებრძოლი  
 ფარის ტრიალში მე თუ მედრება,  
 მარჯვედ თუ იცის ლახტის აცდენა,  
 ფარის ტრიალი და დახვედრება.  
 ერთი შემოჰკრა ძმას სანასარმა,  
 გაუმეტებლად დაჰკრა ფრთხილად,  
 და ბაღდასარიც არ განძრეულა,  
 ისე ცხენიდან ვადმოყირავდა.  
 მაშინ იყვირა ძმა სანასარმა:  
 „ველარ მოვზომე დარტყმის სიმძიმე,  
 ნახეთ ჩემი დღე გაუხარელი,  
 ვაჰმე, მოვკალი ძმა საყვარელი“.  
 მერე ჩამოხტა მყისვე ცხენიდან,  
 ძმასთან დაეცა ცრემლით, გოდებით,  
 დედაც მოვარდა, შვილს მიეშველა,

გულზე ვარამით და ცეცხლმოდებით.  
 ნახეს: ბაღდასარ კვლავ ცოცხალია,  
 ჯერ არც აპირებს სიკვდილს სრულიად,  
 მხოლოდ დაკვირვებან თავს ვერ  
 აქანებს,

ძირს აგდია და გულწასულია.  
 ზურგზე შეიგდო ძმა სანასარმა,  
 შინ მოიყვანა, ფრთხილად დაზილა;  
 ნახა: ჯიბეში უდევს სურათი  
 და ღამე ცრემლით მან გააცილა.  
 დილით მოვიდა ძმა გონებაზე  
 უკვე მშვიდი და უკვე დამცხრალი,  
 გვერდით მიუჯდა ტბილი სანასარ,  
 უთბრა: „რატომ ხარ ჩემზე  
 გამწყრალი?“

ამ ქალღალღისთვის თუ ვადმეკიდე,  
 რად შმაგდები და გულს რას ილამებ?  
 შენ დაგენაცვლოს შენი სანასარ,  
 წადი, შეირთე და მოიყვანე“.  
 მაშინ ბაღდასარ ეტყვის სანასარს:  
 „შენი ძაღლონე ეხლა გაეიგე.  
 ამიერიდან, მინდა იცოდე,  
 შენზე აროდეს ლახტს არ ავიღებ.  
 ძმად, უფროსად და სამაგალითოდ  
 ამიერიდან ქვეყნად შეგულვი,  
 ჰა, თანახმა ვარ შენს განზრახვაზე —  
 წადი, მონახე შეყვარებული“.

სანასარმა სთქვა: — „მე არ მივდივარ,  
 ის შენი იყოს, შენ მოიყვანე“.

ბაღდასარმა სთქვა: „ადექ, ეშხადე.  
 გასწი, იჩქარე, ნუ დაიხანებ“.

სანასარმა სთქვა: „მე არ მოვიყვან,  
 ჯადოსანია მზეთუნახავი“.

ბაღდასარმა სთქვა: „ადე, გასწიე,  
 იქ გაემგზავრე, გიჯობს, ახლავე-  
 ქალს გაუგია, რომ გმირები ვართ,  
 გულში სიყვარულს გრძნობს

გაჩაღებით,

გასწი, შეირთე მზეთუნახავი,  
 თორემ საქვეყნოდ მოვიჯაყებით.

ასე იტყვიან: — ვერ მოიყვანეს,  
 ერთი ქალია, განა სამასი!

ვერ შეიმღესო, ვერ გაჰმედგესო,  
 გასწი, მოიყვა ქალი ლამაზი“.

და სანასარმა დედამ შესთხოვა  
 გზის დალოცვა და მცირე საგზაოც,  
 „მე ვეშურები გმირთა მშარისკენ,  
 იქ სიყვარულის დედას მგზავნი“.  
 დედამ შესთხოვა: „მშვენიერად  
 მიხვალ“.

„არა, მივდივარ, თავიც წავეგო  
 და მიტირეთო“ — სთქვა სანასარმა.  
 გზად გაამხადა მაშინ მშობელმა,  
 „გულსაც ვაგატანს, შეილო, დედაო“,  
 გადაეხვია მშობელს სანასარ  
 და შემოახტა მარჯვედ ბედაურს.  
 მერე გასძახა გზიდან ბაღდასარს:  
 „ძმაო, გზორდები, გულიც ვავეყვი:  
 შენ აქ დარჩი და მე კი ნამდვილად  
 უნდა მოვნახო მზეთუნახავი.“

სამი დღის შემდეგ თუ დავიბრუნდით,  
 ხომ მოვედი და ხომ კარგი არი,  
 თუ არ დავბრუნდი, განსაცდელში ვარ,  
 გამომეშველე, ამ გზით იარე“.  
 გამოეთხოვენ ძმები გმირულად,  
 მერე შეჰფიცეს, როგორც ემართათ,  
 გადაუცვალეს ერთ-ერთს ბექდებიც  
 და სანასარი გზად გაემართა.  
 ორმოცდღიანი გზა გასავლელი  
 ერთ დღეს ვანვლო და სწრაფად  
 მოჰკურცხლა,

გზაჯვარედინთან შესდგა სანასარ,  
 შემოანათა თვალი მოხუცმა.

— შენ გამარჯვება — ეტყვის სანასარ,

— დიდი სალაში, გმირ სანასარო,  
 ეყო, ვადმობტი წუთით ცხენიდან,  
 მე მოგახსენებ სიტყვას ახალსო.

— ბაბუ, ვინა ხარ, სიღვან გაიგე,

რომ სასუნელი სანასარი ვარ?

— ანგელოზი ვარ, გზას ენაწილებ,

ხომ ადვილია აქ გზის არევა?

დადექ მითხარი, ეყო სანასარ,

ეგრე შორეთში საით წასულხარ?

„კაჯანტო ქვეყნისკენ კეთილ გზას

ვეძებ“.

მაშინ მოხუცმა ვაჟს უპასუხა:

„ამ გზით თუ წახვალ, ეპქრად  
 იქცევი,

აქეთ დიდ მეფის ტახტსაც ელიო, მხოლოდ კანჯანცთ მხარეს თუ ირჩევ, დიდი მოგელის განსაცდელიო“.

„მე იქ მივდივარ, კიდევ ამქუწონ, ეს მაქვს თავიდან გადაწყვეტილი და შენც, მოხუცო, თუ შეგიძლიან, მოდი, მიიჩიე სხვა რამ კეთილი“.

მოხუცმა უთხრა: „გზად რაც შეგხვდება, ქვეა, ბუჩქი თუ მინდვრის კალამი მიუსალმებლად არ ჩაუარო, დაუზარებლად უთხარ სალამი, თორემ კაჯანცთა მხარეს ჯადოა და ეს სალამიც ჰგავს გადაჩინას“... გამოეთხოვა მოხუცს სანასარ, ცხენს მათრახი ჰკრა და გააქენა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, ბოლოს კაჯანცთა ქვეყნად მივიდა. მწყემსი შემოხვდა, ერთი მღვდელ-გმირი, წინ ცხვარია და ველი თავითა. მან შემოსძახა: „ვაეო, სით მიხვალ?“ „კაჯანცთა ქალაქს მინდა ვეწვიო“.

„ჯერ აქ ჩამოხტი, რძის მოგაწოდებ, მერე ადექ და გაიქეციო“.

„არა, — მიუგო მწყემსს სანასარმა, — მიმჩქარება, დიდი გზაც არი“.

„რძის მიუღებლად ვერვინ ჩამივლის“, სთქვა და ჩამოსვა ძირს სანასარი. მწყემსს ერთი გობი ედგა, უზომო, სამ კაცს შეეძლო შიგ რომ ეცურა, რძით აავსო და პურიც მოზიდა, წინ შემოუდგა ვაჟკაცს მხეცურად. მწყემსის გულშია: გმირთა გამოცდა, მათის ღონის და ქკუის გაგება; ვინც გობს ამოსცოის, ღონე ჰქონია, იგი ქვეყნად არ დაიკარგება.

ასე ეპყრობა მგზავრებს დაშლური, მგზავრნიც გობთან ომს დიდხანს ებმინ, მერე გაუშვებს დეხცუნ წამისკენ, იქ კი უდროოდ იღუპებიან.

რძე მოიტანა გობით, ზღვისკვარი და წინ დაუდგა მწყემსმა სანასარს,

თვითონ ნელ-დინჯად ადგა, წავიდა — შემოუაროს თავის-ფარდა. ერთი წრე ჰქონდა მხოლოდ მოვლილი, რომ სანასარმა უტყვევებდა: — მწყემსო, დაბრუნდები თქვენი

დავცალი; — მწყემსი დაბრუნდა და იცახცახა. უთხრა: „ლომგმირო, წადი, იარე, შენებრ ვაჟკაცის არ ვარ მნახველი, შენთან შებმასაც ვერვინ გაჰმედავს, შორს გავარდება შენი სახელი“.

ჰქუსლა, ბრინჯაოს ქალაქს მიადგა, იქ კი კედელთან ნახა მიყრილი კაცი ორმოცი, დაოსებული, წვერქალარა და ღონემიხდილი. უთხრა: — სალამი მკოდნე ვაჟკაცებს, თეთრწვერიანებს, რუხწვერიანებს! გაგიმარჯოსო, უთხრეს, — ხვალ ამ დროს

შენც ჩვენი ბედი გიწერიანო. ერთმა ქალარამ ამოიოხრა: „რა ვაჟკაცი ხარ, რა მზე, რა ვარდი და შენც ამ ქალის მსხვერპლი გამშდარხარ ამ უსულგულოს ხელში ჩავარდი!“ შეტბა სანასარ: „რას მეუბნები?“ უთხრეს: — „შენგვარად ვახლდით მაგარი,

ამ ასულისთვის ქალაქს მოვედით და ბედილბალი გვერგო ამგვარი“. ჰკითხა: „მითხარით, რა მოგივიდათ? რამ დაგაოხათ, ვწუხვარ ძალიან“. უთხრეს: „ეგ ქალი საოცრებაა, გრძნეულია და ჯადოსანია, ერთი ფრინველი ჰყავს მზეთუნახავს მოვა, კედელზე ჯდება, გაჰყვირის და მოხუცდები, ჩვენებრ ვახდები თმადათოვლილი და წვერდაყრილი“. მაგრამ სანასარ იყო გამგები, ბევრი ქკუაც და სობრძნეც ებადა. კედელს მოშორდა, ქალაქს უგანა, ვიდრე სრულიად დაღამდებოდა.

დალამდა; მხოლოდ მაშინ მიადგა ქალაქს უჩუმრად, ყრუდ და ნელიად, ცხენი ჯალალი წინ-წინ მიიწევს, მისი დაჭერა ერთობ ძნელია.

კედელს მიაგდო ვაჟმა ჯალალი, რა ვერ უნახა ქალაქს კარები, თუჯის ლობეზე ფიცხლავ გადახტა, ქალაქს შევიდა დიდ გახარებით. დიდხანს ეძება თავშესაფერი, ხან გზა არ მოსწონს, ხან მიწობელი, მერე გაჩერდა ერთ სასტუმროში, იყო სომეხი მისი მფლობელი.

უთხრა: „მოხუცო, რა ვადეიხადო, რა დამოჯდება ლამის ვათევა“? „ერთი ვერცხლი ღირს ცხენის შენახვა, კაცზე ავიღებ ვერცხლის ნახევარს“. „ორ ვერცხლის მოგართმევ, ბაბუ, ცხენისთვის.“

ისე მიხედვ, როგორც შეფერის, ჩემზე, ვაეკაცზე, სამი აიღე“, დაკმაყოფილდა ერთობ ბებური. ცხენი დააბა. თვითონ გასწია უცხო ქალაქი ნახოს, რაც არი, ათვალეიერა, პურიც იყიდა და შემობრუნდა შინ სანასარი. ღამით მიიღო პური თავისი, მოხუცს მოუჯდა, ვერ დაიძინა. „ბაბუ, მითხარი ერთი ზღაპარი“. „შვილო, რა ვითხრა, არა ვიცი რა“. „ბაბუ, მე ერთი მსურდა შეკითხვა, მითხარ სახელი თქვენი ქალაქის“. „შვილო, ბრინჯაოს ქალაქს ეტყვიან, ნაჭებია და ძველი ალაგი“.

„მითხარ, მოხუცო, მეფის ასული, როგორი არის, მართლაც კარგია“? მოხუცმა უთხრა: „რა ვესაქმება, ის სილამაზე შენ რად გარგია? შვილო, გრძნელი არის ასული, იცის ქვეყანამ მისი ლალობა, ვინც ემიჯნურა ბატონიშვილი სამი-ცხრა მიწის იქით დაღუპა: ვინც განიზრახა მისი წაყვანა და სიყვარული ვინაც ვაბედა... მითხარ, ქაბუცო, რისთვის მოსულხარ

ზომ არ ჩავარდი შენც უცაბედად? თუ შეიცვარე, ეხლავ სიკვდილს ხელი აიღო, ფიქრიც არა ღირს, კარგი ვაეი ხარ, ვუკუქნულ დედუპავ, ეხლავ დასტოვეც ესე ქალაქშია... არა, მოხუცო, არ ვარ მიჯნური, ტრფობა არა მაქვს ფიქრშიც სრულებით, მხოლოდ მითხარი, მაგ შენს ცხოვნებას,

ძალა სად არის იმ გრძნეულების?“ მოხუცმა უთხრა: „შვილო კეთილო, მაგ იღუმალის მეც ვარ გამგონი, ძალა ჯადოსი ერთი კენჭია, ზღვის ქვეშ ინახავს ყბებით დრაკონი. ვინაც შეიძლებს ზღვაში ჩავიდეს, დრაკონს მოსტაცოს კენჭი უვნებლად, დილით ჯადოსანს შიშველს

მოუსწროს, იგი ჩააქრობს მის გრძნეულებას. ჯადოს დაქარგავს, ვაეის იქნება ქალი, რომელსაც არ პყავს ბადალი“... სანასარმა სთქვა: „ბაბუ, მაჩვენე მზეთუნახავის კოშკი სად არი“. „კოშკი რად გინდა“? ამბობს მოხუცი, სთხოვე სანასარი, თვალს არ აცილებს: „მითხარ, მოხუცო, ერთხელ ვიხილო, უცხოელი ვარ, ნუ გამაწბილებ, თუ ხარ კეთილი, ღმერთს თუ მსახურებ,

მითხარ, ვიცოდე, როგორც არაკი, შე სამშობლოში მინდა ეუამბო რა ოცნებაა თქვენი ქალაქი. მოხუცმა კოშკი თითით უჩვენა აწვდილი, როგორც კორიანტელი, „აი, ფანჯრები, თალხებიანი, რომ არ შევიდეს დღითაც ნათელი, რომ პალატებში ერთი შეხედვაც აღარ შეეძლოს ქვეყნად აღარვის, რომ არ იხილოს ქალმა ნათელი და იჯდეს მარტოდ მზეთუნახავი“. ვაჟმა იკითხა: „ის რა ანათებს კოშკზე კრილა და დიდებულები“?

მოხუცმა უთხრა: „ოქროს ვაშლია, კოშკის მწვერვალზე დაკიდებული. ერთი ლახტიც ძევს კლდის სიმაღლეში და ვინც იმ ვაშლის მოხსნას

შესძლებსო,

თვით ამოიღებს ჯერ ილიაში, მერე ხელახლა მალა შესღებსო. ვინც ჩამოიღებს ლახტს სიმაღლიდან და გამოსტაცებს დრაკონს თილისმას, მეფეს შეებმის და მხნედ იომებს, ქალიც იწნება იმ კეთილისა“.

სანასარმა სთქვა: „ოი, მოხუცო, რა სთქვი, რა მესმის ეგ საოცრება, იქ ვინ მიაღწევს, ვინ გაიმარჯვებს!? ეგ ფიქრია და მხოლოდ ოცნება.

კარგი კი არის, ჩვენშიც უყავსო, ხალხმა იცოდეს ეგ ჩვენებურმა; ახლა კი დროა გამოგეთხოვო, ძილმა დამძლია შეჩვენებულმა“.

წავიდნენ. მოხუცს მყის ჩაეძინა, არ ეძინება მხოლოდ სანასარს:

„ბედი ახლავე უნდა მოვსინჯო, დროს ვერ ვიშოვი ამისთანასა“.

და როცა ხალხი ვზებში მიწვლდა, მზის აღმოსავლს სახე აჩვენა,

ღმერთს დაუჩოქა სამხელ დიდებით, ცხენს შემოახტა და გააქენა.

მთვარით აღვსილი იყო შუალამე, ვაჟმა ახსენა ღმერთის სახელი.

მინდვრად გაიქრა, ცხენი ასწრაფა დეზი შეარჭო. როგორც მახვილი.

ცხენი შეფრინდა კოშკის მწვერვალზე, ვაჟი ვანათდა ოქროს კრიალში,

შებტა, ჩამოხსნა ვაშლი ნათელი და ამოიღო მყის ილიაში,

მერმე უკანვე ჩამოიქროლა, თითქოს აღვირი მერანს ანება,

განვლო მანძილი, რომ შემობრუნდეს, მეტი მიეცეს ცხენს გაქანება; კვლავ შემობრუნდა, იხრა დამხმარედ ჯვარი მებრძოლმა, რომელსა შალაო, ცხენით შეფრინდა, სასუნცი

მოპვლიჯა,

ჩამოავდო და ძირს დაახალა.

ჩამოგრიალდა უცებ მალლიდან უზარმაზარი ლახტი მთებური, მან განუზომლად მიწა ჩაპვლიჯა, ზაფხულის მზეში გახურებული. მერე აფრინდა ცხენი ზღვისაყენ.

ზღვაში ჩაეშვა, ტალღა არწია, ჰხედავს: დრაკონი წევს მზართეძოზე, მერე ზარმაცად თავიც ასწია.

ვაჟმა შემოჰკრა ლახტი ძლიერად, დრაკონს სხეული მძიმედ დაერწია,

კენჭი-თილისმა ყებებში გაუსხლტა, ამოვარდა და მინდორს დაეცა.

შესძრა დრაკონმა ლამე ქარიშხლით, ქალაქს ესროლა მეზიც ათამდე...

ვაჟი დაბრუნდა გამარჯვებული და ძილს მიეცა განთიადამდე.

განთიადისას ნახეს ვახსნილი ყველა სარკმელი მზეთუნახავის,

ქალი ისროდა ნათელს დიდებულს და ვზებს ეფინა სხივი ახალი.

ვაჟს გაეღვიძა, კოშკს გადახედა, მისი ღვთაება იქ ეფულებდა,

ქალი იხილა შიშვლად შწოლარე და დაეკარგა ქალს გრძნეულება.

მოხუცს შეჰხედავს მაშინ სანასარს:

„ბაბუ, იავდრა წუხელ ძალიან, ეს სასუნდიან გაჩნდა ღრუბელი, ეს სასუნელი ქარიშხალია“.

მთარგმნელი: ირ. აბაშიძე



# დავით სასუნცი

დავითი მწამსი



ქართული  
წიგლისწამის  
კავშირი

მშვიერ-მწყურვალე ჩვენი დავითი  
ბალახს სკამდა და მოსდევდა შარას.  
ლონეც წაერთვა, გონიც წაერთვა  
მისთვის არეულ ცხოვრების ჯარას.  
ჩარბაგარ კამიც თან ახლდა დავითს,  
ბევრი გზა სთელეს, ბევრი იარეს,  
და ბოლოს, ერთ დღეს მიადგნენ  
სასუნს,

ძაძით შემოსილს და მგლოვიარეს.  
იქით ჩობნები, აქეთ მწყემსები,  
ზოგან ფარა და ზოგან ნახირი.  
იცნეს დავითი — ჯაჯანცუს გვარის,  
იცნეს და ერთხმად შექნეს ძახილი.  
დავითმა ერთ მწყემსს უთხრა:

— ძმობილო,

თქვენნიანი ვარ, განა მტერი ვარ!  
როგორ მოვეძებნო ჩემი სამშობლო,  
მითხარ, მე თვითონ სასუნელი ვარ!  
მწყემსმა მაშინვე ძენოვ ოპანი  
მონახა, როგორც მახარობელმა:  
— გახსენით ბქენი, მოდის დავითი,  
დეე იხაროს ჩვენმა სოფელმა!  
უთხრა მწყემსმა და ძმამ ძმას ახარა,  
ოპან აცნობა თოროსა კერსა,  
აცნობეს სოფლებს, მოქალაქეებს  
და სიხარული მოჰფინეს ერსა.  
— აღეკი, ხალხო, წინ შეეგებე,  
დაგბრუნებია შვილი ნატრული.  
მამას სჯობია, მამის გმირობა  
აქვს ყრმობაშივე გამობატრული.  
ხალხი დაიძრა დავითისაკენ,  
ხალხი იძახის: სად არის დავით!  
ძენოვ ოპანი გზას აცქერდება  
და ხმლის სადავეს აწვალებს მკლავით.  
ხედავს: გამოჩნდა უცხო დევკაცი,  
უკან მოჰყვება ქოჩორა ბიკი,

გზა დაუგდია და ფეტვის ჯიჯილს  
მოსთელავს მგლური მუხლით და  
ბიჯით.

ოპანმა იცნო და თოროსს უთხრა:  
— ხედავ? რომ მოდის გზნებით  
ხვეულით, —  
ის უნდა იყოს ჩვენი დავითი,  
დამთხვეული და გადარეული;  
სასუნის ცაზე მზე ამოსულა,  
მიწას დაპნათის შუქი ფრქვეული.

—

სანამ დავითი სასუნს მოვიდა,  
მართლა დაედო ობლის იერი,  
ალარც ქალმები, არც ტანსაცმელი  
და აზრდილივით მოსჩანს მშვიერი.  
წინ ხალხის ზღვია... სად არის ნეტავ?  
რა ქვეყანაში არის მოსული!  
შესდგა დავითი და შეყოყმანდა  
უცხო ფიქრებით გარემოცული.  
მშვიერ-მწყურვალე როდემდე ვიყო,  
როდის მივალწვე ნეტავი სასუნს?  
ფიქრობს დავითი, ხალხი ეძახის,  
დავითი სდუმს და არ აძლევს პასუხს.  
ხალხი ხელს უქნევს, ის გზას გაუდგა,  
მიდის სამშობლო ქვეყნის ხსენებით.  
ვერ შეუტყვია საწყალს, რომ მისთვის  
დღეს აქ შეყრილან სასუნელები.  
ვერ მოითმინა ძენოვ ოპანმა,  
წამოეწია, ჩაველო ხელი:

— ბიჭო, ვინა ხარ, სადაური ხარ?  
იჭნება ის ხარ, ვისაც ჩვენ ველით!  
— სასუნელი ვარ! სასუნს დავემბ!  
ამოხდა დავითს სიტყვა მკენესარი.  
ოპანმა უთხრა: — თუ სასუნს ეძებ,  
აი სასუნიც სწორედ ეს არი;  
ვინა გყავს შენ აქ, მამა თუ დედა,

ან სხვა ნაცნობი და ნათესავი?

— დედაჩემის თქმით სამი ბიძა მყავს, სამნივე სიკეთის ქვეყნად მთესავე.

ერთს ჰქვია ვერგო, მეორეს თოროს, მესამეს ოპან — ვაჟაკს კლდესავეთ.

ძენოვ ოპანი ცას მიეწია,

გულში ჩაიკრა, კოცნით დაფარა და ბავშვს ვაჟაკმა აღუღებულ კრემლის კურცხლები გადმოაყარა:

— ჩემო ბიჭუნავ, მე ვარ ოპანი, შენი ბიძა და შენი მშობელი!

უთხრა და მერე ხალხში აფრინა ბედნიერების მახარობელი:

— დიდება გამჩენს! ღმერთო, დიდება! რომ დავგიბრუნე ძე დაკარგული.

თუმც დაჩაგრულა საწყალი ბიჭი,

როგორც ხე ტიალ ველზე დარგული! წავიდნენ შინ და სუფრა გაშალეს,

ვაჩაღდა ღვინო მთელი ერისა —

და ბადიებში აღუღდა ღვინო ქარვისფერის და ლალისფერისა.

დიდხანს ღრეობდნენ და საუბრობდნენ, მერე სტუმრებმა გასწიეს შინა,

მარტო ოპან და დავითი დარჩნენ, რომ სიხარულით ავესოთ ბინა.

დავითმა ჰკითხა: — რა ცხოვრება

გვაქვს,

რომ გავიღია კარი ღვინისა!

ბიძამ მიუგო: — ყველაფერი გვაქვს

წყალობით ღვთის და მამაშენისა!

—

ძენოვ ოპანი დილით რომ ადგა

სამჯერ შეეხო მიწას ხელებით,

სთქვა: ერთო ღმერთო, დიდება შენდა.

შენ დაიხსენი სასუნელები,

შენ მოგვივლინე ეს სიხარული.

სასუნის მნათობს გაუხსენ კარი,

ისევ აგვინთე ცეცხლი კერაზე

და ნაომარ ხმაღს შეგვიბი ტარი.

მერე დავითი კოხტად შემოსა,

ჯიბე აუვსო ტკბილი კვერები.

უთხრა: — გასწიე სწორ-ამხანაგში

მოღვინილ გულით და სიმღერებით.

დავითი მიღის, ბავშვებში დახტის,

5. „მნათობი“, № 7

ბავშვები გვერდში ურტყამენ ცერებს, ჩხუბი სწადიანთ, კარვს ~~ქვერთავენ~~, და ძალის ძალად ნოთხევი კვერებს. ვერ მოითმინა, თვეფუქცეცეცა, სილა ვააწნა, ვინც ~~საქვდა~~ ~~უმაში~~ — და უნებურად გულმოსულ ყმაწვილს შემოელახა თავადის ბავშვი.

იმავე საღამოს თავადის ცოლი

ოპანს მიუხტა ლანძღვა-გინებით:

— ეს ძაღლის ლეკვი რათ მოათრიე,

რომ დავვიხოცოს ლამის შვილები!

ძენოვ ოპანიც ებოდიშება

და ეუბნება დავითს მხილებით:

— შენ გენაცვალე, ამას ნუ იზამ,

თორემ, ხომ ხედავ, ბოღმით ვილევი!

მეორე დილას დავითმა ისევ

სწორ-ამხანაგში გაინაგარდა,

ბავშვები ირგვლივ შემოეხვივნენ,

შეუტიეს და ჩხუბი ჩავარდა,

დავითმა გაჰკრა, დავითსაც გაჰკრეს,

სამ ბიჭს მოსტეხა ერთად კისერი,

ძენოვ ოპანმა რა ჰქნას არ იცის,

გვარი ურცხვება დარბაისელი.

ყველას მშობლები, ყველას დედები,

ჭალაქში ვინც კი არის ნაჭები,

მასთან მოსულან მთელი სასუნის

გაბრაზებული მოქალაქენი:

— მაგ ლაწირაკმა ლამის აგვიკლოს,

მოვკლავთ, მოგვეცი, ჩავუმტვრევთ

კბილებს,

ევ ვინ გვიგდია, ვინ ოხერია,

რომ ცემა-ტყეპით გვიხოცავს შვილებს!

ოპანი შეკრთა, შეშინდა კიდევ,

სახლში შევიდა, უყვირა დავითს:

— ეს რა გიქნია, შე დამთხვეულო.

დაგიკარგია ჰქუაც და თავიც.

მთელი ჭალაქი კარს მომდგომია,

დანაშაული მე მჭონდეს ვითომ;

აღქეი, ჩქარა გამოდი გარეთ

და ხალხს პასუხი გაცეცი თვითონ.

დავითი მყისვე გაიჭრა გარეთ,

ხედავს, დუნია ეზოსა ჰფარავს,

ხალხიც პირველად უტკერის დავითს,

რომლის შეხედვა ყველასა ჰზარავს.

ზოგი მოსულა ცნობისმოყვარე,  
 ზოგიც მოსულა დავითის მტერი.  
 მაგრამ შეხედეს ყმაწვილს თუ არა  
 ყველას შიშისგან ეცვალა ფერი.  
 ჩურჩული დადგა: — არ ახლოთ ხელი,  
 ხმა არ შესძახოთ ეინმე ურჩებმა,  
 თორემ მის რისხვას აქ თავცოცხალი  
 ერთი კაციც ვერ გადაურჩება.  
 შეშინდა ხალხი, ხმა გაიკმინდა  
 და სახლებისკენ დაიძრა ნელა.  
 — ეს ვინ ყოფილა, ეს რა ყოფილა, —  
 მხოლოდ დავითზე ფიქრობდა ყველა.  
 მეორე დილით სასუნელებმა  
 რიდით და კრძალვით იხმეს ოპანი:

— შენი ძმისწული ბავშვი კი არა —  
 ყოფილა გმირი ძალგულოვანი.  
 მას საქმე თუ არ გამოვუჩინეთ  
 რა დაუნელებს დეკაკურ ძალას,  
 შეგვეყრის შფოთსა და უბედურებას  
 და ერთიანად დაგვიტყვეს ქალაქს.  
 მოდი, გავეზავნოთ მწყემსად ნახირში  
 რომ არ ხედებოდეს ქალაქის კარებს.  
 მკლავიც გაუძღლებს, მუხლიც გაუძღლებს,  
 თან ჩინებულად მოუვლის ფარებს.  
 საღამო ხანზე დაბრუნდა ოპანი,  
 დავითს უამბო გარეთ ნახული:

— შეილო, შენც ხედავ, ცხოვრება  
 გვიჭირს,

გვაკლია სარჩო და ჭირნახული.  
 მოდი, სასოფლო მწყემსად დადექი.  
 გაგვიმრავლდება სახლში დაფქული:  
 ფეტვიც გვექნება, ქერიც, ხორბალიც,  
 საესე ზამთარი და გაზაფხული!

— რატომაც არა! — გახარებულმა  
 დავითმა ბიძას უთხრა ხალისით, —  
 კაცი ზარმაცი, უშნო, უქნარა,  
 არ უნდა იყოს შესაბრალისი.  
 ქვეყანა გიცნობს, სასუნელები  
 გისენიებენ ქება-დიდებით.  
 წადი, უთხარი — დაძრან ფარები,  
 საქმეს გულდაგულ მოვეკიდები.  
 განთიადისას ფეხზე ვიქნები,  
 როცა ხეებზე ეღერენ ჩიტები!  
 ძნოვ ოპანი წუხილს დაეხსნა

და მყის მოურჩა გულის ვარა.  
 მან ყველას ამცნო და მოწოდებით  
 კარიდან კარზე ჩამოიარა.

— წელს ავიყვანეთ მწველად დავითი.

მას ჩავებაროთ მწველად ყარებმა!

— აგვიყვანია! — შესძახა ხალხმა

და სიხარულით გახსნა კარები.

— დილით გაბრეკოს და საღამოზე,  
 როცა მოივლის მთიან ბილიკებს,  
 ყველას თავთავის ცხვარსა და თიკანს

კარიდან კარზე ჩამოგვირიგებს!

ოპანი დაბრუნდა ისევ დავითთან

კმაყოფილი და გაკვირვებული,

თითო საწყაო ფეტვი და პურიც —

უთხრა ხალხისგან დაპირებული:

— ხელფასი კარგი, პირობა კარგი,

თუ მოუარე, რასაც გაბარებთ!

— ასე მოეუფლი, როგორც ყვაილებს

და ცივ ნიავსაც არ მივაკარებ!

უთხრა დავითმა. მერე ოპანი

ისევ მეზობლებს ჩამოუარა.

უღბნიანი, ეკითხებიან —

დავითს აცვია ფეხზე თუ არა!

მას ტყავის წალა როგორ გაუძღლებს,

ერთ დღეს გასცვეთავს ათ წყვილ

ქალამანს,

ქვის ბოძებივით უღვას მუხლები,

როგორც შებმაში ნაცად ფალავანს.

მაშინ ოპანი მკედელს მიადგა,

რკინის წაღები შეაკერიანა,

რკინის კომბალი გააჭედინა,

ისიც ფოლადში დააფერინა.

დავითს წაუღო და დილა-ზნელზე

უთხრა: ეამია მომთაბარისა,

მე შუადღისას საქმელს მოგიტან,

საცა გექნება ბინა ფარისა.

დავითმა რკინის წალა ჩაიცვა,

ხელში კომბალი მოქნა რკინისა

და სასუნელებს გადაძახილით

დაუფრთხო სიტკბო დილის ძილისა:

— დროა გააღოთ

ეზო და კარი,

საიალალოდ

მიმიღის ცხვარი!

დაიძრა ხალხი, ადგა სასუნი.  
 კარი გაუღო უღვეულ ფარას,  
 დავითმა სტენით გაშალა ცხვარი  
 და მთებისაკენ გაუდგა შარას.  
 — იქნებ ერთიან ამოგვიწვეიტოს! —  
 აქეთ-იქიდან შექმნენ ძაბილი.  
 ოპანმა უკან მისძახა დავითს:  
 — არ შემირცხვინო, შეილო, სახელი!  
 — ნუ გეშინიანთ, ვანა გიყი ვარ,  
 მასვე მოგიყვანთ — რაცა მზარდება.  
 არამც თუ ცხვარი, ცხვრის მატყლის  
 ერთი

ბეწვიც კი არსად დამეკარგება.  
 დააიშედა დავითმა და ხალხს  
 თავის პირობა გააგებინა.  
 მერე გარეკა ცხვარი და მთებზე  
 როგორც ღრუბელი თეთრად შეფინა.

ფარამ რძიანი ბალახი სძოვა,  
 გაძღა და ქამას დაეხსნა ცხვარი,  
 დავითმა ფარა დაყარა ჩრდილს ქვეშ,  
 თითონაც ჩრდილში იქცა მზარი.  
 ტკბილად ჩასთვლიმა, არ ახსოვს

დავითს,  
 რომ ჩრდილს არა აქვს ლოზე და კარი.  
 არ ახსოვს ფარა, ფარაც ადგა და —  
 კლდე-ღრეს მოედვა უმწყემსო ცხვარი.  
 გვიან წამოდგა. უცქერს დავითი:  
 აღარსად ცხვარი, არსად ციკანი.  
 ფარებს შეხედა, ჩრდილსაც შეხედა, —  
 აღარც აქ არი და არც იქ არი.  
 მარცხნივ გახედა — არა სჩანს ფარა,  
 მარჯვნივ გახედა — აღარც ნასახი!  
 დგას დავითი და გაბრაზებული  
 მიწას სტყებნის და კლდეებს ვასძახის.  
 მერე მთის კედლებს შემოუბრინა,  
 ფიცხლად დაიწყო ძებნა ფარისა,  
 მისი ნაბიჯის ქუხილმა დაძრა  
 ქარის კენესა და გმინვა ქარისა.  
 დაფრთხა ნადირი. ზოგი სოროდან,  
 ზოგი ბუჩქიდან ტყვს შეურია.

კურდღელს — კურდღელი, ფოცხვერს —  
 ფოცხვერი  
 და ყველას უკან მისდევს მელია.

დავითს ფეხებში ბაჭია <sup>გა:</sup>  
 — ბიჭოს ციკანი, — ეს <sup>გა:</sup> ბრელია!  
 გამოეკიდა, წამოეწია,  
 კურდღელს ძალღუქა <sup>გა:</sup> ვეზულთა...  
 დავითი ახლა მელისა: <sup>გა:</sup> ყაყაქა  
 მასაც მოასწრო და გზას უყვლა.  
 კურდღელს — ციკანი, მელიას — ცხვარი,  
 ფოცხვერს კედლია გამოუყენა.  
 ერთს ხეობაში უცებ შერეკა  
 და დაამწყვდია ერთად სუყველა.  
 ასე მოკრიფა თავისი ფარა —  
 შვიდი მთისა და იალალისა,  
 დაღლილ-დაქანცულს ფეხზე

დასთრევედა  
 მხოლოდ ნავლეჯი რკინის წალისა.  
 დანიშნულ ღროზე მოვიდა ოპან  
 მოპურმზარილე, როგორც ეჯიბი.  
 დავითს კომბალი შემოსცევითოდა,  
 წალაც უჩანდა შემოვლეჯილი.  
 — სხვა? როგორა ხარ, როგორ გყავს  
 ცხვარი? —

ოპანმა ტკბილად მოუაღურსა.  
 მერე განიდან შეაელო თვალი  
 კომბლის ნარჩენს და წალის ნალეცსა.  
 — ერიპაა, ყოველ დღე თუ კომბალის  
 და ან წალების კედვა გეჭირია,  
 შენი ხელფასი და გასამრჯელო,  
 სჩანს, მკედლისათვის შეგვიწირია!  
 — ეპ, ბიძა ჩემო, — უთხრა დავითმა, —  
 ხელიდან ფარას აღარ ვაყვებში,  
 მთელ დღეს დავედივარ და

დავწანწალეებ,  
 თან გასამრჯელოც არის ნაკლები.  
 — მაშ რა გეგონა, — მიუგო ბიძამ, —  
 მწარე ყოფილა ბედი ჩობნისა,  
 უსახტკარობა, გდება აედარში  
 მისი ხვედრია — როგორც ობლისა.  
 — არც ავრე არის, როგორც შენ  
 ამბობ, —

ისევ დავითმა გააწყვეტირა,  
 შავი და ლევა თხა და ციკნების  
 დევნაში მუხლი მე არ მეტკინა.  
 მაგრამ ჭროლა თხებს ვერ მოუფარე,  
 ვერც გავაჩერე თეთრი ვაცები,

გრძელყურებიან ციკნების დევნით დამაქვს მუხლები, როგორც ნაცემი. ხტიან, გარბიან, არა დგებიან, მთელ დღეს საპარალებს თავზე ჰკიდიან, გამოვუდგები, გამექცევიან, მათთვის ხელი ვერ მომიკივია.

— ჭროლა ციკნები? — ოჰან გაკვირდა.

— ჰო, ჭროლა თხები, თეთრი ციკნები. თუ ამ ფარიდან არ მომაცილებთ, ხვალიდან მწყემსად აღარ ვიქნები.

— აბა, წამოდი, — უთხრა ოჰანმა, —

მაჩვენე ეს რა ჭროლა თხებია, ასეთი ფერის და ამნაირი

ჯერ ჩვენ არასდროს არ გვყოლებია.

მივიდნენ, ნახეს: დავითმა კომბლით ფარას შიგნიდან შემოუარა,

ოჰან წინ დადგა, უნდა დარწმუნდეს, ჭროლა ციკნები არის თუ არა.

დაფრთხენ ფოცხვერნი და მელიები,

კურდღლებს გრძელყურა ქურქი

აცვიათ.

ოჰანი მიხვდა — დავითი რომელ

ციკნებს და ვაცებს მოუქანციათ.

დავითი ბრაზობს, ბიძას ეძახის:

— რად დამიფანტე ფარა ოხერი,

უნდა ხელახლად ისევ მოვრეკო,

ჩემს საწვალეზლად რისთვის მოხველი!

ოჰან იცინის: — დეე წავიდნენ,

ტყუილად სჯავრობ, ჩემო ძამია,

შენ რომ თხებსა და ვაცებს ეძახი —

სუყველა მგლებსაც დაუქამია.

დავითი მაინც სწუხს და ბუზღუნებს,

თავის დაფანტულ ციკნებსა ნატრობს:

— ვაიმე, რა ვქნა, ამ სალამოზე

რა ჩავაბარო თავთავის პატრონს!

აღვა და ისევ მთებში ვასწია,

კლდის ბილიკები მუხლით მოლია,

გამოვიკიდა კურდღლებს, მელიებს,

ისევ მორეკა — მოიყოლია.

სთქვა: — თქვენ გაგიწყრეთ ჩემი

გამჩენი,

როგორ დამლაღეთ, როგორ მაწვალეთ,

ისე ჩავიდა მზე დასავალზე,

ბურის ქამაც კი არ დამაცილებთ.

შეკრთენ ნადირნი, მიშინე ვაჩერდნენ,

ტყეში სუნთქვაც კი მისწყდა/ქარისა —

და სალამოს ეამს ~~სასუნცი~~

დავითმა ტალღა ~~სასუნცი~~

მან დაგლეჯილი რკინის წაღები

კომბლის ნატეხზე გადაიკიდა

და ფეხშიშველი, შემოძარცული,

სასუნში მაინც დროზე მივიდა.

— ვისი რა არის, მოდით,

მოგროვდით.

მან შეძახილით ხალხი არია, —

მოდით, წაიყვათ, ყველა აქ არის,

ვისი თხაა და ვისი ცხვარია.

გრძელყურა ციკნებს ველარ ვაჩერებ,

მუხლი დამწყვიტეს თეთრმა ვაცებმა!

და მის ძახილზე ჩოჩქოლი შექმნეს

ვაჯაკაცებმა და დედაკაცებმა:

— დავითს ფარასთან მოურეკია

რაც კი ნადირი სადმე ყოფილა;

მან გაამრავლა ჩვენი დოვლათი,

მან მარტო ცხვარი არ გვამყოფინა!

შემოხვებენ და ცხვართან ერთად

ვის მგელი მიჰყავს და ვის მელია,

ზოგმა კურდღელი უფრო არჩია,

გაშინჯა — ხორცად გემრიელია.

და ამის შემდეგ მთელს ქვეყანაზე

კურდღლის ხორცს სკამენ, დავითს

ლოცავენ.

მხოლოდ მგლისა და მელიის ტყავის

თბილი ქურქებით ტანს იმოსავენ.

იმ ღამით სასუნს არ სძინებია,

მთელი ქალაქი იყო ფხიზელი,

ძენოვ ოჰანთან შეგროვდა ყველა

ლირსეული და დარბაისელი.

უთხრეს: — დავითი გიჟი ყოფილა,

თუმცა შენ სდუმხარ და ხელს აფარებ,

ნადირს ვერა სცნობს, ჩვენ მაგას

ფარას

მორჩა, ხვალიდან ვერ ჩავაბარებთ!

სხებმა სთქვეს: — ასე არ ევარგება,

მოდო ხვალიდან მივეცეთ ნახირი,

მსხვილფეხ საჭონელს არა სკირდება.

არც ბევრი რბენა და არც ძახილი.

დავითს რომ ჰკითხეს, უარზე დადგა. ოჰანმა უთხრა, — რისთვის იწყინე? ძროხა გარეკე, შენ კი ბალახზე წამოწექ რბილად და დაიძინე! მერე ოჰანმა ისევ იმ მკვდელს რკინის წაღები შეაკერინა, რკინის კომბალი გააქედინა, ისიც ფოლადში დააფერინა. დავითს წაუღო და დილაბნელზე დააგდებინა თბილი ლოვინი:

— ადექი, შეილო, გარეკე ძროხა, ნუ დაახანე ხალხი ლოდინით. დილით მოედო ქალაქს ძახილი: დავითს მიუღის მთაში ნახირი!

ხალხმა მორეკა ხარი და ძროხა, ჩოხანიც ისევ დაუდგა შარას, სასუნის რძიან იალაღებზე ლურჯი ბალახი ქედებსა ჰფარავს. დავითმა ნახირს მიუშვა თავი, თვითონ ჩასთვლიმა დანარდილულ სერზე.

გამოეღვიძა. მისი ნახირი მთას მოჰქცეოდა ღრუბლიან წვერზე. ფიქვლად წამოხტა, გამოედგენა, არ გაუმართლდა გულის წადილი — კლდეებიდან და ნაპრალებიდან წამოიშალა ისევ ნადირი. აქედან მგელი, იქიდან დათვი. აქეთ ტურა და იქით აფთარი. დადგა ღმუილი, ყეფა და ღრინვა, თითქო დაეცა კლდეებს აედარი. ზოგი უფსკრულში მიეჭანება, ზოგი ქვასავით სწყდება ბეჭიდან. დავითმა რა წამს შეასწრო თვალი, ყველას კვალდაკვალ გამოეკიდა. მისდევს, მისძახის სირბილით

დალილის, მოუვლის წინ და ბილიკს უყვლავს, დათვსა და ტურას, მგელსა და

აფთარს, ნახირთან ერთად სდენის სუყველას. არ გაუშვია არსად ციცაბო,

სასუნის მთები ირგვლივ მიიღვია: მგლები, ლომები, ვეფხვნი და დათენა თავის ნახირში ყველა მორეკა. თრთიან მხეცები, შაშხან მუსკატენ, თითქო ელიან ჯვრ-გულ-ქათმ-დაკვლას. თუ რომელიმეს დასტაცა ხელი, დაანარცხებს და მიწაში დაფლავს. ოჰანი ისევ დროზე მოვიდა, უცქერს — გაზრდილა მათი ნახირი, მხეცებს რომ თვალი შეასწრო, შიშით დავითს განიდან უწყო ძახილი: — მოდი, დავითჯან, მოგშიედებოდა, აპა პური და აი სადილი, — ეს რა გიქნია, რა გვეშველებმა, ხომ დაგიღუპავს ნახირს ნადირი! რასაც ურქოებს ხედავ ახლავე გაუშვი ჩქარა — ყველა მხეცია! არ დაუჯერა. ოჰანი უმაღ წავიდა, ქარიც ვერ მიეწია. მივიდა სასუნს, შეყარა ხალხი, სისხლით ავსოდა თვალის უბენი, უთხრა: — რა ვითხრათ, რა

დავიძალოთ,

ებლა კი სწორედ დავიღუპენით! რაც რამ ნადირი ყოფილა მთაში, ან ტყის გარეთ და ან ტყის ნაპირში, ლომი, აფთარი, ვეფხვი და დათვი — გაურევია ყველა ნახირში. ყველამ ახლავე დაკეტეთ კარი, და ურდულეები მაგრა ჩარახეთ, თორემ დაგვქამენ, საცაა კიდეც გამოჩნდებიან ალბათ შარაზე! ხალხი დაიძრა თავთავის სახლში, ჩაკეტა ყველამ კარი, კიდური. დავით ნახირით მიადგა ქალაქს — მხარზე გრძელ კომბალგადაკიდული. არავინ მოსჩანს, კარს არვინ აღებს, არც მღერა ისმის და არც ტირილი. იდგა დავითი, დიდხანს ელოდა, მერე საქვეყნოდ მორთო ყვირილი: — ხალხნო, სადა ხართ, გამოდით გარეთ, თორემ ნახირით წავალ უკანვე, ვისაც არ ჰყავდა ხარი და ძროხა,

მასაც ეუშოვე და მოვუყვანე.  
 ერთის პატრონო, — ორი გყავსა ახლა,  
 გამოდი გარეთ, გააღე კარი.  
 ორის პატრონო — ახლა ათი გყავს,  
 ათისას — ოცი ძროხა და ხარი!  
 მოდი, წაიყვით თქვენი ნახირი,  
 თქვენი მოზერები, თქვენი ფურები;  
 გესმით? ბლავიან, ხბოებს ეძებენ,  
 ღამის დაუსქდეთ საგსე ცურები!  
 დიდხანს იძახა, მაგრამ ამაოდ,  
 თითქო ქალაქი სდუმდა გლოვითა,  
 არც ერთი კაცი, არც ერთი ქალი,  
 გარეთ არავინ არ გამოვიდა.  
 მაშინ დავითმა ბრაზმორეულმა  
 სთქვა: — თუ არ გინდათ, სულ

გაგწყვეტიათ,

მთელ დღეს ვეთრიე, ოფლი ვიძინე,  
 არმად შეგერგოთ, თქვენთვის მეტია!  
 ადგა და იქვე დაწვა ნახირთან,  
 მიწა დიდია და არ იძძიმა,  
 ზედ ნაბდისქველა გადაიხურა,  
 ტკბილად ჩასთვლიმა და მიიძინა.  
 თავადები და დარბაისლები  
 ოჰანს ეწვიენენ მოთქმა-გოდებით:  
 — შენმა ძმისწულმა ეს რა

დავემართა,

სიკვდილს ვუცქერით და ველოდებით.  
 აგვიწიოკა მთელი ქალაქი,  
 ტკბილი სახლკარი ვარამს უჩვევი;  
 ლომებს თუ ვეფხვებს, მგლებსა და

დათვებს,

გვითხარ, რომელ ერთს გადავურჩებით!  
 ოჰან შეწუხდა, ადგა, დავითი  
 მონახა, უთხრა 'გულისნადები:  
 — შეილო, მე დარდი ბოლოს

მომიღებს,

განა მეორედ დავიბადები.  
 მთელი ქალაქი თავს მასევია,  
 გახვეული ვარ საქვეყნო შარში,  
 სთქვი, თუ გიყვარვარ, გაიმეორე:  
 ბოროტო წადი, კეთილო დარჩი!  
 „ბოროტო წადი, კეთილო დარჩი!“  
 დავითმა ღამე შესძრა ძახილით,

დატრთხნენ მხეცები, კლდე-ღრეებს  
 ეცნენ.

ქალაქში მხოლოდ დარჩა ნახირი.  
 მოსახლეებმა ვახსნეს ქვეყნები;  
 აღარ ელიან ხიდფურს ღლიწიქსა  
 წაასხეს თავის ხარი და ძროხა,  
 ასვეს, აქამეს და მოუარეს.  
 დავითმა უთხრა: — თქვენ რა ხალხი  
 ხართ,

არ გიმიგონეთ, გული მატკინეთ,  
 რაც კი რამ იყო მსუქან-მსუქანი,  
 ისევ კლდე-ღრეში გამაფანტვინეთ.  
 მე თქვენი მწყემსი აღარ ვიქნები  
 და სათქვენოდაც არ მომიცლია,  
 უკან წაიღეთ ჩემი ხელფასი,  
 თავში იხალეთ, რაც მოგიციათ!  
 ოჰან განრისხდა, დავითს უყვირა:  
 — ამდენს რომ სჩმახავ, მითხარ, ვინა  
 ხარ!

გასწი, გამშორდი, მე შენისთანას  
 პურს არ ვაქმევ და არ შევინახავ!  
 დავითიც ადგა, ქალაქს ვაშორდა,  
 თავი არ მისცა ბოღმას სატირალს,  
 წამოწვა ჩრდილში და დაქანცულმა  
 ტკბილად ჩასთვლიმა შარის ნაპირას.  
 დილით ქალაქში თოროსა კერი  
 მოვიდა და ხალხს ჰკითხა ნახული.  
 დავითი ყველამ ერთხმად აგინა,  
 როგორც რეგენი გამოსახული.  
 თოროსა გაწყრა, ძებნა დაუწყო,  
 ბოლოს მიაგნო, სადაც ეძინა.  
 წიხლი ჰკრა გვერდში, დავითი შეხტა!  
 კიდეც ეტკინა, კიდეც ეწყინა.  
 უთხრა: — რათა მცემ, ბიძია თოროს,  
 საყვარელო და ტკბილო მამაზე.  
 ხალხმა გამავდო, ბიძამ ხელი მკრა,  
 რა დავაზევე ამ ქვეყანაზე!  
 თოროსს მოუღმა გული გამწყრალი  
 და ძირს დახარა აწვდილი წარბი:  
 — სულელო, ცხვარში რათ ერეკები  
 რაც ფეხმარდია და სწრაფად გარბის!  
 — რა ვქნა, შემემთხვა, — უთხრა  
 დავითმა  
 და გულს ამოხდა სიტყვა მკენესარი,

მასწავლე თუა კიდევ ქალაქი, —  
 ან მყავს სხვა ბიძა თუ ნათესავი.  
 მე ამ მხარეში აღარ დავრჩები,  
 აქ ყოფნამ აი რა მომიტანა!  
 თოროსმა დავითს წაავლო ხელი  
 და თავის სახლში წამოიყვანა.  
 გავიდა ხანი, მინდვრებში ეწყო  
 შავ-შავი კვლები ახლად ხნულისა.  
 დავითმა კერი თოროსას უთხრა:  
 — ჯამი მოსულა გაზაფხულისა,  
 დროა მწყემსები გავეზავნოთ ცხვარში,  
 მიწას ნამიანს სითბო ეღება,  
 დაძრან გუთნები და კაე-სახნისი  
 მებრეებმა და გუთნის დედებმა.  
 რომოცი სული ოჯახში ვსხედვართ,  
 შენც საქმის გამო მუდამ შინა ხარ,  
 გავეზავნე სადმე, თორემ ამდენ ხალხს  
 შენ ერთი კაცი ვერ შეგვიანხავ!  
 — ბიქოს? — გაკვირდა კერი თოროსა,  
 მაგრამ ღიმილი უმაღ დაფარა. —  
 ჩემი ოჯახის მეთაურობა  
 და უფროსობა ვინ ჩავაბარა?!  
 შენ კი წაგიყვან აქვე სოფელში,  
 რახან გარჯა და შრომა გწადიან.  
 ხელფასს მოგცემენ — მწყემსი იქნები,  
 საცა სამწყემსოდ სხვანი დადიან.  
 შემოდგომაზე ფეტვს რომ მოგცემენ,  
 დავფქვავთ და ცხელ-ცხელ პურებს  
 დავაცხობთ,  
 ბედლები სავეს გვექნება ფქვილით  
 და ქირნახულის ზვინებს დავაწყობთ.  
 აიღებ ცხელ პურს, დავით, და მეტყვი:  
 „ჩემი შრომაა, აჰა, ინებე“...  
 არა მგონია, ასე რომ მოხდეს,  
 ხალხს რომ ვუამბო გაიცინებენ!  
 დავითს ეწყინა: — მაშ თუ ასეა,  
 რათ მომიყვანე, ან რათ გინდივარ!..  
 ადექ, მაჩენე რა სოფელია.  
 მე დღეიდანვე მწყემსად მივიდივარ!  
 თოროსა გაჰყვა და თან უამბო  
 თუ როგორ უნდა საქონელს მწყემსეა:  
 — განთიადისას გარეკავ ნახირს,  
 როდესაც ღამე შორდება დღესა.  
 გაჰყვები მთების რძიან იალალს

და კლდესთან, სადაც თევზი ლოდია,  
 წყაროზე დღისით ჩაბრუნებულას,  
 იქ სხვა მწყემსებიც ამ დროს მოდიან!  
 კერიმ დავითი დაქვამს უკან  
 დავითის გული ჩასმულს მსახიბს,  
 დილა აღრიან დაძრა ნახირი  
 და შუადღისას მიადგა წყაროს.  
 აქ შეიდი სოფლის მწყემსები დახვდნენ,  
 შეიდად გაეყოთ ბიქებს ბანაკი,  
 დავითმა ყველას შეჰფიცა ძმობა  
 და გაიჩინა სწორ-ამხანაგი.  
 გაზაფხულის პირს სიცივე ედგა,  
 სწვიმდა, დგებოდა გზებზე ტალახი.  
 გამხდარ საქონელს სიმშლილი ჰკლავდა,  
 რადგან არ იყო კიდევ ბალახი.  
 დაეცემოდა ძროხა წუმპეში  
 და უღონობით ველარ დგებოდა,  
 დავითი ხან ზედ მოიცილებდა,  
 ხან ხელგაყრილი ეზიდებოდა.  
 — იცოცხლე, შეილო, — ჰლოცავდა  
 ხალხი, —

ნუ გამოლიოს შენი სმხელი,  
 რადგან ამ ყინვას, უბედურებას,  
 გადაარჩინე ჩვენი ნახირი!  
 იპატიებდნენ, კვერცხებს აძლევდნენ,  
 მისთვის სიკეთე არ მოუკლიათ.  
 ყველა ამბობდა: ამისთანა მწყემსს  
 ჩვენს ცხვარ-ძროხაში ჯერ არ უვლია.  
 ხანი გავიდა. ღვთისმშობლობა დღეს  
 არის დღეობა მთის და ჰარისა,  
 ხალხი ჯერ წირვას ისმენს საყდარში,  
 მერე სუფრაზე მოაქვს ჰარისა.  
 ამ დღეს დავითმა ძროხა გარეკა  
 მთის ცივ წყაროზე, საცა ლოდია.  
 ხედავს — მწყემსები შევიდევ სოფლის  
 დავროვილან და მისკენ მოდიან.  
 მაგრამ დავითი ხედავს სხვა ხალხსაც,  
 მიდის დუნია მორთულ-ჩაცმული,  
 ზოგი აბრეშუმს მოაშრიალებს,  
 ზოგი ოქროში არის ჩასმული.  
 რა ამბავია! — გაკვირვებული  
 დავითი ჰკითხავს სწორ-ამხანაგებს.  
 — დღეობა არის! — ეუბნებიან,  
 დღეს ღვთისმშობელი სასუნს განაგებს!



იქ შიღის ხალხი საყდრის ეზოში  
 ლხინი იქნება მთელი მზარისა,  
 ითამაშებენ, არაყს დაღვევენ,  
 მწუკლს ააგებენ თეთრი ხარისას;  
 ვინმე ჩვენგანი რომ წავიღოდეს —  
 აქ მოიტანდა მსუქან ჰარისას!

ვისაც კი უთხრა დავითმა წასვლა,  
 ყველამ მაშინვე უთხრა უარი.  
 — კარგი, მე წაველ, რა ვაეწყობა,  
 ვნახავ ჰარისა მართლა თუ არი.  
 თქვენ აქ იყავით, ნახირს მიხედეთ,  
 თვალი ადევნეთ ტყესა და მთა-ველს,  
 ერთი ძროხაც თუ დაგიკარგნიათ —  
 ყველას მხრებიდან მოგაძრობთ

თავეებს!

სთქვა და წავიდა. თუმც გზას არ  
 იცნობს,

იცის მწყემსურად გეზის არჩევა.  
 მგზავრებსა ჰკითხავს: — იქნება იცით,  
 აქეთ ჰარისა სად იხარშება!  
 მისაწავლეს და იქით გასწია,  
 საითაც იღვა ცეცხლის ზანზარი,  
 შევიდა სახლში, ხედავს დედაბერს  
 წინ ქეაბი უდგა უზარმაზარი.  
 უთხრა: — მწყემსებმა გამომაგზავნეს  
 შეიდი სოფლის და შეიდი კარისა,  
 შენი დედამისი ძელები ცხონებას,  
 თან ვამატანე ცოტა ჰარისა!

ქალი გაკვირდა: — ხომ არ ვაგიყდი,  
 ვეშაბივით რომ ქეაბთან მოსცურავ!  
 მღვდლის უკურთხებლად როგორ  
 იქნება,

ხალხი საყდრიდან არ გამოსულა.  
 — დედი, ნუ სცხარობ, — უთხრა  
 დავითმა, —

აქ მოსაცდელად მე არ მცალიან,  
 ნახირს ვუდგევარ, ცოდვა ძროხა,  
 დამაგვიანებს ლოდნა ძალიან.

— გვიანდები და წადი, რას უცდი, —  
 უთხრა მოხუცმა ლანძღვა-გინებით, —  
 მღვდელი მოვიდეს, ხალხმა სჭამოს და  
 თუ რამ დამრჩება, მერე ინებეთ!

— თქვენი ნარჩენი ძაღლებს ავაშეთ, —

შესძახა მან და ცეცხლთან მივიდა.  
 გაბრაზებულმა დასტაცა ხელი  
 და ქეაბი მზარზე წამოიჭრა,  
 მერე აიღო ერბოს ქოფენი:  
 ვარცილიც — კოფეშბაბი! ცხამტყუპობილი  
 და თან წაიღო რაც მოახელა,  
 ფქვილი ჰქონდათ თუ გამოცხობილი.  
 ცეცხლი მოედო გულზე დედაბერს.  
 კივის: — გაუწყურეს დამბადებელი,  
 გიჟმა დავითმა მოგეტაცა, ხალხო,  
 ჩვენი სარჩო და საბადებელი!  
 ხალხი აძრახდა, ერთი იძახის:  
 — წავიდეთ ვცემოთ, სუფრა გვერევა!  
 მეორე ამბობს, — ხელი აიღეთ,  
 იმას ვერავენ ვერ მოერევა!  
 ასე ადვილად ნუ ეხუმრებით,  
 დავითი არის მშერის გვარისა.  
 ცოდვა ხართ, ყველას დაგასახინრებთ,  
 ჯანი ვავარდეს, შერჩეს ჰარისა!  
 დავითი წყაროს მიუახლოვდა,  
 ქეაბი ჩამოდგა, გვერდზე დახარა,  
 კერძით პირამდე აავსო ვარცილი,  
 ზედ ცხელი ერბო გადააღვარა  
 და მწყემსებს უხმო:

— აჰა, ჰარისა,  
 შიგ ხორცი არის  
 ნიშა ცხვარისა!  
 მაგრამ მწყემსები სდგანან უძრავად,  
 აღარ ხედებიან დავითს გულლიად,  
 დაღონებულან, დამშარებულან,  
 ხმა და კრინტი ვერ ამოუღიათ.  
 ერთმა მათგანმა ძლივს დაძრა ენა,  
 შავად უჩანდა თვალის უბენი:

— რაღა უნდა ვთქვათ, რა  
 გვესამხრება,  
 სულ ერთიანად დავიღუპენით.

შენ რომ წახველი, გაჩნდნენ დევები,  
 ვაი, რაც იმათ დღე ჩვენ დაგვემართეს.  
 საუკეთესო ორმოცი ხარი,  
 ხმა ვერ დავძარივით, ისე წავგვართვის.  
 აგერ იმ მთაზე გადაიარეს.  
 ტყეში შევიდნენ და მიეფარნენ!  
 მოდიეთო, — კიდევ უთხრა დავითმა,  
 მაგრამ მწყემსები არ მიეკარნენ.

მერე მან დიდი კეტი მონახა,  
 მხარზე გაიდო შვინდის ჯოხივით,  
 გაუღდა გზას და მთა გადალაბა,  
 როგორც მოხუცი წელში მოხრილი.  
 ბევრი იარა, კვალი ეძება,  
 დღე იყო ჩუმი და განაბული,  
 ბოლოს შენიშნა კლდის თავზე

კვამლი,  
 კლდის ქვეშ — პირლია გამოქვაბული.

ხედავს, შეყრილა ორმოცი დევი,  
 ერთად დაუკლავთ ორმოცი ხარი,  
 ორმოცყურიან ქვაბში უყრიათ  
 ორმოცი სულის ბეჭი და მხარი.

უცებ შევიდა და ქვაბს მდუღარეს  
 ანაზღუფულად დასტაცა ხელი.  
 ხარის ტყაეები ქვაბში ჩაყარა  
 და მეორე გზით შეაღო ხერელი.  
 ხედავს, — რას ხედავს! ზოგი წევს

ხალზე,  
 ზოგი ხორცს ჯიჯგინს პირდაგეშილი,  
 ზოგიც ქეიფობს-და ზოგი დაბლა  
 ვდია გამძღარჩ და გაღეშილი.

დავითს თვალები ცეცხლით აეცსო,  
 ხერელი ჩახერგა ქვით და ლოდებით,  
 — მოდი, უთხოვით და იქნებ არ  
 შოგვეკლას, —

დევმა დევს უთხრა კენესა-გოდებით.  
 მაგრამ დავითმა არ შეიბრალა,  
 თითო ცალ-ცალკე შეკრა მკლავებით  
 და ერთის დარტყმით ვაბრაზებულმა  
 დააყრევინა ყველას თავები.

სდავს დავითი და დევთა სამყოფელს  
 დიდხანს უცქერის ფიქრში ვაბმული,  
 თვალ-მარგალიტით და ოქრო-

ვერცხლით

ვაჭედლია გამოქვაბული.  
 რაც მისი მამის სიკვდილის შემდეგ  
 უოხრებიათ დევებს სასუნი,  
 სულ აქ აწყვია ობმოდებული,  
 მტვერგადაყრილი და ფერწასული.  
 დავითმა ოქრო ჩაყარა ქვაბში.  
 ქვაბში ჩააწყო ერთად ტყაეებიც.  
 მერე ხევიდან შემოალაგა  
 ყველა დახოცილ ხარის თავები.

მხარზე შეიდგა და დღეობისკენ  
 ისევ გამიზნა მუხლი ძლიერო.  
 მივიდა, სთხოვა: — ცოტა მაჭამეთ,  
 მთელ დღეს წანწაღში ვეღარ  
 გინახავთ მშვიერად  
 შემინებულმა მღვდელმა ხალხს

უთხრა:

— აჭამეთ, მაინც წასვლის ხანია,  
 დილას რომ ჩვენგან ქვაბი წაიღო,  
 ხედავთ უკანვე მოუტანია!  
 ასევს, აჭამეს, მერე დავითმა  
 აღარ დაუღო გული ღრეობას,  
 მან დაუძახა ძროხის პატრონებს  
 და მთელი სოფლის მოსახლეობას.  
 უთხრა: — აჰა, ეს ხარის თავები,  
 ესეც ტყაეები თქვენი ხარისა,  
 ნომიტანია საშავიეროდ,  
 რადგან წაგართვით დილას პარისა!  
 აჰა, ეს ქვაბიც, ოღონდ გაფრთხილებთ,  
 მწყემსების მიმართ ჭკუით იყავით:  
 ქვაბში ოქროა, ხარების ნაცვლად  
 ეს დაირიგეთ და გაიყავით!  
 ვფიცავ, მწყემსების გასამრჯელოდან  
 თუ მოგიკლიათ ერთი მარცვალი, —  
 თქვენი სახლკარის ნაცვლად დარჩება,  
 მარტო ცეცხლი და მარტო ნაცარი!  
 ადგა, გასწია ძმად-ნაფიცებთან.  
 ხედავს — მათ გულში ისევ მწუხრია.  
 ქვაბიც სავსე დგას, ხელი არავის  
 არ შეუხია და არ უხლია.

— რას ჩამოგტირით, ძმებო, თავ-პირი,  
 თითქო სუყველა სიკვდილსა ნატრობს!  
 — მაშ რა მოგვალხენს, — ეუბნებიან, —  
 რა პირით შევხედეთ საქონლის  
 პატრონს!

— მე ვიყავ მათთან. ველაპარაკე, —  
 უთხრა დავითმა ომანხანად.  
 ხმას ვერ გაგცემენ, თუ რამე ვითხრეს,  
 სულ ამოვადებ ოჯახიანად.  
 მერე უამბო, რაც თავს გადახდა  
 და დაურიგა დევის ყურები:  
 — ყველას უთხარით, გააგებინეთ,  
 საცა კი ნახოთ ჩვენებურები.  
 ჯორ-სახედრები წამოიყვანონ,

ვირებს აკიდონ ოქროს ზოდები,  
კვლავ დაიბრუნონ თავის სიკეთე,  
რაც დაუკარგავთ ერთ დროს

ვოდებით!

მწყემსები ხელად მოედნენ სოფლებს,  
სოფელში საქმე ჰქონდათ თუ არა:

— ორმოცი დევი მოკლა დავითმა! —  
ეზოდან-ეზოს გადაუარა.

ზრილი დადგა, ხალხი ჩურჩულებს:

— დევების მკვლელი ჯერ არ

შობილა!

მწყემსები მაინც იმეორებენ:

— ვმირი ბრძოლაში გამოცნობილა!

ვისაც არ გჯერათ

წადით და ნახეთ,

მერე დავითის

სახელი აქეთ!

დავითი სოფელ დაშთუ პიდოლში

ამ დროს მოვიდა თავის ნახირით.

ჩამოიარა კარიდან კარზე

და ეზოებში შექმნა ძახილი:

— წაიყვათ თქვენი ხარი და ძროხა,

ხვალიდან მწყემსად ველარ დავდგება.

წავალ ბიძასთან და მას ოჯახში

სხვა რამ საქმეზე გამოვადგები!

ქალებს ეწყინათ დავითის წასვლა,

ათასი წყევლეს, ათასი ლანძღეს:

— აგრემც უდროოდ მზე

დაუბნელდეს

და მავის ჯანით სიკვდილი გაძღეს!

მაგრამ დავითმა ყურიც არ უგდო,

არცა სწყენია მათი გინება,

მივიდა შინ და ძალუას უთხრა:

— დაქანცული ვარ და მეძინება!

კერი თოროსას ცოლმა მიუგო:

— სადა მაქვს შენთვის ლოგინი

რბილი!

ე მანდ ჩერებია, ქვეშ გაიფინე

და დაიძინე — თუ გინდა ძილი.

დავითი იქვე მიწაზე მიწვა.

თავი წაართვა დიდხანს ღვიძილმა,

ტკბილად ჩასთვლიმა და ულოგინოდ

განთიადამდე გამოიძინა.

მაგრამ ძილშივე, დილაადრიან

თავში რაღაცა მოხვდა კერძოთ,

წამოიჭრა და წინ შეიფრთხა

ბიძა ავი და გულჩუკბილი:

— შე ძაღლის ლეველია!

— ხომ არაა?

კერი თოროსმა უთხრა მუქარით. —

აკი ამბობდი ფეტვს მოგიტანო,

რომ წამოხველი, ხალხს რა უთხარი?

— ბიძავ, — დავითმა გააწყვეტინა. —

თუმცა მცემ, მაგრამ მაინც შენი ვარ;

შენ ეს მითხარი, ამ ჩვენს ოჯახში

კაცი და ქალი სულ რამდენი ვართ?

— რამდენი ვართ და. — ორმოცი

სული! —

და გამომცდელად შეავლო თვალი.

— სულ რამდენი ვაქვს სახლში

ტომარა?

— რამდენიც ჩვენ ვართ. — იმდენი

ცალი!

— ძვირფასო ბიძავ, — უთხრა დავითმა,

რისთვის მიწყრები ამ მაგალითით

ნახავ ავიესო მთელი სახლ-კარი

ოქრო-ვერცხლით და თვალ-

მარგალიტით!

წადი, ვაჟაკებს შეატყობინე,

თან წამოიღონ ყველამ ტომრები.

რა ექნა, ეხლა თუ მლანძღავ, მაჯინებ.

მერე ხომ ტკბილად გემახსოვრები!

— ვინ დაგიჯერებს ოქროს მოტანას, —

იცინის კერი გაუცინარი. —

ოქროს ვინ ჩივის, შენი ნაშოვნი

ფეტვის მნახველიც არავინ არი!

— წამოდი მეთქი, ეხლავ წამოდი, —

ჩქარობს დავითი არ ესვენება. —

თუ მთელი ქვეყნის ოქრო არ მოგცე,

ვაქრეს საქვეყნოდ ჩემი ხსენება!

თუ არ ავიესეთ ყველას ტომარა

და არ დაგტვირთეთ ოქროს ზოდებით,

ოცდაცხრამეტმა გზაში მომკალით

ქვით და ნურავის შეგეცოდებით! —

სთქვა დავითმა და მოიხსნა ჩანთა.

თოროსას ფეხთან თავი დახარა

და მის წინ, როგორც ნამტვრევი მზისა,

თვალ-მარგალიტის ზეფი დაყარა.

— შენ გენაცვალე.— შესძახა კერმა, —  
როგორც მნათობი ჭვეყანას ჰშენი,  
დაგიხოცია დევთა დევები

და დაიხსნია დოვლათი ჩენი! —

ხელი მოხვია და გადაკოცნა,

მერე მოუხმო ოპანს და ვერგოს:

— ქონება ჩენი წინაპრებისა

უნდა ჩემს ძმებში სუყველას ერგოს!

აღგნენ, მისდევნ დაეითს კვალდაკვალ  
ორმოცი კაცი ხმაგანაბული.

იქ კი შეყრილა შვიდი სოფელი

საცა კლდე არი გამოჭევაბული.

კლდის წინ ლეშები ჰყრია დევების,

ლოდებს ატყვია სისხლი დენილი,

გზა აღარა სჩანს დევების ძვლით და

დევების მძორით გამოტენილი.

— ვერგო სადღაა! — ხალხმა გახედა,

სახლისკენ გარბის შიშით გვემული.

ბევრი შეშინდა და ვერგოს უკან

გამოეკიდა ზარდაცემული.

დაეითი ბლავის: — რას სჩადი, ხალხო,

მე ცოცხალ დევებს მარტო შევებო,

ხომ არ გავიკდით, რისთვის

გარბიხართ,

რას დავაკლებენ მკვლარ დევები! —  
ვერგო შეჩერდა, სიკეთილმა დაწვა,  
ხალხიც მობრუნდა კონხი მოსული,  
დაეითმა კარი შეაღო —  
მძიმე ლოდებით გარემოცული.

კერი თოროსს და ოპანს შეუძღვა,

თან შეპყვა ხალხის ტალღა დინებით.

ეს რა მთებია ძვირფას საქონლის

და ოქრო-ვერცხლის ეს რა ზვინები!

უცქერის ხალხი ვაშტერებული

და სიხარულით გული ევსება,

ამდენი ენა, ამდენი თვალი

დაეითს ლოცავს და ეალერსება,

მერე ჩაყარეს ოქრო ტომრებში,

არავის დარჩა გული ნაკლული,

დასძრეს ჯორები საბაღნიანი

და გამოსწიეს სახლში მაყრულით.

ველარ იტევდა სასუნი დოვლათს, —

რისაც კი შესძლო ხალხმა მიტანა.

დაეითმა მხოლოდ გამოჭევაბულთან

დაბმული რაში წამოიყვანა.

მოარგმნელი ილო. მოსაშვილი

## ერთი ლამის აგზავნი

ლამდებოდა. მზე ეფარებოდა ფოცხოვ-ჯაყყისმანის მთებს და ჩრდილში ტოვებდა სოფელ ვალეს. მამაკაცები ბანებზე შეგროვილიყვნენ და ბაასობდნენ. სახლის კარაპინებთან ჩამსხდარიყვნენ დედაკაცები, წინდასა ქსოვდნენ და ლაპარაკში გართულნი, დასარწყულებლად გარეკილ საქონელს ელოდნენ.

სოფლის ზემო უბანში, კოოპერატივის წინაც მოეყარა ხალხს თავი. აქ იყვნენ კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენიც.

მზეზე სახე-გატრუსულ, შუატანის მამშადიანს, ჩაბალახით წაეკრა თავი და მიმინოსავით იყურებოდა.

გრიგორ შავრეზოვს, ფეხთ ქალამნიანს და ლურჯ ახალუხიანს, თავი ფრანგად მოჰქონდა, თუმცა ერთი სიტყვა ფრანგული არ იცოდა, მაგრამ ქართველს მაინც არ აძლეოდა ქალს ცოლად.

სიკო კოჩოხაშვილიც აქ იყო. კაცი განსწავლული, მან იცოდა თუ რა იყო მესხეთ-ჯავახეთი, სად ირწეოდა წინათ საქართველოს კულტურის აკვანი. იგი ცოცხალი მატინე იყო, ისე მოუთხოვრებდა ხალხს წარსულზე, თითქოს წიგნს კითხულობსო, არც საუკუნეები ეშლებოდა და არც წლები ავიწყდებოდა. ახლაც ჩამდგარიყო ხალხში, თავის გრძელ მკლავებს შლიდა და ლაპარაკობდა; სოფლებები ახალ ყოფასა და კოლმეურნეობაზე მსჯელობდნენ. დიდ სიბჭვანზე ჩამომჯდარიყო უდედან გამოსული გლეხი; ხელში კვერცხებით სავსე კალათი და ფეხშეკრული ქათამი ეჭირა და აქეთ-იქით უნდოდ იყურებოდა. არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ, თუმცა კაპანაძე კი იყო გვარად. ამ ამბებს დასტიროდა ხშირად სიკო კოჩოხაშვილი, რომ „სანებლიძენი, გიორგაძენი და ნადირაძენი, ქართველ იყვნენ და თავი ოსმალო ეგონათ“.

შორი ახლოს, ხის მორზე იჯდა პირტიტველა ახალგაზრდა. ატმის ბუსუსივით აზნდა სახეზე ახლად ამოწვერილი უღვაში, ფიქრებს წაელო ბიჭიკო, ნისლმორეულ თვალებს ადევნებდა შორეულ მწვერვალებს.

მალალი, შუახნის კაცი, გაჯავრებული დადიოდა წინდაუკან, წელზე ხელე-ბი შემოეწყყო, პირშერდვეულ წუღას ფოსტალივით დააფრატუნებდა.

— არა, შენ როგორ როყიოდ მელაპარაკები, როდის გამოიმუშავებთ ცამეტი კილო ხორბალი შრომა დღეზე? — უთხარი ერთს და გაუჩერდა წინ.

— ჩვენ რატომ უნდა მიგველო, ან საიდან გამოვიმუშავებდით? — უპასუხა კაცმა, რომელიც აღხეინად იჯდა ხის მორზე და სიამოვნებით აბოლებდა ყალიონს.

— ივანეს ავიწყდება, რომ ახალი წვერია და შარშანდელი მოსავალი მაგან თავის ბელელში ჩაჰყარა, — სთქვა ხავერდის ხალათიანმა. უდელ გლეხს

ქათამი გამოართვა, მხარი გადაუწია და სული შეუბერა, რომ გაეჭრ, მსუქანია თუ არაო.

— შენ ევა სთქვი და... შენი შრომა მომავალში გამოჩნდება-მეთქი, ვეუბნები, მაგრამ ეგ ხეპრეა და არ ესმის. — სთქვა ყალიონიანმა.

— ხეპრეცა ხარ და მეტიც! — შეუტია შავგვრემანმა.

— გაჩერდი, კაცო, რას ცხარობ! — უთხრა სიკომ დაშოშმინებით.

— ვცხარობ, მაშ რა. ასეთებს რომ დამიწყებენ, სისხლი ყელში მომივა. — ჩაიბურღლუნა. კიდევ დაიწყო უკან ხელები და ისევ მოჰყვა წულეების ფლატუნს.

— ივანე! შენ ბუზლუნა კაცი ხარ: რაც მახსოვს, ყოველთვის უქმაცყოფილო იყავ. არც ერთ დროს შენ არ შეხაროდი. — განავრძო ისევ სიკომ.

— ჰო, და აგრეც იყო, თუ გინდათ... არ შევხაროდი და არც შევხარი, რა გინდათ შერე? — დაიძახა ივანემ და გამოეჭიმა წინ სიკოს.

— რა გვინდა? — დააკვირდა სიკო. პირიდან ყალიონის ღერი გამოიღო, თამბაქოსაგან ჩაყვითლებულ უღვაშებზე გადაისვა, თითქოს ფრთა გაისწორაო და ნელა უთხრა:

— რა გვინდა, ივანე? კაცი უმადური არ უნდა იყოს. დაგავიწყდა, შეილო? — გაშალა მარჯვენა, სალოკი თითით შემოხაზა არემარე, ისევ მიაჩერდა ივანეს და განუყოფდა:

— არა, დაგავიწყდა, აქაურობა მკვდრებით რომ იყო მოფენილი? დაგავიწყდა, ახალციხეს რომ გავრბოდი და უკან წვიმასავით მოგვედგა ცხელი ტყვია? არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რომ არ გახსოვდეს, მუშლივით რომ გამოვიდნენ აი იქედან, — გაიშვირა ხელი მუხურისაკენ. — გამოვიდნენ და შავად დაჰფარეს ამ მთიების კალთები. დაგავიწყდა, ბებერი დედა ხევში რომ ჩავიკლეს, ორი კვირის შემდეგ ეძებდი და მკლავებმოკმული რომ იპოვნე?

— ოჰო, ოჰო, ჰო, ჰო, იშოვა სიკომ სალაპარაკო და მოხსნის თავს. — დაიძახა მოთმინებაგაწყვეტილმა ივანემ და ისევ დააპირა წინ და უკან სიარული, მაგრამ შეაჩერა სიკოს სიტყვებმა.

— ჰაი, ჰაი, რომ სიკეთეს არ დაინახავს ზოგიერთის ბრმა თვალი. ოცი წელიწადი სრულდება, ჩვენს მიწაზე თოფი არ გავარდნილა. მთელი დამე აღხეინად გძინავს, ხვალინდელი დღისა არ გეშინიან, იშრომე შეილოსან და იცხოვრე, მეტი რა გინდა? თუ ქვეყანა ხარობს, შენ რაღად ჩამოგტირის ცხვირპირი?

ივანე თითქოს შეაფიქრეს ამ სიტყვებმა, მან დაუწია ხმას.  
— კეთილი... არ უნდა ჩამომტროოდეს სახე, მაგრამ... — არ დაათავა სათქმელი და ორჭოფულად შეანძრია ბეჭები.

— რას იშმუშნები, ივანე, რად არ მოგწონს სიკოს სიტყვები? — მოსძახეს სხვებმა.

პასუხის ნაცვლად ივანე ისევ თავის კითხვებს დაუბრუნდა.  
— რამ ვაგიტება ივანე გული, გაზაფხულზე იმდენ კარტოფილს ამოვიღებთ, ბაზრები ველარ დაიტევინ და შენც თავსაყრელად მოგივა, — უთხრა ერთმა.

— ბიჭო და პეტრეს მოსვლამდის თუ ტყავი გასძვრეს პავლეს? — შეუტია ივანემ.

— რა ტყავი, რის ტყავი, რას ამბობ? თესლი რომ რევათასი უნდა შევი-  
ნახეთ, გეგმა შევასრულეთ, ჩვენთვისაც ხომ დავინარჩუნეთ რამე, ჩემს რე მოსა-  
ვალს რომ არ იყო გველვების გამო?

შეეკითხა ერთი ახალგაზრდა.

— სალოლ! შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა... — ჟღერდა მისი ხმები.  
მიწაზე დააბერტყა და მდაბლად დაუკრა თავი.

— სწორია... „ყვავო, რასა სტირი და ორთავ თველებსო“, მეც მანდა ვარ,  
ეს თესლიო, ეს გეგმაო, ეს გველვაო და ივანე კი დარჩი ხანამშრალი.

— შენ ყოველთვის ასე წუწუნებ. — უთხრა მეორე ჭალარამ.

ივანე ახლა ჭალარას მიუბრუნდა.

— შენ-კი, ენა გაქ გრძელი... შემძრომი ხარ, აქ არაფერს იტყვი და  
ცალკე კი ბუზღუნებ. თუ ბიჭი ხარ, აქა სიტყვი, აქა. — მოიხარა და თითი  
დაარტო მიწაზე.

— ამხანაგებო! დაგავიწყდათ უკანასკნელი გაფრთხილება, არა? — შემოე-  
რიათ ლაპარაკში განმარტობებით მჯდომი ახალგაზრდა.

ახლა ამ მხარეს შემოუტრია ივანემ.

— რა გაფრთხილებაზე შელაპარაკები, ყაზირალო?

— ივანე! გაფრთხილებ, ნუ იღანძღები. თუ რამ არ მოგწონს, განცხადება  
შემოიტანე. არ გინდა კოლექტივი, ხელს არ გაძლევს ჩვენთან მუშაობა? არც  
არაფინ გეჭიდებათ კალთაზე, ხომ ათასჯერ ავიხსნეს, „შემოსეღა ნებაყოფლო-  
ბაზეაო“.

— წადი შენი... — უნდა შეეგინებინა ივანეს.

— კიდევ... — აღწია ხმის ახალგაზრდამ და ფეხზე წამოდგა.

— კარგა ხანია გივდებთ ყურს, ყველას ძალღივით უღრენ, ასეთ ქცევაზე,  
იცოდე, ჩვენ პასუხი გვაქვს.

— დაეხსენ, კაცო, ეგ ნასწავლი სინკა ბიჭია... მაგასთან ჩვენ რას მოვალთ,  
ყველაფერი იცის. — გამოელაპარაკა ივანეს მალალი, ბეჭებში მოხრილი კაცი.

— მირზა ეფენდი-ოღლი! შენ ყოველთვის გესლიანი ენით მხვდები, დამ-  
ცინი, რა მაქვს შენი დასაცინი? რა გინდა ჩემგან, რა გაწყენინე მე შენ? —  
შეეკითხა ვაჟი.

— შენ რა უნდა მაწყენინო, გუშინდელმა ჭყინტმა ყაზირალომა. — უპასუხა  
მირზამ.

— მირზა ოღლი, ნუ მღანძღავ, არ ვარგა... მეზობლები ვართ. — მიუგო  
სინკამ მოკლედ. თითქოს არ უნდოდა ამ კაცის წყენინება, მოარიდა თავი შე-  
კამათებას, ისევე ჩამოჯდა მორზე და პაპიროსს მოუკიდა.

— არა, მაინც ვიცოდე, რა პასუხი გაქვთ, ან რას მპირდები, სინკა? — არ  
ცხრებოდა ივანე.

— რაცა გვაქვს, ეს მე ვიცი... ჩვენ არავის ვაპატიებთ ასეთ ქცევას, ვინც  
შეეცდება საერთო საქმეს გაუტეხოს სახელი, ჩვენ...

— შენ ხომ მამბულარა ხარ და მეტი არაფერი! — გადმოსძახა სინკას მამ-  
სავით პირტიტველა, შავთვალეებიანმა ბიჭმა, რომელიც კოლპერატივის ბანზე

იყო ჩამომჯდარი, ქვემოთ ჩამოშვებულ ფეხებს აქანავებდა და ყურს უგდებდა ხალხის კამათს...

— ოხო, ეს შენ ბრძანდები, დურსუნ? კეთილი.. ჩამობრძანდები ძიოს, რა მაღლა შემომჯდარხარ! — უთხრა სინკამ. მის სიტყვებში დატყვევება იგრძობა.

— ენახოთ შენი ბიჭობაც. — არ დაერიდა დურსუნის მსხვერპლს ამხობტა ბანიდან...

სინკა ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ თავით ფეხამდი დაათვალიერა ქეჩოაყრილი დურსუნის...

— რო იბერები, რას იბერები? ვის აშინებ... — წაადგა თავზე დურსუნის.

— უკან დაიხი... ვინ არის მამბეზლარი... ან რა არის მამბეზლარი, სიმართლეს მხილება და კრიტიკა მამბეზლობაა? შენ ვამცემ პასუხს ამაზე... — უთხრა სინკამ დინჯად.

— აბძანდი ზევით. — თითქოს უბრძანა დურსუნმა. \*

— თორემ რას მიზამ?

— გაჩვენებ რასაც...

— იქნება მართლა? — გაეცინა სინკას.

— ენატანია, შპიონო...

— ამას უყურეთ. — წამოიძახა სინკამ, ფეხზე წამოხტა, მაზარის კალთა გვერდზე გადაიგდო და წაიწია წინ.

— სუუუუ... გაჩუმდით... — დაიძახა ვილაცამ.

— თავმჯდომარე მოდის...

ყველამ იქით მიიხედა. დაღმართიდან ორი კაცი ამოდიოდა, სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ასლან თემურ-ოღლი და მას გვერდით მოსდევდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ელიოზი...

სინკამ უცებ შეაქცია ზურგი დურსუნს, ვანზე გადა და ისევ მოუკიდა პაპიროსი, რათა თავმჯდომარეს არ შეემჩნია მისი აღლევება.

მოვიდა შუატანის, მხარბეჭიანი, შავგვერემანი ვაჟაკი. ოცდათორმეტი წლის იქნებოდა, ენერჯია და ძალა მოსჩანდა მის გარეგნობაში, მტკიცე გამომეტყველების სახე ნდობას და პატივის გრძობას ბადებდა კაცის გულში. სამაგიეროდ პატარა, ტანდაბალი ასლან თემურ-ოღლი გიორგაძე, ისე მოცუნცუნებდა ამ ღონიერი ვაჟაკის გვერდით, ვერც შეამჩნევდა კაცი მას. მაგრამ სოფელს უყვარდა მეტად მართალი და სინდისიერი მშრომელი გლეხი, მათი ტოლი და ამხანაგი. საბჭოს თავმჯდომარედ აერჩიათ. ასლან თემურ-ოღლი ხელს ძლივს აწერდა ქაღალდებზე, მაგრამ იყო მიუდგომელი, ალღოიანი და საკითხს ისე გადასჭირდა, რომ აკვირებდა რაიღმასკომს.

მათმა მოსვლამ გუნება შეუცვალა ყველას. უკმაყოფილო ივანემ აიგრიხა კუდი და ვანზე გადა, თითქოს აქ არაფერი ყოფილაო. მირზა ეფენდი ოღლის მიწოდებული თუთუნით მაგრა ვასტენა ყალიონი და ორთქლმავალივით დააყენა ბოლი. წელან ქეჩოაყრილი დურსუნის ისევ ჩამოჯდა კოოპერატივის ბანზე, ალბათ მოსწონდა იქ ჯდომა, ფეხები ისევ გადმოკიდა ქვემოთ და იქედან მოჩხუბარ მამალივით დაუწყო ცქერა სინკას.

მისალმების შემდეგ ელიოზმა დაიხედა მაჯის საათზე და მიმართა ხალხს:



— ამხანაგებო, აქ რას შეგროვილხართ. წადით კანტორაში, დღეს რამდენი საკითხი გვაქვს ჩვენ გასარჩევი? წადით. პაიდი, ვიდებ მენდეს ეზინაღე, ჩაფუხ გელარუმ.<sup>1</sup> — პაიდე, პაიდე! — უთხრა და კოოპერატივისაკენ მიბრუნდა. ხალხი წამოიშალა და ხმაურით ჩაუყენენ დაღმართს.

ელიოზი ცოტა მოგვიანებით გამოვიდა კოოპერატივიდან და დამე უკვე გაყრილიყო, ცას აღმასის ქინძისთავები დაეზნია გულზე, შორეული ვარსკვლავები თავის მოლოდინში მორცხვად პირმკინარობდნენ...

სინკა არ გაპყლოდა მეზობლებს, ის კვლავ ჩამოგდარიყო მორზე, ჩამქრალი პაპიროსი თითებ შუა შერჩენოდა, მაზარის საკინძი გაეხსნა და ვერ გრძობდა ქაბუკი სუსხიან საღამოს. მაღალ წვივებზე აზიური წაღების ყელი ჰქონდა შემოჭერილი და ფეხებზე ახალი კალოშები გიშერივით უპრიალებდა...

ელიოზი მიუახლოვდა და ნელა დაადო ხელი მხარზე...  
— სინკა! შენ რას უზიხარ აქ, ვარსკვლავებს ითვლი? ხალხი წავიდა, შენც გაპყვებოდი... აქტიური ბიჭი ხარ და... — და არ გაათავა სათქმელი...

— მე შენ გიცდიდი, ელიოზ! — უთხრა სინკამ.  
— სტყუი, შენ სხვას ფიქრობდი, ადე, წავიდეთ, გეცდიან. — თითქოს უბრძანა... მკლავში ხელი წაეღო და შეანძრია, რაღაც უთხრა ამ შეხებით, აგრძნობინა, რომ: „მე ვიცი რატომაც უზიხარ ასე განმარტოებით, ვიცი ყველაფერი“...

დაეშენენ ქვევით, კოჭებამდი ეფლობოდნენ ტალახში.  
— მაღლა წავიდეთ, აქ დიდი ტალახია... — სთქვა ელიოზმა და განზე გაუხვია, გადაიარეს ბანებზე, რომელზედაც საკვამურები რიგრიგად ჩამწყრივებულყენენ. იქედან მწარე ბოლი ამოდიოდა, ბურთივით იკუმშებოდა, ივრიხებოდა და ნიავეზე იშლებოდა. საკვამურებს თან მისდევდა ერდოებში დატანებული სარკმელები, საიდანაც გაუბედავად იჭყიტებოდა სინათლე. ზოგ ერდოს ჰქონდა მინის სარკმელი, ზოგიც ღიად დაეტოვებიათ და თავისუფლად ამოდიოდა ქვემოდან თბილი ჰაერი.

სოფელი თითქოს დაცარიელებულიყო, არავის ქაქანება აღარ სჩანდა. მიჩუმებულ არემარეს მხოლოდ მთის კალთებზე აშოლტილი ალვის ხეები სდარაჯობდნენ, რომელნიც ამოწვდილ ხმლებივით უვლიდნენ გარს სოფელს.

სინკა ერთ ერდოსთან შეჩერდა, შიგ დატანებულ სარკმელს ირიბად ჩახედა, ქვემოთ აღამიანები მოსჩანდნენ.

დარბაზის დედაბოძთან იდგა ახალგაზრდა ქალი.  
ელიოზმა კარგად ივრძნო სინკას შეტოკება, მან მაგრად მოუქრა ხელი მკლავში, მოაშორა სარკმელს და ბანიდან განზე გადაუხვია.

— რას ბორგავ, სინკა? — უთხრა ცოტა დუმილის შემდეგ. — მე ყველაფერი ვიცი, დედაშენმა შემომტრა, ცუდი ფიქრი ჩავიდევს გულში, არ ვარგი საქმეა, ხომ იცი?..

სინკა სდუმდა, ელიოზმა ისევ განაგრძო:  
— რატომ არაფერს მიპასუხებ?  
— რა უნდა გიპასუხო, ელიოზ, თუ უკვე იცი... შენ თავად მითხარ, რათ არის ცუდი?

<sup>1</sup> წადით, მეც ჩქარა დავწევით... პაპიროსს ავიღებ.

— რათა? ხომ იცი, ისინი ვინ არიან და შენ კიდევ ვინ? — სინკა გააკვირვა ელიოზის სიტყვებმა, ესეც თუ ამ აზრისა არის, მაშ საშველი უნდა ყოფილაო, — გაიფიქრა.

— ელიოზ! შენც ამას იძახი, მოწინავე კაცი, შენ არ ფეხქვეშა სიბნელება და სრული უვიცობა?

— ჯერჯერობით აღრეა, სინკა! დრო მოვა და ეს საკითხიც მომწიფდება... ახალ თაობებს ზრდის სკოლა, ქეშმარიტება უმტკივნეულოდ გაიკვლევს გზას... ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად იცის, როგორ მოუაროს ყოველ საკითხს... შენ უნდა იცოდე ეს, კომკავშირელმა...

— და? — შეეკითხა სინკა მრავალმნიშვნელოვნად...

— და სანამ დრო არ დამდგარა, უბედურებას არ უნდა გადავაწყდეთ, გაიგე?

— ვიცი, ელიოზ! როგორ არ ვიცი, მაგრამ...

— მაგრამ რა, შენს გრძნობას ამით აგვიანდება? დამაცა, მაგასაც გამოუნახება გზა. უჩემოდ არ წახვიდე კრებიდან...

სინკა უკლებდა ყურს. ყველაფერი სწორი უთხრა ამხანაგმა, მაგრამ ეს რომ სინკას ვერ შეელოდა? მისი საქმე რომ ვახლართულიყო და ვაფს უიმისობა არ შეეძლო... „შენ გრძნობას ამით უგვიანდებაო, გულთმისანივით მიმიხვდა, კაცის სულში თვალნათლივ იყურება ეს ელიოზი“. — გაიფიქრა სინკამ, მაზარის კალთები მალლა აიკეცა, რომ სიარული არ დაეშალა და ჩქარა მიმავალ ელიოზს უსიტყვოდ აედევნა.

\* \* \*

განიერ ტახტზე მუხლმოყრილი იჯდა მოხუცი ქალი, თავზე შავი ჯილა ედგა და ზედ თეთრი რიდე ებურა; დოლბანდზემოთ შავი თავშალი ეხურა, რომლის წვერებიც ყურთმაჯებივით აქეთიქით გადაედო მზრებზე, ხელში კრიალოსანი ეჭირა და დრო და დრო ჩააგდებდა თითო ქარვას.

ორი შუახნის ქალი ღუმელთან ჩამომსხდარიყო... სამივე დედაკაცის თვალი ახალგაზრდა ქალს მისჩერებოდა, ის მილურსმულივით იდგა დარბაზის დედაბოძთან, ლალისფერი ტუჩები მაგრად მოეკუმა და დატყვევებული ნუკრის თვალემა ღმობიერებას სთხოვდნენ იქ მყოფთ.

სრული სიჩუმე იდგა დარბაზში, საცა სისუფთავე იყო დატული; გაწმენდილი ღუმელი, დაგვილი სოხანი,<sup>1</sup> ნოხფარდავით მოდალიკებულ ტახტზე ერთ თავში მიეკეცათ ლოგინი და ზედ წითელი ჯეჯიმი ეფარა. მეორე თავში იდგა დიდი მწვანე სკივრი, რომელსაც დრო და ჟამით საღებავი აფხეკოდა აჭაიჭ. კედელზე ტანსაცმელები ეკიდა. თაროზე ჩამწყრივებიანათ ჯამჭურჭელი, ვერცხლივით მოელვარე სპილენძივით, ყავადანი, თუნგები, სიმები, ბადიები და ახალი ფაიფურის ქურქელიც. საკმაოდ მოზრდილ დარბაზს ეკლესიის გუმბათივით შეკრული ჭრილი<sup>2</sup> ამშვენებდა, აღმოსავლურ სტილზე ნათალი ფიცარი გვირგვინად ედგა. დახარბებული, ერთი მეორეში ქალის დალაღივით

<sup>1</sup> შიწის იატაკი.

<sup>2</sup> ჭერი.

ჩაწული კიბის საფეხურებივით უვლიდა გარს, თანდათანობით მალლა იწვედა კამარა, და მერცხლის ბუდესავით იკროდა კუნძული. ძველი ბუხარი ძლსავლის კარებივით იყო მოჩუქურთმებული, კარგ ოსტატს მინდვრის ყვაველენი გამოფერწნა ზედ. სიძველეს ხელი დაერია, კვამლს გაეშავებნა და კლუნიკანჭშირის ზოდებივით ბზინავდა. ოთახში ღუმელი იდგა, მაგრამ ბუჩქბაჩიყინეყინე იყო გაუქმებული; შიგ ნაჭა ეკიდა და ზედ დაკიდებულ ქვაბში კარტოფილი იხარშებოდა. იქვე იდგა დიდი ქვის კეცო, თუნუქი ეხურა და ზედ ნაკვერცხლები ჩაფერფლილიყო. დარბაზის ერთი მხარე თხელი ფიცრით გადაეკედლათ, იქიდან ხრამახრუმი ისმოდა, საქონელი სკამდა ჩალას და მძიმედ ქშინავდა.

— გოგო, მაგდა! არ გცოდნია შენ კეთილი მეზობლობა, ცუდი საქმე მიყავი. სიობლეში გავზარდე, თან გადავეცი, მეორედ არ გავთხოვდი, მაგას შევეწირე. ახლა კი ქვეყნის სასაცილო უნდა გავზდე. არც ასე ჩაივლის, ბიძები მოჰკვლენ. შილები<sup>1</sup> დაციხვით ამიკლებენ, არც მეზობლები დათმობენ, ჩხუბი ჩავარდება და რათ გინდა ეს? — სთქვა ერთმა მალაღმა, გამხდარმა ქალმა.

მას გრძელი, წინ გახსნილი ნაოქიანი ახალუხი ეცვა, ჯოშები ძირს დაეყარა და პრელი წინდის ყელზე ლურჯი შარვლის ტოტით ჰქონდა შემოქერილი. კაბის გულისპირი ვერცხლის ღილებზე ვერცხლის ძეწკვითვე ჰქონდა ამოხლართული და შიგ მიხაკისფერი პერანგი ეცვა, თავზე ზავერდის კათხა ედგა, როგორც მის დედამთილს და ზედ დოლბანდის რიდე ეფარა. მეორე ქალი უბრალო შავი კაბით იყო, თავზე თავშალი ეხვია, რომლის ფორმესაც მუხლებზე იშლიდა, ხელს უსვამდა, ასწორებდა, ფოჩის თვითეულ ძაფს მწკრივად აწყობდა, თითქო მხოლოდ ეს იყო ამ დროს მისი საქმე.

— რა ვქნა, რა ვითხრა, გოგო აზიზ! ჩემმა ღმერთმა იცოდეს, რომ მე ბრალი არაფერში<sup>2</sup> მაქვს. ორივე ქვრივი ვიყავით, სანამ წყალმა არ წალეკა ჩემი ქოხი და მალლა არ გადაესახლდი, კარგი მეზობლობა გქონდა. დებივით გვიყვარდა ერთმანეთი. შენ გაგიზრდია შეილი სიმწარით და მე კი არა? შენ ერთი გყავდა, თან ნენეც<sup>3</sup> გშველოდა მის გაზრდაში... მე ვინ მყავდა ობოლს და ოხერს? ახალციხეს ფეხშიშველადაც მივლია, ზურგით პური მითრევია, რა ორი ანაბანა მესწავლებინა შეილისათვის. — უთხრა მაგდანამ და შეხედა მოხუცს ქალს, რომელსაც თითქოს რული შეჰპაროდა და ჩაეთვლიმა.

— კარგია, კარგი, მაგდან! შენ ღმერთსაც ფიცულობ, შეილისთვისაც სწავლა მიგიცია. მე რას ვასწავლიდი, რაც იცის, ისიც შენი ტასოს წყალობაა... ახლა ღმერთი უნდა გავარისხო და ხალხიც?

— აზიზ! რითა ვარ დამნაშევე, ერთად იზრდებოდნენ... ჩემი გოგო და ესა. ბიჭიც მავათთან თამაშობდა. გოგოები ერთად ქსოვდენ ჰილოფს, არ ვარიდებდით ერთმანეთს... მერე ბიჭი ახალციხეს წავეყვანე სასწავლებლად. გულში კი სხვა ფიქრი სდებიათ, რა უყო ახლა მე? ბიჭი დარდობს, არასა სკამს... შენც მოგიკვდება გოგო. ხალხს რა ხელი აქვს ჩვენს საქმეში? ღმერთი? — ჩაეღიმა მაგდანას. — სანა სცალაიან ღმერთს ჩვენთვის, ან რა ენაღვლება მას? ასე არ არის, დეილო ჯავარ? — მიუბრუნდა მოხუცს.

<sup>1</sup> რძლები.

<sup>2</sup> დედამთილი.

ჯავარი შეინძრა, თვალი ვაღო და თავი გაიქნია გამოსაღვივებლად.

— გოგო! მე კი არ ვიწუნებ შენს ბიქსს, ან უკეთესს ვის მიესწამ ნასწაველია... კარგია... არც ალახს აქვს საქმე ჩვენთან, მარა სოფელი ყაბუღოს არ ვახდებდა... ხოჯა<sup>1</sup> დასწყევლის, რამაზანს<sup>2</sup> არ მისცემს, შემაჩქნებს<sup>3</sup> სთქვა აზიზამ და შეხედა ქალიშვილს, რომელიც აქამდის ქანდაკებისსახეობა იდგა, ხოლო ახლა შეინძრა. ტუჩები აატოკა და რაღაც უნდა ეთქვა.

— ყიზმ, დეიგიალამ ბიშეიპვე,<sup>4</sup> — უთხრა დედამ.

ქალმა დასძრა ენა.

— ანა,<sup>5</sup> რას ვიზარალებ, თუ ხოჯა დამწყევლის?

— იაითერ, იაითერ,<sup>6</sup> ყიზმ. — მიადახა დედამ.

— რაებს ამბობ, გოგო!? — უთხრა დედამ ღიმილით.

— იმას ვამბობ, ნანა,<sup>7</sup> რომ სინათლე დაეინახე, ჩემს სულში მზემ გაანათა და კეკა გამეხსნა. აწი რამაზანს არ შევიინახავ, არც ვილოცებ, თავშიშველა ვივლი, როგორც ჩემი ექიმი, მასწავლებელი და ქართველი გოგოები დადიან. ამ ახალუხს ვაეიხდი. — კაბის წინ ვახსნილ კალთაზე ხელი წაივლო, ააფრიალა და ქვემოდან ტოტებმოქარგული წითელი შარვალი გამოუჩნდა. — ამათ ვაეიხდი და მოკლე კაბას ჩავიცვამ. ტასიკოსთან წიგნს ვიკითხავ და ამხსი რძალი ვაეხდები. — მიუთითა სტუმარ ქალზე.

მაგდანას ცისკარი ვაეხსნა, სახე გაუშუქდა და შვებით ამოისუნთქა. „ამაოდ არ ჩაუვლია ჩემ დღევანდელ მოსვლას“. — გაიფიქრა და შეხედა მოხუცს, თუ რას ფიქრობდა ეს ბრძენი ქალი. მოხუცს კეთილი ღიმილი დაჰფენოდა დამკვიანარ სახეზე...

აზიზამ თავში შემოირტყა და კალთა განზე მოიქცია.

— ვაიმე შერცხვენილს! ვაიმე თავმოჭრილს! — გამოითქვიფა მუხლები. — ვაი, ვაი, ვაი...

— გიელამ ტერ...<sup>8</sup> — შეუძახა დედამთილმა და აზიზაც ჩაჩუმდა. მოხუცი ერთხანს გაირინდა, წვრილი თვალები უფრო დაეღია, მიელულა. საგონებელში ჩავარდა, დაავიწყდა ოთახში მყოფნი და ნელა ჩამარცვლა კრიალოსანი.

აზიზას შესწავლილი ჰყავდა დედამთილი. ცამეტი წლის მოიყვანეს, მის ხელში გაიზარდა. მისი სახის თვითეულ მოძრაობას იცნობდა. როდესაც ასე გაირინდებოდა დედამთილი, იცოდა რძალმა, რომ მძიმე საკითხს სწყვეტდა შაშინ უფროსი და მოთმინებით ელოდდა, თუ რას გადასწყვეტდა. საერთოდ კვიან ქალად ითვლებოდა და უბნის ყველა ქალი მასთან მიდიოდა რჩევის საკითხად. ახლაც ჩაჩუმდა აზიზა და ელოდა მის ბრძნულ სიტყვას.

დედამთილმა ასწია თავი... სათითაოდ შეხედა ქალებს, ცოტა ხანს კიდევ სდუმდა და შემდეგ დაარღვია სიჩუმე.

— ჩემო რძალო! ამბავი უნდა გითხრა... ამბავი, რომელიც არავის აღარ ახსოვს სოფელში, რომელსაც მეტყოდა ჩემი ნანა. — ქალები სმენად გადაიქცნენ. ახალგაზრდა ქალი კი ისევ იდგა ბოძთან.

— ჩემი ნანა, — დაიწყო მოხუცმა. — ჩემი დედის დედა, ოსმალეთში გაეყიდნათ ტყვედ, ნამდვილი ქართველი ყოფილიყო, ტყვეობიდან კი დაეხსნა ერთ

<sup>1</sup> მღვდელი. <sup>2</sup> მარბულობა. <sup>3</sup> გოგო, სთქვი რამე. <sup>4</sup> დედა. <sup>5</sup> ნუ სცოდავ. <sup>6</sup> ზებია.

<sup>7</sup> გაჩუმდი, გეყოფა.

ოსმალოს, ბაბუა იქნებოდა ჩემი, ალბათ. ჰო, დაეხსნა და ცოლად აიყვანა... ლამაზი ქალი იყო თურმე და თავის ქვეყანაში კალერიას ეძახდნენ... ოსმალეთში სულთანა დაერქმიათ. ისლამის სარწმუნოება მიეღო და ჩადრი დაეხსო. ქმარს ძლიერ ყვარებოდა და მეტი ცოლი არ აიყვანა. ამასაც ძალიან უყვარდა თურმე: ორი შვილი გასჩენოდა და ჩქარა დაქვრივებულიყო. როგორც ვიხსენებ, ერთი და აქაც იყო აქამდის, უნცროს მაზლზე გაათხოვეს თურმე. ქართველების ადამი არ არის მაზლის ცოლად გაყოლა და ვერ მიეღო ნანას გულს მასეთი საქმე. დედამთილისთვის ეთხოვა, „პირველ ღამეს ნუ დამაძინებთ მაზლთანო“, მეორე ღამით კი მოეტაცნა ბავშვები, ქალ-ვაჟი და გამოქცეულიყო. დღისით ტყეს ეფარებოდა თურმე და ღამით მოდიოდა, მეოთხე ღამეს მოსულიყო საზღვარზე, არტაანის მთიები გადმოველო, უღეში ჩასულიყო, სოფლისთვის გზა აექცია და აქეთ წამოსულიყო. ჩვენს წყალს მოსდგომოდა, ფოცხო ჩაიზე მეთევზეებს ცეცხლი ენთოთ თურმე... სულთანას ზურგზე შესმული შვილები ფეხდაფეხ გამოიყვანა დაკლებულ მდინარეში... ეფიქრნა, რაც მომივა, მომივა, მეტი სიარული აღარ შემიძლიათ და მისულიყო მეთევზეებთან. ეთქვა თავისი გაჭირვება. იმათ გახარებოდათ, პური ექმიათ და დააძინეს თურმე. მეორე დღეს მოიყვანათ აქ და ამ ჩვენ სოფელში დაესახლებინათ. როცა ისევ გაჭირვებულნი იყვნენ ეთქვა ღვდელსა და ქართველებს, ნანას ეპასუხნა: მე ქმარი მყავდა საყვარელი, მისი შვილები ოსმალები არიან და მეც ჩემი ქმრის სჯულს ვერ ვუღალატებო. ისლამზე უნდა ვილოცოო. ისე კი, თქვენი სისხლი და ხორცი ვარო. მხოლოდ ჩადრი მოეხსნა და ხალხს არ ერიდებოდა... მეორედ არ გათხოვილა. ვაჟკაცივით მუშაობდა და ისე დაეზარდა შვილები. ჩემს მახსოვრობაშიაც ჯანიანი დედაკაცი იყო. დიდხანს იცოცხლა. ბევრი რამ მასწავლა. ქართული წიგნი იმისგან ვიცი... ოსტატი იყო წიგნის, ოქრომკედის და ქსოვის, ღამეებს ათენებდა თურმე ხელსაქმეში და ქალებსაც ასწავლიდა. — გაჩუმდა მოხუცი, სული მოითქვა.

მაგდანამ ველარ მოითმინა, გრძნობდა, ამ ამბავს რაღაც, მისთვის გამოსადეგი სიტყვა უნდა მოჰყოლოდა და შეეკითხა:

— მერე, ბატონო?!  
 — ეხ, მერე ვაჟი მოკვდომოდა საწყალს, სულ იგონებდა საცოდავი... ჰო, იმას ვამბობდი, დარჩენილა ჩემი დედა, ალმასა, რომელიც ადრე გაეთხოვებია. მამაჩემი სიძედ შემოიყვანა სახლში. საცოდავ მამას ეს დარბაზი აეშენებინა და ისიც ადრე მომკვდარიყო. ისევ მარტოდ დარჩენილან ქალები და გამზარდეს მე... ცივ ნიავს არ მაკარებდა, მის მუხლთან მზრდიდა და კარგ ქართულსაც მასწავლიდა. ჩემ გათხოვებასაც მოესწრო. ჩემი ქმარიც სახლში მოვიდა სიძედ... მერე გადაიცვალა სულთან... შვილები გამიჩნდა, მეც დაქვრივიდი. შენ მოგიყვანეთ უღედან და ჩემს კალთაში ისწავლე ქართული ენა. სათუთას ვაჩენის დღიდან უბედური ჩემი შვილიც ხომ დაიკარგა. — ჩაიქნია თავი შწუხარებით და ისევ განაგრძო... — ასე მოდის ჩემი გვარი. მამაკაცის ბედი არა გვაქვს... მე ვამბობ, ეს ჩემი ნანას გვარის ყისმათია<sup>1</sup>. ასეთი ვარსკვლავი გვაქვს... მაგდანას ჩემი მოყვრობა ნუ ეხარბება, ალბათ ჩემი სათუთაც მალე დაქვრივდება.

<sup>1</sup> ბედი.

— ნანა! — მწარედ დაიძახა სათუთამ და გაიშვირა ხელი დიდდასაკენ.

— ჯავარ-ხანუმი! შენი ჭირიმე, ნუ იტყვი ასე, რას მერჩი! — ამოუშვა მაგდანამ ვიშ-ვიში.

— მოიცა, ქალო! მოიცა, დავათავო სათქმელი... ეს თუ შენც კარგად იცი, ვერც ჭრისტე შეცვლის და ვერც ალღობი, თუ არა და, კარგად შეწყობა... შენი მამამთილი, — მიუბრუნდა რძალს, — ერთი ფუხარა კაცი იყო. ხომ გითხარი: ეს დარბაზი მამაჩემმა დამიტოვა მეთქი. ამიტომაც არაა აქვს ზედ ჩემ შეილებს დიდი ხმა... ზო, ერთი ფუხარა კაცი იყო, მიწას ეჭიდებოდა, ზამთრობით სხვა და სხვა ქვეყანას დადიოდა, ზეკარ ბაღდადით ქუთაისს გადადიოდა, მიჰქონდა ხახვი, კარტოფილი, ვაშლი, ყიდდა და იქიდან კი მოჰქონდა ფული და ტანსაცმელი. ასე გამოგვქონდა წუთისოფელი... ახლა, ჩემ თორუმს<sup>1</sup> კარგად მოვუაროთ, როგორც სჯობდეს, ისე მოვიქცეთ. მოდი, სათუთ, აქ ჩამოჯექ, — დაუყვავა შეილიშვილს.

სათუთა მივიდა, მორჩილებით დაიხარა დიდდას წინ, თავიდან შალი გადაუვარდა და წაბლისფერი ხუჭუჭა თმები ჩარჩოსავით შემოველო თეთრად გამოკვეთილ სახეს. გრძელი ნაწნავები ახლად შეთქვირებულ მკერდზე დაუცვინდა. დიდდამ მიიზიდა თავისკენ და თმებზე აკოცა.

სათუთამ აიღო ბეზიას ხელი და კოცნით დაუფარა...

ორმა მანდილოსანმა ჩუმად მოიწმინდეს ცრემლები. არ უნდოდათ დაენახებინათ მოხუცისათვის, რომ ასე აუჩვილდათ გული.

— ვიფიქროთ, გოგო მაგდა! არც შენი გაფუჭება მინდა და არც ჩემი. რათ უნდა დაგვიკლექდეს შეილები? ახლა განათლება შემოვიდა, ხალხი ცაში დაფრინანეს, წინათ ამას ვინ იფიქრებდა? ყველა ადამიანები არა ვართ? რამ გავგვო? ჩემი ქალი დიასამიძეა, ვითომ რა ცოდვია, დიასამიძე ნადირაძეს გაჰყვეს ცოლად? ვის რა ესაქმება? ანდა ალლაჰს რა ხელი აქვს აქ?..

სათუთამ ისევ დააყარა კოცნა დიდდას ძარღვიან ხელებს.

— შაითან,<sup>2</sup> — უთხრა სიყვარულით ჯავარმა. — ერთი, შენს გაზრდას, ფეშუმი<sup>3</sup> ჩამოდგი, პური გავტეხოთ მოყვრულად.

სათუთა მტრედით შეფრთხილდა, ფეხზე წამოხტა, წელანდელი ნაღველი გადაეფანტა თვალითაგან.

მაგდანა წასასვლელად განეშხადა, სათუთა წინ გაუჩერდა, უნდა სთხოვოს: დარჩიო, მაგრამ შერცხვა და თავი დახარა.

— მოიცა, გოგო მაგდან! ხომ გითხარი, ერთად ვქამოთ პური მეთქი... ჩვენი მომავალი საქმე დაელოცოთ... ნუ გაშინებთ რამე... თუ აქ არა გამიზნა, უმაღლესამდე ვივლი... ჩემმა ანამ იმ დროს ოსმალებითიდან გამოიტაცა შეილები, შე ასეთ კარგ დროს ერთ თორუმს ვერ ვუბატრონო? აი, მოკვდეს მაშინ ჯავარ-ხანუმი. დაჯე, დაჯე... თავკაცობა გეყავს, საქმეს მოაგვარებენ... დაჯე. — უჩვენა ტახტზე.

მაგდანა იქვე დაჯდა და მომღიმარი სახით დაუწყო ცქერა სარძლოს. აზი-ზამ ბუხარში მდგარ კეცს გადახადა ჩაფერფლილი თუნუქი, გუნდგუნდად გამოძვარი მჭადი მარდად აკრიფა და ხონჩაზე წამოჰყარა.

<sup>1</sup> შეილისშვილი.

<sup>2</sup> ეშმაკი. <sup>3</sup> ხის სუფრა, ტახლა.

— სათუთ! ტაფა მომაწოდე, ერბოც მოიტა, ერთი ნახიკო გავაკეთო. —  
უთხრა ქალს.

სათუთამ შეასრულა დედის დავალება. ღუმელზე ერბოფანი ტაფა აშიშინდა. აზიზამ სინზე დაფშვნილი ცხელი ქადის გული ტაფაზე დაქაჩა და კოვზით მოურია. მქადის გული ბრინჯივით დაიფშვინა. სათუთამ ჰქაჩა და ცხელი დაბალფეხიანი მაგიდა ჩამოდგა ტახტზე ბებიას წინ და ზედ ტილოს სუფრა გადააფარა. ის იყო უნდა დაეწყოთ სუფრის გაშლა, რომ კარების დარახუნება მოისმა. დიდედას შუბლი შეეკრა, არ ესიაზოვნა რომ ხელი შეუშალეს, ვილაცამ საიდუმლოში ჩამოუხუნდა და ხვალ მთელ სოფელს ეცოდინება ახალ ამბად. — გაიფიქრა და ხმამაღლა სთქვა:

— ვინ უნდა იყოს? სათუთ! აჩქაფ, <sup>1</sup> — უთხრა ქალს. სათუთა კარისაკენ გაემართა, ურდულს გამოსწია, გამოაღო და სახლში შემოვიდა ჯავარის შუათანა ვაეი, მირზა ეფენდი-ოღლი.

— ახშამ ხეინოს, ანა! <sup>2</sup> — მიესალმა დედას.

— ჩოხსალოლ, <sup>3</sup> მირზა! — მიუგო დედამ.

მირზამ ყველას მისცა სალამი, მხოლოდ მაგდანას ხანგრძლივად შეხედა. ეშმაკურ თვალთა გუგებში ეჭვ-დამცინავი ნაპერწკალი გაუკრთა და ჩაეღიმა. მაგდანამ მშვენივრად იგრძნო ეს შეხედვა. ტანში აიჭინჭრა, ბეჭებზე თითქოს ეკლები დააყარესო. თავსაფარი შეისწორა და დააპირა წასვლა.

— მაგდან, გოგო! დარჩი, ხომ გთხოვე? — შეეპატიოა ჯავარი.

— ეი ვალღახ <sup>4</sup>, ჯავარ-ხანუმ!.. — მოაძახა უკვე მიმავალმა მაგდანამ.

— სათუთ! კვართ გაუნათე გზა, კარაპანს გააცილე. — უთხრა ბებიაშ შვილიშვილს.

მაგდანამ დატოვა კარი, სათუთა უკან გამოუდგა გაჩაღებული კვართ ხელში... დერეფნებს გასცდნენ, კარაპანზე გადაიყვანა და შეჩერდა, მაგდანამ შეხედა და ქალს და უთხრა:

— სათუთ! ბეძაშენთან ფრთხილობდეთ... ნურას ეტყვი, ის არ ვარგი კაცია.

— ნუ შეგეშინდება, ანა, ჩემი ნანა მას არ ენდობა. — უპასუხა ლმობივრად და ნაზად მიაპყრო მოსიყვარულე თვალები.

მაგდანას გული გაუნათლდა, სათუთამ დედაო დაუძახა, ანაო უთხრა. უნებურად დაიხარა, თავზე ხელი მოხვია, მიიზიდა და შუბლზე აკოცა სარძლოს, უეცრად მოშორდა და სწრაფად წავიდა. სათუთა ცოტახანს დარჩა, სახეში აღმური მოედო, გონება აერია, თითქოს მაგდანა კი არა, მისი ვაეი მოხვეოდეს და მას დაეკოცნოს. თვალები მოხუჭა და გაირინდა. კვარი ჩაიწვა, ქალს თითუბი გაუხურდა, გამოფხიზლდა, ნაწვავი ხელიდან დააგდო და წამოვიდა. ბნელდერეფანში ისე მოდიოდა, როგორც გაჩაღებულში. დარბაზში შევიდა და მორიდებით მიდგა ღუმელთან.

— კრებზე არ იყავ? — შეეკითხა ცოტა სიჩუმის შემდეგ ჯავარი შვილს.

— ვიყავ! — მოკლედ უპასუხა მირზამ.

— აღრე მორჩომილა.

<sup>1</sup> კარი გაუღე. <sup>2</sup> საღამო მშვიდობისა, დედა. <sup>3</sup> ხეირი მოგცეს. <sup>4</sup> მადლობელი ვარ.

— არა, დავტოვე... ყაყანებენ...

— რად დატოვე? — გაიკვირვა დედამ.

მირზამ თავი გაიქნია, თითქოს ბუზს იშორებდა. „რას ამბობენ, რა მაგის საქმეა“, — იფიქრა, მხოლოდ უკმეხად ვერ გაბედა პასუხე.

— რა ვიცი, მე სულაც დავანებე თავი. — სთქვა დედას. — ვატილი ყალიონზე ცერით დაიწყო სათუთას მიწოდებულ ნაკვეთხლის ტყეპნა.

— რას ამბობ, კოლექტივს თავი დაანებე?

— ჰო, თავი დავანებე. — წარმოსთქვა მირზამ. ის დაეინებით სწევდა ჩიბუხს და ბუხარში აპურკვებდა.

— ვაი, შე უბედურო, რად გააკეთე ეს საქმე?

— არ მინდა მათთან.

— რატომ, ბიჭო? მამაშენი იტყოდა, სოფლიდან გამოწირული კაცი მკვდარიაო. რად ჩამოშორდი, ფაშალიც გამოვიდა?

— ჯერ არა, მაგრამ ისიც გამოვა, ალბათ.

ჯავარმა კრიალოსანი დააგდო ხელიდან, დოლბანდი მხარზე გადიგდო, მუხლქვეშ ამოდებულ ბალიშიდან ბურნუთის კოლოფი გამოიღო, ახადა თავი, ფხვნილი ცხვირში შეისუთქა, ორსამჯერ დააცემინა ცხვირს და განაგრძო შეწყვეტილი ლაპარაკი.

— რატომ, ბიჭო? რას გააკეთებ ცალკე, მარტო?

— არაფერს, შენ არ იცი, ანა!.. მაქ ზარმაცებს ხელს აფარვენ, არ ააშკარავენებენ..

ჯავარს გაეცინა.. — ბიჭო, შენზე ზარმაცი კიდევ არის ვინმე?

— ყური დამიგდე, ანა! სხვა ქალაქში საქირაოზე არ წახვიდეთო, სულ აქ იმუშავეთო, მაგათი სახედარი კი არა ვარ... ჭირნახულის მოსვლამდე ვინ შეინახავს ჩემს ჯალაბს?

ჯავარ-ხანუმმა უყურა ერთხანს და უთხრა: — არა, შეილო! შენ ზარმაცი ხარ, ჩვენი ოჯახის გაყოფაც შენი ბრალი იყო, გეგონა შენ ინახავდი ყველას. თავად შენ უქნარს ვინ შევინახავს? მაწანწალა ხასიათი გაქვს... ახლა ის დრო აღარ არის, რაც წინათ. შენ კიდევ ვაჭრობისკენ გიჭირავს თვალი.

მირზამ კოპები შეიკრა, ღონივრად მოსწია ჩიბუხს და ბურთად გამოავდო კვამლი პირიდან.

— ანა! მე აქ საქმისათვის მოვსულვარ, შენი ლანძღვა არ მინდა, დამეხსენ, გაჩერდი.

დედამ უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი, იდაყვით მუხლს დაეყრდნო და სასმენად მოემზადა.

სათუთამ თუნგით წყალი და თასი მოიტანა, მხარზე ხელსაბოცი გადაეგდო, დიდდემ ხელი გადებანა. ქალი ბიძას მიუბრუნდა და შესთავაზა მასაც დაბანა... მირზა ეფენდი-ოღლიმ ნელა გამობერტყა ყალიონი ხელის გულზე, ჩიბუხი ისევე ნელა ჩასდო ქისაში, მერე ჩაქურა შარვლის ნაოჭებში მოსაქებნა ჯიბე და წაიღო შიგ ქისა. ისე დინჯად და აუჩქარებლად აკეთებდა ამას, სრულიად არ ფიქრობდა, გაენთავისუფლებია სათუთა, რომელიც ხელში თუნგით და თასით ელოდებოდა. მირზა მიჩვეული იყო, უსიტყვოდ უნდა სდგომოდნენ თავზე და მომსახურებოდნენ.



— ბუძე,<sup>1</sup> დაიბანე, დამივარდება ხელიდან თასი. — უთხრა საბუთამ მო-  
უთმენლად.

მირზამ შეხედა ძმისშვილს, წარბები ჩრდილად ჩამოაწვა თვალებზე და  
გაკვირვება გამოესახა.

— ყიზმ! შენ ლაპარაკი გისწავლია. — უთხრა და ნაძვლადეკად გაიკრიმა.

დიდელამ შეხედა ქალს, არ გააკვირვებია სათუთას სიტყვა, ბებიამ იცოდა,  
შეესწავლა ეს გოგონა, ან კი როგორ არ სცოდნოდა თავისი გაზრდილი? ხე-  
დავდა, ბადიშემ გადიძრო ის მძიმე ჯაჭვი, რომელიც თვით ჯავარას, მის დედა  
ალმასას, აზიზას და მთელ ქალებს ლოდვიით ედვით კისერზე. ხედავდა ხნიერი  
ქალი, რომ, ახლა მხოლოდ დროებით ეფარა სათუთას ეს რიდე, ამასაც ჩქარა  
გადიხდიდა და მის მშვენიერ თმებს დაინახავდა მზე... ან რატომ უნდა იმალე-  
ბოდეს ასეთი ხუჭუჭა დალაღებო. — ფიქრობდა ბებია, მოსწონდა და აფა-  
სებდა ახალ დროებას, თან სათუთას აღარებდა ყირმიზივით თეთრს და ლამაზს  
თავის ბებიას, იმ ბებიას, რომელიც მოუთხრობდა მას ზღაპრულ ამბებს, იმ ამ-  
ბებს: თუ როგორ იზრდებოდა კალერია დედის კალთაში, ატმის ყვავილივით  
ყვავოდა, ხარობდა, ნებიერი და თავისუფლად დადიოდა ამშვენებულ ეზოში. გა-  
ზაფხულის კვირტივით იშლებოდა და ერთ უბედურ დღეს კი უეცრად დაკარ-  
გა ყოველივე. მწარედ იგონებდა, როგორ მოიტაცეს წყაროდან მომავალი, აუკ-  
რეს პირი, აუხვიეს თვალები, ჩააცვს ვაჟურად და უგზოუკვლოდ ატარეს ტყე-  
ლრეში, ისევე საქართველოს მიწაზე მოიყვანა ბედმა. ხოლო ორად იყო მისი არ-  
სება გაყოფილი, ხორციელად შეილებს ეკუთვნოდა და სული კი თხოულობდა  
შორს დაეწიყებულის აღდგენას. ცხოვრების ჭიდილს მძიმედ დაეტვირთა ქალი.  
ან საით წავიდოდა, როგორ დატოვებდა ახალ ბუდეს? ან მიიღებდა კი თავისი  
სამშობლო? მუსულმანების დედას იწამებდა შვილად მშობელი თვისი? ან თავის  
დედა დახედებოდა ცოცხალი? ასე მიდიოდა ფიქრებში დღეები, დრომ თავისი  
აიღო, სულთანას თმა გაუთეთრდა, კბილებმა უღალატეს, წელში მოიხარა და  
სიბერის დღეს ნანობდა ქალი სიზმარივით გამჭრალ ცხოვრებას და დაკარგულ  
ახალგაზრდობას. ენატრებოდა თავის ქვეყანაში აყვავებული ალუბლების ქვეშ  
სიარული, იქაური წყალი და ჰაერი... ენატრებოდა მოხუცი დედის ლანდი და  
საფლავი, სანამ თავიდაც არ მიეფარა სამარეს. „ჭკვიანი ქალი იყო საწყალი ნანა,  
თავისუფლების სიყვარულს მინერგავდა გულში... მეც-კი მიძევს წილი სათუთას  
ხასიათის გამოჭედვაში, მეც ამას ჩაგჩინებდი, თვალი გაელო ქვეყანაზე და  
ვერცხლის ქამრის მონა არ გამზადარიყო. საგმირო ზღაპრებს მოვუთხრობდი, ქა-  
ლადღიც ვისწავლე. მერე დროც გამოიცვალა, გოგომ გაზეთი წაიკითხა. ქალები  
ცაში დაფრინავენ და ჩვენ აქ ჩადრი გვხურავსო, მეუბნებოდა გულში. რძლები  
და მეზობელი ქალები უწმინდურ საქმეს უწოდებენ წიგნის სწავლას. ბრიყვებ-  
მა არ უწყიან, რომ ის სინათლის დასაწყისია. როგორ გაუკვირდა მირზას სა-  
თუთას გაბედული სიტყვა? დაიცადე, სათუთა დატოვებს ბაგებს, კარანებს და  
გავა სინათლეზე. პირველი ქალი იქნება სოფელში, რომელიც გაარღვევს ამ  
ქსელს და თქვენ ყველას გაგაკვირვებთ.“ — წავიდა ფიქრებში ჯავარ-ხანუმ.  
მირზას ხელი დაებანა და სუფრას მისჯდომოდა.

<sup>1</sup> ბიძა.

აზიზას დაეხადნა ქოშები. ტახტზე ასულიყო, მიმდგარიყო ბნელ კუთხეში, ფეხქვეშ ცხვრის ტყავი გაეშალა. კედლისაკენ პირს მიქცეულხ დაეკინა თავი, ხელები გულზე დაეწყო და ჩუმად ავედრებდა მაჰმადს თავის სულს. ავედრებდა ოჯახის სიმშვიდეს და შესთხოვდა სათუთას ბედნიერებას. ავედრებდა ხელები, დაიჩოქა, დაემო ტახტზე და იყო ერთხანს ასე. ასე წამოტყდა ტახტზე, წელში იხრებოდა და ვილაყას თავს უკრავდა. ღეთაება თავის გულში ჰყავდა აზიზას ჩასვენებული. ამ წუთას განმარტოებულიყო ქალი და ამიტომ ვერ გრძობდა დარბაზში მყოფ მაზლს, ვერც დედამთილს და ვერც სათუთას. მორჩა ლოცვას, ჩამოვიდა ძირს. განზე მოქცეული კათხა შეისწორა თავზე, დობანდი ღამაზად ვადიდვო ბეჭებზე, ხელები გულზე დაიკრიბა და შორიახლო დადგა მოკრძალებით...

— მოდი, ქალო, რას დამდგარხარ შორს. უმცროსი მაზლია, როდის-ღა უნდა ილაპარაკო მასთან, როცა მოკედები? სათუთასაგან მაინც ისწავლე ქვეა, — შეეხიტყვა დედამთილი.

მირზა ეფენდი-ოღლი თავწაბრილი იჯდა სუფრასთან. წულეები დაეხადნა და დედამთილით მოეკეცნა ტახტზე, ხელში ბზის დიდი კოვზი ეჭირა და მადიანად შეექცეოდა ნახიქოს. ჩუმად ივანშემს. დედამ და ქალმა სუფრა ააღაგეს, ნასუფრალი ფრთხილად ვადმოგავა ფარდაგიდან ცოცხით სათუთამ. ჯავარმა პატარა ლეიბი, რომელზედაც იჯდა, გაისწორა, მუხლ ქვეშ ბალიში შეიღო და შეხედა შეილს.

— მე გისმენ, მირზა! რა უნდა ვეთქვა?

მირზამ, რომელიც ისევ ივსებდა დინჯად ყალიონს, ჩაახველა და ოთახი მოათვალიერა. სათუთამ შეატყო, რომ საიდუმლო რაღაც აქვს სათქმელიო, ადგა, ოთახის მეორე ნაწილს მიეფარა და კარები მიიხურა.

— შენ დარჩი, ვიალემ,<sup>1</sup> — უთხრა მირზამ. აზიზა შორი-ახლოს ჩამოჯდა ტახტზე და სმენად ვადაიქცა.

— ანა! — დაიწყო მირზამ და ყალიონი მოსწია, — გოგო ვასათხოვარი ვავიხდა, უნდა ვიფიქროთ მის ყისმათზე თუ არა? — იკითხა და ვადახედა რძალს მზრუნველი კაცის სახით.

აზიზას გულმა ზარივით ჩამორეკა, მუხლებში დენმა დაარტყა და წელში მოჰკვეთა. ჯავარას არ დასტყობია არაფერი, მან დინჯად და აუჩქარებლად ვასცა პასუხი.

— სათუთა სულ ბავშვია, ჯერ თვრამეტისაც არ არის სრული..

— ახლა ვასათხოვია... — მოუჭრა სიტყვა მირზამ.

— არა, ყმაწვილია მეთქი..

— რაღა ყმაწვილია, პი... — ჩაეცინა მირზას და ვანაგრძო, — ანა! შენ ხომ ცამეტისაც არ იყავი, როცა ვავათხოვეს..

— ყრუსა და ბნელ დროს მაშინ ავეანშიაც ნიშნავდენ პატარებს, მაშ ახლაც ისე ვავაკეთოთ? ვინ არის მადლიერი იმ დროის?

მირზამ ყური აავლო დედის სიტყვებს და თავისი ვანაგრძო:

— ჩვენი გოგო სწორედ ვასათხოვია, თუ დავიგვიანებთ, დავეიბერდება.

<sup>1</sup> რძალო.

— ეს მე უფრო მეკითხება... შენ მაინც რა გინდა, ვინ გამოგეზავნა? — შეეკითხა და პირდაპირ მიაჩერდა.

— ზინგინი<sup>1</sup> ოჯახიშვილმა. — უბასუხა მირზამ და გვერდი აუხრია ვინაობის დასახელებას.

— ვინ არის? სახელი და გვარი არა აქვს?

— ხალილ აღია ოღლის ბიჭი. დურსუნ ლამაზი ვაჟია, კარგი მომგებია. დიდხანია თვალი უჭირავს ჩვენს გოგოზე და არც არავეის დაანებებს, იცოდე... კარგ საფასურსაც იძლევა... რატომ არ უნდა მივეცეთ?

აზიზამ უღონოდ შეჰხედა დედამთილს. ჯავარს ოდნავ ჩაელიმა რძლის სისუსტეზე, ისევ მიიღო მტკიცე გამოუმტყველება და ნელა სთქვა: — მე ჯერ სათუთას არ გავათხოვებ. გვერდით უნდა მყავდეს, რა მეჩქარება?

— სიტყვა მივეცეთ, ბე მიიღე და დაიცდის.

— გესმის, მირზა? მე იმ ბიჭს ქალს არ მივეცემ. რა ჩემი საფეროა?

— რატომ? — შეიძახა შველმა და ამ შეძახილში სისასტიკე გამოკრთოდა.

— იმიტომ, რომ ის უსწავლელია. იმიტომ, რომ როგორც გამიგია, ისიც დაწინწალებს, სავაჭროებს დაათრევს.

მირზას თანდათან შეუწითლდა სახე... და შეაპარა სიტყვა:

— ანა! ჩემი მამაც ხომ ეპკობდა და ის შენი ქმარი არ იყო?

დედა შეიღს მიაჩერდა.

— ვაი, შე საცოდავო თუ მეტი არ იცი. ბიჭო, რით ვერ გაიგე, რომ ის დრო სხვა იყო, ეს დრო სხვაა.. ერთიც კიდე, მე რომ ქალს გავათხოვებ, სიძე აქვთ უნდა მოვიდეს, უფაქკაცო სახლია. იმას კი მამა არ გაუშვებს...

მირზა ეფენდი-ოღლის გულზე ეფონა. ცოტა მიზეზი ყოფილა, ამას კიდევ შემოეველებაო, გაიფიქრა და პასუხი არ დააყოვნა:

— გაუშვებს, ანა! კიდევაც გაეხარდება. იმას ხომ ბევრი ვაჟები ჰყავს?

— სხვა რამეზე სთქვი, მირზა, მე იმას ქალს არ მივსცემ, მორჩა და გათავდა!

— რატომ არ მისცემ.. ცუდია? ფუხარა კაცია? ქრთამს ვერ მოგვეცემს? ჯეელი არ არის? რა გინდა მეტი?

— მე ქრთამებს არ მივსდევ, არც ვყიდე ქალს.. — უთხრა დედამ უკმეხად.

მირზა ეფენდი შეეყუყმანდა და ერთბაშად მიუგო: — ჰო, შენ წასწავლი კაცი გდომია, ვინ გყავს მაინც ასეთი, ვიცნობ მე? — მოხუცმა ქალმა მარჯვენა წარბი შალდა ააკაპიწა, მარცხენა თვალი ოდნავ მოხუჭა და მიაჩერდა. უნდოდა გამოეცნო რა ედგა გულში მირზას. დიდხანს არ მოუნდა ამის ძიებას, კარგად იცნობდა შეიღის მეჭრთამე ხასიათს.

— მირზა ეფენდი-ოღლი, — გაუგრძელა სახელწოდება, როგორც უცხოს. — რამდენს დაგპირდა ის ბიჭი სამაჟანკლოს, თუ ღირს მაინც აღება? — საშინელი დაცინვა ისმოდა ამ ორ სიტყვაში. მირზა აიღეწა, წამოჭარბლდა, წამოდგა, რალაც უნდა ეთქვა, ყოყმანობდა, მერე თავს დასძლია და დასძინა:

— ანა! ერთი გუმანი მაქვს და თუ ის გამართლდა, კარგი საქმე არ იქნება, იცოდე.

<sup>1</sup> მლიდარი.

— რა გუშანზე მელაპარაკები, მირზა ოღლი?

— ის ქერივი მაგდანა რას დაძვრება აქ თავის გოგოთი?

ჯავარს ქიშმიშვით დამკვნიარი სახე შეუფერადდა.

— ალლა! — აღაპურო ხელი მაღლა, — რას მოვესწარე ჩემს მტერთი მიშ-  
ლის ჩემთან მეზობელი მოვიდეს.

— არა, ანა! გეკითხები, რას დაძვრება? — გაიმეორა მირზამ.

— შენთავად რას უბედობ, მაგდანა ჩემი მეზობელი იყო, ბევრი ჭირი ერთად გამოგვივლია, მისი ობლები დამიშალავს გაჭირვებულ ეამს.. ახლა, მაღლა რომ გადასახლდა, ამიტომ აღარ უნდა მოვიდეს?

— ხახახა.. ხახახა! — გაღიხარხარა მირზამ.

— რას ხარხარობ, ბრიყვო, დამკინი?

— შენს უსუსურ ტყუილს დაეცინი, ანა! მეზობელი იყო და ამიტომ აქვე გოგოს მის ბლარტ ყაზირალს? ჰო, შენ ნასწაველი გდომებია და ნასწაველიც ის არის.

— ვინ ვითხრა ეს? — ჰკითხა დედამ სასტიკის ხმით.

— მირზას თვალები აქვს ხედეად და ყურები სმენად.

— მაინც?

— მე ვიცი..

— შენ იცი?

— ჰო, ვიცი..

— მაშ ერთს კიდე გიტყვი და ესეც იცოდე.. ბევრს მამაშენსაც არ ვათქმევინებდი, ის ჩემი დედის ქონებაზე იყო მოსული, ობოლი კაცი.. მირზა.. ჩემი სახლის პატრონი მე ვარ.. ხომ გაიგე? — თვითეულ სიტყვას გარკვეულად და სვენებსვენებით ამბობდა.

— გავიგე, ანა, გავიგე. — უთხრა მირზამ, შუადარბაზში გაჩერდა, ფეხები აქეთიქით გააბჯინა, ხან დედას შესცქეროდა და ხან რძალს. მისმა გონებამ სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო და დედის დაშინების ხერხს მიმართა, მხოლოდ ჯერ არ დაუწყო მუქარა.

— კიდე რას იტყვი? — შეეკითხა დედა.

— იმას ვიტყვი, ანა, ხეალ მთელ სოფელს ეცოდინება, რომ ჯავარამ რჯულს უღალატა, ისლამს ვადუღდა და ქრისტიანს ქალს აძლევს... — დაათოვა დიდის პათოსით, ეგონა, მები დაატება ჯავარას ამ სიტყვებით, მაგრამ ჯავარა ოდნავ არ შემკრთალა.

— მერე რა მომხდარა? ბამბა გამოიღე ყურებიდან, შე საცოდავო, ის ქრისტიანი კი არა, კომკავშირელია, ქვეყანა განათლდა, მაგრამ შენ კი არაფერი არ გეშველა. დედაკაცი ვარ, სახლში მჯდომი და მე უფრო მესმის ახალი ცხოვრება, შენ ქალაქებში დადიხარ, მიღეთის ხალხს ხედები და მაინც ყრუ ხარ.

მირზა ოღლის დამკინივად მოეღრიცა სახე.

— ყოჩალ, ანა! არა, შენ ვინ ვითხრა და შევასმინა ეს, სასიძომ?

— ჩემმა კვლამ, თვალის გახელამ და ცხოვრების დაკვირვებამ. შენ გახეთში არ იყურები და მე კი სულ მიკითხავს სათუთა...

— ოჰო... განათლებული ქალი გყოლია, მერე და მითხარ, ვის აძლევ იმ ბლარტს?

ჯავარამ მდუმარედ უყურა შეილს ერთხანს და ნელა მიუგო:

— დიად, მაგდანას შვილს ვაძლევ.

მირზამ შუბლი შეიკმუხნა, ტუჩები ჩაიჭემა, მაინც მოერიო. გულსწყო-

მას და განაგრძო.

— იცი, ანა! შენ განათლებულბარ ახალ ყაიდაზე... მაგრამ გულსწყო-  
ან მორწმუნე მუსულმანები, ნახავ, თუ მოგიწონებენ ამას... იცოდე, მე ყველას  
შევატყობინებ.

— ავაზაკო — შეუყვირა დედამ, — ავაზაკო. — განიმეორა. — ისიც შეატყობინე ხალხს, რომ ჯავარა იმერელი ქალის შვილიშვილია, ისიც უთხარი, რომ ჯავარას ბებია მოიტაცეს შენისთანა მძარცველებმა და ტყვედ გაჰყიდეს ოსმალეთში. კიდევ არიან დარჩენილი კაცები, ვისაც ახსოვთ ეს ამბავი... მაგრამ რა გულს ვიშფოთებ, შენ არც ერთი მაჰმადიანი არ გამოგყვება... მთელი სოფელი ჩემს მხარეზე იქნება... რეგვენო, შენ ბეგების დრო გგონია, ხელს რომ უწყობდნენ ტყვეების ყიდვას. იცოდე, ხვალვე შევატყობინებ ასლან თემურ-ოღლის ყველაფერს, უპატრონო გგონია ქვეყანა? — დაათვა სათქმელი, უნდოდა წამოდგომა და ვერ ახერხებდა, თითქოს დაკარგულიყო ტახტზე მოხუცი.

მირზა ისევ ისე იდგა და უტეხად ეცინებოდა. გამშრალი აზიზა ტახტს აკეროდა, ცახცახებდა და არ იცოდა რით დასრულდებოდა დავა.

— კიდევ რა შევატყობინო, ანა? — ისე შეეკითხა მირზა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო... მასხარად იგდებდა დედას.

— კიდევ ის შეატყობინე, რომ, შენ ზარმაცი... მექრთამე და ხა.. ხა.. ხალხის მტერი ხარ... — ძლივს გაათავა და ჩაიკეცა, თითქოს წელში გაიღუნაო, თავი კალთაზე დაეხარა.

— ანა, ანა! — მივარდა რძალი, — სათუთ! სადა ხარ, მიშველე! — დაიყვირა და დოქით წყალი მიარბენინა ჯავართან.

მირზა ცივად გაბრუნდა, აქლემივით მალალი ფეხები განივრად ვადადგა და კარი ისე გაიხეთქა, რომ ის ჩამოვარდა და ცალ ყურზე დაეკიდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ა.კ. ბაყრაილია

## პროზაიკოსის გზა

1.

ქართველი ინტელიგენტი მსოფლიო ომის წინა წლებში მოხვდა უცხოეთში. ქაბუკობის წლები მან გაატარა სამშობლოს გარეთ, უმალლესი განათლება მიიღო ევროპის უნივერსიტეტებში, ეცნობოდა საზღვარგარეთელ კულტურას, ითვისებდა იმიერ ზნეჩვეულებებს. დიდხანს დაიარებოდა ის უცხოეთის ცის ქვეშ, ათვალეირებდა იტალიური ხელოვნების ძეგლებს, სწავლობდა გერმანული კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენლებს, ხშირი სტუმარი იყო პარიზის სალონებისა; პირადად გამოლაპარაკებია გამოჩენილ მწერლებს, პოეტებსა და მხატვრებს; უხეტიალნია პარკებში მეძავებთან, უსაუბრნია არისტოკრატიულ ოჯახებში ანტიურ ფილოსოფიაზე, ინდოეთისა და ჩინეთის მისტიკაზე; გულმოდგინედ უკითხავს ნიკშე; უთვალეირებია მუზეუმები, გატაცებული ყოფილა ნუმისმატიკური ნივთებით...

საჭირო იყო თუ არა, — მას შეუთვისებია ევროპული კულტურის ცუდიცა და კარგიც. მისი თავი გამოფენაა მოდური შეხედულებების; იგი უკიდურესი ინდივიდუალისტია, თვითანალიზით გართული დენდი და რეზონერი.

მაგრამ ამ ქართველ აზნაურ-ინტელიგენტს სამშობლოს საზღვრებს იქეთ გადაყვა თავისი წოდების ჩვეულებანი, ეს მას გარეგნობაშიაც ეტყობოდა. პარიზის სალონებში ის ჩოხითა და სატყვარით დადის, ოცნებობს დაიბრუნოს დაკარგული პირველყოფილობა: ნადირობდეს საქართველოს მთებში, დოღში მონაწილეობა მიიღოს, უსმენდეს ქართულ ჩონგურს; ის მელანქოლით შეპყრობილი ჰაპოზონდრიკია; ევროპაში მიღებულმა მწიგნობრულმა კულტურამ ვერ ჩაჰკლა მასში ბიოლოგიური ატავიზმი, უცხოეთის ფუფუნებამ ვერ გადააჩვია ქართულ თავად-აზნაურულ ტრადიციებს. მიუხედავად ინტელექტუალური ერთობლიობისა ბურჟუაზიულ ევროპასთან, თავისი მიდრეკილებებით, ჩაცმულობით, მთელი თავისი გზააბნეული ცხოვრებით ეს კაცი უცხოეთში მანც უცხოელია.

როგორც ოჯახიდან გაპარული შვილი უბრუნდება ხოლმე თავის კერას დიდის ყიალის შემდეგ, ისე დაუბრუნდა ეს ინტელიგენტი თავის სამშობლოს. მაგრამ დაუბრუნდა არა იმ ნაციონალური ტანსაცმელით, რომელიც ასეთს უონტრასტს ჰქმნიდა ბერლინისა და პარიზის არისტოკრატიულ სალონებში, არამედ ევროპული კოსტუმით, ხელთათმანებითა და სტეკით. მისი კოლორიტული ბუნება პირველ ხანებში თითქოს ჰპოულობს გამართლებას: ჯირიბობს, ნადირობს სვანეთის მთებში, ეტრფის ლამაზ ქართველ ქალებს. მაგრამ მის ირ-

გვლივ ყველაფერი შეცვლილა. აზნაურული ფუქსავეტობისა და უსაყურობის დრო წასულა, ყველას ფხიზელი გონება და რაციონალიზმი ამოძრავებდა; მისტიკით დამძიმებული ინტელექტისათვის აქ გასავალი არ არის. ის მარტოობას გრძნობს თავის ქვეყანაშიაც, მას ცხოვრების შუაგულ გზაზე მყარად დასდგება.

ამიერიდან ევროპულ კულტურას ზიარებული ეს ინტელექტი ემუქრება გამოსავალს, მაგრამ ძველი ყოფა-ცხოვრების ფორმების რღვევასთან ერთად ისიც გრძნობს თავისი აღსასრულის მოახლოვებას; იწყება ჭიდილი გმირის შინაგან ბიოგრაფიასა და სინამდვილეს შორის. იმარჯვებს ეს უქანასკნელი.

2.

ყოველ თვალსაჩინო მწერალს წარსულში ჰყავდა ერთი ცენტრალური პერსონაჟი მაინც.

როცა ეს პერსონაჟი ავტორს დანახული ჰყავს ზემოდან, ჩვენ ვღებულობთ სატირულ ნაწარმოებს, რომელშიაც გმირი ირონიისა და სარკაზმის საგნად იქცევა; მწერალი აშიშვლებს პიროვნებას, დასცინის მას.

არიან პერსონაჟები, დანახულნი ქვემოდან. ასეთი გმირებით საესეა რომანტიული პროზა, მრავალი ტრადიციული ისტორიული რომანი და მეფეთა კარის მატიანეები. ასეთსავე გმირებს ვხვდავთ ჩვენ ძველს ზოტბებში.

შეიძლება მრავალი პროზაიკოსის დასახელება, რომლებიც ამა-თუ-იმ რუმბრიკაში მოხვედებიან. პირველი რუმბრიკისათვის მაგალითებს უმთავრესად სატირიკოსები წარმოადგენენ — ინგლისელი სვიფტი, ფრანგები — ლაბრუფერი, სკარონი და მრავალი სხვა. მეორე რუმბრიკის მწერლების დასახელება კი არც არის საჭირო, ისინი მრავლად მოიპოვებიან ყოველი ერის მწერლობაში.

არის მესამე რუმბრიკაც და ეს შეეხება უმთავრესად რეალისტებს, შემდეგ — ლირიული და პოეტური პროზის ავტორებს. ისინი ახასიათებენ და აჩვენებენ თავიანთ გმირებს უშუალოდ, ყველა მათი ღირსებითა და ნაკლოვანებით. მათ მთლიანად ან ნაწილობრივ უყვართ კიდევაც ეს გმირები, მაგრამ სინამდვილის გრძნობა არ ღალატობთ და თუ ხშირად ჰლუბავენ თავიანთ პერსონაჟებს, იმიტომ, რომ ესმით მათი მდგომარეობის მთელი ანაქრონიზმი ახალს გარემოში. მაგალითისათვის კმარა თუნდაც ლევიტიმისტ ბალზაკის დასახელება.

ამ გზით უვლია ევროპული და რუსული პროზის ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელს.

3.

კონსტანტინე გამსახურდიას ჰყავდა თავისი ცენტრალური გმირი, პერსონაჟი. ჩვენ მისი მოკლე ბიოგრაფია პირველსავე აბზაცებში მოვუთხრეთ მკითხველს.

რელიეფურად ჯერ კიდევ „დიონისოს ლიმბლში“ გამოჩნდა ეს გმირი, ზოლო ავტორის მიერ უფრო ფართო საღებავებით დაბატული გზა მან „მთვარის მოტაცებაში“ დაასრულა. მწერალმა გამოიტირა ის, როგორც ზედმეტად ადამიანი, მაგრამ ბევრი სიყვარულიც უძღვნა.

რასაკვირველია, არავინ ახვევს კონსტანტინე გამსახურდიას საესეებით მისი მთავარი პერსონაჟის იდეებს ან ბიოგრაფიას. არცერთი გმირი მატერიალური ნაწარმოებისა არ ყოფილა ავტორის სრული პორტრეტი, ნაწარმოებს აქვს საკუთარი ცხოვრება და მის პერსონაჟებს — საკუთარი ბიოგრაფიები, ამ განმარტებული ქეშმარიტების მტკიცება ზედმეტი იქნებოდა.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც კლასიკური რეალიზმის გზებს არ მიჰყვება, უფრო ემოციონალისტი და ლირიკოსია პროზაში. ძალზე დამახასიათებელია ის გარემოება, რომ უმრავლესობა მისი ნოველებისა და რომანი „დიონისოს ღიმილი“ დაწერილია პირველი პირით, ავტორი მიმართავს *ich-erzählung*-ის ხერხს. გულუბრყვილო მკითხველს შეიძლება კიდევაც დარჩა შთაბეჭდილება ერთგვარი პერსონაჟიკაციისა; ეს არ არის მართალი; მაგრამ არც ის არის მართალი, თითქმის ავტორის თანაგრძნობა აქ სავსებით გამორიცხული იყოს. მე შედეგობაში მაქვს არა ბიოგრაფიული მომენტი, არამედ ემოციონალური მოსვლა მწერლისა თავის გმირთან.

„მთავრის მოტაცებაში“, რომელიც საერთოდ პირველი პირით არ არის მოთხრობილი, მთავარი პერსონაჟი, თარაშ ემხვარი, ზშირად წარმოსთქვამს ხოლმე ვრცელ ტირადებს ისტორიის, ზელოვნებისა, სიყვარულისა და ეთიკის საკითხებზე. მის ლირიულ აღსარებებში ბევრია ჩივილი თავისთავზე, მარტობაზე, იმ აბნეულ გზებზე, რომლისკენაც წარუშართავს ბედს მისი ცხოვრება. რომანის საერთო ტენდენციის თანახმად ის ინდივიდუალისტი-არისტოკრატია, რომელსაც ევროპული განათლება მიუღია, მაგრამ ისეთი, რომელსაც საქართველოში მომხმარებელი არ აღმოაჩნდა. ემხვარს შეგნებული აქვს თავისი პიროვნული უხერხელობა ახალ ადამიანებს შორის, თვითონაც ცდილობს, — თუმცა ამაოდ, — ბუნებრივობის შექენას, გონების დაცლას უსარგებლო იდეებისაგან. ის მტრულად არის განწყობილი გარემოსადმი, ახალი საზოგადოებრივი სისტემისადმი. მწერალს შეგნებულად მიჰყავს კატასტროფისაკენ თავისი გმირი, როგორც სოციალური რუდიმენტი და ალაპარაკებს ისეთს შეხედულებებს, რომლებიც ამ პერსონაჟის უარყოფით პოლიტიკურ სახეს ამჟღავნებენ, რასაკვირველია, ავტორი ებრძვის ამ იდეებს იმით, რომ ამზადებს ემხვარს ფატალური მომენტისათვის: ასეთი რწმენის ადამიანი წინასწარ დასაღუპავად არის განწირული.

მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიამ ცალმხრივად, სატირულად არ დახატა იგი, ავტორი ლირიულად არის განწყობილი მისდამი. შეიძლება მწერალს უყვარს კიდევაც ეს გზააღციენილი ადამიანი. მთავარი გმირის სულიერ ტკივილებში, რაგინდ პატარა და ქონდრის კაცი არ იყოს იგი საზოგადოებრივად, უკანასკნელად არის მხილებული აზნაური-ინტელიგენტი; თავისი ცენტრალური პერსონაჟის ტკივილებს ემოციურად შინც იზიარებს ავტორი.

ეს არის კონსტ. გამსახურდიას, როგორც მწერლისა და მხატვრის, მეთოდი: ის კი არ ეთანხმება, არამედ თანაუგრძნობს სულთმობრძალებს. ასე თანაუგრძნობს იგი ბნელსა და ჩამორჩენილს მნათეს, რომელიც ზარების რეკვის დროს ექსტაზში დაიღუპა („ზარები ვრიგალში“), ასე თანაუგრძნობს კონსტანტინე სავარსამიძეს, ავადმყოფსა და ამორალურ აზნაურს, რომლის სული ჯოჯოხეთს ჩასასვლელად არის განმზადებული („დიონისოს ღიმილი“), ბნელ საქმეებში გართულ მეკურტნე იოსებს („ღიდი იოსები“) და სხვ.



თუ გამოვალთ ბრალდებულის როლში, შეიძლება კონსტ. გამსახურდიას ბრალი დავსდოთ ლირიზმში ასეთი პერსონაჟების ხატვის დროს მაგრამ, მეორეს მხრით, რომ დაამტკიცოს ამ ადამიანების ზედმეტობა, მან უნდა გაზარდოს მათი ნაკლი, აჩვენოს პერსონაჟის მტრული ფიზიონომიის ტიპიკურებულ იქნას ფინალი მისი ცხოვრებისა. ავტორი აქ ლირიზმში მოტივირებულ იქნას ფინალი მისი ცხოვრებისა. ავტორი აქ ლირიზმში მოტივირებულ იქნას ფინალი მისი ცხოვრებისა. ავტორი აქ ლირიზმში მოტივირებულ იქნას ფინალი მისი ცხოვრებისა.

მაგრამ, ვიმეორებთ, თუ რომელიმე მისი პერსონაჟის კონკრეტულ ნიღაბში შეუძლებელია ავტორთან მიახლოება, სამაგიეროდ დამაფიქრებელია თვითონ ფაქტი მწერლის თანაგრძნობისა უმთავრესი გმირისადმი. დავუშვათ, რომ კონსტანტინე სავარსამიძე თვითონ მოუთხრობს და მარტო ამ მოჩვენებითი ნიშნის მიხედვით არ შეიძლება ვიპოვოთ მსგავსება ავტორსა და გმირს შორის. მაგრამ „მთვარის მოტაცებაში“ არ არის ნახშირი ich-erzählung-ის ხერხი და მწერალი მაინც ვერ ანსხვავებს ზოგჯერ თავის ხმას ემხვარის მეტყველებისაგან. მხედველობიდან გავუშვათ თუნდაც ის ფაქტი, რომ თარაშის ვრცელს დიალოგებში რომანის დანარჩენ პერსონაჟებთან (მაგ. თამართან) და კერძო დღიურებში გამოყენებულია ბევრი ნიშნობლივი თავისებურება ავტორის პირველი პირით დაწერილი ნოველებისა და „დიონისოს ლიმილის“ ლირიული ადგილებისა, მაგრამ როგორ ავხსნათ სიოცარი უფერულობა იმ ადგილებისა „მთვარის მოტაცებაში“, სადაც კონსტ. გამსახურდია თვითონ ესაუბრება ემხვარს? აქ საყურადღებოა არა მარტო ის, რომ ავტორი მკაცრად არ ედავება მას, არამედ ისიც, რომ თავის მხრით მწერალს თითქოს არაფერი აქვს სათქმელი მთავარი გმირისათვის. რომანის ამ ადგილას იკარგება ემხვარის გარეგნული სახეც კი. დიალოგმა ვერ დაჰბადა კონტრასტი ავტორის ხმასა და გმირის მეტყველებას შორის, — აი რა არის საყურადღებო. მოსაუბრეთა ინტონაცია ერთფეროვანია „მთვარის მოტაცების“ ამ ნაწილში. სწორედ ამისათვის მოსთხოვეს მწერალს პასუხი პერსონაჟის ზოგიერთი იდეების გამო.

## 4.

მართალია, კონსტ. გამსახურდია თანაუგრძნობდა თავის გმირს, მაგრამ ის მაინც მალა იდგა მასზე. ამიტომ შესძლო მწერალმა კარგად გადმოეცა ყველაფერი ის, რაც ასე ბნელი, ჩამორჩენილი და ძველი ქვეყნის ნაშთებს წარმოადგენდა ჩვენში. უაღრესად პროგრესიულს მომენტს „მთვარის მოტაცებაში“ წარმოადგენს ისიც, რომ თარაშ ემხვარის ირგვლივ ავტორი თავს უყრის ძველი ქვეყნის წარმომადგენლებს. თავის მთავარ პერსონაჟს ის უშუალოდ და პირდაპირ არ სდებს ბრალს (მხედველობაში თუ არ მივიღებთ ავტორის ზოგიერთს რემარკებს), სამაგიეროდ მწერალს ესმის ამ გმირის ადგილი ადამიანთა შორის: ფარისეველმა და ორპირმა შარდინ ალშიბაიამ იცის თუ ვისთან აგინოს ბოლშევიკები, დეგენერატი ლუკაია მისი თავყვანისმცემელია, პროვინციელი ფრაზიორი კაროლინა მასთან სარეცელს იზიარებს, ნათავადარი აფაქიძე მას მგლობრობს; ყველაფერი, რაც არსებობისათვის ხავეს ეკიდება, ისწრაფვის მისკენ, ნახულობს მასთან საერთო ენას, თუნდაც ეს მომენტი მოწმობს იმ მკაცრ სასჯელს, რომ-

მელიც მწერალმა გამოუტანა თარაშ ემხვარს. სინამდვილის გრძობამ უკარნახა კონსტ. გამსახურდიას ემხვარის შეყვანა მისთვის შესაფერ ანსამბლში.

საინტერესოა აგრეთვე მეორე ხაზიც.

მართალია, თარაშ ემხვარი საზოგადოებრივად მიუღებელი მკაცრებებია, მაგრამ იგი უფრო იდეოლოგიური ფიგურაა, ვიდრე მებრძოლი მარქსისტი. პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა მას არ შეუძლია. ინდივიდუალისტური ბუნება სპობს მასში ბრძოლის უნარს, ბოლოს და ბოლოს მას არც აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. როცა თავის აპოლიტიკურობაზე ლაპარაკობს, ეს არ არის შემთხვევითი ამბავი. ორთოდოქსალური პარტიული პროგრამა ამ დენდს არ შეიძლება ჰქონდეს და ასეთი მას არც გააჩნია. იგი მხოლოდ კალამოტიდან ამოვარდნილი კაცია. მართალია, მისი ინდიფერენტისმი პოლიტიკური ბრძოლისადმი თავისთავად პოლიტიკაა, მაგრამ ფრონტის კაცი იგი მაინც არ არის. საკუთარი თავის ვადარჩენა, ადგილის პოვნა ახალს გარემოში, — აი მისი მიზანი. თავდაპირველად ეს მორაინდო არისტოკრატი გართობას ავადმყოფურ ჰედონიზმში ეძებს (საოცრად ათავსებს იგი თამარისადმი ვითომცდა ღრმა სიყვარულს ეროტიულ ლტოლვასთან კაროლინასადმი). ბოლოს სვანეთის კლდეებს აფარებს თავს.

მაგრამ ასე არ იქცევიან გვანჯ აფაქიძე და სხვები. ზოგადი პრობლემებისა და თვითნაილიზისათვის მათ არ სცალიათ. ისინი იბრძვიან არსებობისათვის — შარდინ აღშიბაია ორაზროვნებითა და ორიპრობით, გვანჯ აფაქიძე — ავანტურისტული ოინებით, ტარბები — ხანჯლებით, ლუკაია — ეპილეპტიკური ექსტაზითა და ბოდვებით. მაგრამ დასასრული ერთია, როგორც ამათთვის, ისე მათი იდეოლოგიური სარდლისათვის! რავინდ დიდი წარმოდგენის არ იყოს ემხვარი თავისთავზე, თავის ინდივიდუალისტურ ბუნებაზე, მისი გზა მიემართება გონებაშეზღუდულთა და გამბოროტებულთა გვერდით: ეს გზა ფატალურია როგორც მეოცნებისა და იდეალისტისათვის, ისე ფრონტის პატარა ადამიანებისათვის.

კონსტ. გამსახურდიამ სავარსამიძის ავტობიოგრაფიის თხრობა შესწყვიტა იმ ადგილას, სადაც სამშობლოში დაბრუნებული სწანური თავის მიუსაფრობასა და ცხოვრების შუაგულ გზაზე შემოღამებას უჩივოდა (რომანი გამოვიდა 1925 წელს). ეს გზა მწერალმა თარაშ ემხვარს დაასრულებინა ახალს გარემოში („მთვარის მოტაცება“ გამოქვეყნდა 1936 წ.). მწერალს შეგნებული ჰქონდა მათი ცხოვრების შეუსაბამობა საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში. კონსტ. გამსახურდიამ ლირიული რეკვიემი წაუკითხა მათ. ასეთისე — ჩვენმა ბელეტრისტმა მოახერხა ამაღლებულიყო იმ წოდებაზე, საიდანაც თვითონ გამოვიდა.

## 5.

ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ მწერლის მთავარ გმირებს. როგორც სავარსამიძის, ისე ემხვარის ბიოგრაფიაში არაფერია ისეთი, რომელიც პარტიისცემის ღირსი იყოს. მათი მისწრაფებანი — ავადმყოფურია, იდეალები — უღარესად ინდივიდუალისტური, მსჯელობანი — მეტწილად ჭაბუკური. თვითონ კონსტ. გამსახურდია ეუბნება ემხვარს: „ეჰ, ჩემო კარგო, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოთ და იტანჯოთ, თქვენი ხნის რომ ვიყავი, მეც თქვენსავით 7. „მნათობი“, № 7

ემსჯელობდი“ (ტომი 3). მართლაც — ემხვარის მსჯელობა სოფლის წარმავლობაზე, ლაბარაკი უბრალო საგნებზე „მარადისობის თვალსაზრისით“ მეტწილად ახალგაზრდულია; ის ცდილობს თავისი ერუდიციის ჩვენებას, იშველიებს ისტორიულ ანალოგიებს და სხვ.

კონსტ. გამსახურდიას მშვენივრად ესმის ამ ახალგაზრდა ინტელექტუალის ზერელე ფილოსოფიის ფასი. მაგრამ თარაშ ემხვარი უსათუოდ არის რეინის წყალნასკამი ქართველი აზნაურის ისტორიული სახე და თუ მისი მსოფლმხედველობა ავტორზედაც ახალგაზრდული ეკლექტიზმის შთაბეჭდილებას სტოვეებს, სამაგიეროდ ადამიანურს ტკივილებში მას მაინც თანაუგრძნობს. ამიტომაც — წმინდა სტილის თვალსაზრისით — რომანის საუკეთესო ადგილებში არა მისი დეკლამატორი საუბრები, არამედ ლირიული აღსარებანი. შეუძლებელია უარყოფა კონსტ. გამსახურდიას პათოსის სიძლიერისა პერსონაჟის სულიერი კრიზისების გამოსახვის დროს: მწერლის ფრაზა იტვირთება ღრმა ემოციით, მთელი გვერდები ტრადიციული სიმბაფრით გადმოსცემენ უფსკრულის წინაშე მდგომის დაღადისს...

ფოლკნერი, ჰექსლი, ჯოისი, მარსელ პრუსტი და სხვა წარმომადგენლები ევროპული დეკადენტური ხელოვნებისა ხშირად დიდის სიყვარულით აღწერენ გადაჭარბებული ეროტიზმით შეპყრობილთ, საზოგადოებრივად ყოვლად უფარვის ადამიანებს. ამ მწერლებზე დიდი გავლენა იქონია ზიგმუნდ ფროიდის ფსიქო-ანალიტიკურმა სკოლამ. სამწუხაროდ, არც კონსტ. გამსახურდია ასცდა ამ გზას, მიუხედავად მათგან განსხვავებისა სტილისა და მანერის მხრივ. ჩვენს საუკეთესო ბელეტრისტს არ ჰქონია ის თავშეკავება „დემონის კარნახის“ გადმოცემისას — თუ ვინმართ ნიციშეს ძველ გამოთქმას, — რომლითაც ხასიათდებიან დიდი რეალისტები ევროპული, რუსული და ქართული პროზისა.

ბოლოს — მწერლის რომანებს ეს ენებს მხატვრულობის თვალსაზრისითაც. კონსტ. გამსახურდიას, რომელიც ეგზომ ფაქიზად ეპყრობა ქართულს სიტყვასა და ფრაზას, რომლის ორნამენტურობაში იშვიათად გვხვდება გაცვეთილი სახე და შედარება, — ზოგჯერ აქარბებს სწორედ ფროიდული ადგილების აღწერაში. დაუსრულებელი ეროტიული სცენები „დიონისოს ღიმილში“, არაერთგზისი აღწერა ემხვარის მიღწევებისა ამ მიმართულებით. — შეიძლება საინტერესოც იყოს ფართო პუბლიკისათვის, მაგრამ მხატვრულ ეფექტს ისინი ვერ აღწევენ.

შეიძლება კონსტ. გამსახურდიას არ სურს ტრადიციას მიჰყვეს ისევე, როგორც არ მიჰყვებიან მას ფოლკნერი ან ჯოისი, მაგრამ აქ მთავარია, თუ როგორ შთაბეჭდილებას სტოვეებს თვითონ სურათი — მხატვრულს თუ არა მხატვრულს. მეტწილად ასეთს სურათებს კონსტ. გამსახურდია ხატავს ნატურალისტურად. მწერალს არ სურს დაკმაყოფილდეს ნართაული სიტყვებით, ცალკე შტრიხებით, აღწერილი სცენის შინაარსის ქვეტექსტში გადმოცემით. ბელეტრისტის ხელოვნება განსაკუთრებით ასეთს ადგილებში მოითხოვს წერის სიფაქიზეს.

ნუ მოატყუებს ჩვენს მწერალს მკითხველთაგან მომავალი ეხო. განსაკუთრებით ხელოვნებაში ესაჭიროება გმირის ტემპერამენტს არტახები; ესაჭიროება ის მწერალსაც წერის დროს. ბალზაკმა კარგად სთქვა სტენდალზე — ეს არის ხანძარი ქვაშიო.

## 6.



„მთვარის მოტაცება“ უმთავრესი ნაწარმოებია კონსტანტინე გამსახურდიას ბელეტრისტულ შემოქმედებაში. ამ რომანით მწერალმა განსაზღვრული გზა ქართულ მწერლობაში.

ნოველების კრებული „ქვეყანა რომელსაც ეხედავ“ (1924) და რომანი „დიონისოს ღიმილი“ (1925) თითქოს შესავალი იყო მწერლის მუშაობისა იდეებისა და გმირების მრავალფეროვნების მხრივ უფრო მდიდარ ტილოზე.

თავის ნოველებში კონსტ. გამსახურდია ექსპრესიონისტული სკოლის მწერლად გვევლინებოდა. ამ სკოლის მისტიციზმმა და, რაც მთავარია, საგნებისადმი თავისებურმა დამოკიდებულებამ საგრძნობო გავლენა იქონიეს მწერლის სტილზე. აღსანიშნავია, რომ წერის ექსპრესიონისტული მანერის სპეციფიურ ნიშნებზე, რომლებსაც ჩვენ კონსტ. გამსახურდიას პროზაში ეხედავთ, კონკრეტულად ჯერ არავინ შეხებია.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისწრაფება ექსტაზის გამოსახვისადმი: „ზარები გრივალში“, ერთერთი შესანიშნავი ნოველა მწერლისა, ტიპური ექსპრესიონისტული ნაწარმოებია ამ მხრივ. ნოველაში გადმოცემულია მნათე ოქროპირის ექსტაზი, მისი ალტყინება ზარების რეკვის დროს, რომელიც ერთის წამით ანათებს უმნიშვნელო ადამიანის ცხოვრებას. ექსპრესიონისტებს საერთოდ უყვარდათ აღწერა ისეთი ფსიქოლოგიური განწყობილებებისა, როცა საგნების დემატერიალიზაცია ხდება. კონსტ. გამსახურდიას, როგორც არაკლასიკოსს ქართულ მწერლობაში, შესანიშნავად ეხერხება ასეთი განწყობილების გადმოცემა.

„მთვარის მოტაცებაში“, მაგალითად, ლუკაიას შიერ ზარების დარისხება და ექსტაზი (იხ. თავი 22: „ქვესკნელის ბუღბუღები“) წმინდა ექსპრესიონისტული სურათია და ეხმაურება მნათე ოქროპირის თავგადასავალს.

ექსპრესიონისტულია აგრეთვე მანერაც ასეთი სულიერი მდგომარეობის გადმოცემისა. მწერალი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ემოციურ პათეტიკას, ფრაზებს ევალებათ მოძრაობის მაქსიმუმის გადმოცემა, თხრობა ვადადის რიტმიულ მეტყველებაში. ყოველივე ამით მიღწეულია სრბოლვისა და სიჩქარის სრული შთაბეჭდილება.

ექსტაზისა და სრბოლვის გამოსახვის ასეთი მანერა აბასიათებს ყველა თვალსაჩინო ექსპრესიონისტს, მათ შორის — კაზიმირ ედშმიდს, გუსტავ მეიერიჩს და სხვ. (იხ. მაგ., პირველის „თიმური“, და „პერსოგის ქალი“ და სხვა).

თვითონ კონსტ. გამსახურდიაც სწერს, რომ მას უყვარს საგნების ჩქარი მდინარების გადმოცემა. ხელოვნების თვალსაზრისით მწერლის ნოველებისა და რომანების ასეთი ადგილები უნაკლოა.

ექსპრესიონისტულია მთელი რიგი თავები მისი ნოველებისა და რომანებისა, რომელთაც ემოციური ზედმოქმედების დიდი ძალა აბასიათებთ. ამ ადგილებში ყოველი წინადადება ამლერებულია, ისინი მელანქოლიით შეფერილი მონოლოგების შთაბეჭდილებას სტოვებენ. მწერალს არსად არ ლალატობს გემოვნება: მისი პათოსი ზედმიწევნით გადმოსცემს ხოლმე პერსონაჟის სულის მდულარებას.

კონსტანტინე სავარსამიძის ავტობიოგრაფიული „დიონისოს ღიმილი“ ანუ რომანის უკანასკნელი აბზაცები, ავტორის გასაუბრება მგელთან „ქალის რძეში“, თარაშ ემხვარის ფიქრები სიკვდილის წინათგანძობის დღეებში, მთელი ნოველა „დამსხვრეული ჩანგური“, — იშვიათს ლირიკოსს ამხელენ, ხშირად მისი ლირიკა ისმის, როგორც ექსტატიური ლოცვა ზღვრისაღივსა და მან ჩვენ ეცნობილობთ კონსტანტინე გამსახურდიას — თომას აქვინელისა და ეკპარტის მკითხველს, რომელთაგან მან აიღო, შეიძლება შეუფენებლადაც, მისტიკით შეფერილი ლაღადისისა და ემოციური მეტყველების საერთო ტონი.

სიყვარულმა ქართული ჰიმნოგრაფიისა, დავითის ფსალმუნების ქართული თარგმანისა და გურამიშვილის ანდერძების პათეტიკისადმი აგრეთვე შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო მის პროზაში.

ექსპრესიონისტებიც ხომ ასეთი ლიტერატურიდან გამოვიდნენ!

მაგრამ, მიუხედავად ასეთი ლირებებისა სტილის მხრივ, მწერლის ადრინდელი ნოველები და პირველი რომანი „დიონისოს ღიმილი“ ვერ დგანან მწერლის მთავარი ნაწარმოების „მთვარის მოტაცების“ სიმალღეზე. შეიძლება სისადავის მხრივ ისინი უფრო მეტად იქცეოდნენ ჩვენს ყურადღებას, მაგრამ პერსონაჟთა მრავალფეროვნებისა და პრობლემების სიმდიდრით „მთვარის მოტაცება“ გაცილებით რთული და ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია.

„დიონისოს ღიმილს“ უწინარეს ყოვლისა მომქმედ პირთა სიმკრთალე ახასიათებდა. სავარსამიძის ავტობიოგრაფიაში ადამიანები არ არიან განსახიერებულნი თავიანთი მოქმედებებით, ისინი არსებობენ მხოლოდ მომყოლის რემარკებში. ამიტომაც მკითხველს რომანის კითხვის დასასრულს ისინი არ ახსოვს, უკეთ, — ზელმეორედ ვერ აცოცხლებს მათ თავის წარმოდგენაში. ერთი გამონაკლისი — შესანიშნავად დახატული ტაია შელია! მეგრელი მორღუს ასეთი ნიღაბისათვის მარტო შეიძლება რომანის მხატვრული გამართლება.

„მთვარის მოტაცებაში“ კონსტანტინე გამსახურდიამ მთელის რელიეფობით ცხადპყა დაკვირვებისა და პორტრეტული ხატვის დიდი ნიჭი.

რომანში გამოყვანილია სხვადასხვა საზოგადოებრივ წოდებათა და ფენათა წარმომადგენელი. განსახიერებულნი არიან ისინი სკულპტურულად — ჩვენ ვხედავთ მათ გარეგნობას, მიმოხრას, ეესტასა და მიმიკას; დახასიათებულნი არიან შინაგანად — იწვევენ ჩვენს თანაგრძნობასა თუ სიძულვილს; დაქვრილნი არიან სმენის მხრივაც — გვესმის მათი საუბრის კილო, აკვირებული სიტყვები და ამოძახილები (ფარჯანიანის „აია!“, ლუკიას „ღიი“, აფაქიძის „ბიძი!“, ემხვარის „ნან!“ და მრ. სხვა).

რეალისტური და დამაჯერებელია რომანის პერსონაჟთა მთელი ვალღერა — კაც ზებაია, აფაქიძე, შარდინ ალშიბაია, ჯოკია, ლუკია, შერვაშიძეები, ლანდათქვეული თავადები, — და ყველა ისინი, — ასე ცოცხალნი და მრავალნი, — ერთს რომანში.

და როცა რომანის რეალისტურ ადგილებს ვკითხულობთ, ჩვენთვის ნათელი ხდება შემდეგი: კონსტ. გამსახურდიას პროზის ნაკლულევეანებანი გამომდინარეობენ თანამედროვე ბურჟუაზიული ბელეტრისტიკიდან, ღირსებანი კი — კლასიკური პროზის საუკეთესო ტრადიციებიდან. ამაზე უსათუოდ უნდა დაფიქრდეს მწერალი.

მოსაზრების საილუსტრაციოდ.

როცა ჩვენ გვანჯ აფაქიძის გარეგნობას ვაკვირდებით ან მის საუბარს ვისმენთ (გაიხსენეთ მისი დიალოგი არზაყანთან ცხენის შესახებ, — ის ნამდვილი მიღწევაა პროზისა!) გვახარებს მოდელი ს ნამდვილი ბა; ასევე გვბიძგავს ლანდად ქცეული თავადების გროტესკული სახეები, „გროტესკი“ და ლაბახუა; პერსონაჟი აქ დანახულია, დაჭერილი და სკულპტურული გვანახიერებული, — ჩვენ ის გვაჯერებს! მაგრამ ჩვენ არ გვეჯერა თამარ შერვაშიძე ზოგიერთ მომენტში, თუნდაც მაშინ, როცა სებასტიან ბაზის მუსიკით იქცევის თავს... ზუგდიდში! ან თარაშ ემხვარი, როცა ის მახეშის კოშკში, სვანეთში, რილკესა და ფლობერზე მსჯელობს („დღიურები“). ზოგიერთი თავისი პერსონაჟის გაზრდის მიზნით მწერალი არღვევს ბუნებრივობის ჩარჩოებს, მდგომარეობანი და ხასიათები ასეთ მომენტებში ფიქციად იქცევიან. — გოეტეს მკვლევარსა და მის ჩინებულ მკოდნეს ასეთი დარღვევები თავიდან უნდა აეცილებინა: საგნების ბუნებრივი წესრიგის სახამუშო დარღვევას „ვეიმარელი ბრძენი“ არასოდეს არ ურჩევდა ხელოვანი.

## 7.

ზემოთ თქმული ისე არ უნდა გაეიგოთ, თითქოს ჩვენ გაუბრალოებულ რეალიზმს ვიცავდეთ, გამოვდიოდეთ მარტოოდენ აღმწერლობის პრინციპის მექონავდ. შეიძლება სურათი რეალისტური იყოს და იმავე დროს არაფრის მთქმელი. ნატურალიზმამდე დაყვანით რეალიზმი მომაკვდავია, ის არ შედის მწერლობის აქტივში.

ყოველ სინამდვილეს ან საგანს აქვს თავისი ნიშნები განზოგადობისათვის, ის სიმბოლოც არის (ეს სიტყვა არ უნდა იყოს განმარტებული ცნობილი ლიტერატურული სკოლის ნორმატიულ ცნებად), და ყოველ თემას შოებოვება თავისი მალალი რეგისტრი. საჭიროა მხოლოდ მათი მიგნება.

„მთვარის მოტაცების“ ლირსებას მხოლოდ კარგად განსახიერებულ პერსონაჟთა მრავალფეროვნება და რეალიზმი კი არ შეადგენს, არამედ თემისა და საკითხების ფილოსოფიურ ასპექტში გაშუქებაც. ვიდრე ამ მხრივ შევებებოდეთ რომანს, საჭიროა დამატებით ზოგიერთი მომენტის ხაზგასმაც.

საზოგადოდ ცნობილია, რომ კონსტ. გამსახურდია საუკეთესო პეიზაჟისტი. ის ჩინებულად იცნობს ჩვენი ქვეყნის ბუნებას. ამ მხრივ „მთვარის მოტაცება“ წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების (აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, ტფილისის...) ფლორის ვრცელს პანორამას. მწერალს ესმის ბუნების შინაგანი მისტერიის ენა; მას შესანიშნავად აქვს ვადმოცემული ემოციური პეიზაჟი, — საგნებს ის ალაგებს მწუხრის ფერებში. სამეგრელოს წვიმიანი და ატირებული ნაშუადღევის, აფხაზეთის ღამეებისა და სვანეთის ბუნების მრავალფეროვნების ხატვის დროს მას იშვიათად ღალატობს ხედვითი რიტმი, აქ თვითონ რომანის ლექსიკა ჰქმნის ფერების მთელს გამმას (მაგალითისათვის შემთხვევით ამოღებული, არა საუკეთესო ადგილი, სადაც გათენებაა აღწერილი: „ცა ჯერ ქედანის ფერი ვახდა, მერმე ნელა გაერია ქედანის ფერს თეთრ ლეგო, მერმე აღმოსავლეთისაკენ ოდნავ შეწითლდა და ცა ისეთი ვახდა, როგორც ნავთვარეული წყალი“).

ასეთივე ოსტატობით აქვს მწერალს ვადმოცემული რელიგიური ცრუმორწმუნეობანი, ადათები და ამათუიმ ტომის ზნეჩვეულებანი. ამ მხრით მდიდა-

რია „დიონისოს ღიმილი“, ნოველა „ტაბუ“ (1928) და განსაკუთრებით კი — „მთვარის მოტაცება“.

ეხლა ერთერთი ძირითადი საკითხის შესახებ.

„მთვარის მოტაცებაში“ ვაღმოვცემულეთქვენი ძალა ქრისტიანული და პაგანისტური (ქართული) საწყისებისა. ეს არის ფილოსოფიური იდეა, რომელსაც ავტორი ერთგვარი შიფრის სახით ატარებს თავის ნაწარმოებში.

კონსტანტინე გამსახურდია გვიჩვენებს, თუ როგორ განთავისუფლდნენ ქართველი ტომები ქრისტიანული არტახებისაგან და როგორ იფეთქეს ამ ხალხის წარმართულმა მიდრეკილებებმა. ყოფილი ექსპრესიონისტი, კონსტ. გამსახურდია, ამ რომანში პაგანისტური სულისკვეთების მეხოტბედ გვევლინება (გამოთქმა ნახშირია არა დოგმატიური ვაგებით).

მარულები, სიმღერები, საუკუნოების განმავლობაში მიჩქმალული და უუფლებო სიხარული ადამიანის სენსუალური ენერჯისა — ერთის მხრივ, და ქრისტიანული და ცრუმორწმუნოებრივი ტრადიციები (შელოცვები და სხვ.) — მეორეს მხრივ, — ასეთია ფონი ორი საწყისის ჭიდილისა რომანში. რევოლუციამ ააფეთქა ჩვენი ყოფაცხოვრების ძველი პლასტები და სიკოცხლის ბუნებრივი მსვლელობის დროს, როცა ხალხის წარმართული ბუნება აცოცხლებს თავის ადათებს, სასაცილო ხდება უკანასკნელი გაბრძოლება ეკლესიური სამშინოვანი ღმერთის ბრმა თაყვანისმცემლებისა. ესენი მაზინჯებად ან სასაცილოდ გამოიქვირებიან სიკოცხლის ხელ-ახალი ზეიმის დროს: ტარიელ შერვაშიძე თავისი ბიბლიური ამოკალიფსით, ლუკაია რელიგიური სიბნელითა და ექსტაზით, თვით ლამაზი თამარიც კი თავისი მოკრძალებით პატარა ჯვარისადმი, რომელიც მას ყელიდან მოძვრა და დაეკარგა.

ასე ებრძოდნენ ერთმანეთს ალბათ ადამიანის ბუნებრივი და ანახორეტული ინსტიქტები შორეულ წარსულშიაც: ელინური უშუალობისა და იუდაიზმის, შარიათისა და ადათების ჭიდილის დროს!

ამ ბრძოლის დროს იკვეთებოდა სახეები არა მარტო დამარცხებული ადამიანისა, არამედ, რაც მთავარია, ახალი პიროვნებისაც.

ასეთი ახალი ადამიანია, მავალითად, არზაყანი, — აფხაზი კომკავშირელი, რომელიც ავტორის სიყვარულით ჰყავს დახატული. რა გინდ ნაკლიც არ ახლდეს მის პორტრეტს, მწერალმა მაინც კარგად დაიჭირა მის სახეში მკაფიო კონტურები ცრუმორწმუნოების ნარჩენებისაგან განთავისუფლებული ახალგაზრდისა.

მაგრამ კონსტ. გამსახურდია არ ვაპყობია სქემატურ პარალელს (ერთის მხრივ ძველი ქვეყნის წარმომადგენელი, მეორეს მხრივ კი ახალი ადამიანები!) და მას ჰყავს პერსონაჟები, რომელთა მიმართ მკითხველის დამოკიდებულება გაორებულია. ასეთია, მაგალითად, კაც ზემამბია, შესანიშნავად დახატული სახე აფხაზი შეძლებული გლეხისა, კონსერვატორის, მაგრამ ვაჟკაცი მოხუცისა.

მიწაზე შეყვარებული ძველი ტრადიციების ერთგული ეს ადამიანი მწერალს მძაფრი საღებავებით ჰყავს განსახიერებული. დაუვიწყარია სცენა კაც ზემამბიას მიერ საკუთარი საქონლის გაწყვეტისა; ამ ეპიზოდს ახასიათებს დი-

დი ძალა ემოციური დარტყმისა. ვფიქრობ — დაკვირვებულ მკითხველს ესმის თვითონ ავტორის მაჯის პულსიც აღნიშნული ეპიზოდის კითხვის დროს.

## მ.

გაქვეყნდა

კონსტანტინე გამსახურდია ე. წ. ორნამენტული პროზის უკვლამზე თავალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენში. როგორც თავის თეორიულ წერილებში, ისე ზეპირს გამოსვლებში და კერძო საუბრებში მწერალი თავგამოდებით იცავს ასეთს პროზას. ამიტომაც თამაშობს დიდს როლს მის ნოველებსა და რომანებში შედარებები და სახეები, ლირიული განმეორებანი და გადახვევები. ის შეყვარებულია ზოგიერთს სიტყვაზე, ეპიტეტებზე, რეფრენებზე. მაგ. „დიონისოს ღიმილში“ რამდენჯერმეა განმეორებული შედარება — „ყინულზე დავარდნილი ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული“ და ლირიული ფრაზა „ჩემი ცხოვრების შუაგულ გზაზე შემომალამდა“. „მთვარის მოტაცებაში“ ეს ხერხი უფრო თვალსაჩინოა (განსაკუთრებით ნახეთ „ლირიული ინტერმეცო“). მთელი რიგი შედარებანი და ცალკეული სინონიმები აქ რამდენიმე ვარიაციით გვევლინებიან. ამიტომაც ეპიური თხრობის ნაცვლად რომანში გაზრდილია ამღერებელი, ერთგვარი ლირიული კადანსის მქონე აბზაცების როლი. ზოგჯერ ისინი არც მოგვითხრობენ, არამედ წარმოადგენენ ჩუქურთმებს ან საილუსტრაციო მასალას (ამბავის ან გმირის სულიერი განწყობილების გადმოცემისათვის). ეს იწვევს სიტყვების რაოდენობის გაზრდას თვითონ აბზაცის საგნობრივი შინაარსის შემცირების ხარჯზე.

ეს მომენტი შესამჩნევია მის ენაშიაც.

სიტყვის ნამდვილი ფანტატიკოსი, კონსტ. გამსახურდია, ზედმიწევნით გრძნობს ქართული სიტყვის ფონეტიურ რბევას, მის სურნელსა და ფერს. მწერლის წინადადება უაღრესად კოლორიტულია, ორგანიულად განცდილი, — ყველაფერი ეს მოწმობს მწერლის სუფთა სმენას, მის დიდ ენობრივ კულტურას.

მაგრამ ამასთანავე მწერალს აქვს საკუთარი მანერაც თხრობისა, თავისი პიროვნული ხმა, დიქცია. ზოგიერთი ორიგინალური მიმოხრა ფრაზისა თუ სიტყვისა მას ხაზგასმული აქვს განზრახ, ხშირად თითქოს მკითხველსაც არ ენდობა — ის არაერთხელ მიუთითებს თავის კანონზე, თავის ექსპერიმენტზე ენაში. ყოველივე ეს მწერლის თხრობის მანერას ზოგჯერ დაკვირვებსა ხდის, სინტაქსს — არქაიზირებულსა და გართულებულს, სტილის ელემენტებსა და ზოგიერთ გრამატიკულ ფორმებს — თვითმიზნურსა და ფუნქციის მხრივ გაზვიადებულს.

კონსტანტინე გამსახურდია არ იზიარებს ფლობერის ობიექტივიზმის თეორიას (ავტორის ჩაურევლობა თხრობაში, მწერლისგან მოთხოვნა საკუთარი ხმის სრულიად დამალვისა და სხვ.), მაგრამ ფრანგი რომანისტის მისწრაფებას ენერგიული წინადადებისადმი, „მუსკულებიანი ფრაზისადმი“ — ის უსათუოდ ანხორციელებს თავის პროზაში.

საკითხავია — სწორია თუ არა სტილის ან ენის რომელიმე ელემენტის (მაგ. ორნამენტის ან ამათუიმ გრამატიკული ფორმის) როლის გაზვიადება?

პროზაში, და საერთოდ, კანონულ სიტყვიერების სხვა ეანრებშიაც, არ არსებობს ერთი სავალდებულო სტილი. ის, რაც მერიმესა, სტენდალისა და ტოლსტოისათვის არის დამახასიათებელი, სრულიად არ არის სავალდებულო, მა-



გალითად, შატობრიანისა, ბალზაკისა ან ჰუგოს პროზისათვის. ყოველი მწერალი იცნობა თავისი ორიგინალური მანერით, მაგრამ საკითხი აქვე რომიერების შესახებ ისმის.

ჩვენის აზრით, — შეიძლება ასეთი შეხედულება სუბიექტიური იყოს და კონსტ. გამსახურდიასათვის პრინციპიალურად მიუღებელი იქნებოდეს მართებული, როცა მწერალი შეგნებულად აზვიადებს სტილის ან ენის რომელიმე კომპონენტის როლს, როცა ამ უკანასკნელს აღჭურავს ერთგვარი იმპერიალისტური უფლებით სხვა ელემენტების მიმართ. სწორედ ამგვარმა მეთოდმა გახადა გაუგებარი ჯემს ჯოისის პროზა, მანვე აენო ორნამენტული პროზის ცნობილი წარმომადგენლის ანდრეი ბელის შემოქმედებას: მეტრიული პროზის შექმნის ცდამ მკვდარ ექსპერიმენტებად აქცია მისი უკანასკნელი რომანები (განსაკუთრებით „მოსკოვის“ შესამე ტომი — „ნილაბები“).

კონსტ. გამსახურდია ასე შორს არ წასულა, მაგრამ ამის საშიშროება მაინც იყო.

## 9.

ახალი პერიოდის დასაწყისის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში წარმოდგენს ხანა მუშაობისა ახალ რომანზე და თვითონ ეს რომანი — „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“.<sup>1</sup>

ავტორმა თავის ამ ახალს ნაწარმოებს „რაინდული რომანი“ უწოდა. ეს ერთგვარი გამბედაობაც იყო: რაინდული რომანის ცნებასთან დაკავშირებულია წარმოდგენა საკმაოდ ცნობილ ეპარზე, რომლის მხატვრული ხერხები და ამბების გადმოცემის მანერა ამ ეპოდ ძალზე მოძველებულია. მწერალი თუ ამ გზით წავიდოდა, უსათუოდ წააგებდა, ჩვენ მივიღებდით მრავალთა შორის ერთერთ ჩვეულებრივ რაინდულ რომანს, იდეალური ვაჟკაცებით, ნაცნობი ბატალური სცენებით, ფარებისა და შუბების ხშირი ტრიალით. ყველაფერი ეს ახალს პროზაში უახლოვდება იმას, რასაც მხატვრობაში „ლუბოკი“ წარმოადგენს.

კონსტ. გამსახურდიას გამარჯვება გამოიხატა იმაში, რომ მისი უკანასკნელი რომანი ახალია სტილის მხრივაც, რომ ვაჟკაცობა მასში წარმოდგენილია არაცალმხრივად, გულუბრყვილო იდეალიზაციის გარეშე. ამავე დროს „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“ თამამად შეუძლია ატაროს ძველი იარლიკი: რომანში ყველაფერი რაინდული სულით არის გამთბარი, ამ ნაწარმოების ატმოსფერო სრულიად ჯანმრთელია.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ დაწერილია იმ ოსტატის მიერ, რომელიც თავისი გმირის, არსაკიმის მსგავსად, ბევრს ზრუნავს ჩუქურთმების ზომიერებისა და ცალკე დეტალების პარმონიულობაზე, ფერების თანაბარ განაწილებაზე, სიუჟეტურ მთლიანობაზე. არც ერთი რომანი მწერლისა არ არის ესე გამჭვირვალე და სისადავის მხრივ სანიმუშო. მწერლის დიდმა გამოცდილებამ, მრავალწლოვანმა მუშაობამ ქართულ სიტყვაზე ყველაზე უფრო დაწმენდილი და სუფთა ნაყოფი სწორედ ამ რომანში გამოიღო. „დიდოსტატის

<sup>1</sup> ამავე ხანას ემთხვევა დიდი მოთხრობა „ზოგას მინდია“, რომელსაც, სამწუხაროდ, აქ არ ვხვებით. მოთხრობის ანალიზი მოცემული იქნება ჩემს წიგნში „წიგნები და ავტორები“. სადაც ეს წერილი უფრო ვრცელი სახით იქნება მოთავსებული.

კონსტანტინეს მარჯვენა“ შესანიშნავია ენის კრისტალური სიწმინდის მხრივ; შედარებები და ორნამენტი ზომიერია, პეიზაჟები ძუნწად აღწერილი, ამაზე ცოტა ქვემოთ.

გ. კ. ნ. შ.

• •

რომანში აღებულია საქართველოს ისტორიის საინტერესო პერიოდი — გიორგი პირველის მეფობის ხანა (XI საუკუნე). ეს მეფე, შვილი ბაგრატ კუროპალატისა, მნიშვნელოვანი ფიგურაა ჩვენი წარსულისა — თავისი ბოშოქარი ცხოვრებით ის მემკვიდრეა ყურადღების საგანი გახდა. „ქართლის ცხოვრებაში“ მკრთალად მოთხრობილი მისი ამბები კონსტ. გამსახურდიამ გაშალა ვრცელ ჭრონიკად, აავსო ის ეპოქისათვის დამახასიათებელი აღამიანებითა და ეპიზოდებით.

ნაწარმოების უმთავრეს ნაწილებში კარგად არის დაჭერილი ეპოქის სტილი. რომანის პირველივე თავებიდან მკითხველი გადადის შორეულ ეპოქაში, მას არ უხდება ძლიერი დაჭიმვა თავის ფანტაზიისა იმისათვის, რომ წარმოიდგინოს აღწერილი ხანის კოლორი, ეპოქის გარეგნული სახე, ადამიანთა თავისებურებანი. ძველი მატყანეებიდან და ისტორიული ანალებიდან აღებული ლექსიკონი, თვითონ მანერა თხრობისა ახლოს გვაგვრძობინებენ ეპოქის სურნელს.

პირველი შეხედვით რომანის მთავარი გმირი თითქოს კონსტანტინე არსაკიძეა, რომელსაც ავტორის მიგნებით (შეიძლება ეს ისტორიული სიზუსტის მხრივ საკამათო იყოს, მაგრამ ავტორის მხატვრული მეთოდით ის გამართლებულია) მცხეთის აშენებას მიაწერენ და რომელსაც მეფემ ხელი მოჰკვეთა პიროვნული ინტრიგის ნიადაგზე. ეს ეპიზოდი, რომელიც ძალზე ბუნდოვან და მკრთალ ცნობად არის შემონახული ხალხურ სიმღერასა და კიდევ უფრო ბუნდოვან მცხეთის წარწერაში (ამ წარწერის მიხედვით, რასაკვირველია, არ შეიძლება ზუსტად იქნას გამორკვეული მწერლის გმირის ნამდვილი ვინაობა, არც მცხეთის კედელზე გამოსახული მოკვეთილი ხელის ნამდვილი ისტორიაა ცნობილი) მწერალს კარგად აქვს გამოყენებული. რომანში კონსტანტინე არსაკიძე წინა პლანზე არ არის წამოყენებული. არ შეიძლება ამის გამო უსაყვედუროთ მწერალს: მისთვის კონსტანტინე არსაკიძის თავგადასავალი არ წარმოადგენს ფაბულის ღერძს. ის მონაწილეობს რომანში ერთერთი ცენტრალური იდეის გამომხატველ ფიგურად და მის თავგადასავალთან ერთად ეპოქის სხვა მნიშვნელოვანი ამბებიც არის მოთხრობილი (კომპოზიციურად ეს ზერხი ისევე გამართლებულია, როგორც მრავალი სხვა, მისი საპირისპირო). შესანიშნავი ეპიზოდი, უკეთ — ნ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ი შე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ე პ ი ზ ო დ ი ს ა, მწერალს გაშლილი აქვს მთელ რომანად, ავტორის ფანტაზია ავსებს ისტორიის ხარვეზს. ხელოვნების თვალსაზრისით სულერთია — დოკუმენტალურად სწორია იგი თუ არა: „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ არ არის ცალკე დეტალებში და ეპიზოდებში ზუსტად დოკუმენტირებული ნაწარმოები, არც თანამედროვე სახის ბიოგრაფიული რომანი.

კონსტ. გამსახურდიას ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია ვრცელი ისტორიული ფონი. ამიტომ მასში რამდენიმე ძირითადი პერსონაჟი მოქმედებენ — ისტორიულად ცნობილნი და მწერლის მიერ მოგონილნი.

ჯერ თვითონ გიორგი პირველის შესახებ.

ნაწარმოებში ამ მეფის სახე განსაკუთრებით რელიეფურად არაა მოცემული. გიორგი პირველი ქართველ მეფეთა დინასტიის ის ტიპური წარმომადგენელია, რომელიც არ სცნობს ყურმოჭრილ ვასალის როდესაც უფროსი რომელიმე გარეშე ძალის ქვეშ. მისი ბრძოლა ბიზანტიური პატრიარქატის მიწარით გამოიხატა არა მარტო შინაური მმართველობის დამოუკიდებლობაში, არამედ სიძულელიშვიც იმ ურთიერთობისადმი, რომელიც არსებობდა ქართველსა და ბიზანტიურ ეკლესიათა შორის. კონსტანტინეპოლში მჯდომი ბიზანტიის კეისარი ბასილი თავის გავლენის სფეროს გაფართოვებას ცდილობდა რელიგიური მომენტის გამოყენებითაც ისევე, როგორც შემდეგ საუკუნეებში სტამბოლის სულთანები: ეს უკანასკნელი ცდილობდნენ ფანატიზმი გაეგრძელებინათ მუსლიმანურ სამყაროზე სწორედ პოლიტიკური მიზნით, რათა სუნიტების საერთო ხალიფები ყოფილიყვნენ. ქართული მეფის კარზე, გიორგის მეფობისას, ბიზანტიურ ორიენტაციას ემხრობოდა კათოლიკოზი, რომელთანაც მეფე მტრულად იყო განწყობილი; მწერლის გაგებით გიორგი პირველი არ იზიარებდა სექტანტურ მოკრძალებას ღმერთის ამქვეყნიერი წარმომადგენლების მიმართ. მისი ბუნება ქართული წარმართული სულით იყო სავსე. სიყვარული ნადირობისადმი, ფეოდალური პედონიზმი, გალაშქრებანი შინაურ მტრებზე, რომლებშიაც მისმა ცხოვრებამ განვლო, გიორგი პირველს გამოყოფდა იმ მეფეთაგან, რომელნიც თავიანთ სამეფო კარზე დიდს უფლებებს ანიჭებდნენ ეკლესიას სახელმწიფო საქმეებში.

მწერლის მიერ აღწერილი ფარული, არააშკარა ბრძოლა გიორგი პირველსა და კათოლიკოსს მელქისედეკის შორის არსებითად გამოხატულება იმ ტენდენციების ქიდილისა, რომელიც ახასიათებდა საქართველოს ისტორიას მრავალი საუკუნის მანძილზე, მათ შორის X და XI საუკუნეთა მიჯნაზე. ასეთი ბრძოლების ვრცელი ისტორიული ექსკურსი აქ საჭირო არ არის, რადგან ჩვენს მიზანს ამჟამად ნაწარმოების ლიტერატურული ანალიზი წარმოადგენს მხოლოდ.

რომანის სიუჟეტში, თვითონ მომქმედ პერსონაჟთა განაწილებაში, ჩვენ ვხედავთ ამ ორი ტენდენციის ბრძოლის გამოხატულებას.

ერთის მხრივ გიორგი მეფე, რომელშიაც, კათოლიკოზის მომხრეთა აზრით, დაუსაღვურებია ბევრ წარმართულ ჩვეულებებს, სიყვარულს მიწისადმი, ეროსისა და ბახუსისადმი და მეორეს მხრივ თვითონ მელქისედეკი — ანაზორეტული მწირობით, ბიზანტიური სქოლასტიკითა და ინტრიგებით, კათოლიკოზი, რომელსაც ძალზე წვრილი კისერი აქვს და დაშრეტილი სხეული, მაინც დიდი გავლენის მქონეა სიცოცხლით სავსე მეფის მიმართ. ასეთისე, რელიგიური მოკრძალება აიძულებს გიორგი პირველს ანგარიში გაუწიოს ბიზანტიურ სულის აგენტს თავის სამეფოში. ორივე მხარე ცდილობს თავიანთი მიზნებისათვის მოიხმარონ ერთმანეთი... რომანში ორივენი მკაფიოდ და დამაჯერებლად არიან ნაჩვენები. მათი გარეგნული პორტრეტებიც ზუსტად აქვს შესრულებული მწერალს.

განსაკუთრებით დიდს ადგილს უთმობს ავტორი გიორგი პირველის დანასიათებას. ეს მეფე ნამდვილი ვაჟაკია ფიზიკურად, ხმლის იშვიათი მხმარებელი, მებრძოლი და მხედარი. ლაშქრობის დროს ის შემპარავიც არის და

იყენებს ყველა ზერსს, რომლებიც მან ბიზანტიელი მეფის სასახლიდან ისწავლა — მიმართავს ბრძოლის არაპირდაპირ საშუალებებს, იშველურებს მტრის მოყვავილებსა და შემდეგ მისი ვერაგულად მოკვლის მეთოდს. პართალს ამბობს მამამზე ერისთავის სახლთუხუცესი შავლევ ტოხაისძეს: „ყოველმედი ქალაქია ბიზანტიონი. ბასილი კეისრის სასახლეში ბევრი რამ ვეფთხეყურე და მე, თვალების დაბნელება და ადამიანის ცოცხლად დამარხვა, ძელზე გაყვანა, ნოწამვლა, ორივე ხელის მოჭრა და მკვლელის მიჩენა, ეს ყოველივე ბიზანტიონში ისწავლეს ჩვენმა მეფეებმა“. ამგვარი ზერზებით ანადგურებს გიორგი პირველიც თავის მტრებს — მამამზე ერისთავსა და კოლონკელიძეს. მაგრამ იცის პირდაპირი გმირობაც: რომანში რამდენიმე ბატალური სცენაა აღწერილი, რომლებიც მეფის რაინდობას გვიხატავენ, მათ შორის განსაკუთრებით კარგია ფხოვის დარბევის სურათი.

გიორგი პირველი ამავე დროს მოყვარულია ქალების, შეტყობილია სიძვის სენით, — როგორც კათოლიკონოს მომხრენი ახასიათებენ მის ყოფაქცევას. ამ მხრივ საინტერესოა კოლონკელიძის ქალზე, შორენაზე, მეფის გამიჯნურების ისტორია. გიორგიმ არ იცის დაბრკოლებები თავისი მიზნის სისრულეში მოყვანის გზაზე. პირად სურვილებს უმსხვერპლა მან მამამზე ერისთავის ვაჟი ქიაბერი, ყველის ციხის უფროსი გირშელი და ბოლოს — ხელი მოჰკვეთა მცხეთის ამშენებელს, კონსტანტინე არსაკიძეს.

მეფეთა თვითნებობის ასეთი ამბები ხშირი იყო საქართველოს ისტორიაში. ზოგიერთ ქართველ მეფეთა ქედმაღალი და ეგოცენტრული ბუნება ძალზე გაფაჭიზებული იყო ინტრიგებისა და ძალმომრეობის საქმეში, რომლის ხელოვნებაც მათ ნაწილობრივ მეზობელ ხალხებიდან ისწავლეს. გლეხის ტანსაცმელში გადაცმული და სასახლიდან გაპარული, მეჯღოგის კარავში მწოლი მომაკვდავი მეფე ეუბნება თავის მალემსრბოლს, პიპა უშიშარაისძეს:

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვაჟკაცი ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ზვიარის ფესვებისა, გულზევიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მილაღატნია, პიპა.

ჩვენი უბედურება ამ ეამადაც უგაა: ჩვენში მოლაღატენი სქარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისა, საკუთარი თავის, თავისი ხალხის მოლაღატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვრებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავთ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოლაღატე ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.“

ეს აღსარება უსათუოდ შეიცავს ჭეშმარიტებას, როგორც გიორგი პირველის ხასიათის, ისე აღწერილი ეპოქის ხასიათის შესახებაც.

დამაჯერებელია და სკულპტურულად გამოკვეთილი კათოლიკონ მეღჭიხედეკის სახეც. მთელს მის აღნაგობაში, ასკეტურ სიგამზდრესა და განდგონილობაში მოსჩანს ნამდვილი მღვდელმსახური ბიზანტიური ტიპისა. მისი მოგზაურობა ფხოვში მწერალს აღწერილი აქვს დიდი ოსტატობით, ისტორიული პერსპექტივის დაცვით. ასეთს სურათებში ავტორი აახლოვებს ეპოქას მკითხველთან.

შესანიშნავია აგრეთვე ძელის ცხოველის მიერ ჭიანჭველის მოკვლის სცენა და შემდეგ მისი დატირება. აქ ყველაფერი მოზომილია და მხატვრულად გამართლებული. ასევე კარგად არის ნაჩვენები კათოლიკოსის არაპირდაპირი ბრძოლა მეფესთან, მისი საუბარი ზვიად სპასალართან და სხვა დეტალებთან ერთად კათოლიკოზი წარმოადგენს ერთგვარ ოპოზიციას <sup>გაბრიელ მჭედველის</sup> კარზე და, როგორც ვსთქვით, ამ ორი ბანაკის ბრძოლის შინაარსი ავტორს კარგად აქვს გახსნილი.

• •

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ პერსონაჟთა შორის ერთ-ერთი ორიგინალური ფიგურაა — ფარსმან სპარსი.

„ქვისმთლელთა და კირითხუროთა უბუცესი, იღუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი. არაბულ ალქიმიასი განსწავლული, უებარი ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აჭიმი, უცნაური მეწამლე და მხიბვავი.

ფრიად ბნელ საქმეებში უკავშირებდნენ მის სახელს ცრუმორწმუნენი. იმასაც ამბობდნენ: გველი ჰყავსო ფარსმანს ლაგამამოდებული და ზედმედობი დაჰქრისო იგი არაგვის ქალებში. — ასე იწყება რომანის ამ უალრესად კოლორიტული პერსონაჟის ცხოვრების თხრობა. ფარსმანი ყოფილი მოვზაურია, ენების მცოდნე, მრავალსარწმუნოებათა ღმერთებისა და მრავალ მეფეთა ქვეშევრდომად ნამყოფი. მას არ გააჩნია რაიმე განსაზღვრული, მტკიცე რწმენა და აინტერესებს ყოველი ჰუმბარიტება, როგორც გამოსაცდელი, ელასტიკური საგანი რამ. ქაირის ბაზრების ყოფილი ჯამბაზი ჯამბაზობს სიტყვითაც, რწმენითაც, მთელი თავისი ცხოვრებით. მაგრამ ის მზდალია და ამიტომაც ფრთხილი, — მუდამ რომელიმე მეფეს ეკედლება. გიორგი პირველთან ის მთავარი ზუროთმოდერის თანამდებობას ასრულებდა მანამდის, სანამ მეფემ არ გადასცა ეს თანამდებობა არსაკიძეს.

თავის ცბიერი და შემპარავი ჭკუით, გარეგნობითაც კი, ფარსმან სპარსი წარმოადგენს ბნელი აზიის გამომხატველს რომანში. ყველგან, სადაც ფარსმან სპარსი ჩნდება, რომანში მოქმედებას იწყებს ფაქიზი, გონებამახვილობით მდიდარი, ირიბი მთქმელისა და დერვიშის გამომეტყველების მქონე შესანიშნავი ნილაბი.

დიდი ინტერესით იკითხება ალწერა ფარსმან სპარსის ფიქრებისა მოსალოდნელი გასამართლების წინ, მისი საუბრები მეფესთან და სხვა. კარგია პატარა სცენა, როცა ასტროლოგი ზუროთმოდერის ვარსკვლავების მოძრაობაში ამოიკითხავს მოსალოდნელ მიწისძვრას. არსაკიძის მიერ დამარცხებულ ამ ზუროთმოდერის კიდევაც უხარია კატასტროფის სიახლოვე და ცოლს ეუბნება:

„ეგებ დაიღწეოს ეს ქვეყანა, ვარდო, ახალში მაინც მიმიწვევენ ზუროთმოდერად“.

სხვა პერსონაჟებს შორის რელიეფურად არის დახატული ზვიად სპასალარი — თავდაპირველი, დიდი ნებისყოფის რაინდი. ამავე დროს იგი წარმოადგენს გიორგი პირველს სამეფოს სამხედრო ჭკუას, მისი ძლიერების დასაყრდენს. ამიტომაც ეჯავრებათ იგი კათოლიკოსსა და მარიამ დედოფალს. ასევე კარგია გირშელისა და შამაშზე ერისთავის სახეები.

ქალთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შორენა, კრილონკელიძის ასული. ავტორმა არ დაიშურა საღებავები მისი გარეგნობის აღწერისას, კარგად არის დახასიათებული ამ ქალის რაინდული ბუნებაც. მისი თავდადასავალი ერთგვარ პოეზიად იჭრება რომანში, ახალისებს ნაწარმოებსსა და

მისი თავდადასავალი

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ სათაურის მიხედვით უმთავრესად უნდა ყოფილიყო ხუროთმოძღვრის, კონსტანტინე არსაკიძის ცხოვრების ქრონიკა. მოსალოდნელი იყო, რომ მის მაგალითზე მწერალი გვიჩვენებდა შემომქმედის დაღუპვას მეფესთან შეჯახების ნიადაგზე. როგორც ვსთქვით, მწერალმა ის არ აქცია ფაბულის მამოძრავებელ პერსონაჟად. ეს არ არის ნაკლი, ყოველ შემთხვევაში უამისოდაც შეიძლებოდა მისი ჩვენება: თავდადასავლის ფართო მოთხრობით თუ არა, მისი საქმის გამოძახილის აღწერით.

არსაკიძე ლაზია წარმოშობით; მას ბიზანტიონში უსწაველია თავისი ხელოვნება. შემთხვევით, ნადირობისას, ახალგაზრდა ხუროთმოძღვარს გაეცნობა გიორგი პირველი და მიიწვევს თავის სასახლეში. არსაკიძეს ნიშნავენ ფარსმან სპარსის ადგილზე. კათოლიკოზი და მეფე მას ავალებენ სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის აგებას.

არსაკიძეს შეაქვს ქართული სტილი თავის ქმნილებაში, მიუხედავად ბიზანტიური ფორმებით გატაცებისა, რომელიც ამ ეპოქის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ახასიათებს. იგი ისწრაფვის ორნამენტის გაქართულებისაკენ და სხვა. თავის ხურათსაც კი ბიბლიურ სიუჟეტზე — „იაკობის ბრძოლას ღმერთთან“ — არსაკიძე ქართული შინაარსით ავსებს (ღმერთს დაშრეტლი მელქისედეკის გამომეტყველება აქვს), უსიცოცხლო, ბიზანტიურ სქემებს ქართული შინაარსითა და სიცოცხლით ავსებს. მისაბამ საგნად იღებს რეალურად არსებულ საგნებს.

ქართველი მხატვრებისა და ხუროთმოძღვრების მუშაობის ეს მეთოდი მწერალს კარგად აქვს დაჭერილი და არსაკიძის მაგალითზე ნაჩვენებია.

მიუხედავად ამისა, არსაკიძის პიროვნება მკრთალია, უკეთ, — იგი ზოგჯერ ვერ სტოვებს ისტორიული მოდელის შთაბეჭდილებას. მართალია, მას აქვს თავდადასავალი — უყვარს შორენა, ნადირობს, ბოლოს ფარსმანის დაბეზლების გამო (შორენასადმი სიყვარულის მიზეზით) მას ხელს მოჰკვეთენ, — მაგრამ თავისი ფიქრებით, ცხოვრების გარეგნული ფაქტებით ის არ მიაგავს XI საუკუნის ქართველ ხუროთმოძღვარს.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ არსაკიძე ფიქრობს თანამედროვე ადამიანის რთული აზრებით. აი მისი შეხედულება ხელოვნებაზე:

„როცა ყველაფერს წვიმა წარბოცავს, როცა ყველა ხმას ქარი წაიღებს, სვეტიცხოველი შეიმატებს დიდებას კიდევაც.“

მართლაც და სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არ წამიერის მარადეამულად ქცევა? სხვა რა ევალება ამ ქვეყნად ოსტატს, თუ არ ჰქონდა წარმავლობის ნისლთან?”

ხელოვნების საკითხებზე ასეთი მსჯელობა XI საუკუნის ქართველ ხე-  
როთმომადღარს არ შეფერის, ყოველ შემთხვევაში — აქ არ არის დაქვერილი  
გმოქის სტილი. მოვეუსმინოთ მის მსჯელობას აგრეთვე სიტყვაზე:

„მაგრამ არიან ისეთი სიტყვებიც, რომელნიც გამოთქმისაგან შეპბლაღე-  
ბიან ხოლმე. მხოლოდ იმ სიტყვასა აქვს წონა, რომელსაც სიტყვება  
და მსხვერპლი. უმსხვერპლო სიტყვა ისევე ამოა, როგორც უსურნელო ყვა-  
ვილი, უნათლო შუქი, ვინა, სიტყვის მოკლებული მზეი“. ასეთივე რთული ასო-  
ციაციებით ლაპარაკობს ის პოლიტიკაზე და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი.

ისტორიულ პერსპექტივას არღვევს ხშირად ისეთი სიტყვების ხმარება  
გმირთა დიალოგებში, რომლებიც თანამედროვე რომანებიდან აღებულ ფრა-  
ზებს მოგვაგონებენ; მაგალითად, ფარსმანი ეუბნება არსაკიმს:

„ეგვიც იცოდე: მაინც მოცალეობა და ფანტაზიაა შემოქმედების მკვიდრი  
შრობელი“.

ასეთ მანერას თბრობაშიაც მიმართავს ავტორი ხშირად.

გმოქის სტილი უნდა გადმოიცეს სიტყვიერ მასალაშიაც, სიტყვიერ ატმოს-  
ფეროშიაც. ამიტომაც — საერთოდ კარგად და შესაფერად წაყვანილ თბრობა-  
ში ზოგჯერ ლექსიციური ან აქრონიზმები ისმის:

„გიშრის ორნამენტებივით მოსჩანდნენ ტოტები...“ „ფერადი მინიატურე-  
ბით დამშვენებული...“ და ა. შ.

ფარსმანის ფიქრის აღწერისას ნახმარია ასეთი გამოთქმა: — „მისტიური  
პალუცინაციები აწვალებდა ბნელიანს“. იმავე ფარსმანზე ნათქვამია — „რო-  
ვორც ყოველ ავანტურისტს...“

ან კიდევ: „ბორღოხან ფერბით დაღუვარდა მელქისედეკს, რელიგიურ ექს-  
ტაზში სტიროდა და ტანისამოსის ბალთებს უკოცნიდა კათოლიკოსს“ და სხვა.  
ვფიქრობთ — ავტორს ამ რომანში საესეგბით უნდა დაემალა თავისი ხმა.  
ის უნდა შერთვოდა თბრობის საერთო სტილს.

კონსტანტინე არსაკიმის პორტრეტს სწორედ ასეთი მომენტები აფერ-  
მკრთალებენ. ეს ერთადერთი გმირია, რომელიც ზოგჯერ ვერ ეტყევა რომანის  
ჩარჩოში მისი ანტიისტორიულობის გამო. რაც შეეხება არსაკიმის მუშაობას  
ტამარზედ და მის სიკვდილს, — ავტორს ის ჩინებულად აქვს აღწერილი.

ზემოთ აღნიშნული ნაკლი იდვილად გამოსასწორებელია. მოითხოვს შეე-  
სებას ქორსატეველას ციხის აღწერაც.

ცალკე ეპიზოდებს შორის შესანიშნავია ავაზების ნადირობის სცენა. თვი-  
თონ ავაზების აღწერა ნამდვილი მოზაიკის შთაბეჭდილებას სტოვებს:

„მოწითალო და მოყვითალო ზოლები გადასდიოდა თხემიდან კუდის წვე-  
რამდის ძუს, წითლად და ყვითლად სხურვებული ჰქონდა ტყავი, ოკრომკე-  
დის დორივით მოხატულს. ეს იყო მხოლოდ, ფორეჯები ბეწვისა უფრო წერი-  
ლად დაწინწკლული სჩანდა, ვიდრე ვეფხისანი. ყბები, მუცელი და ფეხებს  
ქვედა მხარენი ჩალისფერი, კუდიც უფრო ქრელ-ქრულა, ვიდრე მწოლარე  
ხვადს, ფხოუერ შიბებისდარ რკალებს მოთეთრო რგოლები თიშავდნენ აგრეთ-  
ვე ჩალისფერს წვეტამდის“.

ლაკონიურად, შესანიშნავად ხატავს ავტორი პეიზაჟს: „ცა ისეთი მალალო იყო, ეაოსკვლავებიც ისე ნაზად აფახულდებდნენ იისფერ წამწამებს, არსოდეს ასეთი ბედნიერება არ უგრძნია გიორგის“. კარგად იცნობს ავტორი ეპოქის აქსესუარებს — იარაღებს, ყოფითი საგნებს და სხვა.

რომანი სავსეა პოეზიით, ლირიზმითა და ფერებით.

## 10.

კონსტანტინე გამსახურდიას მუშაობას ქართულს პროზაში ხუთმეტე წლის ისტორია აქვს. ეს გზა მრავალფეროვანია და მდიდარი — ხარისხითაც და რაოდენობითაც!

მავრამ ის არ ყოფილა მხოლოდ ბელეტრისტი.

კონსტ. გამსახურდია ამავე დროს არის ესაისტიც, მონოგრაფების და კრიტიკული წერილების ავტორი, მთარგმნელი. ასეთი მრავალფეროვანებით ხასიათდება ყველა გამოჩენილი მწერალი წარსულში და დღეს.

მას ჰქონდა მძიმე შეცთომები მსოფლმზედველობრივი ხასიათისა, უაღრესად სადაო-გზები მხატვრული კულტურისა. ყველასათვის ცნობილია ეს.

მწერალს კიდევ ბევრი სამუშაო უძევს წინ. როგორც პროფესიონალი მწერალი და თემებით მდიდარი შემომქმედი, ის დაუზარებლად მუშაობს თავის დაზვასთან.

„მხოლოდ მას აქვს ცხოვრების უფლება, ვინც ყოველდღიური ბრძოლით იპყრობს ახალს სიმალეებს!“

კონსტანტინე გამსახურდია არასოდეს არ უკიფილა ისეთი მწერალი, რომლის შესახებაც არ დაობენ. მას არ აურჩევია მაყურებლის როლი, არამედ მთელი თვისი ძალით ჩაბმული იყო ცხოვრებისა და მწერლობის მშენებლობაში.

ის არის მწერალი, ღრმად დაკავშირებული თავისი ერის წარსულთან; ის ამ ერის აწმყოს მხატვარია.

კონსტანტინე გამსახურდია სწერს ახალს რომანს დავით აღმაშენებელზე, რომელიც მისი ხალხის ენერჯის პირველი დიდი მზილება იყო. ჩვენს ბელეტრისტს დაწერილი აქვს წიგნი ბელადზე, რომელიც გამოვლენაა ამავე ხალხის შემოქმედებითი ნიჭისა პოლიტიკაში მსოფლიო მასშტაბით.

ეს ორი თემა კარგად ახასიათებს მწერლის შემოქმედების ხასიათს, მის ევოლუციას.

გზა, რა გინდ ზიგზაგებითაც არ უნდა მიდიოდეს იგი, ყოველთვის აერთებს ორ წერტილს.

კონსტანტინე გამსახურდიას შესანიშნავი შემოქმედება კარგს მასალას გვაწვდის ამ მეტაფორული თქმისათვის.



## ნ. მარტი და ახალი ენათმეცნიერება

წიგნილი პირველი

1.

ინდოევროპული ენათმეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემუშავდა მეტაფიზიკური ფილოსოფიის სუბიექტივიზმის მერყევ ბაზაზე. კანტის აპრიორული მკვრეტელობის მეთოდოლოგია ასაზრდოვებდა XIX საუკუნის ლინგვისტურ აზროვნებას, რომელიც ჩაიკეტა ტრადიციული ინდივიდუალიზმის ლაბირინტში და ფანჯრებიდან დაუწყო ცქერა მის გარეშე არსებულ ენობრივ სინამდვილეს.

„ჩვენი მკვრეტელობა, ამბობდა კანტი, რომ ისეთი ყოფილიყო, რომელიც საგნებს ისე წარმოადგენდა, როგორც ისინი თავისთავად არიან, მაშინ არავითარი აპრიორული მკვრეტელობა არ იარსებებდა, არამედ ყველა მკვრეტელობა ემპირიული იქნებოდა.“<sup>1</sup> კანტის ამ მეტაფიზიკურ მსჯელობაში ეკვის ქვეშა დაყენებული მატერიალური სინამდვილე, რადგან, კანტისავე მითითებით, ადამიანის მკვრეტელობა უძლურია შეიცნოს საგნები ისე, „როგორც ისინი თავისთავად არიან“. მეტაფიზიკური ფილოსოფიის ამ აპრიორული მკვრეტელობის მეთოდოლოგიით აბუჯარასხმული ენათმეცნიერება უძალო აღმოჩნდა თვალი გაესწორებინა ენობრივი შემოქმედების უფართოესი ჰორიზონტისათვის და მას ბოლომდის გაუღებარი დარჩა ადამიანის მეტყველების სოციალური შინაარსი. ენა მან გამოაცხადა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მიღმა მდგარ, მატერიალურ შინაარსიდან დაცლილ მონაცემად და მის შესწავლას აპრიორული მკვრეტელობის მეთოდოლოგიით ცდილობდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ შედარებითმა ენათმეცნიერებამ, რომელიც ბურჟუაზიული კლასის სისხლი-სისხლთავანი და ზორცო-ზორცთავანია, ადამიანის მეტყველების ყოველგვარ კონკრეტული ნაწილის წარმოშობას მატერიალური სინამდვილისაგან მოწყვეტულ ადამიანის სუბიექტურ წარმოდგენებში დაუწყო ძებნა. მაგრამ ერთი სუბიექტური წარმოდგენა და მეორე ენობრივი ფაქტი თავისთავად. ენობრივი ფაქტი მატერიალური ცხოვრების კარნახითაა შექმნილი, წარმოდგენა კი ამ ფაქტის შესახებ შეიძლება არსებობდეს. რასაკვირველია, ადამიანის ფანტაზია უსაზღვროა, იგი დიდ შესაძლებლობასაც იტევს, და ეს შესაძლებლობა ემყარება თვით მატერიალურ სინამდვილეს, მაგრამ

<sup>1</sup> იმან უელ კანტი, პროლეგომენები, პროფ. პ. შარიას რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 86.

ენობრივ მონაცემებს, პირველყოვლისა, გაანია რეალური შინაარსი, რომელიც შემდეგ გადატყდება ცალკეული ინდივიდის ცნობიერებაში. ყოველივე ამის გამო ენობრივი ფაქტი რეალური მოვლენაა და არაფერია ისე შემცდარი, ვიდრე გამოაცხადო ამ რეალური მოვლენის შინაარსი ადამიანის ცნობიერების წარმოდგენების გზით მიღებულ მონაცემად.

ძველი ენათმეცნიერული აზრის წარმომადგენლები უგულებელყოფდნენ ენის ისტორიას მისი ნამდვილი სახით. ისინი „არსებულს აღიქვამდნენ“ და ამავე დროს არსებულის გაგებისას ანგარიშგაუწველად ტოვებდნენ, რომ წინათ სხვანაირი ურთიერთობა იყო და ახლანდელი ენობრივი მოვლენები თვისობრივად განსხვავდება უძველეს ადამიანთა მეტყველების თავისებურებისაგან. აკად. ნ. მარტის სიტყვებით: „ისინი ვერ გრძნობენ, და რაკი მომაკვდავ საზოგადოებრიობას ეკუთვნიან, არ შეუძლიათ და არ უნდათ, და ან არ უნდათ და ამიტომ ვერა გრძნობენ, რომ წინათ არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო იგივე ურთიერთობა, ვინაიდან სრულიად არ იყო იგივე ფუნქციები, საჭირო ტექნიკაც არ იყო, თვალთ შომავდნენ; წარმოდგენები იყო, მაგრამ არ იყო გარკვეული ცნებები, ხოლო როცა განიშანდობლივების შემდეგ ჯერ წარმოდგენები გამოიყვნენ და შემდეგ მათთან ერთად წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობის განვითარების პროცესში თანდათან ცნებებიც აღმოცენდა, — ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი შეურიგებელი წინააღმდეგობების მქონე ერთსადაიმთხვე საზოგადოებაში დიამეტრალურად მოპირისპირე საგნები, თანაბრადვე მოპირისპირე წარმოდგენები და ცნებები, ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნებოდა“.<sup>1</sup>

ძველი ლინგვისტური აზროვნება ემყარებოდა ბიბლიურ გადმოცემას სხვადასხვა ხალხისა და ენების წარმოშობის შესახებ. ბაბილონის გოდოლის აშენების ცნობილი თქმულება, რომელიც ბიბლიაშია მოთხრობილი, ენათმეცნიერთა წრეში დიდხანს იყო მიღებული და ამის იქით წასვლას ძველი ლინგვისტური აზროვნება არც ფიქრობდა. თვით ქართული და მისი მოძმე ენების წარმოშობის საკითხის გარკვევაში უყოყმანოდ იმეორებდნენ X — XI საუკუნის მემატიაანის, ლეონტი მროველის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულ ზღაპრულ ცნობას, რასაც კარგახანს ზუსტ ისტორიულ დოკუმენტადაც თვლიდნენ. „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ვარიანტში ეს ლეგენდა ასეა გადმოცემული:

„პირველად: ვახსენოთ: ესე: რამეთუ: სომეხთა: და: ქართველთა: რანთა: და: მოვაქნელთა: ჰერთა: და: ლეკთა: და: მეგრელთა: ამათ: თვისთა: ერთი: იყო: მამა: სახელით: თარგმოს: ესე: თარგმოს: იყო: ძე: თარბისი:<sup>2</sup> ძის: წული: იაფეთისი: ნოეს: ძისა: და: იყო: ესე: თარგმოს: კაცი: გმირი: და: შემდგომად: განყოფისა: ენათასა: ოდეს: აღაშენეს: ბაბილონს: გოდოლი: და: განეყუნეს: მუნ: ენანი: და: განიშენეს: მუნ: ყოველსა: ქუეყანასა: წარმოვიდა: ესე: თარგმოს: ნათესავითურთ: მისით: და: ემკვდრა: ორთა: მათ: მათა: შუა: კაც: შეუვალთა: არარატსა: და: მასისას: და: იყო: ნათესავი: მისი: დიდი: და: ურიცხვი: რამეთუ: ესხნეს: ცოლ: მრავალ: ძენი: და: ასულნი: და:

<sup>1</sup> ნ. მარტი, ენა და აზროვნება, ქართ. თარგ., ტფ., გვ. 13.

<sup>2</sup> უნდა იყოს თარგმოსი.

შვილი: და: შვილის: შვილი: ძეთა: და: ასულთა: მისთანა: რამეთუ: ცხოვნი-  
და: იგი: ექუსას: წელ: და: ველარა: იტველა: ქუეყანა: არარატისა: და: მასისა: <sup>1</sup>  
ცნობილია, რომ შედარებით ენათმეცნიერების გამოსავალ პუნქტს წარმო-  
ადგენდა გრამატიკული ფორმებისა და სიტყვების თანხვედრითობის, ფაქტის  
დადასტურება ევროპისა და აზიის მკვდარი ენების (სანსკრიტის, ჩინური, ძვე-  
ლი ბერძნული, ლათინური, გოთური, ძველი საეკლესიო სლავური, ძველი  
სომხური...) ჩვენამდის მიღწეულ წერილობით ძეგლებში. ასეთი ფაქტე-  
ბის ძიებისას შედარებითი ენათმეცნიერების გერმანელმა კორიფეებმა  
ფ. შ. ლ. ე. გ. ე. მ. ა., ფ. რ. ა. ნ. ც. ბ. ო. პ. მ. ა., ე. ჰ. უ. მ. ბ. ო. ლ. ტ. მ. ა.,  
ი. ა. კ. ო. ბ. ვ. რ. ი. მ. მ. ა. და მათი მიმდევრების მთელმა წყებად XIX საუკუ-  
ნის დასაწყისიდანვე ევროპის კონტინენტის მთელი რიგი ენები გააერთიანეს  
ე. წ. „ინდოევროპულ ოჯახში“. ამ ოჯახის „ფუძე ენად“ მიჩნეულ იქნა ცოც-  
ხალი ენებისა და წერილობითი წყაროებისათვის სრულიად უცნობი თეორიუ-  
ლად აღდგენილი ინდოევროპელების საერთო ენა — ე. წ. ინდოევროპული  
პრეენა, რაზედაც თითქოს ოდესღაც ლაპარაკობდა ინდოევროპელი პრეხალხი,  
რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დანაწილებული ცალკეულ ტომებად, მაგრამ  
ძალიან მაღალი კულტურა ჰქონდა. ამ მითიური ხალხის უძველეს ტერიტო-  
რიას ას წელზე მეტია დაძაბულობით ეძებენ ხან პამირზე, ხან კიდევ სამხრეთ-  
რუსეთის მიდამოებში, ხანაც სკანდინავიაში, კიდევ აღნიშნავენ რუკებზე პრე-  
ხალხის შტოების. — ცალკეული ინდოევროპული ტომების გადასახლების გზებ-  
სა და სხვ. კონკრეტული ინდოევროპული ენების თავისებურებებს შედარები-  
თი ენათმეცნიერების თეორიტიკოსები სხვადასხვაგვარად განმარტავენ: ერთნი  
ამჟამი ხედავენ იმ გეოგრაფიული გარემოს სხვაობის გავლენას, რომელშიაც  
მოსახლეობდნენ ინდოევროპული ტომები, მეორენი განმარტავენ, რომ ხდე-  
ბოდა შერწყმა არაინდოევროპული ენებისაო, რაც თავის გამოხატულებას  
პოულობს ე. წ. „ს. უ. ბ. ს. ტ. რ. ა. ტ. ის“ თეორიაში, მესამენი მხედველობაში ღე-  
ბულობენ მიზეზებს, რომ უკვე პრეენაც არ იყო მთლიანი, რომ მასაც გააჩნ-  
და დიალექტებიო და სხვ.

ყოველივე ამის გამო, თეორიულად წარმოდგენილ პრეენას არ გააჩნდა  
არავითარი მატერიალური საფუძველი და მისი ასე ჩაბლაუტებით აღიარება  
გახდა შედარებითი ენათმეცნიერების საბედისწერო კრახის ერთერთი უმთავ-  
რესი მიზეზთაგანი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის, რომელიც წარმოადგენდა ძველი ენათ-  
მეცნიერული სკოლის მეთოდოლოგიურ არსენალს, ადამიანის მეტყველების  
შესწავლის გასაღებს მეტყველთა ინდივიდუალურ თავისებურებაში ნახულობ-  
და. იგი გვერდს უვლიდა იმ სოციალურსა და მატერიალურ ფაქტორებს, რო-  
მელთა ბაზაზე შესაძლებელი გახდა ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის  
უმნიშვნელოვანესი საშუალების, წარმოშობა და განვითარება. მიუხედავად  
იმისა, რომ შედარებითი მეთოდი ზოპისა და გრიმის ნაშრომებში ისტორიუ-  
ლადაც იხსენიება, ძველი ლინგვისტური აზროვნებისათვის გაუგებარი დარჩა

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 1. აგრეთვე „ქართლის ცხოვ-  
რება“, ბ. რ. ო. ს. ე. ს. გამ. ზელმფორედ გამოცემა ნ. მ. მ. ა. რ. ი. ს. თვალმიდევნით, პეტროპოლისი,  
1923, გვ. 15 - 16.

ენის ნამდვილი ისტორია, რადგან მათ ექვის ქვეშ დააყენეს ენის წარმოშობის საკითხი და გასაგები მიზეზების გამო ხელი აიღეს ცალკეული ენობრივი მოვლენების ისტორიული თვალსაზრისით ახსნაზე.

სამართლიანად მიუთითებდა აკად. ი. მეშჩანინოვი, რომ მკვლევარმა ჩვეულებრივმა მიდგომამ ენისადმი მკვეთრად გამოიჯანაბრა კლასიციზმის განაღობა. პირველი მიმართავს იმდენად არა თვით ენას, რამდენადაც მის გრაფიკულ გამოვლინებას წერილობით ძეგლში. ენა, ამ ვიწრო ჩარჩოებში, გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ წაკითხულ იქნეს დამწერლობით აღნიშნული ისტორიული თქმულება. ლინგვისტები კი ჩაღრმავდნენ მეტყველების ფორმალურ ანალიზში, ისინი საგრძნობლად ცხადყოფდნენ გრამატიკულ კატეგორიას სხვადასხვა სახის ცრუ-სტატისტიკურ მდგომარეობას და მიდიოდნენ გრამატიკისა და სინტაქსის ცალკე გადმოცემამდის. ასეთ პირობებში წარმოიშვა, — განავრცობს ი. მეშჩანინოვი, — დამოუკიდებელი მოძღვრება ფორმების შესახებ, რაც თავის ისტორიზმში შეპირობებულია მხოლოდ Lautgesetz-ის ჩარჩოებით. ასეთ პირობებში, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება თვით ენობრივი მასალის, როგორც სიცხადის მხრით პირველხარისხოვანი ისტორიული მოწმის გამოყენების შესახებ, რის გამოც ლინგვისტური მუშაობა გარდუვალად მოექცა მხოლოდ ფორმალური ანალიზის ფარგლებში<sup>1</sup>.

შედარებითი ენათმეცნიერების თეორეტიკოსები თვლიდნენ, რომ მათ მიერ გამოგონილი პრეენა კულტურულად უაღრესად განვითარებული იყო, ვიდრე ახლანდელი ცოცხალი ენებია. მათ ახლანდელი ენები მიიჩნიეს „უკულტურო“ და „ჩამორჩენილ“ ხალხთა ენებად, რომლებიც თითქმის უნარმოკლებულნი არიან რაიმე განვითარებისა. ინდოევროპული პრეენა გერმანელი ინდოევროპისტების მტკიცებით, იყო „კეთილშობილური არიული რასის“ ენა. ამიტომ მათ დანარჩენი, ე. ი. „არაკეთილშობილური“ ენები აშოშალებს თავიანთი კვლევის პრაქტიკიდან და მთელი შრომები უძღვენეს ე. წ. „კეთილშობილური რასის“ ენების შესწავლას.

აკად. ნ. მარჩა მდიდარი ენობრივი ფაქტებით დაასაბუთა შედარებითი ენათმეცნიერების თეორიების სიყალბე. იგი, მართალია, გამოვიდა ინდოევროპეისტიკის გარემოდან, როგორც მას არაერთხელ აღუნიშნავს: „იდეტიდოლოგია არ გამოფრენილა ზევსის თავიდან“, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის გარეგანაზე, ნიკო მარჩი ერთადერთი მეცნიერი იყო, რომელიც მკვეთრად გაემიჯნა ბურჟუაზიულ მეცნიერების მიერ ხელოვნურად აღმართულ ზღუდეს. იდეტიდოლოგია იმთავითვე წარმოადგენდა ინდოევროპეისტიკის უარყოფას, მის ანტიპოდს. ნ. მარჩა უარყო რა ინდოევროპეისტიკის რეაქციული ნაწილი — გაშიშვლებული ფორმალისმი და მეტაფიზიკური მეთოდოლოგია, ამავე დროს მიიღო და გადაამუშავა მისი დადებითი მხარეები. აშკარაა, რომ იდეტიდოლოგია თავისი განვითარების პირველ ეტაპებზე ენობრივი მასალის კონკრეტული კვლევის ხერხებში ინდოევროპეისტიკას ემყარებოდა, მაგრამ მეტყველების უძირითადესი საკითხების გარკვევაში, სხვა ისტორიულ მოვლენათა შორის ენის როლის განსაზღვრაში, ერ-

<sup>1</sup> ი. ი. მეშჩანინოვი, ახალი მოძღვრება ენის შესახებ, ცალკე ამონაბეჭდი, ტფ., 1934, 38. 7.

თი სიტყვით, ენათმეცნიერების სპეციფიკურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში, ნ. მარრის შეხედულებებსა და შედარებითი ენათმეცნიერების „თეორიებს“ შორის იმთავითვე იყო მკაცრი სხვაობა და წინააღმდეგობა.

იაფეტოდოლოგია, როგორც ახალი მოძღვრება ენის შესახებ, მარქსისტების დიადი სოციალისტური რევოლუციის პირშოა. თავისი განმარტებით, ახლანდელ ეტაპზე იგი წარმოადგენს საბჭოთა ენათმეცნიერებას, რომელიც თავისი შინაარსით ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმს, დაფუძნებულია ენის შესახებ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის გენიალურ გამონათქვამზე. მის უძირითადეს დამსახურებას წარმოადგენს ენობრივი მოვლენების დიალექტიკურად ახსნა, რაც თავის მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ყოველნაირი ენობრივი მონაცემების ისტორიული მიდგომით შესწავლაში.

რასაკვირველია, ნ. მარრი ერთბაშად არ დაახლოებია მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებს ენათმეცნიერებაში. იგი მასთან მივიდა მრავალი წლის დაძაბული შრომის შედეგად, შემოქმედებითი ძიების ვალრმავეებით, მკაცრი ბრძოლით არა მარტო გარშემორტყმული ინდოევროპული თეორიების, არამედ, პირველყოფლისა, საკუთარის, ენის ბურჟუაზიული მეცნიერებისაგან მემკვიდრეობით მიღებული თეორიული შეხედულებებისა და მეთოდოლოგიის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლით. რევოლუციური ტემპერამენტი, იდეური სიპირდაპირე, კოლოსალური რაოდენობის ახალი ფაქტების განშიფრვა, კრიტიკული შემობრუნება კვლევითი მუშაობისა — ყოველივე ეს წინ სწევდა ნ. მარრის შემოქმედებას. იგი არასოდეს არ იყო თვითგმაცოფილი მიღწეული შედეგებით, მკაცრად აკრიტიკებდა თავის თავს, აღნიშნავდა და ასწორებდა თავის შეცდომებს და თანდათანობით გამოძებნა ახალი გზები და თვით ამ ხანგრძლივი მუშაობის პროცესში აითვისა მატერიალისტური დიალექტიკა. მხოლოდ ოქტომბრის დიადმა პროლეტარულმა რევოლუციამ მისცა მას ამ გაქანების შესაძლებლობა. ნ. მარრმა გულმოდგინედ შეისწავლა მარქსიზმის კლასიკოსების შრომები და თავისი თავი და საკუთარი ახალი მეცნიერება ენის შესახებ ჩაირიცხა კომუნისმისათვის პროლეტარული ბრძოლის ერთიან ფრონტში.<sup>1</sup>

თავის შრომებში ნ. მარრი შორს სცილდება წმინდა ლინგვისტურა კვლევის ჩარჩოს: მის თეორიას დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, აზროვნების განვითარების ისტორიისათვის, საზოგადოებრივ ფორმაციათა ისტორიისათვის, ლიტერატურათმეტყველებისათვის, ფილოსოფიისათვის, რელიგიის ისტორიისათვის, ხელოვნების ისტორიისათვის, განსაკუთრებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მას ენობრივი მშენებლობისათვის.

ნ. მარრის მიერ ენათმეცნიერებაში გამოყენებულმა პალეონტოლოგიურმა მეთოდმა შესაძლებლობა მოგვცა გავსხნათ მეტყველებისა და აზროვნების განვითარების პირვანდელი ეტაპები, იმისათვის, რომ ავავოთ ენის წყობის განვითარების ისტორია. აღამიანის მეტყველება, როგორც ეს დაამტკიცა ნ. მარმა, ვითარდება საზოგადოების განვითარების პირვანდელ საფეხურებზე არსებული წვრილი და პრიმიტიული ენების მრავლობიდან, მსხვილი და მრავალ-

<sup>1</sup> Сб. ВЛКНА Н. Я. Марру, Москва, 1936, гл. 29.

რიცხოვანი ნაციონალური ენებით ერთიან საერთო საკაცობრივ ენისაკენ მომავალ უკლასო საზოგადოებაში. მოძღვრებით ერთიანი გლობალიზაციური პროცესის შესახებ ნ. მარჩმა მოგვცა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ პარტიის XVI ყრილობაზე გამოთქმული გენიალური დებულება: მარწყინვალე ილუსტრაცია მდიდარი ენობრივი მასალებით.

რასაკვირველია, ნ. მარჩი და ახალი ენათმეცნიერება უაღრესად დიდი თემაა. ერთ წერილში მისი ოდნავი ამოწურვაც კი შეუძლებელია. ჩვენ აქ ამ თემიდან მხოლოდ ორ ძირითად საკითხს ავიღებთ: 1. განსაზღვრება ენისა და 2. ენის წარმოშობის პრობლემა.

## II.

რა არის ენა? როგორ განსაზღვრავდნენ ენას შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლები? როგორ განსაზღვრავენ მას თანამედროვე ბურჟუაზიული სწავლულები? როგორ განსაზღვრავენ ენას მარქსიზმის კლასიკოსები? როგორია ამ მხრით ნ. მარჩის შეხედულება? აი კითხვები, რომელთა განხილვა დაგვარწმუნებს ნ. მარჩის შეხედულებათა სისწორეში.

XIX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი ინდოევროპეისტი ე. ჰუმბოლტი ენას თვლიდა „სულის გამოვლინებად“. ჰუმბოლტი ენის წარმოშობის მიზეზებს ადამიანის სულში ეძებდა, რადგანაც მისთვის მეტყველება ადამიანის სულის გამოვლენას წარმოადგენდა, გასაგები მიზეზების გამო, მას შეუმჩნეველი დარჩა ენის ნიშანდობლივი მატერიალური მხარე. ეს შეხედულება საბოლოო ანგარიშში ბევრად არ განსხვავდებოდა აესტრიელი კარდინალის ე. შმიდტის თეორიისაგან, რომელიც ენას „ღვთის ნაბოძვარად“ წარმოადგენდა. ენის ღვთაებრივი წარმოშობის თეორია, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ბიბლიური ლეგენდებით იკვებებოდა. შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლებმა ბიბლიაში მოხსენებული ეს ლეგენდა უყოყმანოდ მიიჩნიეს ჭეშმარიტ ისტორიულ ცნობად. ლუდვიგ ნუარეს გაგებით, ენა წარმოადგენს „შრომის აქტის შეჩვევას რეფლექსის ირადიაციასთან“, ე. ი., სხვანაირად თუ ვიტყვი, ნუარეს თეორიის მიხედვით „შრომის აქტი“ უერთდება გრძნობების ორგანოებიდან მომდინარე ვლიზიანების გაერკვლებას ზურგისა და თავის ტვინში და ამის შედეგად ვლელულობთ მეტყველების პროცესს. ნუარეს „შრომის აქტის“ თეორია ამის გამო აფულგარებს თვით ცნება „შრომის აქტს“. მას არ ესმის შრომა იმ გაგებით, როგორც ეს მოცემული აქვთ მარქსიზმის გენიალურ ფუძემდებლებს.

შედარებითი ენათმეცნიერების მამამთავარი ფრანც ბოპი ენას ცოცხალ ორგანიზმად თვლიდა. როგორც გადმოგვცემს დელბრუკი თავის შრომაში „ენის შესწავლის შესავალი“, ბოპის მიხედვით „ენები განხილულ უნდა იქნან, როგორც ბუნების ორგანული სხეულები“<sup>1</sup>.

XIX საუკუნის შუა წლებში გერმანელი ენათმეცნიერი ავგუსტ შლეიხერი, რომელმაც თავისი ლინგვისტური სისტემა ჩამოაყალიბა ჰეგე-

<sup>1</sup> Введение... СПб, 1904, გვ. 18.

ლის ფილოსოფიისა და საბუნებისმეტყველო ევოლუციონიზმის საფუძველზე, ენობრივი სახეების წარმოშობის გარკვევისას დაემყარა დარვინის მოძღვრებას სახეთა წარმოშობის შესახებ. შლეიხერი აღიარებდა მიჯრაცის გზას და დარვინის მსგავსად ამტკიცებდა ერთი გვარის გადახალისებულ წრეში და ენობრივი ორგანიზმის ბრძოლას არსებობისათვის მტკიცებით მეთოდოლოგიის მიხედვით მეტყველება წარმოდგენილია როგორც „ენობრივი ორგანიზმი“. იგი ენას განსაზღვრავს როგორც „ორგანიზმის მოღვაწეობას“, ან როგორც „ორგანიზმის აუცილებელ ფუნქციას“. და რამდენადაც ბურჟუაზიული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორიიდან ცნობილია, შლეიხერის შედარებითმა მეთოდმა მყარი ნიადაგი მოუშვადა ე. წ. ნეოგრამატიკოსებს თავიანთი „ფონეტიკური კანონების“ დასამუშავებლად.

მეტაფიზიკურმა ინდივიდუალიზმმა ენათმეცნიერებაში მეტყველება გამოაცხადა „ინდივიდუალური სული“ პროდუქტად და მას საფუძველად დაუდო ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესის მოქმედება. შტეინთალი, მაგალითად, თავის შრომებში, ენობრივი მოვლენების შესწავლას ცდილობს სუბიექტური ფსიქოლოგიის მიხედვით, რომელიც მან აიღო პერბარტის ე. წ. ასოციაციური ფსიქოლოგიის თეორიიდან. ცნობილი ხარკოველი ენათმეცნიერი და ფილოსოფოსი ა. პოტებნია კი თავის შრომებში (იხ. მაგალითად, მისი — Мысль и язык, Харьков, 2 изд., 1892) პოპულარულად გამოგვიქვამს შტეინთალის შეხედულებებს. პოტებნიას მტკიცებით, წარმოდგენათა მწკრივების ჩამოყალიბების ძირითადი კანონი არის ასოციაცია და შერწყმა, შედუღება. მისივე სიტყვებით: „Основные законы образования рядов представлений — это ассоциация и сляние“<sup>1</sup>. ეს ასოციაცია, პოტებნიას მითითებით, იმაში მდგომარეობს, რომ ერთად რამდენიმეჯერ მოცემულ ორ ფერს, რომელიც არ არის შერწყმული ერთმანეთში, შეუძლია ისე გავრთიანდეს, რომ ჩვენ ერთის წარმოდგენას ისე ვერ შევძლებთ, თუ არ წარმოვიდგინებთ მეორე. ხოლო შედუღება ან შერწყმა იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეულ სიტყვაზე ორი სხვადასხვა წარმოდგენა ცნობიერებაში ერთად მიიღება. მაგალითად, როცა ჩვენ გვგონია, რომ ეხედავთ ერთ უკვე ნაცნობ საგანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ წინ არის სულ სხვა რამ<sup>2</sup>. ყოველივე ამის შემდეგ მწერი არ არის დაეცემა, რომ პოტებნია, ისევე როგორც მისი წინამორბედი შტეინთალი, ფილოსოფოსი პერბარტის ე. წ. ასოციაციური ფსიქოლოგიის თეორიის მხარეზე დგას.

ფიქრობდნენ, რომ მეტყველება არის პასიური მონაცემი. პასიობა — აი თითქოს რაა მეტყველების ნიშანდობლივი მხარე და აუცილებელი წინაპირობა. იდეალისტური ლინგვისტური ფილოსოფია პასიობაში ხედავდა ე. წ. ინდივიდუალური ურთიერთქმედების შემაკავებელ ძალას, რომელიც მეტყველებაში მოქმედობს. ასეთ შეხედულების ორთოდოქსალური დამცველი, გერმანელი ინდოევროპეისტი, კარლ ფოსლერი 1904 წელს გამოცემულ წიგნში (Positivismus und idealismus in der Sprachwissenschaft, Hei-

<sup>1</sup> А. Потебня, Мысль и язык, 2 изд., Харьков, 1892, гл. 129.

<sup>2</sup> А. Потебня, დასახ. თხზ., გვ. 130.

delberg, 1904), პირდაპირ აღიარებდა, რომ ენა ან, საზოგადოებრივი მეტყველებების ინდივიდუალური თავისუფალი შემოქმედებაა. მეტყველების ყველა გამოქვეყნება, მიუთითებს ფოსლერი, წარმოგვიდგება და, როგორც გავს, უნდა აიხსნას როგორც თავისუფალი ინდივიდუალური შემოქმედება, ინდივიდუალური ინტუიციიდან გამომდინარე მოლაპარაკების სიტყვებისაგან.<sup>1</sup> ფოსლერისათვის თითოეული თავისუფალი, თითოეული ავტონომიური — თვითმყოფელია. განა ეს არ არის უგუნური ანარქია? აყენებს საკითხს იგი. ვის შეუძლია მოძებნოს ამოდენა ოკეანეში არევე-დარევა ხმებში... მტკიცე მეცნიერული თვალსაზრისით... თუ ყოველგვარი მეტყველება წარმოადგენს ცდას თავისუფალ, დამოუკიდებელ შემოქმედებას, სად არის მაშინ შემკავებელი ძალა, რომელიც გააჩერებს ინდივიდს? შემკავებელი ძალა არ არის სხვა რამე, თუ არა პასიობაო, უპასუხებს ფოსლერი.<sup>2</sup> მეტყველება ინდივიდუალური თავისუფალი შემოქმედება რომ იყოს, მაშინ იგი მართლაც პასიური მონაცემი იქნებოდა. მაშინ შემკავებელი ძალის დანახვა მართლაც დასაშვებია იქნებოდა პასიობაში. მაგრამ იდეალისტი ფოსლერი საკითხს სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს, ვიდრე ის რეალობაშია. ერთი სიტყვით იგი ვხას უკაფავს პასიურ მჭვრეტელობით შეხედულებას, რომლისაგანაც, როგორც ცნობილია, დიდადაა დავალებული მეთოდოლოგიური ფორმალიზმი.

გამოჩენილი ფრანგი ენათმეცნიერი ფერდინანდ დე-სოსური თავის ცნობილ წიგნში: „Курс общей лингвистики“, Москва, 1933, ენათმეცნიერების მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში შორდება XIX საუკუნის ინდოევროპეისტთა შეხედულებებს. ენის განსაზღვრების დარგში იგი განსხვავდება მის წინაპროინდელ ენათმეცნიერთა შეხედულებებიდან. ენა მან გაიგო „სოციალურ პროდუქტად“, მაგრამ დე-სოსურის სოციოლოგიზმი შორდება მარქსისა და ენგელსის სოციოლოგიზმს. იგი დგას არა ნამდვილი, არამედ ვულგარული სოციოლოგიზმის თვალსაზრისზე: „ჩვენი აზრით, მიუთითებს დე-სოსური, ენის გაგება (Langue) არ ემთხვევა სამეტყველო მოღვაწეობის გაგებას საერთოდ (Langage); ენა — მხოლოდ განსაზღვრული ნაწილია, მართალია, მნიშვნელოვანი, სამეტყველო მოღვაწეობისა. იგი, ერთი მხრით, სამეტყველო უნარის სოციალური პროდუქტია; მეორე მხრით — შეთანხმება აუცილებელი პირობებისა, რომელიც საზოგადოებრივი კოლექტივის მიერ შეთვისებულია ამ უნარის განსაზღვრებლად ცალკეულ პირთან“<sup>3</sup>. რასაკვირველია, შეხედულება ერთი მხრით სოციალური პროდუქტისა და მეორე მხრით აუცილებელ პირობათა შეთანხმების შესახებ ნიადაგს აცლის ენის, როგორც სოციალური მოვლენის გაგებას. სოციალური აქ ცარიელ სიტყვად რჩება, შემდეგ ვასაკვირი აღარ არის ფერდინანდ დე-სოსურის მიერ მოცემული ასეთი განმარტება: ენა, როგორც მას ჩვენ განვმარტავთ, არის თავისი ბუნებით ერთსახის გამოვლენა: ესაა — ს ი ს ტ ე მ ა ნ ი შ ა ნ თ ა, რო-

<sup>1</sup> Karl Fossler, Positivismus und Idealismus in der Sprachwissenschaft, Heidelberg, 1904, გვ. 86.

<sup>2</sup> მისივე სიტყვებით: „Wir haben aufdiesse Frage berichts zweimal geantwortet, das die nemende kpaft (შემკავებელი ძალა) nichts anderes ist als Pasivität“ (K. Fossler, დაახ. თხ. გვ. 89).

<sup>3</sup> Ф. Де-Соссюр, Курс общей лингвистики, Москва, 1933, გვ. 34.



მელშიაც არსებითად შეერთებულია აზრი და აქუსტიკური სახე, ხოლო ამ უკანასკნელ მომენტებს იგი ფსიქიურ მოვლენებად თვლის.<sup>1</sup> დე-სოსურის სათავეს ენა „ლინგვისტიკურ ნიშანთა სისტემაა“. ამ ნიშანთა სისტემაში ხედავს იგი ენის ნიშანდობლივ მხარეს, და არა, როგორც ფუნქციურ დანიშნულებაში.

ფერდინანდ დე-სოსურის სკოლიდან გამოსული მეორე ფრანგი ენათმეცნიერი ე. ვან დრიესი თავის რუსულ ენაზე ახლახან გამომთარგმნილ წიგნში („Язык, лингвистическое введение в историю“, Москва, 1937), ენის განსაზღვრების საკითხში იმეორებს დე-სოსურის შეხედულებებს. „ყველაზე ზოგადი განსაზღვრება, — ამბობს ვანდრიესი, რომელიც შეიძლება მიეცეთ ენას, — ესაა ეუწოდოთ მას ნიშანთა სისტემაო. ამის გამო ვიკვლიოთ წარმოშობა ენისა — ეს ნიშნავს ვიკვლიოთ, როგორი ნიშნები იყო ბუნებრივად ადამიანის განკარგულებაში და როგორ გახდა იგი იძულებული დაეწყო მათი გამოყენებაო“.<sup>2</sup> მაგრამ რას უწოდებს ვანდრიესი ნიშნებს? ნიშნების სახით, ამ შემთხვევაში, იგი გულისხმობს ყოველგვარ სიმბოლოს, რომლებიც გამოყენებულია ადამიანთა ურთიერთობისათვის. ამნაირად, ვანდრიესის აზრით, ნიშნები შეიძლება იყოს სხვადასხვა ბუნებისა და თვით ენაც ამის გამო შეიძლება იყოს სხვადასხვა. გრძნობის ყველა ორგანო წარმოადგენს ენის შექმნის ბაზას.<sup>3</sup> ვანდრიესის კონცეფციის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ მან, მთელი რიგი ორიგინალური და უაღრესად საინტერესო დებულებების გვერდით, ენის მატერიალური შინაარსი ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებას დააშორა. მან ვერ დაინახა ენის ის ფუნქციური როლი, რომლითაც იგი წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის საშუალებასა და აზროვნების იარაღს. ამიტომ ვასაკვირი არ არის, რომ ვანდრიესმა ადამიანისა და ცხოველის მეტყველების განმასხვავებელ მიზეზად ფსიქოლოგიური პროცესი გამოაცხადა. ვანდრიესის აზრით, ფსიქოლოგიურ-ლინგვისტიკური აქტი იმაში მდგომარეობს, რომ მისცეს ნიშანს სიმბოლიური მნიშვნელობა. ეს ფსიქოლოგიური პროცესი ასხვავებს ადამიანის ენას ცხოველის ენისაგანო, — ამბობს იგი.<sup>4</sup>

ვანდრიესი მართებულად მსჯელობს, როცა შენიშნავს, რომ „ცხოველისათვის ფრაზა არ განიჩიევა სიტყვისაგან“, „თვით ამ სიტყვას, ამოძახილსა თუ სიგნალს, როგორც ვინდათ ეუწოდოთ, არა აქვს დამოუკიდებელი ობიექტური მნიშვნელობა, ამის გამო ამ სიტყვას არა აქვს პირობითი მნიშვნელობა; მაშასადამე, ცხოველის ენას შესაძლებლობა არა აქვს არც შეცვლისა და არც პროგრესულობისა. არ არის არავითარი ნიშნები, რომ ცხოველის ამოძახილი არ იყო ისეთი, როგორც ახლა“, რომ ფრინველი თავის ამოძახილში საკვების მიწოდების დროს „არ გრძნობს თავის ხმას როგორც ნიშანს“.<sup>5</sup> მაგრამ იგი შწარედ ცდება, როცა ცხოველისა და ფრინველის მეტყველების ადამიანის ენისაგან განმასხვავებელ ფაქტორად ფსიქოლოგიურ პროცესს აცხადებს. ვანდრიესი მკაცრად აკრიტიკებს იმ შეხედულებას, რომლის მიხედ-

<sup>1</sup> Ф. Де-Соссюр, *დასახ. თხზ.*, გვ. 39.

<sup>2</sup> Ж. Вандриес, *Язык, лингвист. введение в историю*, Москва, 1937, **გვ.** 21.

<sup>3</sup> Ж. Вандриес, *დასახ. თხზ.*, გვ. 21.

<sup>4</sup> იქვე, **გვ.** 25.

<sup>5</sup> იქვე, **გვ.** 25.

ვით ცხოველთა მეტყველება ბუნებრივია, ადამიანის ენა კი ხელოვნური, პირობითი. მისი აზრით, ადამიანის მეტყველება არა ნაკლებ ბუნებრივია, ვიდრე ცხოველთა მეტყველება, მაგრამ ადამიანის ენა მიეკუთვნება გამობატულების უფრო მაღალ მწვერვალს იმ აზრით, რომ ადამიანი ნიშნებს ხელოვნურიობიქტურ მნიშვნელობას, შეუძლია მისი შეცვლა დაუსრულებლად მისი პირობითობის წყალობით. ამნაირად, ვანდრიესის მტკიცებით, სხვაობა ადამიანისა და ცხოველის ენას შორის ნიშნის ბუნების შეთვისებაში მდგომარეობს.<sup>1</sup>

ამ შეხედულების მცდარი საფუძველი ისაა, რომ მისი ავტორი ანგარიშგაუწვევლად ტოვებს ენის სოციალურ ფუნქციას. ვანდრიესი, ისე როგორც მთელი ძველი ლინგვისტური აზროვნება, ადამიანის მეტყველების გენეტიკურ ძირებს გარეგან ფაქტორებში ეძებს, და არა საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგან ბუნებაში. მისთვის მიუწვდომელი დარჩა მარქსისა და ენგელსის გენიალური დებულება, რომ „შრომამ შექმნა ადამიანი“ და რომ მეტყველების წარმოშობის ძირები სწორედ შრომის პროცესებშია ჩამარბული. ადამიანი მაშინ გამოეყო ცხოველთა სამყაროს, როცა მან შრომის საჭიროება იგრძნო. შრომა, — აი ნიშანდობლივი მხარე, რომელიც განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. თუ მარქსისა და ენგელსის ეს გენიალური დებულება დავიწყებულია, მაშინ არავითარი ღირებულება არა აქვს დე-სოსურისა და ვანდრიესის თეორიებს „ენის სოციალურობის“ შესახებ.

თანამედროვე იდეალისტი ამერიკანისტი ელ უარდ სეპირი, ენის განსაზღვრების დარგში უახლოვდება ფერდინანდ დე-სოსურისა და ვანდრიესის შეხედულებებს. სეპირის აზრით: „Язык есть некая структура, по своей внутренней природе — форма мысли“.<sup>2</sup> მას ენა მიაჩნია წმინდა ადამიანურად, აზრის გადაცემის არაინსტინქტურ საშუალებად. მისივე სიტყვებით: „Язык есть чисто человеческий, неинстинктивный способ передачи мыслей, эмоций и желаний посредством системы произвольно производимых символов“.<sup>3</sup> სეპირისათვის აგრეთვე ენა არის „ადამიანთა ინტუიციის სიმბოლური გამოხატვა“. არც სეპირისა და არც დე-სოსური — ვანდრიესს ანგარიში არ გაუწევიათ ყველაზე უძირითადესი საკითხისათვის. ისინი ენას გარეგანი საზომით უცქერიან: ამიტომაც, რომ სეპირი პირდაპირ ამბობს: ენა არის „აზროვნების კოლექტიური ხელოვნება“,<sup>4</sup> ანდა: „გამობატვის კოლექტიური ხელოვნება“.<sup>5</sup> დე-სოსურის მსგავსად ელუარდ სეპირი ენათმეცნიერების ამოცანად სახავს იმ სიმბოლური სისტემის ფუნქციისა და ფორმის კვლევას, რომელსაც იგი ენას უწოდებს.<sup>6</sup> აქ ბურჟუაზიული ენათმეცნიერების ამ ორი წარმომადგენლის თვალსაზრისი ერთმანეთს ხვდება. თუ დე-სოსურისათვის ენა „ლინგვისტური ნიშანთა სისტემა“, სეპირის გაგებით იგი „სიმბოლური სისტემა“, „ადამიანის ინტუიციის სიმბოლური გამოსახვა“. სეპირის სიტყვებით, ენა თავისთავად

<sup>1</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>2</sup> Эдуард Сепир, Язык. Введение в изучение речи, М.-Л., 1934, გვ. 18.

<sup>3</sup> Э. Сепир, დასახ. თხზ., გვ. 8—9.

<sup>4</sup> Э. Сепир, დასახ. თხზ., გვ. 171.

<sup>5</sup> Э. Сепир, დასახ. თხზ., გვ. 176.

<sup>6</sup> Э. Сепир, დასახ. თხზ., გვ. 11.

არის გამობატვის კოლექტიური ხელოვნება, ჯამი ათასი და ათასი ინდივიდუალური ინტუიციისა. ინდივიდი კოლექტიურ შემოქმედებაში, სეპარატის დასკვნით, იკარგება, მაგრამ მის ადგილას, იმავე გამობატვით, იგი ტოვებს თავისი პიროვნების რამდენიმე ფენას.<sup>1</sup> მეტაფიზიკური ფილოსოფიის მხარეზე მდგომი ენათმეცნიერისათვის, რასაკვირველია, ვაუგებარია ინდივიდუალური როლი კოლექტიურ შემოქმედებაში. ამიტომ სრულიად არ არის ძეღთხევევით, თუ სეპირი ენას ადამიანის ინდივიდუალურ ინტუიციის პროდუქტად თვლის.

### III

ასე დგას ენის განსაზღვრების საკითხი შედარებით ენათმეცნიერებაში. არც ერთი აქ განხილული შეხედულება არ არის მისაღები. ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებას არ მოუცია ენის ნამდვილი განსაზღვრება თავისი ნიშანდობლივი მატერიალური მხარეების ჩვენებით. იგი ენის რომელიმე ცალკეული მხარის აბსტრაქციას ახდენდა და ამ ნიადაგზე მეტყველების რეალური მნიშვნელობის საფუძვლებს არარეალურ სინამდვილეში უძებნიდა ადგილს.

კომუნისმის დიდმა ბელადებმა მარქსმა და ენგელსმა, ლენინმა და სტალინმა თავიანთ გენიალურ გამონათქმეებში ენისა და აზროვნების შესახებ მოგვცეს ენის ქეშმარიტი დიალექტიკური განსაზღვრება.

მარქსმა და ენგელსმა „გერმანულ იდეოლოგიაში“ აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვრეს ენა და მისი ფუნქცია: „ენა ისევე ძველია. — ნათქვამია იქ, — როგორც ცნობიერება; ენა არის სწორედ პრაქტიკული, სხვა ადამიანებისათვისაც არსებული, და მხოლოდ მით თვითონ ჩემთვისაც არსებული რეალური ცნობიერება, და, ცნობიერების მსგავსად, ენა წარმოიშვის მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებების, გადაუდებელი საჭიროების გამო“.<sup>2</sup> ცნობიერება თავდაპირველი ისტორიული პროდუქტია. ცნობიერება პროდუქტია იმ ისტორიისა, რომელსაც, მარქსისა და ენგელსის განმარტებით, თვით ადამიანი ჰქმნის. „რამდენადაც შრომამ უზრუნველყო პრიმატის გადადამიანება, ამდენადვე მან შეაპირობა აზროვნების გაფორმება, მასასადამე, რეალური ცნობიერების, ე. ი., ენის გაფორმებაც“. მარქსიზმი გვასწავლის, რომ ცხოველისათვის ისტორია მიმდინარეობს მისგან დამოუკიდებლად, მის გარეშე. ადამიანები კი თვითონ ჰქმნიან თავიანთ ისტორიას. ენგელსი „ბუნების დიალექტიკის“ ადრინდელ შესავალში მიუთითებდა, რომ „ადამიანები, რაც უფრო შორდებიან ისინი ცხოველებს ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, უფრო შეგნებულად იწყებენ თავისი ისტორიის კეთებას, მით უფრო ნაკლები ხდება გაუთვალისწინებელი ფაქტორების, უკონტროლო ძალების გავლენა ამ ისტორიაზე, და ისტორიული მოქმედების შედეგი მით უფრო შესაბამეა წინააღინე დასახულ მიზანს“.<sup>3</sup> როცა საკმარისი სიცხადითაა გარკვეული, რომ ადამიანის მოქმედება შეგნებული აქტია, ცხოველისა კი შეუგნებელი, აშკარა ხდება, რომ მეტყველებაც ამ შეგნებული აქტის პროცესში უნდა ჩაისახულიყო. ენგელსი ცნობილ წერილში „შრომის როლი მიიმუნის გადადამიანების პროცესში“ პირდაპირ მიუთითებს, რომ „შრომამ

<sup>1</sup> Э. Сепир, *დასახ. თხზ.*, გვ. 180.

<sup>2</sup> Архив. К. Маркса и Ф. Энгельса, Т. I, Москва, 1928, გვ. 220.

<sup>3</sup> Ф. Энгельса, *Диалектика природы*, Москва, 1932, გვ. 96.

შექმნა თვით ადამიანი<sup>1</sup>. ადამიანისათვის შრომა შეგნებული პრაქტიკაა. ადამიანი, მაგალითად, ფუტკრისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ იგი სანამ ფიჭის უჯრედს გააკეთებდეს, მანამდის პირველად მას თავის საუკეთესო თავში გააკეთებს. ფუტკარი კი შორს დგას ამ შეგნებული აქტიურობის ფიჭის უჯრედის გაკეთება ინსტინქტური აქტია, და არა შეგნებული. მარქსის „კაპიტალი“ ამბობს: „...არის ერთი გარემოება, რომელიც იმთავითვე უმდარეს ხუროთმოძღვარს საუკეთესო ფუტკარზე მაღლა აყენებს: ესაა ის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიჭის უჯრედს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში გააკეთებს მას. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, ე. ი. იდეალურად, უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით არის მოცული, ადამიანს მარტო ფორმის ცვლილება კი არ შეაქვს, არამედ ამასთანავე მასში იგი აბორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელ კანონსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს“.<sup>2</sup> ამაირად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეუძლებელია არსებობდეს რომელიმე ენობრივი მოვლენა, რომელიც შეუგნებლად იყოს წარმოშობილი, რომელსაც არ გაეელოს საწარმოო მნიშვნელობის განსაზღვრული ფუნქცია. გამოდის რა მარქსის ამ გენიალური დებულებიდან, აკად. ნ. მარჩი თავის ცნობილ შრომაში „ენა და აზროვნება“ ამტკიცებს: „არაა არც ერთი წარმოდგენა, არც ერთი ცნება, ისე როგორც არაა არც ერთი სიტყვა, რომელიც მეტყველების აღმოცენების, შედგენისა და შემდეგი განვითარების გტაპზე ცნობიერებაში შესულიყოს ისე, რომ საწარმოო მნიშვნელობის ფუნქცია არ გაეელოს... არაა არამც თუ სიტყვა; არამედ არც ერთი ენობრივი მოვლენა, თუნდაც მეტყველების წყობიდან (მორფოლოგია, სინტაქსი) ან მისი მატერიალური გამოვლინებიდან გრაფიკასა, კინეტიკურ ხაზსა და ბგერაში, ფონეტიკაში, არ არის ბგერით მეტყველების არც ერთი ნაწილაკი, რომელიც წარმოშობისას არ იყოს შეგნებული, — ლებულობდეს რაიმე ენობრივ ფუნქციას აზროვნებამდის, ატარებდეს წარმოშობასთან ან გაფორმებასთან დაკავშირებულ რაიმე თავისებურებებს, რომლებიც დაყვანილ იქნენ ბუნებრივ და გრძობათ მოვლენებამდის, როგორც ფაქტორებამდის“.<sup>3</sup>

მარქსი უარყოფს განცალკევებულ ადამიანთა წარმოების შესაძლებლობას საზოგადოების გარეშე, ისევე როგორც ენის არსებობასა და განვითარებას ერთად მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ადამიანთა გარეშე. თავის კლასიკურ შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ მარქსმა დაამტკიცა, რომ „განცალკევებულ იდივიდუუმთა წარმოება საზოგადოების გარეშე, რასაც, როგორც იშვიათ მოვლენას, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევით უდაბნოში მოხვედრილი განათლებული ადამიანის მხრივ, რომელსაც უკვე დინამიკურად ჰქონდა თავისში საზოგადოებრივი ძალები, ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ერთად მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ინდივიდუუმების გარეშე“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ნ. მარჩი, კაპიტალი, I, ტფ., 1930, გვ. 139.

<sup>2</sup> ნ. მარჩი, Язык и мышление, Л., 1933, გვ. 44; ან იგივე: ქართ. გამოც., გვ. 34.

<sup>3</sup> ნ. მარჩი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, ტფ., 1932, გვ. 4. კურსივი მარქსისა, ა. ლ.

მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ ენა არ არის გაგებების უბრალო საშუალება. მარტოოდენ გაგებინების ფაქტის აღიარება არ ნიშნავს ენის შინაგანი მატერიალური ღირებულების განსაზღვრებას. გაგებინება ერთი მხარეა ენისა, შეიძლება ითქვას აუცილებელი მხარე, მაგრამ ეს გაგებინებაზე მეტია. ენის, როგორც გაგებინების საშუალების ფაქტის, აღიარება შეეძლოთ ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებსაც. გაგებინება მხოლოდ ენის გარეგან მხარეს გამოხატავს და არა მეტყველების შინაგან ნიშანდობლივ თვისობრიობას, რომლითაც იგი წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს რგოლს. ამ გარემოებას ხაზს უსვამს მარქსი თავის ზემორემოყვანილ ამონაწერში. ლენინი გენიალურად განსაზღვრავს, რომ ენა ადამიანთა ურთიერთობის ფორმად მნიშვნელოვანი საშუალებაა.<sup>1</sup> ლენინის ამ განსაზღვრებაში ზუსტადაა მოცემული ენის მთელი ცხოვრება და მისი ფუნქცია. ენის მატერიალური დანიშნულება სწორედ ისაა, რომ იგი ადამიანთა ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ენათმეცნიერების მტკიცებისა, ლენინმა გენიალურად გახსნა ენის დიალექტიკური არსი და კაცობრიობას უჩვენა ადამიანის მეტყველების ქეშმარიტი შინაარსი და მისი ფუნქცია. კომუნისმის ბრძენმა ბელადმა დიდმა სტალინმა დაამტკიცა, რომ სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად ენა არის ერის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი. თავის 1912 წელს დაწერილ კლასიკურ შრომაში: „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი“ ამხანავი სტალინი გენიალურად განმარტავს, რომ „ერი არის არა შემთხვევითი და არა ეფემერული კონგლომერატი, არამედ ადამიანთა მტკიცე ერთიანობა. მაგრამ არა ყოველი მტკიცე ერთიანობა ჰქმნის ერს. ავსტრიაცა და რუსეთიც მტკიცე ერთიანობანი არიან, მაგრამ არავენ არ უწოდებს მათ ერებს. რით განსხვავდება ნაციონალური ერთიანობა სახელმწიფოებრივი ერთიანობისაგან? სხვათაშორის იმით, რომ ნაციონალური ერთიანობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე იმ დროს, როცა სახელმწიფოსათვის საერთო ენა არ არის სავალდებულო. ჩები ერი ავსტრიაში და პოლონელი ერი რუსეთში ვერ იარსებებდნენ, რომ მათ არ ჰქონდეთ მათთვის საერთო ენა, ამავე დროს რუსეთისა და ავსტრიის მთლიანობას ხელს არ უშლის მათ შიგნით მთელი რიგი ენების არსებობა. მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, ხალხურ-სალაპარაკო ენები და არა ოფიციალური—კანცელარული. ამრიგად, ენის ერთიანობა, როგორც ერის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი“.<sup>2</sup>

ასე განსაზღვრავენ ენას მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური ფუძემდებლები. აკად. ნ. მარჩმა დაუმორჩილა რა თავისი შემოქმედება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, — როგორც ენის განსაზღვრების, ისე ენათმეცნიერების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში მოგვცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გენიალური გამონათქმების ბრწყინვალე ილუსტრაცია. ნ. მარჩის მიერ მოცემული ენის განსაზღვრება ემყარება ლენინის დებულებ-

<sup>1</sup> ვ. ლენინი, *Соч.* ტ. XIX, გვ. 109—110.

<sup>2</sup> ი. სტალინი, *Марксизм и национально-колониальный вопрос*, Москва, Партиздат ЦК ВКП (б), გვ. 4—5.

ბას. ნ. მარრმა, ანგარიში გაუსწორა რა მის წინაღობრივ ბურჟუაზიულ ენათმეცნიერულ სინდიკატს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მარქსებზე დაყრდნობით განმარტა, რომ „ენა არის ურთიერთობის იარაღი, წარმოშობილი შრომით პროცესში, ზუსტად ქვეყნმშენებლის კულტურის შემოქმედების პროცესში, ე. ი. სწავლების პროცესში, საზოგადოებრივ, მსოფლმხედველობრივ შემოქმედების პროცესში. ენა შექმნა ადამიანთა კოლექტივმა ისევე, როგორც მატერიალური კულტურა თავისი საზოგადოებრივი ყოფის პირვანდელ საფეხურზე“.<sup>1</sup>

ნ. მარრისათვის ენა არ არის იზოლირებული მონაცემი, მდიდარი ლინგვისტური მასალით მან ნათელყო შედარებითი ენათმეცნიერების ფუნქციონირებას შეხედულებების სიყალბე ენის ვაგების საკითხში. ახალი ენათმეცნიერება უარყოფს ენის აღიარებას „სულის გამოვლინებად“ (ე. პუმპოლტი), ან „ღვთის ნაბოძეარად“ (ე. შმიდტი). მისთვის მიუღებელია ნუარეს „შრომის აქტის“ თეორიაც, ისევე როგორც ფრანც ბოპის „ცოცხალი ორგანიზმის“, შლეიხერის „ორგანიზმის აუცილებელი ფუნქციის“, შტეინთალის „ინდივიდუალური სულის“, ფოსლერის „პასიური მონაცემის“, ფერდინანდ დე-ოსტრის „ლინგვისტურ ნიშანთა სისტემის“, ვანდრიესის „ნიშანთა სისტემის“, სეპირის „ადამიანთა ინტუიციის სიმბოლური გამოხატვისა“ და სხვათა იდეალისტური თეორიები. ნ. მარრის ვაგებით ენა რეალური მონაცემია, „რეალური პრაქტიკული ცნობიერება“. ენის გათიშვა აზროვნებისაგან შეუძლებელია. მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის მსგავსად, ნ. მარრი ენას განიხილავს აზროვნებასთან ორგანულ კავშირში. ენისა და აზროვნების ერთიანობას იგი უკავშირებს მათი წარმოშობის ერთიანობასაც. რასაკვირველია, ნ. მარრს არ შეეძლო ვაგნიარება მაქს მულერის ენისა და აზროვნების გათიშვის თეორია. მაქს მულერის დასკვნით თითქოს აზროვნება ენისაგან წარმოიშვის, რომ აზროვნება არის „ენა ხმის გამოკლებით“. მულერი, რასაკვირველია, ამით მთელი ბურჟუაზიული ენათმეცნიერების მეტაფიზიკურ შეხედულებებს გამოხატავს ენისა და აზროვნების გათიშვის შესახებ. საესებით მართალია ნ. მარრი, როცა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ შრომაში ამბობს, რომ „ენა აზროვნების გარეშე — ფორმალური ძველმანია, როგორც აზროვნება ენის გარეშე — მეტაფიზიკური სიღამბლე, რომელიც არა ნაკლები სიმბოროტით იმუჭრება... რომ წარმოდგენა ადამიანზე დაყვანილ იქნას შეუძნებელ ცხოველურ მდგომარეობამდის“.<sup>2</sup>

ახალი ენათმეცნიერება მეტყველებას მთლიანად განიხილავს როგორც სოციალურ მოვლენას, ე. ი. როგორც საზოგადოებრიობის შინაგანი ცხოვრების გამოვლინებას. ენის ძირებს იგი ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში ხედავს. „ენა, ამბობს ნ. მარრი, ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედების და მისგან ჩასახულ შინაგანი ცხოვრების გამოცხადება არის. ენა ცარიელი ბგერა არ გახლავს, არც სიტყვა მხოლოდ მისი მნიშვნელობა. ენა სიტყვა და საქმეა, თავდაპირველად

<sup>1</sup> Н. Я. Марр, „Язык и история“, Ленинград, 1936, გვ. 17.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, О лингвистической поэмке в Восточное Средиземноморье, Ленинград, 1934, გვ. 117.

განუყოფელი სიტყვა და საგანია ერთად შედნობილი, ასე რომ სიტყვა თავდაპირველად საგნის გამოხატველია, მისი ცოცხალი სურათი.

ნ. მარრის მოძღვრება გვასწავლის, რომ მეტყველება ადამიანის კმნილდება, იგი ასახავს შემოქმედებისა და ევოლუციის ყველა ეტაპს კაცობრიობის განვითარებაში. ამდენად მეტყველება თავისი შინაარსით მისწავლავს რთული მონაცემია, ვიდრე მასზე ფიქრობდნენ ძველი ლინგვისტური აზრის წარმომადგენლები. „ენა, ამბობს ნ. მარრი, ადამიანის ისეთივე კმნილებაა, როგორც კულტურის შედგენილობაში შემავალი ყველა დანარჩენი ნაწილი, იმ განსხვავებით, რომ ენა იმავე დროს ასახავს შემოქმედებისა და ევოლუციის ყველა ეტაპს კაცობრიობის განვითარებაში და ასახავს ზუსტ ფორმულებში, სიტყვებში, ისე, როგორც აგებულია ისინი და როგორადაც იყენებენ მათ ამათივე აზრით. სიტყვების ფორმაცა და მნიშვნელობაც ზუსტად მიგვიითებენ იმ ადგილზე, რომელიც უჭირავს გარკვეულ სიტყვას, და ჩვენ არ გვიხდება თავის ტეხა მისახედომად, უფრო მეტი, იგივე ლექსიკური მასალა საშუალებას ვვაძლევს მოვუნახოთ ადგილი არა მარტო სიტყვას, არამედ მით აღნიშნულ საგანსაც, არის ეს მატერიალური კულტურის ძეგლი, თუ მოვლენა საზოგადოებრივ მოვლენათა და რელიგიურ მსოფლმხედველობათა სამყაროდან. ისახდრება დრო და ადგილი არა წლების ან ტერიტორიის მიხედვით, არამედ სოციალური წყობისა და სამეურნეო ფორმების ეპოქების მიხედვით კაცობრიობის ცხოვრებაში, და ყოველივე ეს ასახულია ენაში“.<sup>1</sup>

ნ. მარრის ვაგებით კლასობრივ საზოგადოებაში ენა კლასობრივია, კლასობრივი ბრძოლის ბასრი იარაღია. მისი სიტყვებით „ენა თავისი წარმოშობით საერთოდ და ხშიერი ენა განსაკუთრებით, იმიტომია „კულტურული აღმავლობის მძლავრი ბერკეტი“, რომ იგი კლასობრივი ბრძოლის შეუნაცვლებელი იარაღია“.<sup>2</sup>

ნ. მარრი ენას განსაზღვრავს როგორც ისტორიულ ცვალებად კატეგორიას. შედარებითი ენათმეცნიერება მას წარმოიდგენდა მყარ მონაცემად ყოველგვარ დინამიკობას მოკლებულ მოვლენად, რომელიც თითქოს თავისუფალია განვითარების შესაძლებლობისაგან. ამდენად მისი მსოფლმხედველობით ენა არ არის ისტორიული მოვლენა. ეს მომენტი წყალგამყოფი ვახდა ძველი და ახალი ლინგვისტური შეხედულებისათვის. ნ. მარრმა ნათელპყრო, რომ „ყოველი ენობრივი მოვლენა უპირველესად ყოვლისა ისტორიული ღირებულებაა, ე. ი. ისტორიული პროცესის პროდუქტი... ენა არა მხოლოდ ისტორიული პროცესის უბრალო ერთერთი ელემენტთაგანია, არამედ ერთადერთია თავისი სიგნალიზაციის გამომჟღავნებით“.<sup>3</sup>

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ენის განსაზღვრების საკითხში, რომელიც ენათმეცნიერების ერთერთ უძირითადეს პრობლემას წარმოადგენს, ნ.

<sup>1</sup> ნ. მარრი, ქართულ ენის კულტ. ზეზლი ენათმეც. მიხედვით, „მნათობი“, № 5 (13), ტფ. 1925, გვ. 289.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, извр. раб. ტ. 1, Ленинград, 1933, გვ. 237.

<sup>3</sup> ნ. მარრი, ენა და აზროვნება, ქართ. თარგმ., ტფ., 1934, გვ. 4.

<sup>4</sup> ნ. მარრი, ისტორიული პროცესის საკითხისათვის იაფეტ. თეორიის გაშუქებით, ქართ. თარგმ., ტფ., 1934, გვ. 10 — 11.

მარჩი სრულიად შორდება ბურჟუაზიული ენათმეცნიერების თეორიებს. იგი, რა თქმა უნდა, არ შეჩერებულა ძველი ლინგვისტური აზრის უბრალო უარყოფაზე, რაიც აუცილებელი იყო, რამდენადაც ენის განსაზღვრების დარგში ბურჟუაზიულ ენათმეცნიერთა წრეში ბატონობდა აუტანებელი უარყოფა. მან მოგვცა ენის მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრება.

ნ. მარჩმა შესძლო მოეცა ენობრივი ფაქტების მარქსისტული ანალიზი, რამაც მას უკარნახა ამ ფაქტებიდან მისულყო თეორიულ დასკვნებამდის. დღეს უკვე ყველასათვის აშკარაა ის დიდი დამსახურება, რომელიც ახალმა ენათმეცნიერებამ მოიბოვა ადამიანის მეტყველების ქემარტი განსაზღვრების დარგში, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიის პროცესის მდიდარი მასალების ჩვენებით. მაგრამ ერთია ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალების, ცვალებადი ისტორიული მოვლენის გაგება და მეორეა ენის შესწავლა მის რთულ მთლიანობაში, მისი წარმოშობისა და განვითარების დიალექტიკური საფუძვლების ჩვენება. უსაგნო ფანტაზია იქნებოდა ენის გამოცხადება ისტორიულ კატეგორიად, თუ დავიწყებას მიეცემოდა მისი წარმოშობისა და განვითარების ბუნების უაღრესად საინტერესო საკითხები. ამიტომ არ შემცდარა ნ. მარჩი, როცა მან საენათმეცნიერო კვლევის ობიექტად გამოაცხადა ენა მთლიანად, მისი განვითარების მთელ მანძილზე, ჩასახვიდან თანამედროვე საფეხურამდის.

#### IV

ბურჟუაზიული ენათმეცნიერება თავისი კლასიკური გაქანების პერიოდშიაც გაურბოდა ენის მთლიანობაში განხილვას. ფერდინანდ დე-სოსურიც, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ენას განმარტავდა როგორც „სოციალური ძალების პროდუქტს“, ვერ ასცდა მარცხს; ნიშანმა, „დე-სოსურის აზრით, რომელთა ჯამი ენას წარმოადგენს — „არ იცის სხვა კანონი გარდა ტრადიციისა“, „ენა წინა ეპოქიდან შემკვიდრობითაა ვადმოცემული“, „ჩვენ ვლაპარაკობთ: ადამიანი და ძაღლი, იმტომ, რომ ჩვენამდის ლაპარაკობდნენ: ადამიანი და ძაღლი“ — ამბობს დე-სოსური. <sup>1</sup> დე-სოსურის აზრით, ვინაიდან ენაში თითოეული ადამიანი მონაწილეობას ლებულობს ყოველწუთს, ამიტომაც ენა თანდათანობით განიცდის ყველას გავლენას. და ეს ერთი ძირითადი ფაქტი მისთვის საკმარისია დაამტკიცოს ენაში რევოლუციის შეუძლებლობა. მისივე სიტყვებით:

«...В языке каждый принимает участие ежеминутно, почему язык и испытывает постоянное влияние всех. Этого одного основного факта достаточно, чтобы показать невозможность в нем революции. Изю всех общественных установлений язык представляет наименьшее поле для инициативы. Его не оторвать от жизни общественной массы, которая, будучи по природе инертной, выступает прежде всего как консервативный фактор».<sup>2</sup>

<sup>1</sup> Ф. Де-Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933, гл. 83.

<sup>2</sup> Ф. Де-Соссюр, იქვე, გვ. 83.



როცა დე-სოსური აღიარებს, რომ ენა კონსერვატიული ფაქტორია, რომელშიაც შეუძლებელია რევოლუციაო, ვასაგებია, რომ ენის წარმოშობის საკითხიც მისთვის საეჭვო და საპოთირო რამეს წარმოადგენს. „ყოველმა საზოგადოებამ, ამბობს დე-სოსური, ფაქტიურად იცის და ყოველთვის ყველა ენა მხოლოდ როგორც პროდუქტი, რომელიც დამკვიდრებულა მანქანის ქათობების მიერ და უნდა მივიღოთ ისეთად, როგორიც ის არის. აი რატომ ენის წარმოშობის საკითხი არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ეს ჰგონიათ“.<sup>1</sup>

ამაში, დე-სოსური ენის წარმოშობის საკითხის დასმას ლინგვისტიკაში საეჭვოდ აყენებს. ეს მას არ მიაჩნია ენათმეცნიერების სპეციფიკურ მხარედ. ვანდრიესის მსჯელობით, „ენა ჩამოყალიბდა საზოგადოებაში“. ის წარმოიშვა იმავე დღეს, როცა ხალხმა გამოხატა ერთმანეთთან ურთიერთობის მოთხოვნილება.<sup>2</sup> ანდა, მისივე მტკიცებით: „ენა, როგორც სოციალური მოვლენა, წარმოიშვა მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანის ტვინი უკვე საკმარისად იყო განვითარებული, რომ ესარგებლა ენით“.<sup>3</sup> მაგრამ ამ ორიგინალურ შეხედულებასთან ერთად ვანდრიესი მიდის სრულიად ყალბ დასკვნამდის, იგი ამბობს: „ხშირად დაობდნენ იმაზე, ენის წარმოშობისას იყო ერთი თუ რამდენიმე ენა. ეს საკითხი არ წარმოადგენს არავითარ ინტერესს“.<sup>4</sup> ამ დებულებით ვანდრიესი არსებითად უარყოფს ენის წარმოშობის საკითხის აქტუალურ მნიშვნელობას ენათმეცნიერული აზროვნებისათვის.

ვანდრიესს, სხვათაშორის, მოჰყავს პეროდოტეს მიერ აღწერილი ცნობა (II, 2) ფარაონი ფსამეტხოსის ახირებული ცდის შესახებ. ფსამეტხოსმა მოისურვა გაეგო, რომელი ხალხია ძველი—ფრიგიელები თუ ეგვიპტელები; ამისათვის ორ ბავშვს დაბადებიდან ხალხისაგან მოწყვეტით ზრდიდა, ისე რომ ეს ბავშვები სრულიად ვერ ისმენდნენ ადამიანთა ხმას. რამდენიმე ხნის შეკდევ ბავშვებმა საკმელი მოითხოვეს, წამოიძახეს βεβαε, რაც ფრიგიულად ნიშნავდა „პურს“, აჭიდან ფსამეტხოსმა დაამტკიცა, რომ ფრიგიული ენა უფრო ძველია, ვიდრე ეგვიპტური.<sup>5</sup> რასაკვირველია, ასეთი ცდა ეგვიპტელი ფარაონების ბატონობის დროს თუ შესაძლებელი იყო, ენის სიძველის გამოსარკვევად დღეს ამისი მსგავსი ცდის გამოყენება სრული უაზრობა იქნებოდა.

შედარებით ენათმეცნიერებაში ენის წარმოშობის საკითხი უარყოფილია. ინდოევროპეისტიკა უარს ამბობდა აზროვნებაზე, მეტყველებას აზროვნებისაგან მკაცრი იზოლაციით სწავლობდა. მისთვის არამეცნიერულად ითვლებოდა ენის წარმოშობის საკითხი და ამის გამო ინდოევროპულმა ენათმეცნიერებამ თავისი კვლევის ორბიტიდან ამოშალა ენის წარმოშობის პრობლემა. ეს ნიშნავდა ხელის აღებას ენის როგორც მთლიანი ერთეულის შესწავლაზე. „ენის ძველი მოძღვრება, მიუთითებს ნ. მარტი, სამართლიანად ამბობდა უარს აზროვნებაზე, როგორც თავის კომპეტენციის საგანზე, რადგანაც მეტყველებას იგი აზროვნების გარეშე სწავლობდა. მას ჰქონდა ფონეტიკის კანონები—ბგერითი მოვლენების, მაგრამ არ იყო სემანტიკის კანონები—ამათუიმ აზრის

<sup>1</sup> Ф. Де-Соссюр, стр. 82.

<sup>2</sup> Ж. Вандриес, Язык, Москва, 1937, стр. 24.

<sup>3</sup> Ж. Вандриес, стр. 24.

<sup>4</sup> Ж. Вандриес, стр. 24.

<sup>5</sup> Ж. Вандриес, стр. 23.

აღმოცენების კანონები, მეტყველების გააზრების კანონები და შემდეგ მისი ნაწილების, მათ რიცხვში სიტყვების. სიტყვათა მნიშვნელობებს <sup>ახალი</sup> ~~ახალი~~ თარიღი იდეოლოგიური დასაბუთება არ მოეპოვებოდა. ენის მიფუჩქება, განაგრძობს ნ. მარრი, აზროვნების წარმოშობის მსჯელობისას ბუნებრივი <sup>გაქცევა</sup> ~~გაქცევა~~ თითქოს ორგანიზაციული დასკვნა, რომელიც მეტყველების <sup>შექმნი</sup> ~~შექმნი~~ მოძღვრების ზოგადი განწყობიდან მომდინარეობს და რომელმაც მთელი რიგი უშედეგო ცდების შემდეგ თავის კომპეტენციის წრიდან გამორიცხა საერთოდ ენის წარმოშობის პრობლემა. თვით მისი დაყენება სპეციალისტთა წრეში არამეცნიერულად და უსაარგებლოდ ითვლებოდა, რაც თავისი მხრით ფორმალურ მეთოდთანაა დაკავშირებული.<sup>1</sup>

ნ. მარრმა ენა ფართოდ ვაიგო. მან ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემათა შორის ენის წარმოშობის საკითხიც მოაქცია, რადგან მსჯელობა ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალების შესახებ, იმავე დროს ნიშნავს მის განხილვას თავის რთულ მთლიანობაში, ჩასახვიდან მოკიდებული დღემდის. ნ. მარრი საეხებით მართალია, როცა ამბობს: „ენათმეცნიერი, რომელიც გვერდს უვლის ენის წარმოშობის პრობლემას, როგორც არა თავისი პირველი რიგის საქმეს თეორიულ კვლევა-ძიებაში, მით თავისთავს ამოშლის ენათმეცნიერთა რიცხვიდან“.<sup>2</sup>

ნ. მარრს სწამდა ენის წარმოშობის საკითხის აქტუალური მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის, ისევე როგორც ენის განვითარების, მისი ბუნების, გრამატიკისა და ენათა შორის ურთიერთობის პრობლემების შესწავლის უპირველესი საჭიროება. მისთვის ენა მთლიანია, და არა გაბლეჩილი. მისთვის ენა განვითარებას განიცდის და ამ განვითარებას ვამჩნევთ გლოტოგონიის მთელ პროცესს, რომელშიაც ყოველი ენა გამოუტლებლივ ერთუფლებიან მონაწილეობას იღებს. ნ. მარრს მრავალჯერ გაუმეორებია: ჩვენთვის არ არსებობს მეცნიერება ენის შესახებ ენის წარმოშობის პრობლემის აქტუალობის აღიარების გარეშეო.<sup>3</sup>

ნ. მარრის აზრით, ადამიანის პირვანდელი ენა იმთავითვე არ ყოფილა სალაპარაკო, არამედ იყო წარმოებითი. ახალი ენათმეცნიერების ფუძემდებელმა უკუაგდო ფორმალურ-შედარებითი მეთოდი, რომელიც ბატონობდა ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებაში და მიაგნო ენობრივი მოვლენების ანალიზის სანდო მეთოდს, რომელსაც იგი მეტყველების პალეონტოლოგიას უწოდებს. პალეონტოლოგიური მეთოდი ერთი მხრით არკვევს ენის პირვანდელი სტადიის თავისებურ ბუნებას და იძლევა უაღრესად დიდ შესაძლებლობას ენობრივი მოვლენების წარმოშობისა და სტადიური განვითარების დიალექტიკური ბუნების შესწავლისათვის. ბგერითი მეტყველების პალეონტოლოგიური ანალიზი, ამბობს ნ. მარრი, ყველა სტადიური გადანაშთის, მათ შორის ხაზური, განსაკუთრებით კი უკვე სალაპარაკო ხელის ენის ბატონობის მხედველობაში მიღებით... გვარწმუნებს რომ არათუ ენა არ იწყება ბგერითი მეტყველებით,

<sup>1</sup> ნ. მარრი, „ენა და აზროვნება“, გვ. 23, კურსივი ჩვენია. ა. ლ.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Язык и современность, Ленинград, 1932, გვ. 11.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, Предисловие к сборнику „Языковедение и материализм“, 1929, გვ. 5.

არამედ არც ბგერითი მეტყველება, არც მისი წინაპროინდელი ხელის ენა, მით უფრო "საერთოდ ხაზური, კერძოდ გრაფიკული ენა, წარმოშობიდანვე არ ყოფილა სალაპარაკო ენა, იგი ჯერ იყო წარმოებითი.<sup>1</sup>

ახალი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანს მეტყველებულობა-შად ბგერებით არ დაუწყია. თვით „ბგერითი მეტყველებულობა“ თუ ბგერებიდან, არც სიტყვებიდან, ან მეტყველების ნაწილებიდან, არამედ წინადადებიდან.<sup>2</sup>

ნ. მარჩმა თავისი მრავალწლიანი დაკვირვებით ნათელპყო, რომ ადამიანის მეტყველებამ პირველად გაიარა ხელის ენის სტადია და ბგერითი მეტყველება შეიქმნა ხელის ენასთან მკაცრი ბრძოლის შედეგად, რომ ხელის ენამ საუკუნეების ბრძოლა შემდეგ დაუთმო ადგილი ბგერით მეტყველებას. ლინგვისტთა შორის პირველი იყო ნ. მარჩი, რომელმაც გაიგო და შეითვისა მარქსიზმის კლასიკოსთა გენიალური მითითებები პირველყოფილ ხალხთა ცხოვრებისა და აზროვნების შესახებ. ამ ხალხების პრიმიტიული საწარმოო ურთიერთობის ღრმად შესწავლამ, მატერიალური კულტურის ძეგლებზე დაკვირვებამ და ჩვენამდის ვადანაშთის სახით მოღწეულმა ხელის ენის ნიმუშების გათვალისწინებამ უტყუერად გვიჩვენა, რომ ადამიანს შეუძლებელია ხშიერი მეტყველება ერთბაშად დაეწყოს. დიდი და ხანგრძლივი პრაქტიკა დასჭირდა მას, რომ ამოეღო ენა. ახლა უკვე საჭივეწოდ დადასტურებული ფაქტია, რომ მანამდის, სანამ ადამიანი ბგერითი ენით დაიწყებდა ლაპარაკს, მას გააჩნდა ურთიერთობის სხვანაირი საშუალება, ხელის ენა, კინეტიკური მეტყველება. კინეტიკური ენა წინ უსწრებდა ბგერით მეტყველებას, იგი წარმოადგენდა უძველესი ადამიანის სასაუბრო ენას დიდი ხნის განმავლობაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელის ენის სტადიამ მრავალი ასეული წელი გაიარა და ხარისხობრივად მოაპყნა ადამიანი თავისუფალი ბგერითი მეტყველების დაწყებისათვის.

ცნობილია, რომ დღეს ხელის ენის ნაშთები დედამიწის, მრავალ მხარეშია შემონახული. ამერიკის შეერთებული შტატების ინდოელებში გავრცელებულ ხელის ენას ჩვენამდის მოუტანია უძველესი აზროვნების ბგერა დამახასიათებელი თვისება, რომლის ვახსნა ნათელს ჰქვნიდნენ ენის წარმოშობის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს. ხელის ენის ფაქტები მრავალი სახელგანთქმული მეცნიერის კვლევის ობიექტად გამხდარა. ზოგი მოკლედ და ზოგიც გრძლად აღწერდა ასეთი მეტყველების გამოყენების წესებს, მაგრამ ბურჟუაზიული ენათმეცნიერებამ უარყო ხელის ენის გავება როგორც ადამიანთა მეტყველების. პირვანდელი სტადიისა და იგი ბგერითი მეტყველების შემდეგ პროინდელ მოვლენად გამოაცხადა. დაახლოებით ასე მოიქცა ვ. ვუნდტი (V. V. Müller, „Psychologie“), და სხვ. ვანდრიესი კი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ „რანაირიც არ უნდა იყოს ექსტის ენის წარმოშობა, იგი მხოლოდ სურთაგია სმენითი ენისა“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Н. Я. Марр, К семантической палеонтологии в языках не ифетических систем, Ленинград, 1931, გვ. 36.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, „Осмыслению так трудною статью лингвистом-теоретиком, ერბ. „Энциклопедия и материализм“, 1929, გვ. 27.

<sup>3</sup> Ж. Вандриес, Язык, М., 1937, გვ. 22.

ვესტის ენის წარმოშობა თვით ხელთანაა დაკავშირებული. ხელი თავის დროზე არა მარტოდენ ერთადერთი საწარმოო იარაღი არამედ მეტყველებისა და აზროვნების ერთადერთ საშუალებასაც წარმოადგენდა. ხელთან დაკავშირებული იყო შრომის მთელი პროცესი. ადამიანი ცხოველთა სამყაროს მაშინ გამოეყო, როცა მას გაუთავისუფლდა ხელი და შესძლო შრომის დაწყება. სინამდვილეს ლალატობს ფანტასტიკური თეორიები იმ ლინგვისტებისა, რომლებიც ადამიანსა და ცხოველს შორის გამასხვავებელ ნიშნად მარტოდენ მეტყველებას აცხადებენ. ფრ. ენგელსმა ნათელპყრო ასეთი შეხედულების სიყალბე. მან განსაზღვრა, რომ ადამიანს ცხოველისაგან პყოფს შრომა, „შრომამ შექმნა ადამიანი“. „ის საქმეები, ამბობს ენგელსი, რომელსაც ჩვენი წინაპრები მაიმუნისაგან ადამიანისაგან განვითარების დროს, ისი ათასი წლების განმავლობაში, თანდათან აჩვევდნენ ხელს, თავდაპირველად, რასაკვირველია, მეტისმეტად მარტივი და უბრალო იყო. განვითარების დაბალ საფეხურებზე მდგომი ველურები და ამათგან ისინიც კი, რომელნიც უბრალებიან ცხოველთა მდგომარეობას და ხდება მათი სხეულის გადაგვარება, — აი ესენიც კი ამ გარდამავალი დროის არსებობთან შედარებით გაცილებით უფრო მაღლა დგანან. სანამ ადამიანის ხელი მოახერხებდა პირველი ქვის დანის გაკეთებას, უნდა ვაველო იმდენ დროს, რომელთან შედარებით უმნიშვნელოა მთელი ის ისტორიული ხანა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. მაგრამ გადამჭრელი ნაბიჯი გადადგმული იყო: ხელი შეიქმნა თავისი თაღი და მან შეიძინა ახალ-ახალი სიმარდე-მოხერხება... ამრიგად, დაასკვნის ენგელსი, ხელი არა თუ შრომის იარაღია, მისი პროდუქტიცაა“.<sup>1</sup>

მართალია, ხეებსა და კლდე-ლრეებში ხეტიალის დროს ადამიანის მსგავს მაიმუნს ხელები და ფეხები ერთნაირი ჰქონდა, მაგრამ ამ ორი კიდურის მოქმედება მაინც დიფერენცირდებოდა. „ხეებზე ცოცვის დროს, ამბობს ენგელსი, ხელები სხვანაირი საქმეს უკეთებდნენ (ადამიანის მსგავს მაიმუნს), მაიმუნები მიწაზე სიარულის დროს გადაეჩვივნენ ხელების დახმარებას, და უფრო და უფრო შეეჩვივნენ პირდაპირ, ე. ი. გამართულ სიარულს. ეს იყო გადამწყვეტი ნაბიჯი, რომ მაიმუნი ადამიანად ქცეულიყო“.<sup>2</sup> მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის მთავარ ფაქტორად ენგელსი შრომას თვლის. „ჯერ შრომა, მიუთითებს იგი, და მასთან ერთად და მის შემდეგ მეტყველება, აი ორი არსებითი სტიმული, რომელთა გავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან გადაიქცა ადამიანის ტვინად“.<sup>3</sup>

ამნაირად, ხელი იღვა არა მარტოდენ ადამიანის საწარმოო ცხოვრების, ე. ი. შრომის პროცესის ცენტრში, არამედ მეტყველების სათავეშიაც. ხელის საშუალებით ადამიანები ადვილად ახერხებდნენ ურთიერთობას, კავშირს ურთიერთთან. ხელი მაშინდელი ადამიანისათვის წარმოადგენდა როგორც ერთადერთ საწარმოო იარაღს, ისე ურთიერთობის ერთადერთ საშუალებასაც. იგი მეტყველებისა და აზროვნების პირვანდელი იარაღიც იყო.

<sup>1</sup> Ф. Энгельс, Диалектика природы, Москва, 1930, გვ. 61.

<sup>2</sup> Ф. Энгельс, დასახ. თხზ., გვ. 61.

<sup>3</sup> Ф. Энгельс, დასახ. თხზ., გვ. 61.

პირველყოფილი აზროვნების ცნობილი მკვლევარის ლევი-ბრულის ცნობებით,<sup>1</sup> ხელის ენა მიმოიკით გავრცელებული ყოფილა და ხმარებაში ახლაც არის მთელ სამხრეთ ამერიკაში. სხვადასხვა ტომის ინდოელები ერთმანეთს ვერაფერს აგებინებენ, როცა ისინი ბგერითი ენით მტკიცეობენ. ავტორის მოწმობით, მათი საუბრისათვის აუცილებელია ექსტრემული ვიზუალური ნიშნები. ნ. მარრის ცნობით ერთი ამერიკელი მკვლევარი წერს: „Можно бы написать большую грамматику языка жестов... О богатстве этого языка можно судить по тому факту, что два индейца различных племен из которых ни один не понимает звуковой речи другого, могут провести полдня в беседе и болтовне, рассказывая друг другу всякого рода истории движением пальцев, головы и ноги“.<sup>2</sup>

იმავე ლევი-ბრულის მოწმობით, ექსტის ენა ფართოდ ყოფილა ხმარებაში ჩრდილო ამერიკის ტომებშიაც. Warramunga-ს ტომში (ავსტრალია), ლევი ბრულისავე ჩვენებით, ქვირე ქალებს აკრძალული აქვთ ბგერითი ენით ლაპარაკი ზოგჯერ 12 თვის განმავლობაშიაც კი. ამ ხნის გასვლამდის ქალები ერთმანეთს ექსტის ენით ელაპარაკებიან. ავტორის მოწმობით, ხშირად მინდვრებში თავმოყრილ ქალთა ზორის ბატონობს სრული დუმილი, შავრამ გაცხოველებული საუბარი კი წარმოებს თითებით ან ხელებით.

ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით დედამიწის თითქმის ყველა მხარეში. ამ მხრით არც ევროპის ხალხებია ჩამორჩენილი.

კავკასიაშიაც, მავალითად, ხელის ენის ნაშთები მთელი სიუხვითაა შემონახული. კავიტალისტური კლასის „სწავლულებს“ ხელის ენის ჩვენამდის შემონახული ნიმუშები „ველურობად“ და კავკასიის ხალხთა „უკულტურობად“ მიაჩნდათ. მათ მხოლოდ კოლონიური ინტერესები ამოძრავებდათ და მშრომელთა სალაპარაკო ენასთან ერთად ხელის ენაც აბუჩად აიკდეს და არამეცნიერულ საგნად გამოაცხადეს. ფრანგი თანამედროვე ინდოევროპეისტი ვანდრიესი პირდაპირ ამბობს, რომ ხელის ენას ველურ ხალხებში განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ქალებიო.<sup>3</sup> „ხელის ენა და ხელის აზროვნება, ამბობს ნ. მარრი, დიდი ხანია, რაც შემჩნეულია... ხელის ენა და აზროვნება შემჩნეულია შორეულ კოლონიურ ქვეყნებში „წითელკანიანებში“, „შავკანიანებში“, „ყვითელკანიანებში“ და სხვ. წარმომადგენლებში არა კაცობრიობის, არამედ გაკიცხული სახის ქმნილებების, არც თუ ცხოველების, არც თუ ცხოველთა საზღვარზე მყოფ ქმნილებებში, როგორაც დაავჯუფა კოლონიური სამყარო სწავლულმა ევროპამ, სახელდობრ ევროპის ბურჟუაზიულმა კლასმა; ამისათვის შექმნა მან ე. წ. ეთნოლოგია, სოციოლოგიის მეტად საექვო სუროგატი, რომელიც ჩვენში აქამდის სათუთად შენახულია ეთნოგრაფიის სახელწოდებით, რაც ჩანს თუნდაც იმაში, რომ ეს მეცნიერება ველურებისა და სოფლის შესწავლისათვის არსებობს და სწორუფლებიანად არაა მიჩნეული მოსახლეობის განათლებული ნაწილის, განსაკუთრებით ევროპის, შესწავლაში. ამიტომ იყო, რომ ხელის ენის საკითხს სერიოზულ ყურადღებას მხოლოდ სპეციალისტები აქცევდნენ და ზედნაშენ მოვლენებს სწავლობდნენ არა წარმოებისა

<sup>1</sup> Леви-Брюль, Первобытное мышление, Москва, 1930.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, О происхождении языка, ПЭРЯТ, გვ. 223.

<sup>3</sup> Ж. Вандриес, Язык, М., 1937, გვ. 22.

და საწარმოო ურთიერთობის მხრით... არამედ ცხოველების მხრით, ცხოველთა შესახებ მეცნიერების მხრით, სახელდობრ ზოოლოგიის, ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის მხრითაც".<sup>1</sup>

ხელის როლი, როგორც მეტყველების გამაერთიანებელ ელემენტად, უაღრესად დიდია. ხელი ხელისუფლების ენობრივი ცხოვრების ცენტრში, როგორც იგი იდგა ადამიანთა შრომითი ცხოვრების ცენტრში.<sup>2</sup> მეტყველების პალეონტოლოგიის მონაცემებით დასტურდება, რომ თვით ტერმინი „ხელი“ იდგა სიტყვათშემოქმედების ცენტრშიაც. „ხელი“ იაფეტურ ენებში ასიოდე და მეტსაც სხვადასხვა მთავარ მნიშვნელობის ტარებას ძლებულობს. მასთან დიდადაა დაკავშირებული იაფეტური ენების ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ამ ერთი დედაპირიდან წარმომდგარია მნიშვნელობანი: 1. შეხება; 2. რიცხვი „ორი“, 3. „ძალი“ ან „ძალა“ 4. „ხელმწიფობა“, „უფლება“ 5. „ვალდებულება“, „ჯეროვნება“, 6. „მოწყალება“, 7. „გაცემა“, „მიღება“, „გაყიდვა“ და „ყიდვა“, 8. „ცემა“, „დარტყმა“, 9. „ჩვენება“, 10. „შსგავსება“, 11. „ხელობა“, „ხელოვნება“, 12. „ახალი“, „სიახლე“, 13. „სიახლოვე“, „ხლება“, 14. ტურკლის ასაღები ნაწილი ან საგნის დამახასიათებელი დანაკლისი, 15. „დაქურა“ და მრავალი სხვა.<sup>3</sup> გერმანულ ენაში, მაგალითად, Hand „ხელი“ წარმოადგენს ისეთი გავებების ძირს, როგორიცაა: Hand-el „საქმე“, hand-eln „მოქმედება“, „ლაპარაკი რაიმეზე“, „ეპყრობა“... hanb-lung „მოქმედება“, „ეპყრობა“ და და სხვ. ან კიდევ იგივე ძირი გვევლინება ტერმინებში: Hantieren „სამუშაო“, „მეცადინეობა“... Hantierung „მეცნიერება“, „სამუშაო“ და სხვ.<sup>4</sup> მეტყველების პალეონტოლოგიის მიხედვით „გაყიდვა“ ანუ „მიცემა“ ან „ყიდვა“ — „აღება“, აგრეთვე ზმნები „მიცემა“ და „აღება“ ერთნაირად გამოდიან სიტყვიდან „ხელი“.<sup>5</sup> „ხელთან“, დაკავშირებულია თვით ისეთი ტერმინების წარმოშობაც, როგორიცაა „გონება“, „ქკუა“, „ტვინი“.\* ხოლო შემდგომ სტადიაზე საწარმოო იარაღის ფუნქცია, რომელსაც ასრულებდა ხელი, გადადის „ქვაზე“, „ბრინჯაოზე“, „რკინაზე“,<sup>7</sup> რაც ხარისხობრივად ცელის მეტყველების მთელ ბუნებას.

რასაკვირველია, დღევანდელი სახით წარმოდგენილი ხელის ენა სრულიად განსხვავდება პირველყოფილი ადამიანის ხაზობრივი მეტყველებისაგან. დღეს ხელის ენა ხშიერთან არსებობს. ხელისა და ხშიერი ენის თანაარსებობის ფაქტს სამართლიანად გახაზავდა ჯერ კიდევ ლევი-ბრულიც. დღევანდლამდის მოღწეული ხელის ენა ვადანაშთია ოდესღანდელი კინეტიკური მეტყველებისა. ხელის ენის ბატონობის სტადიაზე, როგორც მიუთითებს ნ. შარტი, გამოირიცხული არ არის ბევრითი ამოძახილების თანაარსებობაც.

<sup>1</sup> ნ. შარტი, ენა და აზროვნება, გვ. 28.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Яфетическая теория, Баку, 1928, გვ. 94.

<sup>3</sup> ნ. შარტი, ქართველ ერის ევლტურული შუბლი ენათმეცნ. მიხედვით, „ენათობი“, № 5 (13), 1925, გვ. 297.

<sup>4</sup> ВЦКНА Н. Я. Марру, Москва, 1936, გვ. 33.

<sup>5</sup> Н. Я. Марр, Из пиренейской Гурни... გვ. 39; ან შტრ. მისივე: Чуваши—Яфетиды на Волге, გვ. 22; ანდა: О происхождении языка, ПЕРЯТ, გვ. 292.

<sup>6</sup> Н. Я. Марр, Яфетическая теория, Баку, 1928, გვ. 92 — 93.

<sup>7</sup> Н. Я. Марр, Языковая политика яфет. теории и удмуртский язык, Москва, 1931, გვ. 79.

ბგერითი მეტყველება უფრო გვიანდელი სტადიაა. რა თქმა უნდა, ახალი ენათმეცნიერების მიხედვით შეუძლებელია დანაწევრების გაერთიანება ბგერით მეტყველებასთან. „ახალი მოძღვრება ენის შესახებ, ამბობს აკად. ი. მეშჩანინოვი, სრულიად არ აერთიანებს დანაწევრებას ბგერით მეტყველებასთან. ამ უკანასკნელს გადასწევს რა შედარებით გვიან სტადიაზე, მაგრამ დროს დანაწევრებასაც სრულიად არ სწევს უკან. პირიქით, საგნობითი მიღწევები დანაწევრების ნაწილში აქვს ჯერ კიდევ ხელის ენას. სხვათაშორის ამით არის შეპირობებული თვით ბგერის გახლეჩა, რომელიც იზრდება კინეტიკური ენის საერთო ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით მტკიცდება, რომ ბგერის დანაწევრება, ე. ი. მისი ფონეტიკური დაშლა, შედეგია ხმის აპარატზე ხანგრძლივი სოციალური ზემოქმედებისა და მას ერთბაშად სრულიადაც არ გამოუყვია ფონემები მათი გავებით ჩვენს მიერ. ფონემების გაფორმება ზღვებოდა თანდათანობით, ბგერით სახესხვაობათა გამდიდრების საჭიროების მიხედვით. მაშასადამე, თვით ფონემის მოძრაობა მხოლოდ ბიოლოგიური ხასიათის მოვლენა არ არის. პირიქით, ფონემის მოძრაობა შეპირობებულია სოციალური დაკვეთით“.<sup>1</sup>

მაგრამ ბგერითი მეტყველების წარმოშობის პროცესის გავება გაძნელებულია, თუ იმთავითვე ანგარიში არ ვაწევა ბგერის მოძრაობის ისტორიას. ახალი ენათმეცნიერება აღიარებს, რომ ბგერა, პირველყოფლისა, კინეტიკური მეტყველების თანამონაწილედ იყო. დიდი ხნის სოციალური ზემოქმედების შემდეგ ხდება ბგერის დაშლა ფონემატურობის აზრით, სადაც უკვე მოცემული გვაქვს ბგერითი მეტყველებაც. ამ რეალში, სადაც იშლება ბგერითი მეტყველების ჩამოყალიბების პროცესი, შეუძლებელია მოთავსდეს ბავშვის ენა, ისევე როგორც სრულიად არაბუნებრივია იქ ცხოველის ენის მოთავსება. აკად. ი. მეშჩანინოვის დასკვნით: „ბგერითი მოძრაობის ისტორია ასე წარმოიდგინება: ჯერ ბგერა, კინეტიკური მეტყველების თანამონაწილე, მაგრამ ჯერ კიდევ გაუხლეჩელი; შემდეგ ელემენტი, როგორც გახლეჩის პირველადი მდგომარეობა; შემდეგ ფონემა, როგორც თვით ელემენტის დანაწევრების შედეგი. ამასთან ელემენტი თავისი შინაარსით, ისე როგორც ფორმით, სხვადასხვანაირია სხვადასხვა გლოტოგონიურ პროცესში. ელემენტი იყო სიტყვა, შემდეგ სიტყვა — ძირის მერმინდელ განვითარების დროს, შეიძლება სიტყვის ნაწილად გადაქცეულიყო; იგივე გადაიქცა დამხმარე სიტყვად და მისი მეშვეობით დამხმარე ნაწილაკად, გრამატიკული მაჩვენებლის ახალი ფუნქციის მიღებით ან კლასობრივი ენობრივი მრკვეველის (დეტერმინატის) მნიშვნელობაში განმტკიცებით“.<sup>2</sup>

ფუნქციური სემანტიკის მონაცემები თვალნათლივ ადასტურებს ამ დებულებას. ნ. მარის მტკიცებით, სიტყვის ფუნქციურმა მნიშვნელობამ განიცადა თავისი ძირითადი მნიშვნელობა, როგორც დამოუკიდებელი სიტყვისა და ახლა მისი ახსნა მხოლოდ პალეონტოლოგიური ძიებით შეიძლება.<sup>3</sup> მაგალითად ცა-ს იაფეტური სიტყვათშემოქმედების განსაზღვრულ სტადიაზე ეკორა ცენტრალური ადგილი. „ცა“ (ცა+წყალი“, სრულად: „ცა“ + „წყალი

<sup>1</sup> ი. მეშჩანინოვი, ახალი მოძღვრება ენის შესახებ, ცალკე ამონ., გვ. 10.

<sup>2</sup> ი. მეშჩანინოვი, დასახ. თხზ., გვ. 12.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, Родная речь могучий рычаг культурного подъема. Л.-град. 1930, გვ. 35.

+ ცეცხლი“) მაშინ ღებულობდა თავის სემანტიკურ დერივატებს. <sup>1</sup> „ცა“, „მიწა“, აღინიშნებოდა ერთიდაიგივე სახელწოდებით. „ცა“, და მასთან დაკავშირებული ცალკეული ნაწილები: „სინათლე“, „მზე“, „მთვარე“, „ვერსკელავეზი“... „ღრუბელი“, თვით „ფრინველებიც“ ექცეოდნენ ერთ სახელწოდებაში. ასე რომ სიტყვა „ფრინველი“ და თითოეული სახელწოდება, ვერსკელავეზი განსაკუთრებული ჯიშისა მიმდინარეობდა „ცა“ ან „ციურიდან“. იგივე „ცა“ აღნიშნავდა „ღრო“-სა და „სიერცე“-საც. „ცა და „წყალი“, „ცა“ და „წელი“, „სიერცე“ და „ღრო“ სიტყვათშემოქმედების ერთ ფარგალში თავსდებოდნენ... თვით „ცა“ მაშინდელი ადადმიანის გაგებით წარმოადგენდა ტომობრივ, ე. წ. ტომის სახელწოდებას. <sup>2</sup>

წინააღმდეგ შედარებითი ენათმეცნიერების საექვო მეთოდოლოგიური დასკვნებისა, ახალი ენათმეცნიერება ცხადყოფს, რომ იცვლება არა მარტო სიტყვის მნიშვნელობა, მისი განაწილება, არამედ სხვაფერდება სიტყვის შექმნის პროცესიც — აზროვნების სისტემის შეცვლასთან ერთად, რაც დამოკიდებულია სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეულ გარდაქმნაზე. <sup>3</sup> პალეონტოლოგიური კვლევაძიების მიხედვით გვეუბნებიან, რომ უწინდელი ადამიანის ცნობიერებაში „ცა“, უფრო სწორად: „ციური-წყალი“, იყო არა მარტოდენ ზევით, არამედ ქვევითაც. <sup>4</sup> რომ „ცა“, „მიწა“ და „ზღვა“ იწოდებოდნენ ერთი სიტყვით, <sup>5</sup> რომ „ფრინველი“ სახელწოდებას იღებს „ციდან“ როგორც „თეზი“ — „ზღვიდან“, მათ საერთო სახელწოდება აქვთ „ზღვასთან“, resp. „ტბასთან“, „მდინარესთან“, საზოგადოდ „წყალთან“ ერთად, <sup>6</sup> რომ „ცა“ იაფეტელებს პირველში სამხაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: 1. „ზედაური ცა“, ესე იგი, ჩვეულებრივი ხმარებით ჩვენი „ცა“ (ამიტომ მას ზ ე-ც ა-ც პქვია), 2. „ქვედაური ცა“ (შეად. „ქვეყანა“), ანუ „მიწა“, და 3. „ჩვენს ქვეითი ცა“ ან „ქვესტელი“.

## V

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ განსაზღვრულ სიტყვას, რომელიც გარკვეული საგნის, მოქმედების, რაოდენობისა თუ თვისების აღმნიშვნელია, მოგპოება პარალელური მნიშვნელობა ან მნიშვნელობათა მწკრივები. ბერათა კომპლექსის იდენტობა ხელს არ უშლის, რომ ერთმა და იგივე სიტყვამ ერთუროთის საწინააღმდეგო მნიშვნელობის გამოხატვა შესძლოს. ეს პროცესი ერთნაირი სიმკვეთრით იგრძნობა გამოუკლებლივ თითქმის ყველა სისტემის ენაში. ამ საკითხის გასათვალისწინებლად, პირველ ყოვლისა ორი ძირითადი მომენ-

<sup>1</sup> Н. Я. Маар, О происхождении языка, ПЭРЯТ, Л-град, 1936, გვ. 334.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Чувашско-Яфетиды на Волге, Чебоксары, 1926, გვ. 8 და შემდ.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, დასახ. თხზ., გვ. 7.

<sup>4</sup> Н. Я. Марр, Первый средиземноморской дом и его яфетич. название, АНИ, 1924, გვ. 227.

<sup>5</sup> Н. Я. Марр, Из пиренейской Гурни, Тифлис, 1927, გვ. 26.

<sup>6</sup> Н. Я. Марр, Средства передвижения, орудия самозащиты и производства в доистории. Л-град, 1926, გვ. 41.

<sup>7</sup> ნ. შარი, ნაპერწყლები და შენიშვნები იაფეტ. თეორიის შესახებ. „მნათობი“, № 5, 1925, გვ. 236.



ტის მოგონებაა საჭირო: უპირველესად იმისა, რომ ფუნქციური შენაცვლებები სიტყვათშემოქმედებაში იჭერს საკმარისად დიდ ადგილს, ე. ი. ერთი მნიშვნელობა ფუნქციურად გადადის მეორეზე და საწარმოო ცხოვრების განვითარების პროცესში ეს ოპერაცია იწვევს სიტყვის მნიშვნელოვან შეცვლას, რაც ნათელაყოფს მარტინ ფორმულით: ძალღმრთელობა ცხენი; ან ხელი ← ქალი → წყალი, და მეორე მხრით ფუნქციურ ცვლებადობასთან ერთად გამორიცხული არ არის შესაძლებლობა სიტყვათშემოქმედებაში სოციალურად განსხვავებული კოლექტივის ენობრივი ფენის ერთგვარი გადასაცხორი ნორმების არსებობის შესახებ. ეს უკანასკნელი მოვლენაც საბოლოო ანგარიშით სიტყვის მნიშვნელობათა ფუნქციურ ცვლამდის მიდის. ცხადია, რომ მეტყველების განვითარების პირველ საფეხურზე ადამიანის სალაპარაკო ლექსიკონი მეტისმეტად ღარიბი იყო. ერთსა და იმავე ფორმას მაშინ ჰქონდა რიგი მნიშვნელობათა (პოლისემანტიზმი), წარმოადგენდა როგორც სახელს, ისევე ზმნას, დამატებას და ა. შ. აკად. ი. შეჩინოვის აზრით, გვაროვნული წყობილების ხალხებში „Каждое слово обозначается в его принадлежности“.<sup>1</sup> იქ არის არა უბრალო ხე, როგორც ზოგადი გაგება, არამედ მოიპოვება კონკრეტული ხე, არ არის განყენებული უბრალო ზმნა, არ არის განუსაზღვრელი კილო, ზმნის თითოეული ფორმა კონკრეტდება თავისი პირის მიხედვით. ხშირად ამასვე განიცდის საგანიც, რომლისკენაც მიმართულია მოქმედება.<sup>2</sup> ერთი სიტყვით: მაშინდელი ადამიანის აზროვნება კონკრეტულია და არა აბსტრაქტული. დღეს, როცა ერთმანეთს ვადარებთ ერთი და იმავე ბგერათა კომპლექსით წარმოდგენილ, მნიშვნელობით განსხვავებულ, ორ ან მეტ სიტყვას, ვერც კი ვამჩნევთ მათ შორის არსებულ რაიმე კავშირს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი კავშირი თითქოს არასდროს არსებულა, ახლა მათ შორის თვალნათლივი კავშირი გაწყვეტილია, რადგან ენის განვითარებამ იგი ასე მოიტანა ჩვენამდის, მაგრამ გენეტიკურად ასეთი კავშირი არსებობს.

ცნობილი ქართული სიტყვა, მაგალითად, ბეღელი, რომელიც სახელოვანი ლექსიკოგრაფიის საბა ორბელიანის მიხედვით „ფქვლისა და ზუარბლის დასამარხავია“ (იხ. ქართული ლექსიკ., 39), ამავე დროს იხმარება 22 საპალნე ახლილი ყაერის აღსანიშნავად. ახლა ბეღელი სხვა შინაარსს გამოხატავს: „წითელი ბეღელი“, „საკოლმეურნეო ბეღელი“, ე. ი. საკოლმეურნეო დოვლათის საწყობს მიუთითებს. ამასვე უკავშირდება ზმნა: ბეღლვი ან საგეოგრაფიო სახელწოდება ნაბეღლავიც. მეორე სიტყვა: გურგული ან გურგული დასავლეთის რამდენიმე კილოში ნიშნავს „შექაქუბილს“, აღმოსავლეთ მთიელებისათვის კი, „დიდი ცეცხლის გუზგუზსა“ ან „ბურის გულს“;<sup>3</sup> ჩხატავი ჩვეულებრივ ფრინველის სახელწოდებაა, მაგრამ იმავე დროს იგი ერთერთი თევზის სახელიცაა (იხ. საბა, ქართ. ლექსიკ., გვ. 413). ერთი შეხედვით, ამ სიტყვების რამდენიმე მნიშვნელობას შორის თითქოს არავითარი კავშირი არ არსებობს, მაგრამ თუ მათი განვითარების

<sup>1</sup> И. И. Мещанинов, Язык и мышление в доклассовом обществе, ПИДО, ГАИМК, № 9—10, Л-град, 1934, გვ. 41.

<sup>2</sup> И. И. Мещанинов, დასახ. თხზ., გვ. 41.

<sup>3</sup> თ. რაზიკაშვილი, ქართული ენის საუნჯის მასალა, „ივერია“, № 129, 1900; ან: ი. კუციბია, სიტყვის კონა, МЯЯ, 1, СПб., 1910, გვ. 14.

ისტორიას ვავითვალისწინებთ, ასეთი კავშირი საკმარისი სიაშკარავით აღმოჩნდება.

ავილოთ, თუ გნებავთ, გავრცელებული ხალხური ლექსი:

კამეჩმა ზაქი მოიგო  
ურქო, უყუღო, უყუროო!  
ის რომ უღელში შეება,  
უნდა დაჯდე და უყურო!

ქართული  
ენათმეცნიერება

ამ ლექსის მეორე და მეოთხე სტრიქონებში გართობული სიტყვები „უყურო“ ერთნაირი ბგერითი შემადგენლობითაა გადმოცემული, მაგრამ ბგერითი შემადგენლობის ამ ერთგვარობამ ხელი არ შეუშალა, რომ გამოხატულიყო სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა. მართლაც მეორე სტრიქონში „უყურო“ ნიშნავს, „ყურის უქონელს“, „სმენისორგანო მოკლებულს“, მეოთხე სტრიქონში კი „უყურო“ გამოხატავს „ცქერას“, „მზერას“. ამნაირად აქ ორივე შტობჯევაში მოხსენებულია სმენის ორგანოს, ყურის სახელწოდება, მაგრამ გამოხატულია თვალიც, რადგან ცქერაზეა ლაპარაკი.

რა შუაშია ყური, როცა აქ თვალზეა ლაპარაკი? საქმე ისაა, რომ, როგორც ნ. მარრის მოძღვრებიდან ვიცით, უწინდელ ადამიანს თვალისა და ყურის აღსანიშნავად ერთი სახელწოდება გააჩნდა. შემდეგ მან მოახდინა ამ ორი ცნების დიფერენციაცია, თვალი სახელწოდებით განსხვავდა ყურისაგან, მაგრამ ხალხურ მეტყველებაში ეს მომენტი მაინც დარჩა და ჩვენამდის მოიტანა უძველესი მეტყველების ეს უღირესად მნიშვნელოვანი თავისებურება.

უფრო მეტ უცნაურობას ეხვედებით ზოგიერთ სხვა ქართულ ტერმინზე დაკვირვებისას. მაგალითად, გვაქვს ტერმინები ყვაევი და ცხენი. პირველი ფრინველია, მეორე კი ცხოველი. მაგრამ გვხვდება აგრეთვე მცენარეულობისა და ბალახეულობის მთელი რიგი სახელწოდებები, რომლებსაც აწარმოებს ყვაევი და ცხენი. ასეთებია: 1. ყვაეისკულა (ბალ.), ყვაეის-ჭანგა (ბალ.), ყვაეის-ხმალა (ბალ.), ყვაეის-ტყემალა (ხე); 2. ცხენის-კბილა (ბალ.), ცხენის-ოფლა (ბალ.), ცხენის-წაბლა (ხე), ცხენის-ძუძუა (ხე) ან კიდევ: 3. ხარის-ძირა, (ბალ.) ხარის-კბილა (ბალ.), 4. ტრიეს-კულა (ბალ.) ტრიე-ციყვი და მრავალი სხვა.

რა შუაშია აქ ყვაევი და ცხენი, ან ხარი და ციყვი? არც ერთ ამ მცენარეს ხომ არავითარი კავშირი არა აქვს ყვაეთან და ჩამოთვლილ ცხოველებთან. პალეონტოლოგიური მეთოდით შეიარაღებული მკვლევარი ამ ტერმინების წარმოშობას სწორედ იმ ფუნქციური სემანტიკით ახსნის, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

როცა მსჯელობა პირვანდელი ადამიანის მეტყველების შესახებ წარმოებს, იმთავითვე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მაშინდელი მოლაპარაკე კოლექტივი მშვენივრად ახერხებდა რამდენიმე მომიჯნე ცნების ერთი სიტყვით გამოთქმას. „პირვანდელ ენას, ამბობს ნ. მარრი, არც ესაჭიროებოდა სიტყვების სიმრავლე იმიტომაც, რომ ერთი სიტყვით პირვანდელი ადამიანი ჩვენი ლოგიკური აზროვნებით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგნის გამოხატვას ახერხებდა. კაცობრიობის შემდეგ მოვლენილ განვითარების ხანებში სიტყვის შექმნის ამ პირვანდელ სისტემას მოჰყვა ის, რომ, როგორც იაფეტუ-

რი პალეონტოლოგია გვიჩვენებს, ერთი სიტყვა ათას, ათი ათას სხვადასხვა საგნის აღმნიშვნელი გამოდის“.<sup>1</sup>

ცალკეულ ენათა სინტაქსზე დაკვირვება ბევრ საინტერესო მასალას გვაწვდის უძველესი ენობრივი ნორმების შესასწავლად. პალეოაზიურ ენებიდან, მაგალითად, ალექუტურ (უნანგანურ) ენაში არ არის ფორმალური გარჩევა სახელსა და ზმნას შორის. აკად. ი. მეშჩანინოვის მოწმობით, ალექუტურში თითქმის ყველა გრამატიკული ელემენტი, რომელიც შედის ზმნაში, შეიძლება შევიდეს აგრეთვე სახელთა წარმოებაშიაც. ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად ზმნა თუ ყოველთვის არ გაირჩევა სახელისაგან, ალექუტური მეტყველების თანამედროვე მდგომარეობაში ასეთი განსხვავება შინაარსის მიხედვით უძველესად მოიპოება. ამიტომ ზმნა წინადადებაში გაირჩევა არა თავისი ფორმით, არამედ სინტაქსურად.<sup>2</sup>

მაგალითად, ალექუტურში გვაქვს სიტყვა iqya-h, რაც ნიშნავს ბაიდარკას. როცა საჭიროა გამოითქვას ფრაზა: „იგი აკეთებს ბაიდარკას“ მივიღებთ შემდეგ ფორმას: iqya-si-ku-h, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ბაიდარკაკეთება-ახლა-იგი (იგი აკეთებს ბაიდარკას). iqya-h-ში h არის სახელობითი ბრუნვის მაჩვენებელი ფორმატი. მთელი სახელი დგას სახელობით ბრუნვაში. მეორე მაგალითში si არის მოქმედების აღმნიშვნელი ელემენტი, ku — დროს, ხოლო ფორმატი h ახლა ლებულობს მესამე პირის დაბოლოების ფუნქციას.<sup>3</sup> პირველ მაგალითში კი იგივე ნიშანი ბრუნვის მაჩვენებლად გვევლინებოდა.

ალექუტური ენის მსგავსი მოვლენა ქართულშიცა გვაქვს. რასაკვირველია, ქართული ენა არჩევს სახელსა და ზმნას როგორც შინაარსეულად, ისე ფორმის მიხედვითაც, მაგრამ ქართული ენის ერთ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მას შეუძლია ზმნის ფორმების წარმოება სახელის ძირიდან და პირიქით: სახელის წარმოება ზმნის ძირიდან. ამდენად სახელიცა და ზმნაც მკაცრად არ სხვაედებიან ერთმანეთისაგან. სალაპარაკო ხალხური მეტყველებაცა და ლიტერატურული ენაც ხშირად სახელიდან აწარმოებს ზმნას: კაცი — ვ-კაცობ, ქალი — ვ-ქალობ, მუშა — ვ-მუშაობ, კაცი — ვ-კაცობ, ფოლადი — ვ-ფოლადობ, შვილი — ვ-შვილობ, წიგნი — ვ-წიგნობ, კორესპონდენტი — ვ-კორესპონდენტობ, მზე — ვ-მზეობ, მეომარი — ვ-მეომრობ, ბატონი — ვ-ბატონობ.

ცნობილია რუსთველის აფორიზმი:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს,  
მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს...“

ზმნის ძირები: წერა, კითხვა, სმა, მკა, ხატვა, ჰამა, ჰრა... იმავე დროს სახელებიცაა. შინაარსით ისინი ზმნის ფორმებია, მაგრამ მეტყველების პროცესში აგრეთვე სახელის როლსაც ასრულებენ (შდრ. „წერამ დამლალა“, „კითხვას მოეუნდი“, „მკის დრო დამთავრდა“, „სმას თავი დაეანებე“, „ხატვას ესწავლობ“, „ჰამად გადაიქცა“, „შეველდექი ჰრას“...). ეს მოვლენა, რა თქმა

<sup>1</sup> ნ. შარტი, ქართ. ერის კულტ. შუბლი ენათმეცნ. მიხედვით, „მნათობი“, № 5 (13), 1925, გვ. 297.

<sup>2</sup> И. И. Мещанинов, Новое учение о языке, Л.—град, 1936, გვ. 62—63.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 63.

უნდა, ქართულის სპეციფიკური თვისება არ არის. იგივე პროცესი ზდება მთელ რიგ სხვა ენებშიაც.

ინდივიდმა როცა მან თავისი თავი შეიცნო, დაუპირისპირდა მეორეს, ე. ი. პირველი პირი დადგა მეორე პირის პირდაპირ (მე და არა შექმნილად) შესამე პირი თავისი ნაცვალსახელით (ის, ი გ ი) გააზრებულია *სიტყვის* ცენტრი-ვიდუალური.

ძველი ლინგვისტური სკოლისათვის გაუგებარი დარჩა ე. წ. უპირო ზმნების საკითხი. გამონაკლისად და უკანონოდ იქნა აღიარებული ზმნები: ქართ. წვიმს, რუს. „меня лихорадит“, ფრანგ. „il fait chaud“, — „მატებებს“, ფრანგ. „il pleut“, გერმ. „es regnet“ — „ის ასხამს ციდან“. სკოლასტიკური გრამატიკა ამათ უპიროვებად თვლიდა. ნ. მარის აზრით, ეს ზმნები პირიანე-ბია და იქ გამოხატულია „სუბიექტური პირი „ის“ (он, она, оно), ოდესღაც საწარმოო ტოტემი: „რუსულ ზმნაში „меня лихорадит“ — ესაა უძღურების სული, ფრანგულ ზმნაშივე „il fait chaud“ — „ატებებს“, ესაა — „მზე-ღმერთი“ (le soleil), და ფრანგულ ზმნაშივე „il pleut“, როგორც გერმანულ ზმნაში „es regnet“, „ის (ღმერთი-ცა) ასხამს წყალს“, — ესაა „ღმერთი-ცა“, ესაა — მემკვიდრეობა კაცობრიობის ნამდვილი პირველყოფილი ყოფისა, ამასთან ერთი ეპოქისა კი არა, სხვადასხვა ეპოქისა, როცა კაცობრიობა დარწმუნებული იყო, როგორც ახლა ვიტყვით, ჯერ კიდევ სწამდა, რომ ავადმყოფობას აჩენენ და ამინდს აყენებენ განსაკუთრებული სულები, ღვთაებები და სხვა ფეტ-შები.“<sup>1</sup>

ამნაირად, ასეთი ზმნების სპეციფიკური მხარე მათ „უპირობასა“ და „უკანონობაში“ კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ თავისებურია შესამე პირის წარმოშობა. ნ. მარის სამართლიანად ამბობს, რომ „შესამე პირი არ არის შესამე პირი, ესაა — ტოტემი მოქმედებისა.“<sup>2</sup>

ძველი ლინგვისტური აზროვნების მიხედვით, ნეოგრამატიკოსთა გამოუყლებლადაც, „სიტყვა წარმოდგენების სიმბოლოა“, „სიტყვის მნიშვნელობას წარმოდგენები ქმნიან“; სიტყვა იცვლება იმასთან შეფარდებით, თუ რა ცვლილებებს განიცდის ადამიანის წარმოდგენა და ასე შემდეგ. მეთოდოლოგიური ფორმალიზმიც ამ მხრით უცქერის სიტყვის მნიშვნელობას. XIX საუკუნის შედარებითი ენათმეცნიერება ამის აღიარებით ანტიკური მატერიალიზმის დაბ-ლადაც კი აღმოჩნდა. ანტიკური მატერიალზმი სიტყვის მნიშვნელობას არ ეძებს ადამიანის ცნობიერებაში. ანტიკური მატერიალიზმის უდიდესი წარმომადგენ-ლები ბევრს ლაპარაკობდნენ ადამიანის წარმოდგენებზე, „გონების ფრთავაშ-ლილ ფრენაზე“, მაგრამ მატერიალური ცხოვრების რეალობა მათ არ უარყვი-თ. არისტოტელე, მაგალითად, პირდაპირ ამბობდა, ყოველგვარ სიტ-ყვას, ყოველგვარ წინადადებას განსაზღვრული მნიშვნელობა გააჩნიაო. მართა-ლია, არისტოტელე ამ მნიშვნელობას შეთანხმებით ხსნიდა, მაგრამ იგი არა-სოდეს მისულა სიტყვის მნიშვნელობითი მხარის გაუთვალისწინებლობამდის. არისტოტელეს გაგებით, ყველა სხვა ცხოველებიდან მხოლოდ ადამიანია შე-

<sup>1</sup> ნ. მარის, ენა და აზროვნება, გვ. 5—6.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, О лингвистической поездке в Восточное средиземноморье, Л.-град, 1934, გვ. 128.

იარაღებული მეტყველებით, ხოლო მეტყველება, საკუთრივ წინადადება, პირველყოვლისა, მნიშვნელობის, შინაარსის მქონეა. ყოველ წინადადებას, არისტოტელეს აზრით, გააჩნია მნიშვნელობა და ეს მნიშვნელობა მას ურთიერთ შეთანხმების გზითა აქვს მიღებული.

სიტყვა რომ წარმოდგენების სიმბოლო იყოს, ან სიტყვის მნიშვნელობას ადამიანის მარტოდენ წარმოდგენები რომ ქმნიდეს, მაშინ მეტყველი კოლექტივის წევრები ერთმანეთს ვერაფერს გააგებინებდნენ და მეტყველებაც შეუძლებელი იქნებოდა. ცალკეულ ადამიანს საგანსა და მოვლენაზე, სინამდვილის თითოეულ სახეობაზე, განსხვავებული ინდივიდუალური შეხედულება აქვს. თვით ცალკეულ სიტყვასაც ოდნავი განსხვავებით მაინც გამოთქვამს თითოეული ინდივიდი; განსაზღვრული საწარმოო კოლექტივები ხომ ზოგჯერ სიტყვას სრულიად განსხვავებულად ხმარობენ, მაგრამ გარკვეულობა და სიცხადე მაინც არსებობს. მთლიანი შეხედულება საგნის გაგებაზე საფუძველს აქვს ინდივიდუალურს, და ამის გამო მარტოდენ ადამიანის წარმოდგენა ვერასოდეს შექმნის სიტყვის მნიშვნელობას. მნიშვნელობა სიტყვის მატერიალური ძალაა, რომელიც შეუძლებელია მხოლოდ წარმოდგენაში არსებობდეს. ძველი ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლები სიტყვას აცლიდნენ სოციალურ შინაარსს და სიტყვის ახსნის შესაძლებლობას ეძებდნენ სოციალური სინამდვილის მიღმა, ადამიანის წარმოდგენებსა და ილუზიებში. ასეთი შეხედულება, რა თქმა უნდა, ენისა და აზროვნების გათიშვის თეზისის წამოყენებით იკვებებოდა.

სიტყვის მნიშვნელობას, პირველყოვლისა, ობიექტური სინამდვილე განსაღვრავს. სიტყვა ამ ობიექტური სინამდვილის პროდუქტია, მისი კონკრეტული ნაწილია. ცალკეული საგანი, მოვლენა, რაოდენობა, თვისება თუ მოქმედება გარკვეული სიტყვით გამოისახება, თითოეული სიტყვა სინამდვილის ამ სახეობათა რომელიმე ნაწილს განეკუთვნება. ე. ი. სიტყვა ობიექტური სინამდვილის რომელიმე კონკრეტული ნაწილის რეალური გამოხატულებაა, და არა წარმოდგენათა სიმბოლო, ან სიმბოლოთა ჯამი. ნ. მარტი ამბობდა: „ენის ახალი მოძღვრება იაფეტური თეორიით უპირველესად ყოვლისა დამყარებულია აღმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებაზე ჯერ მეტყველების შემდეგ სიტყვებისა, როგორც სოციალური დიობულებისა; ისინი წარმონაშობია საწარმოო ურთიერთობებისა თავის დიექტიკური განვითარების პროცესში და გაფორმებულია სათანადო სტადიების აზროვნების მიერ“.<sup>1</sup>

აქ აშკარად ჩანს ახალი ენათმეცნიერების და ძველი ლინგვისტური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებების პრინციპული სხვაობა. წინააღმდეგ შედარებითი ენათმეცნიერების მტკიცებისა, ახალი ენათმეცნიერება სიტყვას არ აშორებს სოციალურ ღირებულებას. მისთვის სიტყვის განსაზღვრებაში სოციალური ფაქტორი გადაწყვეტ როლს თამაშობს. როგორც ენა, ისე აზროვნება მატერიალურ ბაზასთან ინახავს უწყვეტ კავშირს. სიტყვის წარმო-

<sup>1</sup> ნ. მარტი, ენა და აზროვნება, გვ. 27; ან მისივე: Язык и Современность, Л.-град; 1932, გვ. 13.

წილის ისტორიასაც გენეტიკური ძირები მატერიალურ ბაზისში მოკვება და არა წარმოდგენებში.

ნ. მარომა დაამუშავა ენის დიალექტიკის თეორია. მათემატიკულ-ლენინური თეორიის გრანტიის საფუძველზე მან ააშენა ახალი ენათმეცნიერება. რომელიც ენობრივი მშენებლობის თითქმის ყველა თვალსაზრისით პრაქტიკულ საკითხზე იძლევა მართებულ შეთოდოლოგიურ პასუხს. ახალი ენათმეცნიერების მიხედვით, ცალკეული ენა მთლიანად გლოტოგონიური პროცესის თანაბარი მონაწილეა, ენა—იდეოლოგიური ზედნაშენია, ისევე როგორც აზროვნება. სიტყვათმომქმედებაში ახალი ენათმეცნიერება ხედავს სტადიურ განვითარებას. მისი დასკვნებით საგანი სახელწოდებას იღებს საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებაში განსაზღვრული ფუნქციის შესრულების მიხედვით. ენის განვითარების საკითხში ახალი ენათმეცნიერება ემყარება მეცნიერული კომუნიზმის ბრძენი ბელადის დიდი სტალინის გენიალურ შეხედულებას, რომელიც მან განავითარა პარტიის XVI ყრილობაზე. „რაც შეეხება ნაციონალური კულტურებისა და ნაციონალური ენების უფრო შორეულ პერსპექტივას, ამბობს ამხანაგი სტალინი, მე ყოველთვის იმ ლენინურ აზრს ვადეკი და ახლაც ვადგევარ, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როდესაც სოციალიზმი განმტკიცდება და შევა ყოფაცხოვრებაში, ნაციონალური ენები აუცილებლად უნდა შეერთდნენ ერთ საყოველთაო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაღაც ახალი ენა“.<sup>1</sup>

ახალი ენათმეცნიერების მთელი კვლევა-ძიების პრაქტიკა მიმართულია იქითკენ, რომ კიდევ უფრო აყვავდეს და გაიფურჩქნოს დიად საბჭოთა ოჯახში შემავალი ყველა ხალხის ნაციონალური ენა და კულტურა, იგი სწავლობს და დამწერლობას უქმნის მეფის კოლონიური ბატონობის დროს დაჩაგრულ ხალხთა ენებს, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით გაუხსნა განვითარებისა და თავისი შემოქმედებითი ძალების გამომჟღავნების უფართოესი პორიზონტი. ახალი ენათმეცნიერების მიღწევები ეს არის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების შესახებ სტალინური ლოზუნგის განხორციელებისათვის ბრძოლის ბრწყინვალე ფურცლები.

ნ. მარომა მდიდარი ლინგვისტური მონაცემებით ნათელჰყო, რომ ენის განვითარებას დასაბამი არ ეძლევა ერთი ე. წ. პრეენიდან, რომელიც, შედარებითი ენათმეცნიერების თეორეტიკოსთა დასკვნებით, მომდინარეობს ე. წ. პრესამშობლოდან. ნ. მაროს სჯეროდა, რომ „ამაო კულტურის პრესამშობლოს ყოფილგვარი ძიება. იგი ისევე არ ყოფილა, როგორც არ ყოფილა თავდაპირველად სამოთხე, როგორც არ ყოფილა ღმერთი. სადაც ეძებენ პრესამშობლოს, იქ მხოლოდ ცარიელი ადგილია“.<sup>2</sup> ენის განვითარება არის რთული პროცესი, პირველად ენის მრავლობიდან ენათა ერთიანობისკენ მომავალ კომუნისტურ სა-

<sup>1</sup> ი. სტალინი, ლენინის საკითხ., ტფ., 1933, გვ. 668—669, კურსიე ამხანაგი სტალინისაა. ა. ლ.

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Значение и роль изучения наименьшинства в краеведении, Избр. раб., т. 1, Ленинград, 1933, გვ. 241.

ზოგადობაში. ყოველივე ამით იაფეტური ენათმეცნიერება არის სრულყოფილ ახალი დისციპლინა, საბჭოთა მოწინავე მეცნიერება, რომელიც შორს იტოვებს ენის ბურჟუაზიული „სწავლულების“ თეორიებს და მარქსისტულ-ლენინური თეორიის ნათელი აზრები შეიარაღებული მიიკვლევს გზას ადამიანის მსოფლიოების ყოველნაირი გამომქვანების ზუსტი და მეცნიერების უკანანქნელი სიტყვის მიხედვით შესწავლისაკენ. 1929 წელს გამოცემულ შრომაში, „Актуальные проблемы и очередные задачи яФетическ. теории“, ნ. მარჩი სრულიად სამართლიანად ამბობდა: „იაფეტური თეორიის წმინდა ლინგვისტურ მიღწევათა ძირითადი სფერო — ეს არის სემანტიკა და პალეონტოლოგია. საკითხი მდგომარეობს ახლა ტერმინთა სიახლეში, არამედ იმის სიახლეში, რაც ფაქტურ მასალათა ზეგავლენით უკვე შეტანილია მათ ვაგებაში, ე. ი. საკითხი დგას მათი რეალური შინაარსის შესახებ. ეს არის სიტყვების მნიშვნელობათა უაღრესად კანონზომიერი ცვალებადობა და თითოეული მათგანის უაღრესად კანონზომიერი დადგენა არა ემპირიული გზით, რაც დამოკიდებულია მათი ხმარების პრაქტიკისაგან ამა თუ იმ წრეში, ამა თუ იმ ავტორის მიერ, ან ცოტად თუ ბევრად შემთხვევითი კოლექტური სანქციით ყოფაცხოვრებაში, არამედ სამეურნეო-საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მის იმ მოთხოვნილებებთან მნიშვნელობათა დაკავშირების ნორმებით, რომლებიც კანონზომიერად იცვლება სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამასთან განუყრელად არის დაკავშირებული მეტყველების პალეონტოლოგია, რომელიც ააშკარავებს იმავე სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურის სემანტიკურ გადანაშთებს, სიტყვათწარმოების განსაკუთრებული ნორმებით თითოეული მათგანისათვის. მით იცვლება ბვერითი მეტყველების არა მარტო აზრობრივი მხარე... არამედ იცვლება სიტყვის შექმნის ტექნიკაც და მასში ისახება წარმოების ტექნიკურ მიღწევათა შეცნობა, წარმოებისა, რომელმაც მოასწრო შესაბამისად გაემდიდრებია აზროვნება და შეეცვალა იგი“.<sup>1</sup>

თავისი დაუღალავი შრომითა და მრავალი ენის ცოდნით ნ. მარჩა ენობრივი მასალებითაც დაასაბუთა, რომ კაცობრიობა თავის ისტორიას შემეცნებისა და მეტყველების წარმოშობასთან ერთად იწყებს. ეს აზრი კი საესებით გამომდინარეობს „გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქსისა და ენგელსის მიერ გამოთქმული გენიალური შეხედულებიდან: „ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება“ „ენა არის პრაქტიკული, რეალური ცნობიერება“.

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Избр. раб., т. III, Ленинград, 1934, гл. 65—66

# თელო რაზიკაშვილი

გამოცემის ხელმძღვანელი



ქართული  
გამოცემის

რაზიკაშვილითა გვიანდანი გამოსულ პოეტურ სამუშაოში თელო ღმერთის იყო. იგი ჩვენში ცნობილია უმთავრესად საბავშვო პროზის ოსტატად და ხალხური ზეპირსიტყვიერების შემსწავლელად.

თედოს შემოქმედებითი მუშაობის სტიმული იჯახმა მისცა შრომებისა და ძმების მეშვეობით თედოს გულში ჩაენერგა ქართული ლიტერატურის სიყვარული. ამასთან ერთად კი გორის სინინარიაში თედოს მასწავლებელი იყო ცნობილი ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოური, რომელიც მუდამ აქეზებდა ამ დარგში მუშაობისთვის.

თედომ ლექსების წერა ადრე დაიწყო. 1886 წელს მიეკუთვნება მისი პირველი ლექსი „მწყემსის სიმღერა“. ამ წელსვე დაუწერია მოთხრობა „ნიბლია“, რომელიც 1891 წელს დაიბეჭდა ჟურ. „ჯეჯილიში“.

თედო რაზიკაშვილი შემოქმედებითს მუშაობასთან ერთად დაუღალავად ჰკრეფავდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. თედოს მიერ ჩაწერილია 3.000 ლექსზე მეტი, 200-ზე მეტი ზღაპარი და ლეგენდა, მრავალი ცრუმორწმუნეობა, შელოცვა, ანდაზა და გამოცანა. 1909 წელს გამოვიდა ორ წიგნად თედოს მიერ შედგენილი „ხალხური ზღაპრები“. მწარლის მიერ ჩაწერილი მრავალი ხალხური ლექსი, ზღაპარი და სხვა გაბნეულია „იერიამში“, „კვალ-ში“, „ჯეჯილიში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. გასულ წელს რუსულ ენაზე სთარგ-შნეს თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ორმოცდათორმეტი ზღაპარი. ეს ზღაპრები შეტანილია წიგნში „Грузинские сказки“, (Москва, 1937 г.).

ამრიგად, მრავალმხრივი იყო თედო რაზიკაშვილის მოღვაწეობა. მაგრამ ის ჩვენში შინაც ცნობილია, როგორც შესანიშნავი საბავშვო მოთხრობების მწერალი. „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ მუდამ სიყვარულით ბეჭდავდნენ ამ მოთხრობებს. წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ ისინი მკითხველზე. ამ შრიც აღსანიშნავია „ფიარო“, „ცირკელი“, „ნიბლია“, „სვავი“, „რჭიანი“, „კოდალა“, „მურია“ და სხვა. აკაკი წერეთელი ერთ თავის წერილში („განთიადი“, — „კვალი“ № 21, 1896 წ.) დიდად აღასტბდა თედო რაზიკაშვილის ნიქსა და უნარს. აკაკი სწერდა: „ეს პატარა ბოტანიკური მოთხრობა „ფიარო“ თ. რაზიკაშვილისა, როგორც ზელოვნების მხრივ, ისე თავისი კილოთი გამტაცია ახალგაზრდა გრძნობა-გონების და იმევე დროს დიდად საგულსხშიერო დიდებისთვისაც. აქ არ გვინდა ამოვწერთ შინაარსი. რომ არ დავამახინჯოთ, ვერჩვეთ ყველას თავისთავათ წიკითხონ. აქ არის გამოხატული ჩვენი ბეჭედი და ძველთაგანვე მის გულში შემოხიზნული ერი. ეს არის ისტორია ჩვენის ცხოვრების და იმევე დროს ებრაული წინასწარმეტყველება მომავალზე. და ვინც გულდადებით წაიკითხავს, ჩვენთან ერთად იტყვის, მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენ მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოვებულია“. აღსანიშნავია თ. რაზიკაშვილის პოეტური ნაწარმოებებიც. მათში პოეტი ეროვნულ საკითხთან ერთად არკვევს სოციალურ ურთიერთობასაც საზოგადოებაში. ის მთელი თავის სიმბატით ტვირთობიშმეთა და დამაშვრალთა მხარეზე, ამ საკითხს არკვევენ თედო რაზიკაშვილის მთელი რიგი ლექსები და პოემები. „მავი ფიჭვები“, „მოსველის სიმღერა“, „სიზმარი და სინამდვილე“, „ძმანი მრავალნი“, „მურისძიების ხმა საზარელი“ და სხვა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ და რეაქციის გამაფრებამ ერთგვარი სევდა გ. შიიწვია პოეტში. ბრძოლის ველზე დაცემულ მეგობრებს იგი შემდეგი სტრიქონებით მიმართავს:

„რამდენნი მოჰყვდით სახრობელაზედ,  
ჩვენ კი საღვადიც ვერ გავითხარეთ!  
ვერ დაგიტარეთ ერთად შეყრილთა,  
საგლავზე ცრემლი ვერ დაგუაყრეთ...“



ხედავდნენ მოიცვა პოეტის, მაგრამ „შურისძიების ხმა საზარელი“ მაინც არ იქცეოდა მოსვენებას და მარადეოდ ყურში ჩასძახის მის: „აიღე სისხლი! აიღე სისხლი!“ ეს უკვე 1908 წლით არის დათარიღებული.

თედო რაზიკაშვილის შემოქმედებაში, როგორც საერთოდ „მთის მწერლების“ (ვახე, ვახტანგი, ბაჩანა) მოღვაწეობაში, ეროვნულ-გამანათლებლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი სოციალურ საკითხს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს.

1922 წლის 19 იანვარს სოფ. ხელთუბანში დღესასწაულზე თედოსა და მის ქვისლს შაქრო გაგნიძეს ჩხუბი აღუტყვეს მთვრალეებმა და თედოს დაემუტტრნენ. იმავე ღამეს სახლში მიუხდნენ და მოკლეს.

თედო დასავლეთის ხელთუბანში. ერთი თვის შემდეგ, 19 თებერვალს, სრულიად საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილების თანახმად, თედოს ნეშტი გადმოსვენებულ იქნა თბილისში. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

თედო რაზიკაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარია. საჭიროა მისი საფუძვლიანად შესწავლა და გამოცემა.

P. S. თედო რაზიკაშვილის გამოქვეყნებული ავტობიოგრაფია აღმოჩნდა მისი ძმის სანდრო რაზიკაშვილის ოჯახში, სადაც ინახება აგრეთვე თედოს და მისი ძმების (ვაჟას და ბაჩანას) რამდენიმე წერილი. აღნიშნული გამოქვეყნებული ავტობიოგრაფია დაწერილია თვით თედოს ხელით. შესდგება თორმეტი გვერდისგან. ფურცლები დაწერილია შავი მუქი შიგადაშავი თიხის შეუსწორებია ესა თუ ის ადგილი, გადაუხაზავს ისინი და წერილად ჩაუწერია სხვა. როგორც ჩანს, ავტობიოგრაფია რომელიმე რედაქციის დაკვეთით დაუწერია ავტორს. ხელნაწერისთვის თედოს თარიღი არ დაუსვამს. ყოველ შემთხვევაში იგი როგორც ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, 1906 წელზე ადრე დაწერილი არ უნდა იყოს.

აღნიშნული ხელნაწერი მეტად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად შეიძლება დაედოს თედო რაზიკაშვილი ბიოგრაფიას. იქ ყველაფერია ნათქვამი პოეტის მოღვაწეობის შესახებ ქართულ ლიტერატურაში, სახევე მოწერლობის დარგში, ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოცემის ირველივ და სხვა.

ამასთან ერთად იქ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი რაზიკაშვილთა გარემოს შესახებ. ხელნაწერი ახლებურად გვიხატავს სამი პოეტის ოჯახს.

მდიდარი მასალაა აგრეთვე წარმოდგენილი პოეტის მამისა და დედის ცხოვრების შესახებ.

ხელნაწერი მეტად საყურადღებო მომენტებს აშუქებს ვაჟას ცხოვრებაშიც.

### თედო რაზიკაშვილის გამოსაქვეყნებელი ავტობიოგრაფია

ჩარვალის წმინდაგიორგის ეკლესიის 1869 წლის წიგნებში სწერია: მთავარდიაკონის პავლე რაზიკაშვილის და შეუღლე ბარბარეს (გულქანს) ეყოლიათ ვაჟი თედორე, დაიბადა 1-ლ ნოემბერს და მოინათლა მ-საო. მაგრამ დედაჩემი იტყოდა, იმოდენა მოგნათლეთ, რომ საწყალმა შენმა ნათლია დეკანოზმა ემბაზში ვერ დაგაყენა, ფეხები ვერ მოგაკაკვინა, რო წყალში ჩაგაყენეო. მკათათვეში შეყოლე, ბადრ მთვარეზეო, მაგრამ მონათვლაში სხვანაირად დაუწერინებარო.

კარგად მახსოვს, როცა ძუძუსა ვწოვდი, უკვე მეხუთე წელში ვიყავ, ხბორებში მგზავნიდნენ, მაგრამ სანამ დედა ძუძუს არ მომაწოვებდა, არ წავიდოდი ხოლმე. ძმის შემატება (ჩემზედ უმცროსი ძმა ალექსანდრე 5 წლითაა ჩემზედ პატარა) მაშინ გავიგე, რომ ჩემს ძუძუს ხვედასავით ბიჭი მისჯდომოდა და მე ცარიელი გამომისტუმრეს. აბა შენ რო მოსწოვო, შენს ძმას რალა ეშველებო, და მეც ეს საბუთი საკმაოდ ჩათვალე, რომ ძუძუ აღარ მომეყოთხნა.

უკვე 6 წლისა ჩარვალის სკოლაში დავიარებოდი, მაგრამ ვაკეთებდი რასმე თუ არა, ეს იქიდან სჩანს, რომ ერთხელ, როცა სტრელეცკი სკოლების დი-

რექტორად იყო, მოვიდა სკოლების დასათვალისწინებლად, შევირდებს პატარა-პატარა წიგნაკები და სურათები დაურიგა სწავლის გათავების შემდეგ. მე როცა გამომეღვიძა (თურმე პარტაზედ დამძინებოდა), წინ ტახტის შემკვიდრის სურათი მედვა. მგონი, ალექსანდრე III-სა თუ უფროსი ძმისა, სტრელოცკის სახე აქნობამდე თვალწინ მიდგია. გრძელ წითელ წვერს ვაცხვავდი, ვცანცავებოდა, თავს თითქო ბუზები დაპხვევიაო, ისე იქნევდა.

ქართულ წერა-კითხვას ჩემი ძმა ნიკო მასწავლიდა და პირველად ძალიან მიჭირდა. მერე კი, მგონი, ძალიან კარგად ვსწავლობდი, რადგან ორი კვირის გასაკეთებელი წინდაწინვე ზეპირად ვისწავლეთ მე და ჩემმა ამხანაგმა კარატიელმა.

მესამე განყოფილებაში ვადამიყვანეს და დაიკეტა კიდევ ჩარგლის სკოლა. ჩემი მასწავლებელი ამ სკოლაში დათიკო როსტომიშვილი ეხლა თელავის სამხედრო საკრებულოს საქმისმწარმოებლად არის. იმის გადაყვანის შემდეგ ილიკო მათიკაშვილი დანიშნეს, ისიც მალე წავიდა და რუსი ანისიშვილი დანიშნეს — სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში. მაგრამ ამას შევირდები თვალთაც არ უნახავს. ქართულის უცოდნელ მასწავლებელს ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა, შეიღები აღარ გაგზავნა სკოლაში. მოთავე, რასაკვირველია, მამაჩემი იყო. მთავრობაც ადგა და დაკეტა სკოლა. მე დავრჩი გარეთ. ახლო-მახლოც აღარსად იყო სკოლა. არც იმდენი შეეძლო მამაჩემს, რო სადმე გავეგზავნე. ჯერ ნიკოც (ბაჩანა), მგონი შიო დავითაშვილთან იყო მაშინ. რაკი შეძლება არა გვექონდა, ნიკო ბიჭივით ემსახურებოდა შიოს და სამაგიეროდ ნახევრად კუქს უძღობდნენ და სკოლაში ატარებდნენ. მამაჩემი კი, რასაც შოულობდა და პოულობდა, სულ გიორგის უგზავნიდა, ჩემს უფროს ძმას, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა თავისუფალ მსმენელად და იქიდან ისეთს იმედებს იწერებოდა, რომ ჩამოსვლისას ტომრებით ჩამოუტანდა ბედნიერებას ყველას, ოღონდ ფული არ მოეკლო და დრო მიეცა სწავლისა.

მაშინ მამაჩემი ხევსურეთში იყო მღვდლად, სულ რაღაც 200-300 მანეთი ჰქონდა ჯამაგირი და სხვა შემოსავალი სამრევლოდან არც კაპეიკი, თუ ქერის ჯინჯილებს არ ჩავთვლით. ამ რგვალ და დაქრელებულ ჯინჯილებს კი მოიტანდა ხოლმე ხანდაბან. მახსოვს, ერთხელ შუა ზამთარში წელზედ იდვა თოვლი, წყლები გაყინული იყო და ბუქულა წისქვილები დამდგარი. მე და დედაჩემმა ზურგით ბოწახს წავიღეთ დასაფქვევად ქერი, იქ ფშაზე იყო წისქვილი აშენებული. არ ჰყინავდა. კაი ხნის მშვიფრები ვიყავით. მამაჩემი ხევსურეთში იყო. იმ ბუქულა წისქვილში ჩამოვფქვით ორიოდე ჯამის ტოლა ფქვილი და წამოვედით. მშვიერი ვარ, მეორე დღეა არა მიჭამია რა. სამი ოთხი ვერსი გვაქვს გასავლელი. მოვდივართ და დედაჩემი იმ იმედით მავიწყებს შიშხილს, აბა თოვლს და ყინვას ვინდა ჩიოდა, მამაშენი მოვიდოდა და მოიტანდა კვერბსაო, ხევსურულ ჯინჯილებს. მოველოდი, როდის გამოჩნდებოდა ჩვენი სახლი, რო ვავიგო, მოვიდა მამაჩემი თუ არა მეთქი. ამას იმით ვავიგებოდი, რომ სახლის სარკმელი გაღებული გამოჩნდებოდა მამიჩემის ოთახში.

ეპ, რალა გავაგრძელო, იმ ხანებში საშინლად ღარიბად ვცხოვრობდით, ტანზედ ბევრი არა მეცვია რა. შარვალი აბა სულ არა (ზაფხულში). 8-9 წლამდე სულ ტიტველი კარებით დავდიოდი. ზამთარში შემიკერავდნენ მსხვილი ჩითისას, აი სპარსული ჩითი, ეხლაც იყიდება თათრის ბაზარში. იგეთივე და-  
10. „წათობი“, № 7.

მატყულელი ახალუხი, ფეხებზედ ღაზლის წინდები, წინდებს ძირზედ ცხვრის, ან ხბოს ტყავი ჰქონდა გამოკერებული იგთივე ბეწვით. აბა ჭარაშენებს ვინ მალისებდა.

ზაფხულში კი შიშველა ფეხით დავდიოდა ცხვარსა ვაქაქობაში, ცოტა ისა გვეყვანდა და ცოტა თხა. მახსოვს, ისე გამამეყვებოდა, რომ ვეზებს თითები, რომ ხანჯლით დაჭრილს ჰგვანდა. მერე რა ძნელი იყო ამისთანა ფეხებით რიყეზედ, მყვლიან ნაკაფებში და ახალ ნამკლებში სიარული. რო მომაგონდება ეხლაც ერუანტელი მივლის ხოლმე ტანში. ზამთარში ისე დამისქებოდა ხოლმე ხელები, თითქო დანით დაუჭრიათო. სანამ მკასა და თიბვას შევიძლებდი, საქონში დავდიოდი, მერე კი ყველა გლახურ საქმეს ვაკეთებდი. თავის დროს კი სულ ტყესა და წყალში ვიჯექი, ისე გავიზარდე, რომ წითელი კიტაიას ახალუხი მენატრებოდა და ვერ ველირსე. ჩუსტი ხო თავის დღეში არ გვინახავს. ერთხელ კი მამაჩემმა წითელყელიანი ხარაზული წულეები მოგვიტანა. ფეხი არ ჩამდიოდა, ძაან პატარები იყო და ისე გულით მენატრებოდა იმათი ჩაცმა, რო ჩავიცვი, როგორც იყო, მაგრამ ისე მიჭერდნენ, რომ ქუსლები სულ ამავლიჯეს და მთელ ერთ ზაფხულს სულა მტკიოდა...

ორი წელიწადი დავრჩი უსწავლელი. თითქმის დამავიწყდა, რაც ვისწავლე. ქართულს კი აბა რას დავივიწყებდი! ერთ ზამთარს საქართველოს ისტორია გადავსწერე. ეს წიგნი თევდორე მღვდელს ეკუთვნოდა, მამაჩემს ეთხოვნა და რადგან ძველი გამოცემა იყო, ტყავის ყდა ჰქონდა და გასაყიდად აღარსად იპოვებოდა, მამაჩემმა შამიკვეთა, გადამიწერეთ. სხვა საქმეებიდან გამანათვისუფლა და ჩაუჯექ ამ წიგნს ზამთრის სიცივეში. ჩავდიოდი სკოლის ოთახში და იქა ვწერდი. მაშინ უკვე დაკეტილი იყო. მამაჩემმა დიდად ისიამოვნა, როცა მოვრჩი. ეხლაც მახსოვს, აჩვენებდა ხოლმე, ვინც მოუვიდოდა იმისთანა ვინმე, ვისაც წერისა გაეგებოდა რამე, ეს ჩემმა თევდორემ გადასწერაო. პირველად მაშინ წავიკითხე საქართველოს ისტორია...

სკოლაში კი აბა რას გვასწავლიდნენ? მარტო წერა-კითხვა გვასწავლეს და ის იყო და ის, მორჩა და ვათავდა, მერე სულ რუსულად გვასწავლიდნენ. სამლო წერილს და ლოცვებსაც კი არ გვასწავლიდნენ ქართულად და ბოლოს ხნობამდე სულაც არ ვიცოდი ქართული ლოცვები და მგონი, ორ-სამ ლოცვას ვარდა, არც ეხლა ვიცი.

ახლა რუსულად როგორ გვასწავლიდნენ: გაგვიკვეთავდნენ, აქედან აქამდე უნდა ისწავლოთო, და მეც ვიცოდი ზეპირად. თუ როგორ გვიხსნიდნენ რუსულს, ერთს მაგალითს მოვიყვან. „როდნოე სლოვოშია“ ერთი მოთხრობა, „უმიე ობოედათ“. მასწავლებელმა აგვიხსნა: „მოთმინება კაი საქონელიაო“. ახლა მე ვფიქრობდი ხოლმე, „უმიე“ მოთმინება იქნება და *ожидае* კაიო. ე საქონელი როგორღაა რუსულადო, ვიმტყვევდი თავს. მასწავლებელს როგორა ვკითხაუდიოთ, ეს კრიტიკა გამოვიდოდა და კარგად მივიტყაპებოდიოთ...

ორი წლის მოცდენის შემდეგ ჩემმა ძმამ ლუკამ (აწ ვაჟამ) წამიყვანა ტოლათ სოფელში, სადაც ის ახლად დანიშნეს მასწავლებლად. ეს, მგონი, 1882 წ. იყო. იქ მოგვივიდა „ბუნების კარები“. ლუკა იქ ძალიან გულიანად გვასწავლიდა ქართულს. თვითონ მაშინ ლექსებს სწერდა და მე მიკითხავდა ხოლმე. მე, რასაკვირველია, ძალიან მომწონდა ეს ლექსები, სულ ზეპირად ვიცოდი და გადაწერილიცა მქონდა. ეს ლექსები, როგორც მახსოვს, დიდი

ღირსების არ იყო, მაგრამ ჩემი ძმის დაწერილები იყვნენ და როგორ არ მოვიწონებდი. მაშინ ჯერ ხალხურ კილოზე არ სწერდა, ნიმუშები შემინდელი ლექსებისა „იმედში“ დაბეჭდილი. ლ. რ-ზ-კ-შ-ლი აწერია. მერე რომ ნიკო-მაც დაიწყო წერა ხალხურ კილოზე 1884-5 წლებში, როცა ესევე შემინდელიაში სწავლობდა, ამის შემდეგ ვაჟამაც კილო შეიცვალა.

ლუკასთან სულ ერთი წელიწადი ვიყავი, რადგან მაისში დარსკი მოვიდა სკოლის სარევიზიოდ და ლუკას საქმის გამოსაძიებლად. იჭურს მღვდელს აღნიევს დაებეჭდა „ნილილისტი“ და „სოციალისტიკა“. მახსოვს, ლუკამ კლასში არ შეუშვა ღირეკტორი, სანამ იმ ქალაქს არ მარვენებთ, რა ბრალსა მდებთო. ამას ის მოჰყვა, რომ ლუკა ადგილიდან დაითხოვეს.

ეს წელიწადი ჩემთვის დიდად ნაყოფიერი იყო. უკვე მეცამეტე წელში ვიყავ. თბილად მეცვა, კარგად ვჭამდი, საქმე არა მქონდა რა. მთელი ღამეები წიგნების კითხვას ვუნდებოდი. წინათაც ბევრი მქონდა წაკითხული ქართული წიგნი, რადგან მამაჩემი ახლად გამოსულ წიგნს უეჭველად იყიდდა და დიდი ღრესასწაულიც იყო იმისთვის ქართული წიგნის გამოსვლა. ახირებული მოყვარული იყო სამშობლო მწიგნობრობისა. ვინც იმის მსჯელობას გაიგონებდა, იფიჭრებდა, ყოველმხრივ განათლებულ და ღრმად განსწავლულ მეცნიერთანა მაქვს საქმე და არა უბრალო სოფლის მღვდელთანო. აკი არც არავინ ვისურვეთ სასულიერო წოდებაში დარჩენა...

ჩემს ძმას გაზეთებიც მოსდიოდა და ამან ხომ სულ ვადაბრია. როგორც მწყურვალე წყალს, ისე ვეწაფებოდი წიგნებს და გაზეთებს. არ გამიშვია მას აქეთ ვადუწერავი, სადაც რამ ლექსი დაბეჭდილია ან პოემა ჩვენი პოეტებისა. ეს რვეულები ისევა მაქვს შენახილი და თითქმის 1890 წლამდე უღწევს.

ამეამად ნიკოც სახელმწიფოდ მიიღეს, ლუკაზედაც აღარა ეხარჯებოდა რა მამაჩემს და ჩვენი შინაური საქმეები ცოტა გამოკეთდა. მუცელი გაგვიძლია. ჩემთვისაც მოიკალა მამაჩემმა. ამ წლის მარიაშობის თვეში ნიკოს გამატანა მამაჩემმა. იქ ეკზამენი დავიჭირე სემინარიასთან არსებულ რუსების სკოლის უკანასკნელ განყოფილებაში. სახლის პატრონს თუმანს ვაძლედი თვეში და ტანისამოსისათვის ფული აღარ მქონდა. მთელი ზამთარი დაგლეჯილი ჩუსტებით და საზაფხულო ჩითის ბლუზით დავიარებოდი. ახლა სახლის პატრონიც მკვახე კომშით გვიმასპინძლებოდა. ველარ ავიტანე, დამაწყებიანა ციება და მთელი რვა თვე მაცია. წამლის ფულიც არ მქონდა. ჩემი ძმა თავის სახელზედ ართმევდა სემინარიის აფთიაქიდან წამლებს და იმას მასმევდა.

ბოლოს, როგორც იყო, მოვიშორე, მაგრამ ძალიან დამაძაბუნა და მამაცდინა. მაინც სემინარიის უფროს მოსამზადებელ კლასში დავიჭირე ეკზამენი. ეხლა იმედი იყო, რომ წინ წავიდოდი და სახელმწიფოდაც მიმიღებდნენ შემდეგ კლასებიდან, თუ კარგად ვისწავლიდი.

იმ ზამთარსაც ბევრი სიცივე ვიგევე. სამაგიეროდ სახლის პატრონს 7 მანეთზე მეტს აღარ ვაძლედი. თან ჩემი ძმის ამხანაგმა თათარმა კაჩარლისსკიმ (ეხლა იმავე სემინარიაში სამლოო წერილს და თათრულ ენებს ასწავლის) ერთი სიძველით გამწვანებული პალტო მარქა. სწორედ გაზაფხულზედ რომ მწვანე ყივო ამოვა, ისეთი იყო, და თან ფეხებამდე მეთრეოდა. უეჭველია, თავიდან ფეხებამდე მწვანე პალტოს ძველში გახვეული სასაცილო რამ ვიქნებოდი, მაგრამ ამას ვინა ჩიოდა, თუ ზურგი თბილად მექნებოდა. ჩემი ძმა ამ

წელს ათავებდა. ბედად იანვრის შემდეგ ნიკოს ახალი პალტო შეუკრა სემინარიის მთავრობამ. მეო, ძმო, სახამთრო ბლუზითაც კარგად გამოვყო ოლოსაო და თავისი ჯერ ჩაუცმელი პალტო მე გადმომიფეშქაშა. ამ კლასიდან უფროს მოსამზადებელში გადაველ და მიმიღეს კიდევ სახელმწიფო სწავლებელი. ნიკოს მოცემული პალტო ეხლა მე ჩემს ძმობილს შიოს (მღვინელს) გადავულოცე. არც ის იყო ჩემზე კაი დღეში.

სემინარია გავათავე 1889 წ-ს. არსად კლასში არ დავრჩენილვარ, უეცრად მინოდ გადავდიოდი პირველ კლასის შემდეგ. და ვათავებითაც (პირველმა) საუკეთესო მოწაფედ გავათავე.

ერთ წელიწადს უადგილოდ დავრჩი, რადგან დარსკიმ, როცა ვათავებდით, მაშინვე გამომიცხადა, რომ შენ ადგილს ვერ მოგცემთ, თქვენ ისეთი გვარისა ხართო... 1890 წელს ქართ. შორის წ-კ. გამავრც. საზოგადოებამ დამნიშნა ხელთუბნის სკოლის მასწავლებლად, სადაც დავყავ 1905 წლის 11 თბათვემდე. ამ რიცხვიდან მთავრობამ დაკეტა სკოლაც და მეც დამითხოვეს.

ადმინისტრაციის განკარგულებით 12 ენკენისთვის დამიჭირეს და ოლონეცკის გუბერნიაში სამუდამოდ გადასახლება გადამიწყვიტეს. და გამგზავნეს. კიდევ. საიდანაც მანიფესტის შემდეგ დაებრუნდი.

იანვრის ოცდასამში ისევ მომიკითხეს. მაგრამ, რაკი ადრევე თავი ვაგარიდე, სახლ-კარი დამინგრის ზარბაზნებით და მერე დაწვეს, ვითომ ასე ამოფხვრეს ჩემში მთავრობისადმი მრავალწლოებით გულში ჩამარბული მძულვარება და ზიზღი.

დედაჩემი მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო. უბრალო რამეს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგვცემდა, რომ იხიბებოდა მსმენელი. ის რო დევებზედ ან ეშმაკებზედ, მოჯალაფეებზე დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯალაფეებულს არა არსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი მნახველ-გამგონედ მეჩვენებოდა. იცოდა აუარებელი ლექსი და ზღაპარი, ცალკე კაცთა და ქალთა ცხოვრება, ლეგენდები და ამბები ჩვენს მეფეებზედ, უფრო თამარზე და ერეკლეზე. წაკითხულ-გაგონილსაც თავის გემოვნებაზედ გადააკეთებდა და თავისი სასიამოვნო ხმით გვიზუზუნებდა. როცა გვიამბობდა რამე სამწუხარო ამბებს, თანა ტროდა ხოლმე (თვითონ წერაკითხვა არ იცოდა). იყო ბუნებით პოეტი. იმისი ბიძა იყო ძალზე განთქმული ფშაველი მოლექსე პარასკევა. ჯერ იმაზე კაი მოლექსეს ფშავში არ იტყვიან. მშვიდობისმოყვარე და უკიდურესობამდე გულკეთილი და უხვი, მოუღალავე მშრომელი და მოყვარული. არ მახსოვს, რომ ჩემს სიცოცხლეში გავგვჯავრებოდეს ვისმე, თუმცა მამაჩემი კი გულფიცხი და მჯავრომი იყო. დიდი გავლენა ჰქონდა დედაჩემს ჩემზედ. მე სულ იმასთან ვიყავი 16-17 წლამდე. მიღებული გვქონდა, ქალები და ბალები ცალკე ოთახში იყვნენ ხოლმე და კაცები ცალკე. მე სულ დედაჩემთან ვიყავი.

გავლენა ჰქონდა თვით ოჯახსაც, მამაჩემი დიდი თაყვანისმცემელი იყო ჩენი პოეტ-მწერლებისა, აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზედ უდიდეს მოვალეობად მიიჩნდა. გვიამბობდა მთების პიროფლიანებზე, აგვიწერდა პოეტურად იმათ ღვაწლს და გვანატრებდა სამშობლოსთვის თავდადებას. „გეფხის-ტყაოსანი“, გურამიშვილის ლექსები, ი. ქავჭავაძის „ღმერთი თავდადებული“ ზეპირად იცოდა, ზეპირად იცოდნენ ჩვენმა ბიძა-

ბიძაშვილებმაც, რომლებიც მუდამ კვირა დღეს იყრიდნენ ჩვენსა თავს, კითხულობდნენ და ზოგიც ფანდურზე დაჰმღეროდა.

ეს ფანდურის ხმა ხიბლავს კაცს, აჯადოვებს და ატყუებს ადამიანებს გულში გრძობათა ცეცხლს, თუ კი სუ გაპირუტყვებულს ~~არაფრის~~ ვაქი. და როცა ისმენ დიდებული კაცის სიტყვებს, ასეთი ალტაცებით და მოწიწებით ფანდურზედ დანამღერს, შენც წაგძლევეს ოცნება და იმ დიდებულთან სახელის განაწილებას განატრებს.

მე სულაც არა ვფიქრობდი მწერლობას. მე ვამბობდი, პოეტებად ჩემი ძმებიც კმარან, თუ კარგს რასმე შესძლენიან სამშობლოს მეთქი. მე ისეთს ვერაფერს დავწერ, რო მართლა ღირდეს და დაწერილები კი იმდენია სხვა ერების ენაზედ, რომ ისინი გადმოვითარგმნოთ, იმაზედ კარგს რას გავაკეთებ-მეთქი. აგრეთვე მივყავ ხელი ხალხური ნაწარმოებების შეკრებას. შევეკრიბე 3000-ზე მეტი ლექსი, 200-ზე მეტი ზღაპარი და ლეგენდა, მრავალი ცრუმორწმუნეობა და შელოცვა, ანდაზა და გამოცანა. ეს ამოდენა შრომა ჯერაც ქართ. წიგნების გამომცემელ ამხანაგობასთან ყრია გამოუცემელი 17 წელია.

ოჯახის გავლენას დავმატა მეტად სიმპატიური გავლენა ჩვენი ქართული ენის მასწავლებლის ნ. ლომოურისა. ამაზედ მეტი საკეთილო გავლენა არა მგონია კაცმა კაცზედ იქონიოს. ჩემი ველური ბუნება იმისმა ღვთიურმა მოქცევამ დააღბო და გააპატიოსნა. სურვილი სამშობლო ლიტერატურისთვის სამსახურისა იმან გამოიორკეცა.

დღეს უკვე ვაქცატი და ჰალარა-შერთული იმავე მოწონებას ვგრძნობ ამ ჩემთვის წმინდა კაცის მიმართ. მოთხრობების წერა სწორედ ნ. ლომოურმა დამაწყებინა და ძალიანაც მახალისებდა და მაქებდა.

პირველად დავწერე ლექსი „მწყემსის სიმღერა“ 1886 წელს. ამ წელსვე დავწერე მოთხრობა „ნიბლია“. პირველად ჩემი ლექსი „გუთნის დედის სიმღერა“ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა 1890 წელს.

ჩემი ზღაპარი „როსტომი“, ნაწყვეტი, სიტყვიერების თეორიაში ნიმუშად შეტანილი 1887 წელს, დაიბეჭდა „ივერიაში“.

საზოგადოდ „ივერია“ ლექსებს არ გვიბეჭდავდა მოწაფეებს. სწერდა მე-ათურში: ჯერ ისევ სწავლობთ და თქვენ სხვას რა უნდა ასწავლოთო.

„მეზანი ონავინი“

არსანი ლეჰსად ა. ს. კუშკინისა, თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა

შეე და უკუღმა წავიდა ის დრო, როდესაც ქართულ წიგნს მკითხველი არა ჰყავდა და მკითხველს ქართული წიგნი არ ეშოგებოდა. მართლაც და ამ რამდენისამე ათეულის წლის წინათ, უფრო ნათლად და მკაფიოდ რომ ვთქვათ, კომუნისტურ პარტიის ხელისუფლებამდე, რუსეთის მეფურ მთავრობის მტარეალობისა და სამართლიანად ყბადაღებულ შენშევიკების დროს, წელიწადში ხუთიოდე წიგნი თუ დაიბეჭდებოდა ქართულად და ქართულ მკითხველთა რიცხვი საქართველოს ამათუბე ქალაქში ათობით და ოცობითაც ძნელად მოიძებნებოდა. ცნობილია, რომ როდესაც ერთადერთს ილია ქავკავაძის დიდად გავრცელებულს ვაზეთ „ივერიის“ ხელისმომწერთა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია, მთელი რედაქცია თურმე სიხარულით ცას ეწეოდა. მოგახსენებათ, ამ ეამად ტფილისში რამდენიმე ქართული გაზეთი გამოდის, რომელთა მკითხველთ რიცხვიც ათეულ ათასობით აღირიცხება. წინათ თუ საქართველოში წელიწადში ხუთიოდე ქართული წიგნი გამოდიოდა, დედანი თუ ნათარგმნი და ისიც ჭრივად წარკვიანისა და წაქარია ჰიჭინაძის წიგნების მლაზიებში უპატრონოდ ეყარა, რადგან შედეგად არა ჰყავდა, ამეამად დღეში ათობით წიგნი გამოდის და რამდენიმე გამომცემლობა ვერ ასდის მკითხველთა მოთხოვნილებების დაქმნაყოფილებას. წინათ რომ დაბეჭდილს ნათარგმნს ნაწარმოებს იშვიათად შეხედებოდი, ეხლა მთელი ლიტერატურული სიმდიდრე რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა ქართულად ითარგმნება, იბეჭდება და ორაოდე დღეში იყიდება. ეს, რასაკვირველია, მიეწერება მას, რომ ქართული ენის სწავლება საეაღლებულთა და დიდად გავრცელებული და რომ ლენინ-სტალინის ეროვნულ პოლიტიკის წყალობით, ქართველთა ერმა შექმნა თავისი კულტურა, რომელიც ფორმით ნაციონალურია და შინაარსით-კი სოციალისტური და აგრეთვე იმის გამო, რომ კომუნისტური პარტია და ხელისუფლება დიდის ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდება საზოგადოდ მწერლობასა და კერძოთ მწერლებს და ყოველ მხრივ ხელს უწყობს ცოდნისა, კულტურისა, მეცნიერებისა და საერთოდ მწერლობის აყვავებასა და აღორძინებას და ცდილობს, რომ არც ერთი ადამიანი არ დარჩეს უციკობისა და უმეცრების წყვდიადის ტყვედ და ყოველ მხრივ განვითარებული და განათლებული იყოს ასეთს გარემოებაში, რაღა თქმა უნდა, ყოველი მწერალი და გამომცემელი ვინც უნდა იყოს და რა დარგსაც უნდა ემსახურებოდეს, პასუხისმგებელია და ვალდებული იზრუნოს, რომ მის მიერ დაწერილი, ნათარგმნი ან გამომცემული ყოველ მხრივ ფაქტად და უნაკლად იყოს გაეთებული, როგორც შინაარსის, ისე ენის მხრივ და არაეთიარს საყვედურსა და სამდურაეს არ იწვევდეს.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყოველივე წესიერად ხდებოდეს, თუმცა წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის საქმე ყოველად საიმედოდ დაწესებულებათ იქით რწმუნებული და მინდობილი, მანც ზოგიერთა უპასუხისმგებლო პირთა დაუდევრობით ზოგჯერ ისეთი რამ იბეჭდება, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ეს საყვედური ითქმის უფრო სიტყვა-კაზმული ლიტერატურის ნათარგმნ-ნაწარმოებთა შესახებ, რომელთაც, როგორც ეტყობა, საეამო სიფრთხილით არ ეკადებანი და შესადერ შეთვალყურებას არ უწევენ. ზოგჯერ მოხდება ზოლმე, უფარვისად შედგენილი ან ნათარგმნი წიგნი, რომელზედაც გულუხვი მთავრობა დადიდალ ქალაქდასა ხარჯავს და არც ფულს იზურებს ავტორთა და მთარგმნელთა დასაჯილოებლად, ორჯელ და სამჯერ იბეჭდება და ხალხში ვრცელდება, რასაც, რასაკვირველია, ენება მოაქვს და არა სარგებლობა.

ამ სიტყვების დასადასტურებლად და დასასურათებლად ერთს მაგალიტს დავისახებ-  
 ლებთ. 1935 წელს, როდესაც საქართველო რუსეთის გენიოს შერეალის აღმკანტრე პუშ-  
 კინის გარდაცვალების ასის წლის შესრულებას აღნიშნავდა, სახელგანთა, სტავოპოლის,  
 ქართულ ენაზე გამოცემა პუშკინის საუკეთესო ნაწარმოები „ვეგენი რენეტი“ ქართულად  
 გადმოთარგმნილი გ. ცეცხლაძის მიერ. ეს თარგმანი იმდენად სუსტი და დაუღწეველად გა-  
 ყრუებული, რომ ადამიანს უყვირს, ან გამომცემლებმა, ან რედაქტორებმა რატომ უტოვენი  
 ყურადღება არ მიჰქციეს, მით უმეტეს, რომ იგი სასწავლებლებშიაც იხმარება, როგორც  
 სწავლის ხელშეწყობი წიგნი. სამწუხაროდ ამ წიგნს, რომლის შესახებ თუ მეოთხე გამო-  
 ცემა შარშან გამოვიდა, დღემდე ჩვენს ნორჩი კრიტიკოს ყურადღება არ მიუტყვევია და თუ  
 ენმემ შემთხვევით მიჰქცია ყურადღება, ისიც ძალიან სუსტად და უყმაროდ. როდესაც თარ-  
 გმანის ავტორგანობის შესახებ აღვძრავთ ხოლმე ლაპარაკს, შეურყეველ მცნებად უნდა  
 ვთვლიდეთ იმ ტემპარტებსა, რომ ყოველმა მთარგმნელმა ყოველთ უწინარესს ორი ენა  
 უნდა იცოდეს ზედმიწევნით, ის ენა, რომლიდანაც სთარგმნის და ის, რომელზედაც სთარ-  
 გმნის. განვიხილოთ გ. ცეცხლაძის მიერ შესრულებული თარგმანი დედანიან შედარებით:  
 მაგრამ ვიდრე თვით თარგმანს შეეხებოდეთ, ჯერ აღვნიშნოთ თარგმნის ვარეგანი სახე. რო-  
 გორც მოგვხსენებათ, პუშკინის ეს ყველაზე საუკეთესო და მეტად თავისებური ნაწარმოები  
 საგანგებოდ მისთვის გამოგონილ ხანათი არის დაწერილი და თითოეული ხანა შეიცავს  
 თითხმეტ სტრიქონს. სტრიქონები თავიდან დაწყებული მოტივგებით ცხრა და რვა მარცვალს  
 შეიცავს, ხოლო რითმების მხრივ კი პირველი ოთხი სტრიქონი ჯვარედინად არის დართი-  
 მული, მეხუთე შეექცეს, მეშვიდე შერევეს, მეათე მეთორმეტეს, მეცამეტე მეთოთხმეტეს  
 ერთიმეხუთე თანამდევრად ანუ მოსაზღვრე რითმებით, ხოლო მეცხრე მეთორმეტეს ერთიმეხუთე.  
 მთარგმნელს ეს რითმების წესრიგი თითქმის შეუცვლელად დაუტოვებია, ლექსის ზომად კი  
 აქლია ამომრცვლიანი სტრიქონი, რაც სრულიად საკმარისია პუშკინის ნაწარმოების გად-  
 მოსაცემად, მაგრამ, სამწუხაროდ, არც პირველსა და არც მეორეში სიზუსტე არა აქვს და-  
 ცული. პუშკინის „ვეგენი რენეტი“-ს რვა თავი სულ დაახლოვებით ოთხას ხანას შეიცავს  
 და მთარგმნელი ლექსის ზომის ერთგვარობის დაცვას ისე დაუღებრად ეკიდება, რომ ერთის  
 თვალის გადავლებით ჩვენ სამოცდა სამი თორმეტმარცვლოვანი სტრიქონი შევნიშნეთ და  
 ვინ იცის კიდევ რამდენი გამოგვჩა. ამის დასადასტურებლად აქვე აღვნიშნავთ იმ ხანებს  
 რომანისას, რომელშიც თერთმეტმარცვლოვანი სტრიქონი ურეგია, მით უმეტეს რომ ზოგ  
 ხანაში ორი და ხანა სტრიქონიან თერთმეტმარცვლოვანი: 20/1, \* 49/1, 20/2, 22/1, 18/2, 21/2,  
 24/2, 25/2, 26/2, 24/2, 41/2, 11/2, 12/2, 17/2, 21/2, 21/2, 10/2, 16/2, 20/2, 22/2, 21/2, 25/2, 20/2,  
 22/2, 42/2, 28/2, 21/2, 16/2, 17/2, 19/2, 20/2, 22/2, 24/2, 25/2, 26/2, 27/2, 25/2, 26/2, 20/2,  
 27/2, 42/2, 45/2, 46/2, 47/2, 48/2, 49/2, 28/2, 29/2, 49/2. ამითაც არ ამოიწურება მთარ-  
 გმნელის დაუღებრობა. შეხედვებით ისეთს სტრიქონს, რომელშიაც თორმეტი მარცვლია 7/2,  
 41/2 ყველგან ისეთს გულუბნობას არ იჩენს მთარგმნელი. ნახათ ისეთს სტრიქონსაც, რომ-  
 მელშიც ცხრა მარცვლია ათის ნაცვლად 29/2, ამგვარად, სამოცდა-შვიდს შემთხვევაში  
 მთარგმნელს ლექსის ზომა აქვს დარღვეული. ამ მარცვლების ნაკლებუნებას ვილა სჩივის,  
 ზოგან მთარგმნელს სტრიქონებიც გამოუტოვებია. მაგალიტებ: რომანის მეოთხე თავში, ხანა  
 26/28, პუშკინის ჩვეულებრივი თოთხმეტი სტრიქონი აქვს, ცეცხლაძეს კი — ცამეტი, ამ ხანას  
 აქლია პუშკინის მერვე სტრიქონი: „Уединение, тишина“. ამას გარდა მეორე თავის მე-5 ხა-  
 ნაში სრულიად გამოტოვებული აქვს ორი უკანასკნელი სტრიქონი და მისი ადგილი წერტი-  
 ლებით შეუვსია. რაც შეეხება რითმებს, მართალია, პუშკინიც თავის რომანში რითმებს ზო-  
 გან თავისუფლად ეკიდება, მაგრამ მთარგმნელს ამ მხრივ ყოველი საზღვარი გადაულახავს  
 და ბევრგან სრულიად შეუღებრებელსა და შეუწყნარებელს რითმასა ხმარობს, რომლისთა-  
 ნაც ძველად ჩვენში არც ერთს პოეტს არ უხმარია, და ვგონებთ რომ არც ერთი ახალიც არ  
 იხმარს, რადგან ასეთის რითმის ხმარება მიღებული არ არის არც ქართულსა და არც რომ-  
 მელსაზე სხვა ენაზე. მწელად ვვიჩვენებთ რუსულსა და ან სხვა ენაზე, რომ რითმის როლს  
 ასრულებდეს სიტყვის კავშირი როგორც არის, მაგალიტებ, ქართული „და“, რუსული  
 „и“, ფრანგული „et“, გერმანული „und“ და ს. ამ თარგმანში კი შეხედვებით ასეთს რით-  
 მებს: იყო და — დასტორდა 29/2, მთვარე და — აღეღარებდა 29/2, შემთხვეული და — მომეკი-

\* ამ წილადისებურ რიტმში მიიტხველი აღნიშნავს ხანას, მხოლოდ მნიშვნელი — რომანის თავს.



და, როგორც და — დედა (ტატიანას წერილიდან). <sup>21/2</sup>, მეზობლები და ჩურჩული-  
თა <sup>21/2</sup>, და ან — შორიდან <sup>20/2</sup>, ზორცი და — გამოჩნდა <sup>17/2</sup>, კელა და — აღსრულ-  
და <sup>20/2</sup>, გაეცალა და — სახტად <sup>19/2</sup>, ან და — ჩანდა <sup>20/2</sup>, აღნიშნით ის ადგილ-  
ბით, სადაც ნაცვალსახელები ეწევა რითმის მაგიერობას: ისა — გეტუნეწეწე <sup>21/2</sup> — მისი  
15/2, მყედრობისა — ისა 18/2, კი — იგი — 27/2, სიამე — მასმე 39/2, ტყუილ-  
მე 26/7, მოსკოვისაკენ — შენ 26/7, ტომების — ის 5/8, შორის — ის 6/8, ტაუებისა — ისა  
<sup>20/2</sup>, ასეთს რითმებს უნდა ერიდებოდეს არა თუ პოეტი, არამედ ყოველი ლექსის დამწერი,  
თუნდა პოეტობასაც არა ჩემულობდეს. ჩვენ ეს ადგილები საიანგებოდ მივიყვანეთ იმის და-  
სახსიათებლად, რომდენად მებინჯეს რითმოსანია — ეგვიპტი ონეგინი<sup>1</sup> — ს მთარგმნელი, თორემ  
თუ ესრა მეთადე არა, სამ შეოთხედს მისის რითმებისას შორეული მსგავსებაც არა აქვს სიმ-  
წყობარესა და კეთილსმოვანებასთან. თითქმის ყოველ ხანაში შეხედებით ასეთს უმსგავს  
რითმის: ვალით — მალე, <sup>2/2</sup>, პორტრეტები — პოეტმა <sup>20/2</sup>, ყველა — ულავს <sup>2/2</sup>, ხანად —  
საგანი <sup>1/2</sup>, წარი — მხარე <sup>2/2</sup>, ლამაზებს — თვალზე <sup>10/2</sup>, ოჯახის — ისინი <sup>12/2</sup>, ავგავეთ —  
თავის <sup>11/2</sup>, ნაპოლეონებს — მილიონები <sup>11/2</sup>, წარმოადგენენ — ესდევნით <sup>11/2</sup>, მაშინ — ყ-  
ნაში <sup>20/2</sup>, შეუმჩნეველი — ყველა <sup>9/2</sup>, განა — ვანო <sup>11/2</sup>, გოროზი — პროზა <sup>20/2</sup>, მდამა-  
ლით — მოხეტიალე <sup>20/2</sup>, ხათრი — აგრე <sup>20/2</sup>, პასუხი — სწუხს <sup>20/2</sup>, ეზოში — შიშით <sup>12/2</sup>,  
წყარო — გულამომგდარი <sup>20/2</sup>, უთხრა — წაიციოთვე <sup>12/2</sup>, მისმა — ისევე <sup>12/2</sup>, სული — სრუ-  
ლიად <sup>11/2</sup>, ერთად — ადითის <sup>17/2</sup>, ასე — ძვირფასი <sup>21/2</sup>, ცხენებით — ცხადადებიან <sup>11/2</sup>,  
მღერალო — ქალის <sup>2/2</sup>, შობისა — შევბას <sup>7/2</sup>, კარტს შლის — საფლავში <sup>7/2</sup>, ერთად — მო-  
რეეთან <sup>11/2</sup>, რადგანაც — დანას <sup>20/2</sup>, შხრიდან — დანაც <sup>20/2</sup>, ლენსკი — თავისკენ <sup>20/2</sup>, და-  
სკლის — გადასცემს <sup>20/2</sup>, ლანი — სიღრმემდე <sup>2/2</sup>, მისალმებისა — მისცა <sup>9/2</sup>, აქ — აქვს  
<sup>11/2</sup>, ზიზღის — ეგ არი <sup>11/2</sup>, ჩახმახი — სახელს <sup>12/2</sup>, წინაშე — გულში <sup>15/2</sup>, ვუყვარდი —  
მარტო <sup>22/2</sup>, წამოიღოს — იარაღების <sup>22/2</sup>, ცხენები კი — მუხისაკენ <sup>20/2</sup>, ბრაზით — აზრი  
<sup>20/2</sup>, ელეგია — მისი <sup>11/2</sup>, ღამთა — კარტა <sup>1/2</sup>, გასიერება — შეაიერებენ <sup>20/2</sup>, ცხარე —  
ცხერი <sup>12/2</sup>, ჭოხმახებში — შხრიანი <sup>21/2</sup>, ფუქად — ჩაქურთი <sup>21/2</sup>, მორღობულნი — ტყვილა  
<sup>27/2</sup>, შორს — გამოდრით <sup>2/2</sup>, ცხლა — მულღე <sup>7/2</sup>, ვარშეს — ზომ ეს <sup>21/2</sup>, სწედა — ჩაქება  
<sup>21/2</sup>, კარა, მე ამოწერილ დავიღალე და თქვენ კი ამ სიმახინჯის კითხვით დაგჭანკეთ, მკით-  
ხველო. დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ მთელ წიგნში რიგაიანად დარითმულს ხანას ვერ  
შეხედებით. როგორც ეტყობა, მთარგმნელს პუშკინის თავისებური ლექსთა წუგობა ვერ და-  
უძლევია და ვერც მისი სიტყვიერი შინაარსი ვაუგია და ამა რითმისათვის სად მოიცილიდა?

მივაქციოთ ყურადღება მთარგმნელის ენას. საზოგადოდ ქართველ მწერალისათვის  
კუთხური, პროვინციალური კილოცავე თუ დასაშვებია, იმ უკიდურეს შემთხვევაში, რო-  
დესაც ნაწარმოების გმირები იმ კუთხისა ან პროვინციის მცხოვრებნი არიან და თავიანთ  
ჩვეულებრივ კილოზე ლაპარაკობენ. ზოგიერთ შემთხვევაში სასამოვნოც კი არის, რო-  
დესაც მომქმენდი პირი ამა თუ იმ ნაწარმოებისა იმერულად, გურულად ან აჭარულად და სხ.  
მოუტყვევს ენას, მაგრამ მთარგმნეში და ისიც ისეთ ნაწარმოებში, როგორც არის პუშკინის  
— ეგვიპტი ონეგინი<sup>1</sup>, ყოველად დაუშვებელია და შეუწინარებელი კუთხური პროვინციალური  
ენის მოტყვევა და კილო. ამ მხრივ მთარგმნელი ყოველად დაუდევრად იქცევა და პროვინ-  
ცილობებს არ ერიდება. ზშირად შეხედებით მაგალითებრ ასეთს ლიტერატურის თვალ-  
საზრისით დამახინჯებულს სიტყვებს: გარება <sup>20/2</sup>, უტია <sup>17/2</sup>, ფერფერი <sup>20/2</sup>, ტყვილად <sup>22/2</sup>,  
ყენებში ჯახი შეწყდა <sup>11/2</sup>, წყალი გაზიდულია, ბატი იფრება <sup>22/2</sup>, გიპირდები <sup>11/2</sup>, ჩაუჯე-  
ნია <sup>2/2</sup>, უჯეროდა <sup>1/2</sup>, ტალომა <sup>1/2</sup>, შიშნული <sup>22/2</sup>, აჯენენ <sup>20/2</sup>, ტუზში ტყვიას აჯენდა  
<sup>9/2</sup>, თვალი ვადმოუტაჩა <sup>1/2</sup>, დღის შიშხათი <sup>21/2</sup>, გავიარი ბაღში <sup>10/2</sup>, შეესხენ ძაღლები ყ-  
ვით <sup>10/2</sup>, ღრუბლებს მოდენს <sup>20/2</sup>, აკვირდება თვალებით შეთვის <sup>10/2</sup>, კარკე ტენი რომ მო-  
და <sup>11/2</sup>, მუხლებში მტებს და მისაეებს <sup>22/2</sup>, აწყარად სანა <sup>20/2</sup>, ვყრობ თქვენს რისხვას, —  
ანეგინის წერილიდან, და სხვანი. ზშირად მთარგმნელს იქ, სადაც თარგმანი და ლექსი ერთ-  
მანეთში ვერ შეუთავსებია, რუსულ სიტყვასა სტოვებს ლექსში, მაგალითებრ: დამები <sup>9/2</sup>,  
აპლოდისმენტი <sup>17/2</sup>, კავალერები, კარტა, პროფილი <sup>27/2</sup>, სკრიპები <sup>20/2</sup>, ოხტენკა <sup>20/2</sup>,  
დროშა <sup>11/2</sup>, პორტრეტი <sup>20/2</sup>, პლანი <sup>10/2</sup>, ფეხები <sup>2/2</sup>, შყაფი, ნალიცკა <sup>2/2</sup>, ბალკონზე <sup>20/2</sup>,  
ფონზე (წულის ფონი არ გვეიწით) <sup>20/2</sup>, სერუანტი, ფრანტი <sup>20/2</sup>, ბლინი <sup>20/2</sup>, ტირანი <sup>10/2</sup>,  
კოცეტა <sup>20/2</sup>, ვენშელი <sup>22/2</sup>, მაშინაღურად <sup>17/2</sup>, არშინი <sup>22/2</sup>, კარტს შლის <sup>7/2</sup>, კოშურკა <sup>9/2</sup>,  
ლაქია <sup>11/2</sup>, კრისტალი <sup>22/2</sup>, ტალონ <sup>22/2</sup>, პარკეტი <sup>22/2</sup>, ტრაპტირი <sup>1/2</sup>, ტუზი <sup>9/2</sup>, პილი-

გრამი <sup>20/2</sup>, პრიანიები <sup>41/2</sup>, მანტია <sup>30/2</sup>, ვაჭანკა <sup>7/2</sup>, ჩეპცი <sup>28/2</sup>, ხანდრა <sup>21/2</sup> და სხვ. ზოგი ამ სიტყვათაგანი რამდენჯერმე აქვს განმეორებული თარგმანში. აშკარაა, ან ამ სიტყვების თარგმნა ვერ შესძლებია და ვერ დაუძღვია, ან ლექსთან ვერ შეუთავსებია.

ერთი იმისი კრიტიკოსთაგანი, სახელდობრ პროფესორი ს. დედელი, ამ რუსულ სიტყვების დატოვებას თარგმანში მთარგმნელს ნაკლად უთვლის და ასეთს მხოლოდსა-რუსიკონს უწოდებს (იხ. მხათობი, 1935 წ., № 9). რაღა თქმა უნდა, ეს რუსიკონში არ არის, თუმცა მთარგმნელს, ლექსის წყალობით, არც რუსიკონებში აკლია, რის მაგალითებსაც შემდეგ მოვიყვანთ. თარგმანში უცხო ენის ერთს სიტყვის ჩარევა ან დედანის ტერმინის დატოვება რუსიკონშია და არ ჩაითვლება. თარგმანში უცხო ენის სიტყვების შესაბამოდ ხმარება ორის ენის ერთმანეთში შერევის მოსწავებს და არა რუსიკონს, რუსიკონში, გალიკონში და სხვ. თარგმანში ისეთს გამოთქმასა და სიტყვათა წყობას წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ ენის თავისებურებას შეადგენს. მაგალითებ: „Человек сидит в шапке“, რაც რუსულად სრულიად ბუნებრივი და ჩვეულებრივი გამოთქმაა, ეს წინადადება ქართულად რომ გადმოეთარგმნათ და დაეწერათ „აკიო ქუღში ზის“, ან კიდევ „Человек ходит в брюках“ — „აკიო შარვალიში დადის“, ან ასეთი თარგმანი იქნებოდა რუსიკონში. ასეთი ცოცხალი მთარგმნელსაც არ აკლია, იგი სწერს: „принял ванну“ აბაზანა იღებს <sup>41/2</sup>, „მუნდირში ორი დგას“ <sup>7/2</sup>, „и все Евгений на уме“ — „და ონეგინი უზის მის თავში“ <sup>21/2</sup>, „ловить влюбленными глазами“, „ვიპერდეთ თვალით შეყვარებულები“ (ონეგინის წერილი, მე-8 თავი) „излить мольбы“ — „ვედრების დაღერა“ იქვე და სხვ.

ესლა შეგვხვთ თარგმანის ლირსებას. წინად გამოთქმულ აზრს უნდა დაეფრთოთ, რომ ორისავე ენის კარგად მცოდნე მთარგმნელიც კი დიდს სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს დედანის სიტყვიერს აღნაგობას და სცდილობდეს ავტორის ისეთი სიტყვები არ მიაწეროს და თარგმანში ისეთი ზედმეტ სიტყვა არ ჩაურთოს, რაც ავტორის აზრს შესცვლის და დაამახინჯებს. ამ მხრივ ჩვენი მთარგმნელი „ევგენი ონეგან“-ს ძალიან დაუდევრად ეკიდება, რის დასადასტურებლად ორიოდ მაგალითს მოვიტანთ: იმ ადგილას, სადაც პუშკინი აღნიშნავს, რომ ონეგინი ერთადერთი მემკვიდრე იყო ყველა თავის ნათესავისაო (იხ. <sup>7/2</sup>) მთარგმნელი სწერს: „თვის წინაპართა პირშუო მემკვიდრე“; როგორც ზედავთ, მთარგმნელმა სრულიად გადაასხვადერა დედანის აზრი. ჯერ ერთი ონეგინი მემკვიდრე იყო ყველა წინაპრის ნათესავისა და არა წინაპრებისა, და არც შეიძლება, რომ ვინმე თავის ყველა წინაპრის მემკვიდრე იყოს; მეორე, — მოგვხსენებთ, პირშუო მემკვიდრეობა იურიდიული ტერმინია და ასეთი წესი-მემკვიდრეობისა რუსეთში პეტრე პირველმა შემოიღო 1714 წელს და ხმარობდნენ ისეთს შემთხვევაში, როდესაც მომავლადგი მამულის მფლობელი მამა-პაპულს მამულს ან თავის მიერ შექმნილს ანდერძით თავის პირშუო შვილს უტოვებდა, ან სიციხე-სამაგრიც გადასცემდა, იმ აზრით, რომ მამული ყველა მემკვიდრეს არ გაენაწილებინა და არ დაქუცმაცებულიყო. ასეთს მემკვიდრეობას მთორავტი ეწოდებოდა და ასეთს მემკვიდრეს პირშუო მემკვიდრე ერქვა. შემდეგ მეოთხე ხანაში, სადაც პუშკინი აღნიშნავს: საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ ონეგინი ჭკვიანია და საყვარელია, მთარგმნელი სწერს:

„სხვა რაღა ვინდათ? გონებაშკრელი, —  
სოქვეს — ჭკვიანია და საყვარელი.“ <sup>4/2</sup>

ამ ორ სტრიქონში მთარგმნელს ზედმეტად ჩაუმატებია სიტყვები: „გონებაშკრელი“ და შკრებილის ვერ გაუგია, ვის შეეხება ეს სიტყვები: თვით ონეგინს, თუ ისინი არიან გონებაშკრელები, რომელთაც ონეგინი დაახასიათეს.

ასე უადგილოდ ჩამატებული სიტყვებით მთარგმნელი სასაცილო მდგომარეობაში აყენებს თავის თავს. მაგალითებ: პირველი თავის მე-7 ხანის უკანასკნელ ორ სტრიქონს პუშკინი ასე ამთავრებს:

„Отец понять его не мог,  
И земли отдавал в залог“.

ეს ორი სტრიქონი ასე გადმოთარგმნილი:

„მამამ ჭკვა ვერ სცნა მის ლაპარაკში,  
დააგირავა მიწები ზანკში“.

მოგახსენებთ, პუშკინის რომანი დაწერილია წარსული საუკუნის მე-20 წლებში, როდესაც არსად რუსეთში ჯერ საადგილ-მამულა ბანკები არ იყო დაარსებული და მამასადამე, ონეგინის მამა თავის მიწებს ბანკში ვერ დაეკრავებდა. ასეთი ბანკები რუსეთში გაჩნდა მხოლოდ გლეხების განთავისუფლების შემდეგ მე-70 წლებში. მაშინ დაეკრავებდა ონეგინის მამა თავის მიწებს? ამის პასუხს თვით პუშკინი გვაძლევს, როგორც ვხედავთ თავის 51 ხანაში, სადაც სწერს, რომ ონეგინის მამის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეს შეეახშენი თავს დაესხნენ, რომელთაც ონეგინმა მამული სულ მთლად დაუტოვაო. ამ გეგადაც ეს ორ-მარცვლოვანი სიტყვა „ბანკში“, სრულიად სცვლის დედანის აზრს და სასაქლო მდგომარეობაში გარდება მთარგმნელი. ასე უადგილოდ ჩამატებულ სიტყვებს ბევრგან უპოვით მთარგმნელს, რომანის მეოთხე თავის მეათე ხანაში პუშკინი სწერს:

„В красавиц он уж не влюблялся,  
А волочился как-нибудь“.

ეს სიტყვები ასე აქვს გადათარგმნილი:

„კაპლუციებს უკვე აღარ ეტრფოდა,  
თუმცა დასდევდა, რომ მოეკლა დრო“.

დამეთანხმებით, რომ დედანს და თარგმანს შორის დიდი განსხვავებია. იმავე მეოთხე თავის 38 — 39 ხანაში პუშკინი აგვიწერს როგორ ატარებდა ონეგინი მთელს დღეს, და აღნიშნავს რომ:

„Порой беланки черноокой,  
Младой и свежий поцелуй“.

მთარგმნელი:

„ხან თეთრი ქალის, საკინძვასნილქს,  
კოცნა მხურვალე, ნორჩი და ტკბილი“.

როგორც ხედავთ აქ მთარგმნელმა თეთრ ქალს საკინძვ გაუხსნა, რაც პუშკინს ფიქრადაც არ მოსვლია. მეხუთე თავის მე-8 ხანაში პუშკინი სწერს:

„Там мужички-то все богаты:  
Гребут лошадей серебро“.

მთარგმნელი:

„იქ გლეხებია ყველა მდიდრები,  
ფოცხვით იფოცხვის ვერცხლი ზედმეტი“.

რუსულსა და ქართულს აქ სულ სხვა და სხვა აზრი აქვს, იქ გლეხები ნიშნით ვერცხლსა ხეცტდნენ, აქ ზედმეტი ვერცხლი ფოცხვით იფოცხვის, თუმცა ვერ წარმოგვიდგენია, ვერცხლი როგორ უნდა დიფოცხოს. იქ, სადაც პუშკინი ასწერს მოსკოვში ტატიანას მამიდის თუ დედის ბინის გარეგანს სტრაოს (იხ. მეშვიდე, სტრაფი 38) სწერს:

... Львы на воротах  
И стаи галок на крестах.“

ამ ადგილს მთარგმნელი ასე სთარგმნის:

„დინჯი ლომები ეზოს ჭიშკრებზე  
და ქილყავებზე, შემსხდარნი ჯვრებზე“.

აქ მთარგმნელმა სიტყვა „დინჯი“ ჩუმბატა და სრულიად გადასხვადგინა პუშკინის დედანი, რაღა თქმა უნდა, როდესაც პუშკინი სწერს: „На воротах львы“, ლომის ხელოვნურ ნაქეთებს ვულისხმობს და არა ცოცხალ ლომებს, მაგრამ მთარგმნელმა „დინჯი“ მარტო და ამით მკითხველი განცვიფრებაში მოაყვანა: რა უნდადაი დინჯ ლომებს ჭიშკრების თავზე და ისიც მოსკოვში და რამ დაადინჯა ეს მრისხანე ნადირო. ამავე თავის მე-48 ხანაში, სადაც პუშკინი საკრებულოს სტუმრებს ახსიათებებს, სწერს:

„Все в них так бледно, равнодушно,  
Они клеветуют даже скучно;“

ამ სტრიქონების თარგმანი ასეთია:

„უფერულია იქ ყველაფერი,  
მტერსაც უკბილოდ ჰკბენს ხოლმე მტერი“.



გაიოცებთ, აქ მტერი რა შუაშია და ან როგორ ჰკბენს მტერს უკბილოდ მტერზე. ამის პასუხი მთარგმნელს მოსთხოვეთ, რადგან პუშკინი აქ არაფერ შუაშია და ამის მაგვარი იმას არა უთქვამს რა, განვიხილოთ ეხლა თუ რამდენად ლიტერატურულის ქართული და ზუსტად გვაწვდის მთარგმნელი პუშკინის რომანს: იქ, სადაც აწერილია ონეგინის სამუშაო რთახი (იხ. თავი პირველი, მე-24 ხანა) მთარგმნელი გვაუწყებს, რომ იქ მოიპოვებოდათ „ფუნჯები მრავალ მიდრეკილების“, თქვენ ხომ არ გაგიგონიათ, მკითხველო, ასეთი ქართული? ანა ფუნჯებს რა მიდრეკილება უნდა ჰქონდეს ამ სიტყვების გასაგებად მოვიშველიოთ პუშკინი. იგი სწერს: „И щетки тридцати родов“.

„ა თუ გასაგებია ასეთი ქართული ფრაზები:

„და ამ სხვაობით ერთი მეორის  
მოწყენილობას გრძნობდნენ პირველად“.

(იხ. თავი მეორე, ხანა მე-13). გამოდის, რომ თითონ კი არ მოიწყენდნენ, არამედ ერთმანეთის მოწყენილობას გრძნობდნენ, რომელი ქართველი გაიგებს ამ წინადადების აზრს ან სად გაუგონია მთარგმნელს ასეთი ქართული ან გაარჩიეთ ეს წინადადება ქართულის სიმარტივის თვალსაზრისით:

„და მიყრუებულ სოფლის წყნარ ჩრდილში  
ქალი უმანკო მშვენიერებით,  
მშობლების თვალწინ აყვავილებით  
მშვენოდა როგორც ზამბახი დილის“ (21/2)

როგორ მოგწონთ ეს წყნარი ჩრდილი. ნეტა არაწყნარი ჩრდილი რომელია და ქალი უმანკო მშვენიერებით და მშობლების თვალწინ აყვავილებით. გაიგეთ რამე, მკითხველო, მიბრძანეთ ერთი, საქართველოს რომელ კუთხეში ლაპარაკობენ ასეთის ენით, ან თუ გასაგებია ასეთი ფრაზები:

ქალმა პოეტმა დააჯილდოვა  
ბევშერ შეფრფინვის პირველ სიზმრებით,  
და გააზნევება მასში იპოვა (რაში?)  
ღერწმის პირველმა ამოკენსებამ... 22/2.  
უმოკლესი გზით ნიაქართლად  
პირაქეთულ ეტლს გააქქეს ზმარია. (9/2)  
„ბედნიერ ძალით ფრთიან ოცნების  
ანაზღველად განაცოცხლები...“ 9/3.  
„მთოში ექებს და კიდევ ნახულობს  
ქალწული გულის სისავის ნაყოფს... 10/3.  
„ის გადაფრინდა სუბუქად ფრთხილად:  
დერეფანიდან ბანით ეწოში“... 20/2.

ასეთს მაგალითს ბევრს მოვძებნით ამ თარგმანში, მაგრამ ვგონებ რომ ესეც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ მთარგმნელი ქართულის ენის ცოდნის მხრივ საგრძნობლად მოიუსტებს.

კიდევ ორიოდ მაგალითს მოვიტანო. მთარგმნელი „Смычек“-ს „მიზრაფ“-ს ეძახის, „Пух“-ს ბუმბულს 20/1.

პუშკინი: „Блистательна, полувоздушна,  
Смычку волшебному послушна“,

მთარგმნელი: ბრწყინვალე, როგორც ქალი ზღვის ქაფის,  
მუდამ მორჩილი გრძნულ მიზრაფის 20/1.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

რა არის ეს ზღვის ქაფის ქალი ან საიდან არის აღებული?

პუშკინი: „То стан совет, то разовьет,  
И быстрой ножкой ножку бьет.“

მთარგმნელი: „შოლტაობს ტანი, ირზევა, ტოკავს,  
ხან მოხდენილად ფეხს-ფეხს შემოჰკრავს“<sup>20/1</sup>  
(ტანი ფეხს-ფეხს როგორ შემოჰკრავს)?

პუშკინი: „Все хлопает. Онегин входит:  
Идет меж кресел по ногам,  
Двойной лорнет, скосясь, наводит“.

მთარგმნელი: ყველა ტაშს უკრავს, ლუნაა მტეი  
ონეგინი შედის მედიდურობით,  
ათვალიერებს ორმაგ ლორნეტით.<sup>21/1</sup>

პუშკინი: „Толпа мазуркой занята“.

მთარგმნელი: და ბრბო თამაშობს ჩვეულ მაზურკას<sup>22/1</sup>.

პუშკინი: „Вы также, маменьки, построже  
За дочери вы смотрите вслед.“

მთარგმნელი: „და თქვენც, დედებო, ყმაწვილმა ქალმა  
რომ არ შესტოპოს კელავ მტების მტად...“<sup>23/1</sup>

პუშკინი: „Люблю я бешеную радость“

მთარგმნელი: „მიყვარს ხალისი ნიაღვარული“...<sup>20/1</sup>

პუშკინი: „Любили мягких вы ковров  
Роскошное прикосновение.“

მთარგმნელი: „მახსოვს, გაყვარდათ რბილ ხალიჩების  
მედიდური და ნაზი შეხება“...<sup>21/1</sup>

როგორია ნეტა ეს ხალიჩების მედიდური შეხება?

პუშკინი: „Она, пророчествуя взгляду  
Неоцененную награду,  
Влечет условною красой  
Желаний своевольный рой.“

მთარგმნელი: „იგი ანაზღაურ მოხიბლულ თვალებს,  
დასდაუდებელს ჰპირდება ლაღებს  
და აღტაცებულ სურვილთა გუნდი  
მისდევს, ვერ ეტყვი კმარა დაბრუნდი“<sup>22/1</sup>

პუშკინი: „Читал, читал, а все без толку.“

მთარგმნელი: „იკითხა მერამ არ გატყდა ნების“...<sup>23/1</sup>

დამეთანხმებით რომ ყველა ეს ადგილი პუშკინის რომანისა მახინჯად არის ქართულად  
გამოთქმული. ან კიდევ ეს ადგილები:

პუშკინი: „И дождались. Открылись очи“

მთარგმნელი: „და ის ეღირსა, თვალი თვალს ეცა“...<sup>24/1</sup>

პუშკინი: „Британской музы небылицы.“

მთარგმნელი: „ბრიტანთა მუზის ცრუ არაკები“...<sup>25/1</sup>  
ნეტა თუ მართალი არაკებიც მოეპოვება?

პუშკინი: „Он уезжает со двора“



მთარგმნელი: „იგი ეზოდან გადადის მაშინ“... 10/ს.

პუშკინი: „Нашед мой прежний идеал...“

მთარგმნელი: „რაკი იდეალს ძველს შევაშინებდი“... 11/ს.

პუშკინი: „Бывает в миг увлечена“

მთარგმნელი: „შესაძლო არის შესცდეს სხვასთანა“ 12/ს.

ერთთან უკვე შემცდარა?)

პუშკინი: „Что всякий мой усердный взор  
Заслужит благосклонный взор“.

მთარგმნელი: „რადგანაც მკერა რომ თვითიული  
გულმოდგინებით თქმული მიქარვა  
თვალებს მიიპყრობს ვითარცა ქარვა.“ 20/ს.

პუშკინი: „Ко мне забредшего соседа,  
Поймав нежданно за полу“.

მთარგმნელი: „ან ნასადილევს მოსულ მეზობელს  
კალთებში მაგრად მე ჩაეკიდებ ზღლს,  
უეცრად ვიპერ, როგორც ნაგეში“... 26/ს.

„როგორც ნაგეში“ მთარგმნელის მიერ ჩამატებულია.

პუშკინი: „Тупым кием вооруженный“,

მთარგმნელი: „ხელში ჩომახტურ-მომარჯვებული“... 44/ს.

პუშკინი: „Стакан, соседке приношенье“

მთარგმნელი: „ლილისფერ ღვინით ავსილი კიქა“... 49/ს.

პუშკინი: „На воск потопленный глядит.“

მთარგმნელი: „..... უცქერის ჩამოქნილ სანთელს“... 5/ს.

პუშკინი: „Толпа в гостинную валит.“

მთარგმნელი: „ებლა სალონში გადააქვთ კრება“... 50/ს.

პუშკინი: „Ленский мой  
Все видел, вспыхнул, сам не свой.“

მთარგმნელი: „..... ლენსკი გიფდება,  
ველაფერს ზედავს და ბრაზით კვდება.“ 44/ს.

როგორც ვხედავთ პუშკინი სულ სხვასა სწერს და მთარგმანი კი სულ სხვას გადმოგვცემს. და ამ გადმოცემიდან სჩანს, რომ ლენსკი ონეგინს კი არ მოუტლავს, თითონ გაგიჟებულა და მომცდარა.

პუშკინი: „Одна, печально под окном,  
Озарена лучом Дианы,  
Татьяна бедная не спит  
И в поле темное глядит.“

მთარგმნელი: „ტანია სარკმელთან მარტო, სიფრთხილით  
ზის და უბრწყინავს თვალით ბალახში,  
საწყალ ტანიას არ მოსდის რული  
და ველს გასცქერის ჩაფიქრებული“... 2/ს.

წარმოიდგინეთ, მკითხველო, როგორაა ზის ტანია სიფრთხილით და როგორ უბრწყინავს თვალთ ბალახში.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

პუშკინი: „В пяти верстах от Красногорья,  
Живет Зарецкий некогда буян  
Картежной шайки атаман,  
Глава повес, трибун трактирный.“

მთარგმნელი: „ხუთ ვერსზე სოფელ წითელ გორასთან  
სცხოვრობს ზარეცკი, ერთ დროს აყალ-მყალი,  
ბანქოს თამაშის დიდი ტრფიალი,  
შფოთი, ტრიბუნი, ტრაქტირის გმირი“ 1/6.

თურმე „Красногорье“ „წითელი გორი“ ყოფილა და ზარეცკი აყალ-მყალი და შფოთი.

პუშკინი: „Хоть иногда и сам впросак  
Он попадался, как простак.“

მთარგმნელი: „დაუდგებოდა საძნელო წამი,  
გაფასდებოდა ის როგორც ხამი“ 4/6.

ნეტავი ხამი როგორ გაფასდება ზოლმე? გამოიცანით რას ნიშნავს ქართულად: „ჰორს  
შეიხზავდა მიეთ-მოეთად.“ 7/6.

პუშკინისებურად ეს ნიშნავს: „Веселой шуткою, враньем“.

პუშკინი: „Не пылким мальчиком, бойцом.  
Но мужем с честью и с умом.“

მთარგმნელი: „არ გარჯილიყო მამლაყინწურად,  
საქმე გადებრა კეთიანურად“ 10/6.

პუშკინი: „И память юного поэта  
Поглотит медленная Лета.“

მთარგმნელი: „და ჩემი ხსოვნა, ფიქრი და შრომა,  
ჩაყლაპოს ზანტად მდინარე დრომა“ 22/6.

ამ ფრაზის სხვა უსწორმასწორობასაც რომ ყურადღება არ მივაქციოთ, ზანტად ჩაყლაპვა რაღა არის?

პუშკინი: „Зарецкий бережно кладет.“

მთარგმნელი: „ზარეცკი ფრთხილად გეამს აიტაცებს“ 30/6.

შვენიერი შედარებაა ზანტად ჩაყლაპვა და ფრთხილად აიტაცება.

პუშკინი: „Чужих причуд истолкованье“

მთარგმნელი: „უცხო უკეთია გადმომთარგმნელი“ 31/6.

პუშკინი: „Как часто муза услаждала путь немой  
Волшебством тайного рассказа.“

მთარგმნელი: „მუზა მოწყენილ გზას მიხალისებდა  
იდუმალეებით გრძნულ ზღაპრების“ 31/6.

ან ასეთი ქართული:

„ქალი არ იყო აჩქარებელი  
არც ენა ყბედი, არც მოღრუბლული,  
არ მკონდა მზერა ურცხვი, თავნება,  
არ ემზნეოდა იმპარტაენება,  
ამ წერილმან პრანჭვა-გრების უმისოთ,  
გარეშე ყოველ მიშაძველობის“ 14/6.

პუშკინი: „Тут был, однако, цвет столицы,  
И знать и моды образцы,  
Везде встречаемые лица,  
Необходимые глупцы;“



მთარგმნელი: „გვიარს და მოდის უცხო თარგებში,  
დარდიმანდებიც იყვენ აგრეთვე, —  
ყოველად საქართო არამზადები,  
რომელთაც ყველგან შეამჩნევდით თქვენ“. 21/4

პუშკინი: „Улыбку уст, движение глаз  
Ловить влюбленными глазами.“

მთარგმნელი: „ვიჭერდე თვალით შეეცვარებულთ  
ბაგეთა ღიმილს, მონაქნევს თვალის“.

(ონეგინის წერილი, 8 თ.).

ამ ამონაწერ ადგილებიდან სჩანს, რომ ხშირად თარგმანში ისეთს წინადადებას შეხვდებოდა, რომლის აზრი და შინაარსი ძნელი გასაგებია. სხვათა შორის, მისის ქართულ ენის გაუგებრობა და ბუნდოვნობა საშუალო გარემოებას ამკადანებს: პირველი, მთარგმნელი დაუდევრად ეკიდება სათარგმნელ მასალას და ხშირად ამ მასალას სცვლის და თავის სიტყვებს უადგილოდ უმატებს; მეორე — ქართულის ენის ცოდნის მზრივ კოკლოზს და იქ, სადაც რუსულს ვერას გაუგებს, — თავისუფლად გადაახტება ზოლზე თავზე და იმის ნაცვლად უაზრო და შეუფერებელ ქართულ სიტყვებს გააწეღის და მესამე — მთარგმნელს აშკარად ეძინება რუსულის ენის სუსტად ცოდნა.

ამ უკანასკნელ გარემოების დასასურათებლად აი კიდევ რამდენიმე მაგალითი: მთარგმნელის თარგმანით „Вздор“ — „მიჭარვია“, „Факел“ — „ლამპარი“ 21/4, „Толстый“ — „ლოხი“ 21/4, „Сброд“ — „ოხერი“ 41/4, „Кушак“ — „ქამარი“ 7/4, „Посад“ — „გარეთუბანი“ 21/4, „Свод небес“ — „ცის თავანები“ 18/4, „Сигнала со света“ — „მისროდა სიიქიოში“ 18/4, „Платок“ — „სახოცი“ 20/4, „И все Евгений на уме“ — „და ონეგინი უზის მას თავში“ 21/4, „Открылись очи“ — „თვალი თვალს ეცა“ 7/4, „Легкомыслия страстей“ — „გნებათა ღელვის განუსჯელობა“ 21/4, „Он уезжает со двора“ — „იგი ეზოდან გადადის მაშინ“ 22/4, „Бывает в миг увлечена“ — „შესაძლო არის შეტდეს სხვისთანაც“ 21/4.

პუშკინი: „В ослепительной надежде  
Блаженство темное зовет.“

მთარგმნელი: „დაბრმავებულ ბედის ამარა  
მოუხმობ ფარულ ტბილ ნეტარებას“ 21/4.

პუშკინი: „Гармонических затей.“

მთარგმნელი: „გარმონიულ ახირებას მთელს“. 22/4.

პუშკინი: «Товарищ навсегда везде.»

მთარგმნელი: „ამხანაგური აშტანი ჯიშით“. 22/4.

პუშკინი: „Прогулки тайные в саях;“

მთარგმნელი: „გასეირნებას საიდუმლო გზით“ 2/4.

პუშკინი: „Иль он, кокетствуя шалил.“

მთარგმნელი: „ან თუ იჩენდა დარდიმანდობას“ 22/4.

პუშკინი: „То к Ольге взоры устремив.“

მთარგმნელი: „ხან ოლგას სკვრეტდა მოწვენილ მზერით“ 22/4.

პუშკინი: „Любовная чепуха.“



მთარგმნელი: „სასიყვარულო მიტარებები“ 20/2

პეშინი: „Вешняя лучи.“

მთარგმნელი: გამოზადხელის სხივი“ 1/2.



კიდევ ერთი კუროზი: რუსულ ენის ყოველმა მკოდნემ იცის, არასადასტურებლად „Грохот музыки“, ჩენს მთარგმნელს ეს არა სკოდნია და ლექსიკონისათვის მიუმართავს. უკანასკნელად გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში ეს სიტყვა ორ ალაგას არის ახსნილი, ერთგან ნათქვამია, რომ „Грохот“ არისა „გრაილი“, „რაბარუბი“, „ხმაური“ და ამის შემდეგ იმავე სიტყვას „Грохот“-ს ლექსიკონი უწოდებს „ცხრილს“ ან „ცხავს“ და მართლაც რუსები „Грохот“-სავე ეძახიან შმენებლობისათვის საჭირო უკენყო მიწის გასაცრელს მავთულისაგან გაკეთებულ საცერს ანუ ცხავს. მთარგმნელს პირველი ახსნა „Грохот“-ისა ვერ შეუღნიშნავს, მეორისათვის მოუტრავს თვალში და სიტყვებს „Грохот музыки“ ასე გეითარგმნის — „მუსიკის ცხავიც ნამეტანია“ 21/2.

უხლა ნიკითხათ: ვოტეათ ამ შემთხვევაში თარგმანს ხელი მიჰყო ისეთმა ადამიანმა, რომელსაც ღონე არ შესწევდა ასეთის საქმისათვის, კაცია და გუნებოა ნათქვამია, მაგრამ ეს მახინჯე თარგმანი ხომ სამჯერ დაიბეჭდა და უკანასკნელად შარშან, 1938 წელს დედერაკის მიერ არის გამოცემული აშხ. გერონტი ქიქოძის რედაქტორობით. რას აკეთებდნენ სამსავე შემთხვევაში მისი გამომცემლები, რედაქტორები, და ყველა ისინი, რომელთაც ხელი შეუწყვეს ასეთის თარგმანის გამოცემას? ნუ თუ იმედი არ უნდა გეჭონოდა, რომ ერთი იმითგანი მიინც ყურადღებას მიატყვედა ამ თარგმანის სიმახინჯეს და ხელს შეუშლიდა ასეთის თარგმანის გამოქვეყნებას, მით უმეტეს, რომ ამ წიგნს მოზარდი თაობაცა ხმარობს სასწავლებლებში და ხალხშიც დიდად გავრცელებულია როგორც პეშინის დიდებული ნიჭის ნაწარმოები. დარწმუნებულნი ვართ, აშხ. ქიქოძეს ან სხვას ერთბელ მიინც რომ გადაეკითხა ეს წიგნი, ყოველ მის სიმახინჯეს ადილიად შენიშნავდა და იმის გამოცემას ხელს არ მოუშართავდა, მაგრამ ერთია რედაქტორის საპატიო სახელის ტარება და მეორე — თვის მოვალეობის ასრულება. საკვირველი ის არის, რომ ამ წიგნის ყველა ნებსითი თუ უნებლიეთი შეცდომა, ყველა ის აღარბეული სიმახინჯე, რომელიც შემოთ აღენიშნეთ და რომლის რიცხვი დიდად სიმრავლეს შეადგენს, ისევე თანა სდევს უკანასკნელად აშხ. გერონტი ქიქოძის რედაქტორობით დაბეჭდილ გამოცემასაც. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ რედაქტორის არავითარი შრომა არ გაუწყვეია და წაუკითხველად გადაუტია „მეგენი ონეგინი“ სტამბისათვის შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ სხვა თარგმანი არ იყო და რედაქტორს რა უნდა ექნაო, რომ, რუსულის ანდაზისა არ იყოს: „თუ თვეზი არ იშოვება, კიბოც თვეზად წაითვლებოა“, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ვერაფერი თვის გამართლება იქნება.

სამწუხაროდ, ჩენი ნორჩი და ჯერ წელში გაუმართავი კრიტიკა ჯეროვანს ანგარიშს ვერ უწევს ყოველს ქართულს გამოცემას და ძალიან ბევრი წიგნი ჩიება მისი განუხილველი და განუსჯელი. ამ შემთხვევაშიაც „მეგენი ონეგინი“-ს თარგმანს თითქმის არავინ გამოეხმაურა. ყურადღება მიატყია მხოლოდ პროფესორ დანელიამ, რომელსაც, სამწუხაროდ, კონსტრუქციურად ყველაფერი დაუნახავს სპილოს გარდა, არც მას მიუტყვეია ყურადღება არც რითმის უფარგისობისა, არც უსწორმასწოროდ და უხეიროდ, ზედმეტად ჩამატებულ სიტყვებისა, და არც თარგმანის საერთო სიმახინჯისა და მთარგმნელის მიერ რუსულის ენის უსკოდინარობისათვის. იგი მხოლოდ სამს თუ ოთხ ხანას არჩევს, იმასაც თვორიულად, თარგმნის მეთოდის მხრივ გამოსარკვევად და ზოგან თარგმანს თითქმის იწონებს კიდევც, რაც არ მოხდებოდა, თარგმანი რომ გულმოდგინედ წაეკითხნა და განეხილნა.

ა. ახანაძე

## შინაარსი

### მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
აკაკი წერეთელი — ბორჯომში (ლექსი) . . . . .	3
ალ. ქუთათელი — სააქადემიოფოში . . . . .	5
ვ. ბარნოვი — თეთრი გვირგვინი . . . . .	12
ლალო ასათიანი — ორი ლექსი . . . . .	48
კ. ხიმშიაშვილი — გაზაფხულის უცნაურობა . . . . .	50
დავით სასუნცი (თარგ. ირ. აბაშიძის) . . . . .	56
დავით სასუნცი (თარგ. ი. მოსაშვილის) . . . . .	64
მარიამ გარიყული — ერთი ღამის ამბავი . . . . .	76

### პრიტიკა, მიხედვება, და ფილოსოფია

აკ. გაწერელია — პროზაიკოსის გზა . . . . .	93
ალ. ლლონტი — ნ. მარი და ახალი ენათმეცნიერება . . . . .	112
დავ. შამათავა — თედო რაზიკაშვილი . . . . .	143

### ბიბლიოგრაფია

ვეგენი ონგენი — რომანი ლექსად ა. ს. პუშკინისა. თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა . . . . .	150
---	-----

ფასი 2 ზაბ. 50 ჯაბ.

ფურც 33,35

გ.კე.იკაძე

1 1 12 4 12



საქართველოს  
ხელნაწილის გამომცემი



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ